

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტი

თეა ბორჩხაძე

კომპიუტერული ტერმინოსისტემის თარგმნის  
ლინგვისტური მარკერები

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან გოცირიძე,  
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი.*

თბილისი 2016

## სარჩევი

ანოტაცია.....	5
Annotation.....	7
შესავალი.....	9
<b>თავი 1. ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია</b>	
1.1. ტერმინის ტრადიციული და თანამედროვე დეფინიციები.....	17
1.2 ტერმინოლოგია და მისი ადგილი ენის ლექსიკურ სისტემაში.....	27
1.3 ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი.....	31
1.4 ტერმინოსისტემა - ლინგვოსისტემის თანასისტემა.....	35
1.5 ტერმინოლოგიისა და ტერმინოსისტემის გამიჯვნის საკითხისათვის.....	40
პირველი თავის დასკვნები.....	43
<b>თავი 2. ტერმინი სოციოლინგვისტიკის ქრილში</b>	
2.1. ენა სოციალური იდენტურობის ფაქტორი.....	46
2.2 ენათა დიფერენციაცია სოციოლინგვისტიკურ ქრილში. ტერმინის სოციოლინგვისტიკური ასპექტები.....	48
2.3 ტერმინოლოგია და დარგობრივი ენები რეტროსპექციულ ქრილში.....	51
2.4 დარგობრივი ენების არსებობის ფორმები.....	55
2.5 ტერმინოლოგიური ლექსიკის სტრატეგიკაციული ერთეულები.....	63
2.6 ტერმინის კონოტაცია დარგობრივ ენასა და კომუნიკაციაში.....	68
2.7 კომპიუტერული სუბენა - პროფესიული სოციოლექტი.....	79
მეორე თავის დასკვნები.....	81
<b>თავი 3 კომპიუტერული ტერმინოლოგიის კორპუსის ლინგვისტური ანალიზი</b>	
3.1. კომპიუტერული ენა როგორც ბუნებრივი ენის ლექსიკური სუბსისტემა.....	86
3.2. კომპიუტერული ტერმინოლოგიის კორპუსი.....	89
3.3. კომპიუტერული ტერმინოსისტემის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები .....	92
3.4. კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ ნომინაციათა ფონდის შევსების ფართოდ გავრცელებული საშუალებები .....	96
3.4.1 კომპიუტერული ლექსიკის ერთეულების წარმოქმნის ლექსიკო-სემანტიკური ხერხი .....	96

3.4.2. აბრევიაცია როგორც კომპიუტერული ტერმინების სიტყვათწარმოების საშუალება .....	100
3.5. ინტერნეტის ენა როგორც განსაკუთრებული ენობრივი სუბსისტემა.....	103
3.5.1. ინტერნეტ დისკურსი და ლინგვო-კულტუროლოგიური ველი.....	103
3.5.2. ტერმინების მეტაფორიზაცია.....	111
3.5.3. მეტაფორული ნომინაციის თავისებურებები.....	116
3.5.4. ნეოლოგიზმები გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით.....	118
3.5.5. მეტონიმიზაცია როგორც კომპიუტერული ტერმინოსისტემის შევსების ერთ- ერთი საშუალება .....	119
3.5.6. კომპიუტერული სლენგის ფორმირება.....	120
მესამე თავის დასკვნები.....	123
<b>თავი 4. კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის თავისებურებები</b>	
4.1. ტექნიკური თარგმანის თავისებურებები .....	126
4.2. კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის სპეციფიკა.....	131
4.2.1. სესხება, როგორც კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე გადმოცემის ყველაზე პროდუქტიული ხერხი.....	131
4.2.2. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ძირითადი მეთოდები .....	137
4.2.3. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ძირითადი ხერხები.....	140
4.2.4. სიტყვათწარმოებითი ტრანსფორმაციები კომპიუტერული ტერმინების თარგმნის პროცესში.....	151
4.2.5. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელი როგორც უეკვივალენტო ლექსიკის ადეკვატური ტრანსლაციის გაიოლების საშუალება .....	154
4.2.6. კომპიუტერული აბრევიატურების ქართულ ენაზე გადმოცემის ხერხები.....	157
4.3. კომპიუტერული ჟარგონიზმების თარგმნის სპეციფიკა.....	160
4.3.1. მეტაფორული გადატანა როგორც კომპიუტერული ჟარგონიზმის ფორმირების უნივერსალური საშუალება და მისი თარგმნის სპეციფიკა.....	160
4.3.2. კომპიუტერული სლენგის თარგმნის თავისებურებები.....	168
4.4. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინების ადაპტაცია ქართულ ენაში.....	175
მეოთხე თავის დასკვნები.....	180

საბოლოო დასკვნები.....	183
გამოყენებული ლიტერატურა.....	190

## ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის შესწავლას, კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებათა გამოკვლევასა და მისი ქართულ ენაში ადაპტაციის პროცესის აღწერას.

კვლევის მიზანია ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის ლინგვისტური პრობლემების გამოვლენა, კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფუნქციონირების თავისებურებათა განხილვა თანამედროვე ინგლისურ ენაში, კომპიუტერული ტერმინოლოგიის ინგლისური და ქართული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირებითი აღწერა და აღნიშნული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის სპეციფიკის კვლევა.

კვლევის მეცნიერული სიახლე პირველ რიგში განისაზღვრება გაანალიზებული მასალის სიახლით. კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემები პირველად განიხილება კომპლექსურად და პირველად ხდება აღნიშნულ სფეროში ენათმეცნიერის ტრანსლაციის მეთოდების ანალიზი. თანამედროვე ლინგვისტური მიმართულებების თვალსაზრისით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, როგორცაა: ინტერნეტ-დისკურსის ფორმირების მექანიზმი, მისი სისტემური აღწერა, კონცეპტუალური ინტერნეტ-მეტაფორების არსი ინტერნეტ-დისკურსში. პირველად ხდება იმ მოტივაციური ნიშნების გამოვლენის მცდელობა, რომლებიც კომპიუტერული ტერმინოლოგიის კოგნიტური ნომინაციის საფუძველს წარმოადგენს. ასევე პირველად ხდება უცხოენოვანი წარმოშობის კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ადაპტაციის პროცესის ანალიზი ქართულ ენაში.

**მასალად** გამოყენებულია კომპიუტერული ტერმინოლოგიის ერთეულები, რომლებიც შერჩევის შედეგადაა აღებული ინგლისურ-ქართული ელექტრონული კომპიუტერული ლექსიკონებიდან, ასევე მასალები საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინტერნეტ-რესურსებიდან (ფორუმები, ჩეთები, სოციალური ქსელები).

კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობეს კვლევის შემდეგი ლინგვისტური მეთოდების შერჩევა: კვლევის აღწერითი მეთოდი; შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი; კომპონენტების ანალიზის მეთოდი; კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი; სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის მეთოდი.

**თეორიული** თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ავსებს ხარვეზებს, რომლებიც არსებობს ტერმინოლოგიის შესწავლის სფეროში ზოგადად, ტერმინოლოგიის სფეროში კვლევებით დაგროვილი გამოცდილება კი გამოიყენება მთარგმნელობით პრობლემათა გადასაჭრელად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და საფუძვლების შესამუშავებლად.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** განისაზღვრება მისი დებულებების გამოყენების შესაძლებლობით თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სასწავლო კურსებში. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეცკურსის შესაქმნელად კომპიუტერული ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციათა და მისი ქართულ ენაზე თარგმნის განხილვის კუთხით.

დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

I თავი ეძღვნება ტექნიკური ტერმინოლოგიის ზოგად საკითხებს.

II თავში აღწერილია ტერმინის სოციოლინგვისტიკური ასპექტები და ტერმინი მიჩნეულია დარგობრივი ენების ლექსიკური სისტემის საფუძველად.

III თავში მოცემულია კომპიუტერული ტერმინოლოგიის კორპუსის ლინგვისტური ანალიზი.

IV თავში გაანალიზებულია კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის თავისებურებები.

დასკვნებში განზოგადებულია სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საფუძველზე მიღებული შედეგები.

## Annotation

The thesis is devoted to the study of English language computer related terminological system, investigation of the peculiarities of the translation of computer terms and the description of the process of their adaptation in Georgian language.

The goal of the dissertation is to reveal the linguistic problems related to the translation of English language computer terminology, to discuss the characteristics of computer related terminological system in modern English, to make comparative description of semantic-structural peculiarities of computer related terminological system in Georgian and English languages and to study the specifics of the translation of the above-mentioned terminology into Georgian language.

The scientific novelty of the research is determined by the novelty of the analyzed material. The translation problems of computer terminology is for the first time discussed fully and for the first time the methods of inter-language translation in the mentioned sphere are being analyzed. The significant issues from the viewpoint of modern linguistic directions like the formation of the mechanism of Internet discourse, its systematic description, essence of conceptual metaphors in the Internet discourse etc. are being studied. An effort is made to reveal the motivational grounds representing the basis for cognitive nomination of computer terminology. Besides, the ways - how computer terms with foreign origin are semantically adapted to Georgian language is being analysed.

Applied material is computer related terminological system, represented in English-Georgian electronic computer glossaries and the material from the available Internet resources (forums, chats, social nets).

To achieve the goals and objectives the following linguistic methods are used: descriptive method, method of comparative analysis, method of contextual analysis, method of systematization and classification.

The theoretical value of the thesis is determined by correcting the deficiencies existing in the sphere of terminology studies in general, while the experience gained by means of researches in the sphere of terminology is employed to solve the translation problems for the

development of general methodological principles and basics for the translation of computer terminology.

The practical value of the thesis is determined by the possibility of using its findings in the courses of the Theory and Practice of Translation. Research materials can be used for special course material regarding the tendencies of the development of computer terminology and its translation into Georgian language.

The dissertation comprises an introduction, four chapters, conclusions and bibliography.

Chapter 1 is dedicated to general questions concerning technical terminology.

Chapter 2 describes the socio-linguistic aspects of the terminology and considers it as the basis of the lexical system of special languages.

Chapter 3 presents linguistic analysis of computer terminology corpus.

Chapter 4 analyses the peculiarities of the translation of computer terminology.

The conclusions summarize the result of the scientific research.

## შესავალი

მწელია ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროს დასახელება, რომელიც ისე სწრაფად ვითარდება, როგორც საზოგადოების კომპიუტერიზაცია. კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო, ციფრული აუდიო და ვიდეო ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ინერგება ჩვენს ცხოვრებაში. შესაბამისად, სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სწორედ კომპიუტერულმა, სატელეკომუნიკაციო და ციფრულმა აუდიო-ვიდეო ტერმინოლოგიამ იქონია ყველაზე დიდი გავლენა ქართული ენის ლექსიკის შევსებაზე, რომელსაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს განუცდია ისეთი მნიშვნელოვანი სახეცვლილება, როგორც მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოჩენისა და აქტიური დანერგვის საუკუნეებში. ფაქტიურად, შეიქმნა ახალი ტექნოლოგიური კომუნიკაციის ენა, რომლის ანალოგიც ქართულ ენაში არ არსებობდა.

მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში მიღწეული პროგრესი ყოველთვის იწვევს მკვლევართა დიდი ნაწილის ყურადღების გადატანას გარკვეული ტერმინოსისტემების შესწავლაზე. ინფორმაციულ რევოლუციას - სხვადასხვა სახის სამეცნიერო ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადს - მოჰყვა ტერმინოლოგიური აფეთქებაც, რამაც მკვეთრად გაზარდა ახალი ტერმინების რაოდენობა.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდი გავლენა საზოგადოებაზე განაპირობებს დარგობრივი სუბენების ლინგვისტური ინტერესის სფეროში მოქცევას. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სუბენას შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწორედ კომპიუტერული ტექნოლოგიების სუბენას. თუ ადრე კომპიუტერს ფლობდნენ მხოლოდ სპეციალისტები, ბოლო წლებში მას ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ კომპიუტერული სუბენის მატარებელთა მკვეთრ ზრდაზე. დღესდღეობით არა მარტო მეცნიერების, ტექნიკისა თუ მრეწველობის პრაქტიკულად ყველა სფეროს კომპიუტერიზაციის კონსტატირებაა შესაძლებელი, არამედ სახეზე გვაქვს კომპიუტერის შეჭრის პროცესი თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შედეგად, მოცემული სუბენა განიცდის შინაგან დიფერენციაციას და იყოფა პროფესიონალებისა და მომხმარებლების ენად. ასეთი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან კომპიუტერის თითოეული მომხმარებელი

ფლობს მას სხვადასხვა დონეზე და იყენებს განსხვავებული მიზნებისათვის. ეს იწვევს კომპიუტერული სუბენის გარკვეულ შინაგან ბუნდოვანებას, რაც არ შეიძლება არ აისახოს სპეციალური კომპიუტერული ცნებების ტერმინოლოგიური აღნიშვნის ხასიათზე. ყოველივე ზემოთქმულმა კი, ბუნებრივია, წარმოშვა პრობლემა, რომელიც უკავშირდება ახალ ცნებებსა და კატეგორიებს.

### **კვლევის აქტუალურობა**

კომპიუტერული ტერმინოლოგიის განვითარებამ, რასაც შედეგად მოჰყვა არა მარტო მეტყველების, არამედ სპეციალური ლექსიკის ცვლილებაც და ახალი ტერმინების შექმნა, ბუნებრივია, გამოიწვია კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის თავისებურებათა გამოკვლევისა და მისი ქართულ ენაში ადაპტაციის პროცესის გააზრებისა და აღწერის აუცილებლობა. აღნიშნული პროცესების ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან ყურადღების ნაკლებობამ ტერმინოლოგიის სტიქიური ზრდისადმი შეიძლება უმართავი გახადოს სპეციალური ლექსიკის განვითარება, რომელიც უკავშირდება როგორც წარმატებულ კომუნიკაციას სპეციალისტებს შორის, ასევე სამეცნიერო და ტექნიკური კადრების მომზადებას და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას. სათანადოდ ფორმულირებული ტერმინები უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული პროცესების და, ზოგადად, მეცნიერების განვითარებას, არასწორად ფორმულირებული ტერმინები კი აფერხებენ მას.

კვლევის აქტუალურობა იმითაც განისაზღვრება, რომ კომპიუტერის სფეროში არსებული ტერმინოლოგიის კანონზომიერებათა და თავისებურებათა გამოვლენა თარგმანის თეორიული და გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტისა და თანამედროვე ინგლისური ენის უფრო ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა.

ინფორმაციული რევოლუციის პირობებში, რომელიც განაპირობებს ახალი ტექნოლოგიების დაუფლებას, უდიდეს აქტუალურობას იძენს ერთიანი ეროვნული კომპიუტერული ტერმინოსისტემის ჩამოყალიბება, რაშიც უდიდესი როლი ენიჭებათ თარგმანის სპეციალისტებს.

### **კვლევის მეცნიერული სიახლე**

კვლევის მეცნიერული სიახლე, პირველ რიგში, განისაზღვრება გაანალიზებული მასალის სიახლით. დღემდე გამოუკვლეველია კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის ზოგადი პრინციპები და შეუმუშავებელია ახალი ცნებების გადმოცემის

სისტემა; შეუსწავლელია ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის „ექსპანსია“ ქართულ ენობრივ სივრცეში. კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები პირველად განიხილება კომპლექსურად, პირველად ხდება მათი ენათშორისი ტრანსლაციის მეთოდების ანალიზი და თარგმანის კანონზომიერებათა დადგენის მცდელობა. თანამედროვე ლინგვისტური მიმართულებების თვალსაზრისით, ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, რომლებიც ჯერ სათანადოდ არ გაშუქებულა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ: ინტერნეტ-დისკურსის ფორმირების მექანიზმი, მისი სისტემური აღწერა, კონცეპტუალური ინტერნეტ-მეტაფორების არსი ინტერნეტ-დისკურსში, ინტერნეტ-ლექსიკისა და ნორმატიული ნაციონალური ენის ურთიერთქმედება აღნიშნული დისკურსის ფარგლებში და იმ მოტივაციური ნიშნების გამოვლენის მცდელობა, რომლებიც კომპიუტერული ტერმინოლოგიის კოგნიტური ნომინაციის საფუძველს წარმოადგენს. ასევე პირველად ხდება უცხოენოვანი წარმოშობის კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ადაპტაციის პროცესის ანალიზი ქართულ ენაში.

### **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანია კომპიუტერული ტერმინების თარგმნის სირთულეების გამოვლენა და მათი დაძლევის ხერხების ფორმულირება, ასევე კომპიუტერული ტერმინოლოგიის ადაპტაციის კანონზომიერებათა დადგენა რეცეპტორ ენაში.

### **კვლევის ამოცანები**

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ტერმინის ცნების განსაზღვრა;
- ტერმინთა კლასიფიკაცია;
- კომპიუტერული ტერმინების შექმნის ძირითადი საშუალებების განხილვა;
- კომპიუტერული ტერმინოსისტემის ფუნქციონირების თავისებურებათა განხილვა თანამედროვე ინგლისურ ენაში;
- კომპიუტერული ტერმინოსისტემის ინგლისური და ქართული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების შეპირისპირებითი აღწერა;
- კომპიუტერული სუბენის ცნებისა და მისი ადგილის განსაზღვრა ენის სისტემაში;

- კომპიუტერული ლექსიკის ინტერნაციონალიზაციის ტენდენციის გამოვლენა;
- ინტერნეტის ენის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი სუბსისტემის და ინტერნეტ დისკურსის, როგორც განსაკუთრებული სახის დისკურსის ანალიზი;
- ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტექნიკურ ტერმინოსისტემაში მეტაფორული ტერმინების, მათი ნომინაციური და სტრუქტურული მახასიათებლების გამოვლენა და ტიპური თავისებურებების აღწერა;
- კომპიუტერული ანგლიციზმების სესხების პროცესის ანალიზი;
- ინგლისური და ქართული კომპიუტერული სუბენის ლექსიკის სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის გამოკვლევა;
- სხვადასხვა სიტყვაწარმოებით საშუალებათა პროდუქტიულობის შეპირისპირება;
- კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე თარგმნის ხერხების ანალიზი;

**კვლევის ობიექტია** ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგია და მისი ქართული თარგმანი.

**კვლევის საგანია** ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემები და თავისებურებები.

**მასალად** გამოყენებულია კომპიუტერული ტერმინოსისტემის ერთეულები, რომლებიც შერჩევის შედეგადაა აღებული ინგლისურ-ქართული ელექტრონული კომპიუტერული ლექსიკონებიდან, ასევე მასალები საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინტერნეტ-რესურსებიდან (ფორუმები, ჩეთები, სოციალური ქსელები).

### **კვლევის მეთოდები**

კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობეს კვლევის შემდეგი ლინგვისტური მეთოდების შერჩევა:

- კვლევის აღწერითი მეთოდი;
- შეპირისპირებითი ანალიზის მეთოდი;
- კომპონენტების ანალიზის მეთოდი;
- კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი;
- სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის მეთოდი.

ნაშრომის თეორიულ ბაზად გამოვიყენეთ უცხოელი და ქართველი მეცნიერების შრომები, რომლებიც ეძღვნება ტერმინთმცოდნეობას ( ე.ი.გოლოვანოვა, ბ. გრინევი, ვ.მ. ლეიჩიკი და სხვ.), თარგმანის თეორიას (ლ.ს. ბარხუდაროვი, ვ.ნ. კომისაროვი, ა.დ. შვეიცერი, ბ. ნაიდა, ი. ბერმანი, დ. რობინსონი და სხვ.), სესხების თეორიას (ნ.ვ. ვინოგრადოვა, ე. სეპირი, გ. შუხარდტი, ლ.ვ. შჩერბა), ტერმინების სესხებას (დ.ს. ლოტე, ლ.პ. კრისინი და სხვ.), სიტყვაწარმოებას (ვ.ვ. ლოპატინი, ო.დ. მეშკოვი და სხვ.), ინტერნეტის ენობრივ თავისებურებებს (ნ.ვ. ვინოგრადოვა, ნ.გ. შაპოვალოვა, ე.ი. გოროშკო, ო.ვ. ლუტოვინოვა, დ. კრისტალი და სხვ.), კომპიუტერულ ჟარგონიზმს (ო. ერმაკოვა, ო. კოტოვა და სხვ.), მეტაფორიზაციას (ჯ. ლაკოფი, ვ.ნ. თელია, ნ.დ. არუტიუნოვა, ვ.ვ. ივანოვი და სხვ.).

#### **დასაცავად გამოტანილია შემდეგი დებულებები:**

- კომპიუტერული სფეროს სემანტიკური ბირთვია კომპიუტერული ტერმინოლოგია, რომელიც წარმოადგენს ტერმინოსისტემას და აქვს უნიკალური სპეციფიკური თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები.
- კომპიუტერული ტერმინოლოგია - არის სისტემა, რომელსაც გააჩნია ველის სტრუქტურა. მის პერიფერიაზე არის ნაკლებად გამოყენებადი და ვიწროსპეციალური ტერმინები. ბირთვულ ნაწილს შეადგენს სამომხმარებლო და ინტერნეტის ლექსიკა, რომელიც არც თუ იშვიათად უახლოვდება ზოგადი გამოყენების ლექსიკას.
- კომპიუტერულ სუბენაში ხდება იგივე ლექსიკო-სემანტიკური პროცესები, რაც ზოგად ლიტერატურულ ენაში, კერძოდ, პოლისემია, სინონიმია, ომონიმია, ანტონიმია.
- კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემაა, რომლის ბევრი სიტყვა გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში.
- მეტაფორული გადატანა ჟარგონიზმის ფორმირების უნივერსალური საშუალება და გადატანითი ჟარგონული მნიშვნელობების წარმოქმნის მთავარი მექანიზმი, ჟარგონის ლექსიკური შემადგენლობის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა.
- კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასთან უშუალო კავშირშია კომპიუტერული სლენგი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ სამეტყველო გარემოს. კომპიუტერული სლენგიზმები კომპიუტერის მოყვარული

არაფორმალური საზოგადოების სპეციალური სოციოლექტია. ბევრი დამკვიდრებული ტერმინი სწორედ სლენგური მეტყველებიდან შევიდა ტერმინოსისტემაში.

- ქართული კომპიუტერული ლექსიკის შევსების ყველაზე პროდუქტიული ხერხია სესხება. ინგლისურენოვანი ტერმინების სესხება, ათვისება და ეროვნულ ნიადაგზე ტრანსფორმაცია ნომინაციის ძირითადი საფუძველია.
- ტერმინების სესხება ასახავს ინგლისური და ქართული კონცეპტოსფეროების ურთიერთკავშირის პროცესს, რომლის სტრუქტურაშიც შეიძლება გამოვყოთ კონცეპტთა იმპორტი და დანერგვა.
- კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულად გადმოცემის ხერხები: კოპირება, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია, სემანტიკური ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიით თარგმნა და კალკირება თავისებურ უნივერსალიებს წარმოადგენენ, რომელთა შორის განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია და კალკირება.
- ნასესხები ტერმინების მთავარი მახასიათებელია ტერმინის მეტაფორული ასოციაციის ამპუტირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აზრის გაგება. ამიტომ უმჯობესია ტერმინის თარგმნა, თუ მოხერხდება შესაბამისი ქართული ეკვივალენტის პოვნა.
- მეტაფორული ტერმინების თარგმნის პროცესში გამოიყენება პირდაპირი გადატანის, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის და განმარტებითი თარგმანის ხერხები. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია მეტაფორის პირდაპირი გადატანა, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებისთვის აუცილებელ ფონობრივ ცოდნას. ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციისა და განმარტებითი თარგმანის შემთხვევაში კი ადგილი აქვს მეტაფორული მნიშვნელობის დაკარგვას. შესაბამისად, თარგმნის პროცესში აზრის გადმოსაცემად ძირითადი პარამეტრების სახით გამოიყოფა არა მარტო ადეკვატური ვარიანტის შერჩევა, არამედ ფონური ცოდნა, ლოგიკა, კონტექსტი და ცნების აბსტრაქტიზების უნარი.
- ტერმინის სესხება ხდება კონკრეტულ სიტუაციაში, ამიტომ მისი მნიშვნელობა შემდგომში შეიძლება შევიწროვდეს სემანტიკურად, რეფერენტულად, სტილისტურად, სოციალურად ან კონოტაციურად.

- კომპიუტერული სლენგის ქართულ ენაზე თარგმნისას იგივე ხერხები მოქმედებს, რაც ზოგადად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პროცესში. ინგლისური ენის უშუალო ზეგავლენით ფორმირებული ქართული კომპიუტერული სლენგი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გზით.
- კომპიუტერული ტერმინოლოგიის, განსაკუთრებით კი უეკვივალენტო ლექსიკის თარგმნისას მნიშვნელოვანია თარგმანის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელის გამოყენება, როცა თარგმანის ვარიანტის შერჩევა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია ორიგინალში აღწერილი სიტუაციით და როცა აღნიშნული სიტუაციის დამატებითი მხარეების გამოვლენა აუცილებელია ორიგინალის სწორად გაგებისა და, შესაბამისად, სწორი თარგმანის უზრუნველსაყოფად.
- ნასესხები ტერმინების განსაზღვრებისას სასურველია ეტიმოლოგიის მითითება, რომ როგორღაც მაინც შევავსოთ კულტურული კონტექსტის დანაკლისი და მოხდეს არა მარტო ნიშნების, არამედ აზრის იმპორტიც.

### **ნაშრომის თეორიული ღირებულება**

თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ავსებს ხარვეზებს, რომლებიც არსებობს ტერმინოლოგიის შესწავლის სფეროში ზოგადად, ტერმინოლოგიის სფეროში კვლევებით დაგროვილი გამოცდილება კი გამოიყენება თარგმანის პრობლემათა გადასაჭრელად და კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და საფუძვლების შესამუშავებლად. ტერმინთმცოდნეობის თეორიული პოსტულატების დაკავშირება თარგმანთმცოდნეობასთან უზრუნველყოფს კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის მეთოდოლოგიის საფუძვლების ფორმულირებას და შემდგომი კვლევის პერსპექტივებს. აქედან გამომდინარე, კვლევას გარკვეული წვლილი შეაქვს ტერმინთმცოდნეობაში, თარგმანის თეორიაში, თარგმანთმცოდნეობაში და ასევე ენების შეპირისპირებით შესწავლაში.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** განისაზღვრება მისი დებულებების გამოყენების შესაძლებლობით თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სასწავლო კურსებში. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეცკურსის შესაქმნელად კომპიუტერული ტერმინოლოგიის განვითარების ტენდენციათა და მისი ქართულ

ენაზე თარგმნის განხილვის კუთხით. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება, აგრეთვე, ნასესხობების, ნეოლოგიზმებისა და უეკვივალენტო ერთეულების თარგმნის მეთოდის დახვეწას. სადისერტაციო კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ასევე ისეთი სამეცნიერო დისციპლინებისათვის, როგორცაა ინფორმაციის თეორია, კულტურათმშორისი კომუნიკაცია, ლექსიკოგრაფიის თეორია, ზოგადი ფილოლოგია და ა.შ. ცალკეული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპიუტერული ურთიერთობის ოპტიმიზაციის რეკომენდაციების შემუშავებისას.

ნაშრომის სტრუქტურული აგებულება განისაზღვრება კვლევის ლოგიკით. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

## თავი 1.

### ტერმინის ზოგადლინგვისტური თეორია

#### 1.1. ტერმინის ტრადიციული და თანამედროვე დეფინიციები

ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ტერმინთან და მის განმარტებასთან, გულისხმობს ერთი მხრივ ცოდნის სხვადასხვა დარგებს, ხოლო მეორე მხრივ ადამიანის პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს. ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინი განიხილება დინამიურ ლექსიკურ ერთეულად, რომლის რაოდენობა ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მუდმივად მატულობს და რომელიც ლექსიკონის მნიშვნელოვან, ღირებულ ნაწილს შეადგენს. ტერმინოლოგიური ლექსიკა სიტყვარის სხვა შემადგენელი ერთეულებისაგან გამოირჩევა იმით, რომ იგი მუდმივად ვითარდება, იხვეწება, იცვლება და შესაბამისად ლექსიკონის ყველაზე „ცოცხალ, მოძრავ“ კომპონენტად აღიქმება, რაშიც მისი მუდმივი ცვალებადობა – ახალი ერთეულებით შევსება, ძველის ახლით ჩანაცვლება იგულისხმება.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ტრადიციულად მსჯელობენ ტერმინთა მარკერების შესახებ, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სისტემურობას, ერთმნიშვნელობას, სიზუსტეს, სტილისტიკურ ნეიტრალობას, ლაკონურობას, ემოციონალური და ექსპრესიული გამოხატვის არარსებობას. ტერმინთან დაკავშირებულ ამა თუ იმ მარკერთა არსებობა/არარსებობის საკითხი ლინგვისტთა ინტერესს დღესაც იწვევს და იგი მუდმივად განხილვის საგანს წარმოადგენს. ტერმინთა ფუნქციონირების თავისებურებების სწორი გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ა.ა. რეფორმატსკის ტერმინოლოგიური ველის იდეას. მისი განმარტებით, ველი ტერმინისათვის – ესაა მოცემული ტერმინოლოგიის ორგანიზებული სისტემა, ლოგიკურ-ფორმალურად სტრუქტურირებული ერთიანობა, რომლის გარეშეც სიტყვა კარგავს ტერმინისათვის ობლიგატორულ მახასიათებელს. ა.ა. რეფორმატსკი თვლის, რომ ტერმინი არაა დაკავშირებული კონტექსტთან, იგი დაკავშირებულია ტერმინოლოგიურ ველთან, რომელიც კონტექსტის ფუნქციით გვხვდება, მის ფუნქციას ასრულებს (რეფორმატსკი 1961:47).

სტატისტიკურად დღეს ცნების ტერმინი დაახლოებით სამი ათასი დეფინიციას სპეციალურ ლიტერატურაში. მუდმივი დისკუსიის მიუხედავად, რომლის მიზანია

აღნიშნული ცნების დეფინიციის ერთიანი ვერსიის შემუშავება, მაინც არ არსებობს საერთო პოზიცია ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ ეს აიხსნება თავად ტერმინმცოდნეობის, როგორც განყენებული დისციპლინის არასრულყოფილი კვლევით, მეორე მხრივ კი - იმით, რომ ლიტერატურაში არსებული განმარტებები ყოველთვის სრულყოფილად არ ასახავს ტერმინის არსს.

საკვლევი ობიექტის არსისა და მისი ფუნქციების განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით ვიკვლევთ განსახილველ საგანს. ამდენად, მისი კვლევა შესაძლებელია იმ პერსპექტივიდან, რომელიც ჩვენთვის მოცემულ ეტაპზე აქტუალური და ღირებულია.

აღნიშნულის გათვალისწინებით რეალურად არსებობს მრავალი შესაძლებლობა, რომელიც ჩვენი საკვლევი მიზნებისათვის ადეკვატური დეფინიციის შემუშავებაში დაგვეხმარება. შესაბამისად, ამ დეფინიციას არ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალურობისა და აღიარებული ჭეშმარიტების პრეტენზია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რთულია სრულად მოვიცვათ და მასშტაბურად ვიკვლიოთ ტერმინის, როგორც ტერმინმცოდნეობის ცნების საბაზისო ერთეულის არსი და ფუნქციები, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დავადგინოთ ტერმინის რაგვარობა, შევაფასოთ და შევადაროთ ერთმანეთს მისი დეფინიციები. ამ მიზნით ვიყენებთ მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლებისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის სამეცნიერო, სალექსიკონო-საცნობარო და სასწავლო მასალას ენათმეცნიერებისა და ტერმინმცოდნეობის დარგებში.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის დეფინირება კოგნიტიური თვალსაზრისით საკმაოდ რთულია, რადგან ამ განმარტების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პასუხი გაეცეს კითხვას - რისი განხილვა დავისახეთ მიზნად - ცოდნის სპეციალური თუ არასპეციალური სტრუქტურის. თუ ტერმინის დეფინიციამ ვიყენებთ არა სპეციალურ ცოდნას, არამედ ცოდნას, რომელიც გასაგებია ყოფით ყოველდღიურ შემეცნებაში, მაშინ ის საყოველთაო ენის ელემენტია. თუკი ამ სიტყვის განმარტებაში გამოიყენება სპეციალური ცოდნა, მაშინ ეს სიტყვა აღიქმება ტერმინად (ზიაბლოვა 2005:49).

ამდენად, ცნების ტერმინი განმარტება ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: 1. კვლევის მიზნები და ჩარჩოები, ანუ რა კუთხით, რა მიმართულებით ხდება ტერმინის კვლევა

(დეფინიციათა მრავალფეროვნება იმასთანაა დაკავშირებული, რომ ტერმინს ლინგვისტიკები სხვადასხვა თეორიების საფუძველზე იკვლევენ); 2. კვლევის კონკრეტული დარგი, ანუ რომელ სფეროს მიეკუთვნება მოცემული ლექსიკური ერთეული (მეცნიერება, მედიცინა, ტექნიკა, სპორტი, ხელოვნება და ა.შ.).

ცნების *ტერმინი* განმარტებების სიუხვე და მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალშისაცემია გასული საუკუნისა და XXI საუკუნეების მიჯნაზე. ამ კონტექსტში ობლიგატორულად მივიჩნიეთ ქრონოლოგიურად და შედარებით სრულყოფილად განვიხილოთ აღნიშნული პერიოდისათვის ღირებული დეფინიციები. მათ შორისაა:

ტერმინი შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც მეცნიერული, ანუ თეორიული ენისათვის სპეციალურად შემოტანილი სიტყვა, რომელიც ყოველთვის კონვენციონალურად მიღებული წესით უნდა გამოიყენებოდეს მოცემული თეორიის ფარგლებში (<http://www.nplg.gov.ge>).

ტერმინი არის სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს რაიმე მოვლენის, რეაქციის, პროცესის გარკვეულ არსს, მნიშვნელობას (<http://www.nplg.gov.ge>).

ტერმინი ტერმინოლოგიის (ტერმინოსისტემის) ელემენტია, რომელიც წარმოადგენს არაენობრივი ნიშნის ან მყარი სინტაგმის ყველა ვარიანტის ერთობლიობას, რომელიც გამოხატავს ცოდნის განსაზღვრული სფეროს სპეციალურ ცნებას (ავერბუხი 2004:131).

ტერმინი გამოყენების სპეციალური სფეროს სიტყვა ან სიტყვაშეთანხმებაა, რომელიც გამოიყენება დეფინიციებზე დაფუძნებული სპეციალური ცნებების ზუსტად გამოხატვის მიზნით (ვოლოდინა 1997:25).

ტერმინი პროფესიული აზროვნების ვერბალიზებული რეზულტატია, პროფესიულ სფეროში ორიენტაციის მნიშვნელოვანი ლინგვო-კოგნიტიური საშუალება და ასევე პროფესიული კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია (გოლოვანოვა 2008:63).

ტერმინი სპეციალური ენის ნომინაციური სპეციალური ლექსიკური ერთეულია (სიტყვა ან სიტყვაშეთანხმება), რომელიც გამოიყენება სპეციალური ცნებების ზუსტი დასახელებისთვის (გრინევი 1993:33).

ტერმინი სპეციალური მიზნებისათვის განსაზღვრული ენის ლექსიკური ერთეულია, რომელიც აღნიშნავს განსაზღვრული სპეციალური სფეროს ცოდნისა და

საქმიანობის თეორიის ზოგად, - კონკრეტულ ან აბსტრაქტულ, - ცნებას (ლეიჩევი 2009:31).

სამეცნიერო ტერმინი ენობრივი ერთეულია (სიტყვა ან სიტყვაშეთანხმება) უპირატესად სუბსტანციონალური ხასიათის, რომელიც კონვენციალურ მიმართებაშია პროფესიული სფეროს ცნებასა და საგანთან და რომელიც ემსახურება კონცენტრაციას, შენახვის ფიქსირებას და ინფორმაციის გადაცემას (ლემოვი 2000:77).

ტერმინი პროფესიონალური კომუნიკაციის სფეროს ნომინაციურად ღირებული სემიოტიკური ერთეულია (მოროზოვა 2004:14).

ტერმინი სიტყვა ან სიტყვაშეთანხმებაა, აბრევიატურაა, სხვადასხვა სიმბოლოები და მათი კომბინაციებია იმ სიტყვებთან, რომლებიც კავშირშია სპეციალურ (პროფესიულ) ცნებასთან (მაიკოპი 2003:289).

Term - A lexical unit consisting of one or more than one word which represents a concept inside a domain. (ტერმინი - ლექსიკური ერთეული, რომელიც შედგება ერთი ან ერთზე მეტი სიტყვისაგან და წარმოადგენს რაიმე კონკრეტული დარგის ცნებას) (ბესე,..... 1997:151).

Terminology The collection of defined technical terms within a scientific system, which differs from everyday usage in that the terms are defined exactly within a specific system. (ტერმინოლოგია - ტერმინების კომპლექსი, რომლის დეფინიციაც გარკვეულ სამეცნიერო სისტემას უკავშირდება და რომელიც განსხვავდება ყოველდღიური გამოყენების სიტყვისგან იმით, რომ მისი ფორმულირება ხდება მხოლოდ კონკრეტული სისტემის ფარგლებში)(ენისა და ლინგვისტიკის ლექსიკონი. ბუსმანი 1996:479).

Term - A linguistic symbol which is assigned to one or more concepts, which are defined from neighboring concepts. It can be a word or a word group. It can also be a letter or graphic symbol, an abbreviation, an acronym, a notation, etc. (ტერმინი - არის ლინგვისტური სიმბოლო, რომელიც განსაზღვრავს ერთ ან მეტ ცნებას. აღნიშნულ ცნებათა ფორმულირების საფუძველი კი ახლომდებარე ცნებებია. ეს შესაძლოა იყოს სიტყვა ან შესიტყვება. გარდა ამისა, იგი შესაძლოა იყოს ასო ან გრაფიკული სიმბოლო, აბრევიატურა, აკრონიმი, აღნიშვნა და ა.შ.) (ფელბერი 1984: 168).

Terme - ... denomination (l'etiquette) d'un point d'intersection de relations (ou d'en croisment a l'interieur d'un reseau relationnel), deno-mination qui s'effectue par la procedure

de lexicalization. Terminology - Un ensemble de termes, plus ou moins définis, constitutifs, pour une part, d'un sociolecte. (ტერმინი - ... სახელწოდება (წარწერა), პროფესიულ ურთიერთობათა სფეროში, დასახელება, რომელიც ხორციელდება ლექსიკალიზაციის პროცედურის საშუალებით. ტერმინოლოგია არის ტერმინთა ერთობლიობა, მეტნაკლებად განსაზღვრული, შექმნილი გარკვეული სოციალური ფენისათვის, მას სოციოლექსაც უწოდებენ (გრაიმასი 1979: 388).

Terminus - Bezeichnung für einen Begriff oder Sachverhalt, der nur in einem bestimm-ten Fach- oder Wissenschaftsbereich Gültigkeit hat. (ტერმინი - საგნის ან საგანთა მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც მხოლოდ ერთი დარგის ან ერთი სამეცნიერო სფეროს ფარგლებში გამოიყენება (კონრადი 1975: 270).

Terminus - Ein Begriff oder ein zusammengesetzter Ausdruck, dessen Bedeutung bzw. Gebrauch eindeutig festgelegt/definiert ist. (ტერმინი - ცნება ან შედგენილი გამონათქვამი, რომლის მნიშვნელობაც შესაბამისად, რომლის გამოყენებაც ერთმნიშვნელოვნადაა დეფინირებული (ლევანდოვსკი 1976: 799).

Terme - Nom definissable a l'interieur d'un systeme coherent, enumerative (nomenclature) ou structure (taxonomie) et correspondant sans ambig-uïtee a une notion ou concept. (ტერმინი - განმსაზღვრელი სახელია დარგის შიდა სისტემაში, იგი ჩამონათვალია (ნომენკლატურა) ან სტრუქტურაა (ტაქსონომია) და გამოხატავს კონცეპტს ან ცნებას მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად (რეი 1979: 14).

Terminology - 1. The special lexical items which occur in a particular discipline or subject matter. 2. The development or selection of lexical items for concepts in a language. (ტერმინოლოგია - 1. სპეციალური ლექსიკური ერთეული, რომელიც გვხვდება კონკრეტულ დისციპლინაში ან საგანში. 2. ლექსიკური ერთეულის შერჩევის განვითარება ენის დარგში) (რიჩარდსი, .....1985).

ცნების ტერმინი და მისი მარკერების წარმოდგენილ, თუმცა არასრულ დეფინიციათა ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ: სიტყვა შესაძლოა ჩაითვალოს ტერმინად, თუ იგი, როგორც ენობრივი ნიშანი, აღნიშნავს ცნებას, რომლისთვისაც „პროფესიულობა“ ერთ-ერთი მარკერია. თუმცა რიგი განმარტებებიდან ირკვევა, რომ პროფესიულობა, როგორც აღსანიშნი ცნების - ტერმინის - მახასიათებელი, ფაკულტატურულ პირობას წარმოადგენს. ავტორთა უმრავლესობა ტერმინს განიხილავს

ნაციონალური ენის, ან მისი სუბენის ფუნქციონალური სტილის სიტყვად ან სიტყვაშეთანხმებად. შესაბამისად, ცნებები „სიტყვა“ და „სიტყვაშეთანხმება“ შესაძლოა განიხილებოდეს შესაფერისად ცნებისათვის ტერმინი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური ერთეულის ტერმინი სემანტიკა გულისხმობს სპეციალურ ცოდნას, რომელიც ზოგადი ენის საზღვრებს სცილდება და თავის მხრივ ქმნის ან/და წარმოადგენს ტერმინოლოგიური ერთეულისათვის აუცილებელ, მისთვის სიცოცხლისუნარიან გარემოს. არ არის ობლიგატორული, რომ ცოდნა, რომელსაც ტერმინი გულისხმობს, შედგებოდეს ცნებობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული ათასობით და ათიათასობით ნომინაციური ერთეულებისაგან. ცოდნისათვის შესაძლოა საკმარისი იყოს ერთი ნომინაციაც კი, რომელიც სემანტიკურად გულისხმობს ცნებებს „სპეციალიზაცია“, „დარგი“, „ცოდნის სპეციალური სფერო“. ამ ტიპის ცოდნა გულისხმობს ზოგადი ცოდნის ჩარჩოებიდან კოგნიტიურ-მენტალური დინამიკის ლექსიკურ ერთეულთა კრისტალიზაციის პროცესს, ანუ არასპეციალიზირებულ ტერმინთაგან გათავისუფლებისა და მხოლოდ ცოდნის განსაზღვრულ სფეროსთან დაკავშირებულ და მისთვის ღირებულ ლექსიკურ ერთეულთა „თავშეყრის“ ადგილს. აღნიშნული მენტალური დინამიკა შესაძლებელია ისე განვითარდეს, რომ იგი ცოდნის მასშტაბებში გადაიზარდოს. მასში შესაძლებელია ინტეგრირებულ იქნას ზოგადი ენა თავის „არასპეციალურ“ ერთეულებთან ერთად. ანუ, ტერმინის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას სპეციალური აღმნიშვნელით (ნიშანი) შემოაქვს აქამდე უცნობი, ან არასაკმარისად ნაცნობი ცნება, რომლის არსის „გახსნაც“ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და შესაბამისად, განმარტება-დეფინირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ

1. ტერმინი ენობრივი ნიშანია (სიტყვა, სიტყვაშეთანხმება, ან სიტყვაშეთანხმება განსაკუთრებულ სიმბოლოებთან ერთად და ა.შ.), რომელიც ცოდნის ამა თუ იმ სფეროს მიეკუთვნება და მის ენობრივ გამოხატვას ემსახურება, რომელიც აღნიშნულის საფუძველზე სპეციალურ განმარტებას/დეფინიციას/ინტერპრეტაციას მოითხოვს. მისი აქტუალიზაცია გარკვეულ ენობრივ გარემოში ცოდნის კონკრეტული სფეროს წარმომადგენელთა მიერ ხორციელდება.

2. ენობრივი ნიშანი (სიტყვა, სიტყვაშეთანხმება, ან სიტყვაშეთანხმება განსაკუთრებულ სიმბოლოებთან ერთად და ა.შ.) იმ შემთხვევაშია ტერმინი, თუ ის

გამოხატავს ამა თუ იმ ცოდნის სფეროს სპეციალურ ცნებას და მოტივირებულია ენობრივი ნიშნებით (სიტყვა, სიტყვაშეთანხმება, ან სიტყვაშეთანხმება განსაკუთრებულ სიმბოლოებთან ერთად და ა.შ.), რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არის მისი (ლექსიკურ-სინტაქსური) ნაწილი, და გამოხატავს ცოდნის იმავე დარგის სპეციალურ ცნებას. ამასთან მისი დეფინიცია/ინტერპრეტაცია წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ დასახელებული ენობრივი ნიშანი აღქმულ იქნას ტერმინად.

ტრადიციული დეფინიციებისაგან განსხვავებით თანამედროვე დარგობრივ ლიტერატურაში ცნების ტერმინი სხვადასხვაგვარ და ურთიერთგამომრიცხავ ინტერპრეტაციებს ვხვდებით. ლინგვისტები ერთმანეთისგან მიჯნავენ ტერმინის ვიწრო და ფართო გაგებას. ვიწრო გაგებით ტერმინი გამოიყენება შესაბამის დარგში მკაფიოდ დეფინირებული ცნებისა ან საგნის ერთმნიშვნელოვანი და ერთჯერადი აღნიშვნისათვის (ბენესი 1971:130). ფართო გაგებით კი – ტერმინი შეიძლება იყოს დარგობრივი გამონათქვამი, რამდენადაც იგი აღნიშნავს რომელიმე დარგში კონკრეტულ საგანს. ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს შემდეგი დასახელებების სინონიმური გამოყენება: „დარგობრივი სიტყვა“, „დარგობრივი გამონათქვამი“, „ტერმინუს ტექნიკუსი“, „ტერმინი“ (ფილიპეცი 1969:407-408).

ამირანაშვილი აღნიშნავს, რომ ტერმინისათვის დამახასიათებელია ფუნქციონირება მხოლოდ ისეთ ლექსიკურ და სემანტიკურ ველში, რომელშიც მას ცალსახა მნიშვნელობა აქვს (2006:9). ასეთ ველს თანამედროვე ლინგვისტიკაში გრიგოლ რობაქიძე „მართებულ არეს“ უწოდებს (ქურდიანი 1999:52-55). ერთი სამეცნიერო დისციპლინის, ანუ მართებული არის ფარგლებში ტერმინს არ შეიძლება, ან არ უნდა ჰქონდეს პოლისემიური მნიშვნელობა, ხოლო ორ სამეცნიერო დისციპლინას, მით უმეტეს, ორ მეცნიერებას, ანუ მართებული არის ფარგლებში ტერმინს არ შეიძლება, ან უფრო ზუსტად, არ უნდა ჰქონდეს სინონიმური მნიშვნელობა. ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ „ერთი სამეცნიერო დისციპლინის შიგნით შეიძლება გვხვდებოდეს და, როგორც წესი, გვხვდება კიდევ ტერმინთა სინონიმურობა, რაც განპირობებულია მათი წარმოშობის სინქრონიული და დიაქრონიული მიზეზებით და მათი სალიტერატურო ენაში მოხვედრის გზებით. მაგ.: ორი ან მეტი სხვადასხვა დიალექტიდან სიტყვის შემოსვლითა და დამკვიდრებით სახელმწიფო ენაში, რაც შეიძლება მომხდარიყო სინქრონიაში ან დიაქრონიაში სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, ენაში პოვნური

ტერმინის პარალელურად, რომელიმე ენიდან შესატყვისი ტერმინის სესხებით და მისი პარალელური ფუნქციონირებით ენაში; ენის ისტორიის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის, ანუ ძველი და ახალი ტერმინების თანაარსებობით; პურისტული მიზანსწრაფულობით, ანუ ენაში დამკვიდრებული უცხოური ტერმინის ეროვნული ერთეულით (კალკირებული ან ოკაზონალურით) ჩანაცვლების მცდელობით, რამაც შეიძლება ბოლომდე ვერ გამოაძევეს უცხოური ტერმინი, მაგრამ პარალელურად დაიწყოს ფუნქციონირება და სხვ. ყველა ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მომენტი, რომ ერთი დისციპლინის შიგნით სხვადასხვა ტერმინის არსებობა არ აბუნდოვანებს და ხელს არ უშლის მეცნიერულ კომუნიკაციას. ამის შესანიშნავი მაგალითია ენათმეცნიერება, სადაც სპეციალური ტერმინები თავისუფლად ჩანაცვლებადნი არიან: ლინგვისტიკა : ენათმეცნიერება; დიალექტი : კილო; სპირანტი : ნაპრალოვანი; ერგატივი : მოთხრობითი; ატრიბუტივი : ზედსართავი და ა.შ. მსგავსი სინონიმური ურთიერთჩანაცვლებადი ტერმინების არსებობა სხვა მეცნიერებათა შორისაც გვხვდება (ამირანაშვილი 2006:10).

ტერმინის ზოგადლინგვისტურ თეორიაში ტერმინოლოგია (რომლის შემადგენლები დარგობრივი ტერმინებია) განიმარტება, როგორც „სპეციალური დანიშნულების ენა, პროფესიული (დარგობრივი) ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – ცნებათა სისტემის სიტყვიერი სუბსტანცია, რომელიც ექვემდებარება შეგნებულ მოწესრიგებას, სტანდარტიზაციას, უნიფიცირებას“ (ჭირაქაძე 1999: 10).

ამავე დეფინიციის თანახმად, ტერმინის მახასიათებლად მიჩნეულია:

1. ტერმინი არის სპეციალური დანიშნულების ენის ერთეული;
2. ტერმინი არის ცნების სახელწოდება;
3. ტერმინის გვარული მახასიათებელია ცნება „სიტყვა“;
4. ტერმინი განეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის სფეროს და არის ლექსემის ფუნქციური სახესხვაობა. მისი ინტეგრაციული ნიშნებია: სისტემურობა, კომუნიკაციურობა, ნომინაციურობა, მოტივირებულობა. დიფერენციალური ნიშნებია: კონვენციურობა-დარგობრიობა, ერთმნიშვნელოვანება;
5. ტერმინის, როგორც ენობრივი ერთეულის შინაგანი ფორმაა დარგობრივი შინაარსი, გარეგნული ფორმა – ლექსიკური მნიშვნელობა;

6. ტერმინს, გამოხატულების პლანისა და ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით მოეპოვება ენობრივი სუბსტრატი, ხოლო შინაარსის პლანის, ანუ ტერმინთა სისტემაში მისი ღირებულების მიხედვით ტერმინული ნიშნები;

7. ტერმინი განეკუთვნება საკუთარი სახელის კატეგორიას და ახორციელებს სახელდების იმავე პრინციპს – ლექსიკური ფონდიდან აღებულ ერთეულს მიამაგრებს ახალ მნიშვნელობას, რითაც შეჰყავს ის ახალ სემანტიკურ ველში. ეს არის კიდევაც სახელდებისას საგნობრიობას მოცილებული ინდივიდუალიზაციის პრინციპი (ჭირაქაძე 1999: 10, 25).

ჩვენთვის მისაღებია ცნების „ტერმინი“ ისეთი განმარტება, რომელიც ტერმინს მიიჩნევს სპეციალური დანიშნულების ენის, ანუ პროფესიულ-დარგობრივი ენის საფუძვლად, დარგობრივ ცნებათა სისტემის სიტყვიერ სუბსტანციად, შესაბამისად, სპეციალურ, ანუ დარგობრივ ცნებათა აღმნიშვნელად, რომელიც სისტემურადაა ორგანიზებული, უნიფიცირებულია და ფუნქციონირებს „მართებულ არეში“ და რომელსაც აქვს მისთვის ობლიგატორული მარკერები. ტერმინი სიტყვის სემანტიკურ სფეროს მიეკუთვნება და მას განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა აქვს.

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა სიტყვისა და ტერმინის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს. ხშირად მათ შორის მსგავსება-განსხვავების პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული.

ამ კონტექსტში საინტერესოა ნ.ამირანაშვილის პოზიცია, რომელიც სიტყვასა და ტერმინს შორის განსხვავებას უკავშირებს აღსანიშნი ცნების შინაარსს. (ამირანაშვილი 2006:26). სიტყვასა და ტერმინს შორის განსხვავების საკითხს იკვლევს კოვტუნიც. მისი ინტერპრეტაციით ცნება ყოფითი, ყოველდღიურია, თუ ის რეალიზდება საყოველთაო სიტყვით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მისი რეალიზაცია ხდება ტერმინით, მაშინ ისაა სამეცნიერო ცნება. „სამეცნიერო ცნების შინაარსი ბევრად ღრმა და მდიდარია ჩვეულებრივ ცნებასთან შედარებით, რადგან სიტყვები სტიქიურად გროვდება, სამეცნიეროში კი ასახულია საგნების ყველა ზოგადი და არსებითი თვისების ერთობლიობა, რომლებიც მეცნიერებამ შემეცნების განსაზღვრულ ეტაპზე შეითვისა“ (კოვტუნი 1955: 69-74).

საერთო სიტყვასა და ტერმინს ერთმანეთს ადარებს დანილენკოც და თვლის, რომ ტერმინებს საერთო ენის სიტყვებთან შედარებით ახასიათებს დიდი სემანტიკური

განსაზღვრულობა. იგი წერს: „თუ საერთო ლიტერატურული ენის ლექსიკის თავისებურებად შეიძლება დავასახელოთ სემანტიკური განსაზღვრულობა, ტერმინოლოგიის არსებით თავისებურებად უნდა დავასახელოთ მისი სემანტიკური განსაზღვრულობა” (დანილენკო 1977: 59).

ტერმინის განსხვავებას საერთო-სალიტერატურო ენის სიტყვისაგან ავტორი იმაში ხედავს, რომ „ტერმინის შინაარსი ვლინდება დეფინიციის საშუალებით”, ზუსტი და ლოგიკური განსაზღვრებით იგი ადგენს ამ „ტერმინით დასახელებული ცნების არსებით ტერმინოლოგიურ ნიშნებს”, ჩვეულებრივი სიტყვის მნიშვნელობა კი განსაზღვრულია მისი ლექსიკური მნიშვნელობით, რომელიც არ გულისხმობს დასახელებული საგნის, მოვლენის და ა.შ. აუცილებელი და საკმარისი განმასხვავებელი ნიშნების ლოგიკურ გამოცალკევებას (დანილენკო 1997: 308).

განიხილავს რა ამ კონტექსტში ტერმინს, კანდელაკი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას:

„როგორც სემანტიკური განსაზღვრულობის შედეგი, თითოეულ ტერმინს აქვს დეფინიცია – ვერბალური განსაზღვრა, რომელშიც გამოყოფილია ცნების ძირითადი, არსებითი ნიშნები და რომელიც, სხვადასხვა ავტორის აზრით, ადგენს ტერმინის ენობრივ მნიშვნელობას (კანდელაკი 1970: 5).

ლინგვისტიკური თუ ინტერ-და ტრანსდისციპლინარული პოზიციებიდან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა ტერმინოლოგიური „სკოლები”, რომელთა შორის განსხვავებები იმისდა მიხედვით დადგინდება, თუ როგორ განმარტავენ ისინი ტერმინს. ძირითადად განასხვავებენ ორ მიმართულებას: ერთი მხრივ დეტერმინატორია სემასიოლოგიური ხედვა (პრადის სკოლა), რომელშიც შინაარსი და გამოხატულება ერთად ერთ მთლიანს ქმნის. სემასიოლოგიური ხედვა საფუძვლად უდევს ტერმინის ამგვარ დეფინიციას: „ტერმინი შედგება ცნებისა და მისი დასახელებისაგან, რაც ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულ წყვილს ქმნის და რომელიც ტერმინოლოგიის ელემენტად აღიქმება”. აქ ტერმინი მოიაზრება როგორც შინაარსისა და გამოხატულების პლანთა ლექსიკური ერთიანობა. მეორე მხრივ არსებობს ონომასიოლოგიური ხედვა (ვენის სკოლა). აქ შინაარსი და გამოხატულება გამიჯნულია ერთმანეთისაგან, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ „ტერმ” განიმარტება როგორც წმინდა გამოხატულების სიდიდე, ანუ, „ტერმინი” დარგობრივ ენაში კონკრეტული კონცეპტის დასახელება ან მისი გამოხატვაა ლინგვისტიკური ფრაზით”.

საბჭოთა სკოლის წარმომადგენლები განსაზღვრავენ ტერმინს როგორც „სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომლის ენობრივი ნიშანი კავშირშია მეცნიერებისა და ტექნიკის ერთი რომელიმე დარგის სისტემის შესაბამის ცნებასთან” (კულებაკინი 1970:11-39).

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ლაურენ-მიკინგ-პიხტის დეფინიცია, რომელშიც სიტყვა „ტერმინი” საერთოდ არ ფიგურირებს, თუმცა ვხვდებით სიტყვას „დასახელება”, როგორც ენობრივ გამოხატულებას: „დასახელება, (ტერმინი) არის აღნიშვნა, რომელიც შედგება ერთი სიტყვისაგან ან სიტყვათა ჯგუფისაგან” (ლაურენი 1998.). ავტორები გამოხატულების პლანში მკაფიოდ განასხვავებენ სიმბოლოს, აღნიშვნასა და დასახელებას, მაშინ როცა „აღნიშვნა” დასახელებისა და სიმბოლოს ჰიპერონიმადაა წარმოჩენილი.

## 1.2 ტერმინოლოგია და მისი ადგილი ენის ლექსიკურ სისტემაში

სპეციალურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ტერმინოლოგიის ადგილის განსაზღვრას ენის ლექსიკურ სისტემაში. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც ტერმინოლოგიას სხვადასხვა სტატუსს ანიჭებენ და შესაბამისად, მის ადგილს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ.

### 1. ტერმინოლოგია სალიტერატურო ენის კომპონენტია

„ტერმინოლოგია ახასიათებს მხოლოდ ენებს, ამ სიტყვის სოციო-ლინგვისტური გაგებით, ანუ იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ოფიციალური (სახელმწიფო ან რეგიონალური) ენის სტატუსით. ისინი წარმოადგენენ პოლივალენტურ ენობრივ ერთეულებს და უკავშირდებიან ცივილიზაციის ცნებას”(ამირანაშვილი 2006: 14).

რეფორმატსკი ტერმინოლოგიას მიიჩნევს სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენელ ნაწილად. ავტორთან ერთად ამ მოსაზრების მხარდამჭერები საუბრობენ სალიტერატურო ენის სიტყვათაგან მთელი რიგი ტერმინების წარმოშობისა და მათი ტერმინთა რიგებში ინტეგრირების შესახებ (რეფორმატსკი 2005:17).

სალიტერატურო ენა წარმოადგენს ბირთვს, რომლის გარემოც წარმოუდგენელია ურთიერთობა ნებისმიერ დონეზე. ადამიანის კომუნიკაციური საქმიანობა უშუალო კავშირშია მისსავე შემოქმედებით საქმიანობასთან და იგი შესაბამისად წარმოადგენს

მისსავე განუყოფელ ნაწილს, რაც თავის მხრივ ხშირად განსაზღვრავს ნომინაციის პროცესებს. სალიტერატურო ენა, რომელიც ფუნქციონალური სტილების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ნაციონალური ენის სახეობაა. სალიტერატურო ენა და ტერმინოლოგია ხშირად კვეთს ერთმანეთს, იმ თვალსაზრისით, რომ ერთი და იგივე სიტყვა შესაძლებელია იყოს როგორც სალიტერატურო ენის, ასევე ტერმინოლოგიის შემადგენელი. მას ადასტურებს ტერმინოლოგიაზაციისა და დეტერმინოლოგიაზაციის მოვლენები. მაგალითად, თუ განვიხილავთ სიტყვას window, იგი ერთი მხრივ სამშენებლო დარგის ტერმინია, მეორე მხრივ იგი მხატვრულ ლიტერატურაშიც გამოიყენება, მაგალითად იგი ისეთი ნაწარმოების დასახელებაში, როგორცაა მაგალითად, საკის (ჰექტორ ჰიუ მუნრო) „ღია ფანჯარა“. იგივე ლექსიკური ერთეული ასევე წარმატებით გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის სფეროში ახალი ამბების განხილვისას, მაგალითად: “teenagers throw the wheel out of the window and killed a man”. („თინეიჯერებმა საბურავი ფანჯრიდან გადააგდეს და ადამიანი მოკლეს”) (ხაკიევა 2011:209-212).

ტერმინოლოგია - ენის ლექსიკური სისტემის ქვესისტემაა, რომელიც თავის მხრივ კიდევ იყოფა თემატური ნიშნების მიხედვით ქვესისტემებად (მაშკანცევა 2001:8).

ტერმინები კონკრეტული მეცნიერების ცნებებს უკავშირდება და ისინი სისტემურად უკავშირდებიან სხვა მსგავს სიტყვას და სიტყვათა კომპლექსებს, რომლებთან ერთადაც ისინი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ჩაკეტილ სისტემას ქმნიან; ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ურთიერთგანპირობებული ლექსიკური ერთეულების ჯგუფს, რომლებიც ცოდნის ამა თუ იმ დარგის ცნებებს აღნიშნავენ და ცნებების სისტემას ქმნიან; ტერმინოლოგია კონკრეტული ენის ლექსიკური ერთეულებისა და ტერმინების ერთიანობაა, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური მიზნებისათვის და რომელიც მათ ზოგად ცნებას აღნიშნავს (ჩიგაშევა 2004:13).

ამდენად, ეს მოსაზრება გულისხმობს სალიტერატურო ლექსიკისა და ტერმინოლოგიის კავშირს. მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე სიტყვები შეიძლება იყოს როგორც ტერმინოლოგიის შემადგენელი, ასევე სალიტერატურო ენის კომპონენტიც, რასაც ტერმინოლოგიაზაციისა და დეტერმინოლოგიაზაციის პროცესები განაპირობებენ.

## 2. ტერმინოლოგია ნაციონალური ენის ავტონომიური სეგმენტია

ტერმინოლოგია ქმნის ნაციონალური ენის ავტონომიურ სეგმენტს, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო სალიტერატურო ენასთან. ამ თვალსაზრისის მომხრეები ტერმინოლოგიას თავისი კანონზომიერებებით ენის დამოუკიდებელ ზონად მიიჩნევენ. ტერმინოლოგიის ნორმები ხანდახან არ ემთხვევა სალიტერატურო ენის ნორმებს (რეფორმატსკი 2005:17). ამ პოზიციას იზიარებს კომაროვა, რომელიც აღნიშნავს, რომ ტერმინოლოგია მთლიანად მიეკუთვნება ინტეგრირებულ ფაქტორთა რიცხვს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ერთიანი საინფორმაციო (სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და ა.შ.) სივრცე, რამდენადაც სწორედ ტერმინოლოგია უზრუნველყოფს საინფორმაციო ურთიერთგაგებას და ურთიერთგაცვლას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, იგი უზრუნველყოფს ასევე საკანონმდებლო, სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობას. თუმცა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ პროფესიული ინფორმაციის გაცვლისათვის აუცილებელია ასევე სტილისტიკური თვალსაზრისით ნეიტრალური პლასტის ლექსიკა, რომელსაც აქვს სხვა ფუნქციონალური სპეციფიკა სამეცნიერო ენის ჩარჩოებში (კომაროვა 2007:77).

აღეშანსკაია ტერმინოლოგიას (როგორც ტერმინთა ერთობლიობა) ნებისმიერი ნაციონალური ენის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ავტონომიურ სეგმენტად მიიჩნევს (აღეშანსკაია 2008:14).

მეცნიერთა ერთი ჯგუფი აღნიშნავს, რომ ტერმინოლოგია ჩაკეტილი სალექსიკონო კონტექსტია, რომლის საზღვრებიც განპირობებულია რეალობის განსაზღვრული სოციალური ორგანიზაციით. იგი სალიტერატურო ლექსიკისაგან განსხვავებით სოციალურად სავალდებულოა და წარმოადგენს ლექსიკის ავტონომიურ ნაწილს. აქედან გამომდინარე ეს ავტორები უარყოფენ ტერმინოლოგიის, როგორც სალიტერატურო ენის შემადგენელი ნაწილის კონცეფციას (სუსპენსკაია, პოდოლსკაია, ვასილევა 2009:18).

## 3. ტერმინოლოგია ხელოვნურად შექმნილი ნიშანთა სისტემაა

ტერმინოლოგია საერთოდ არაა ენა, ის ხელოვნურად შექმნილი ნიშანთა სისტემაა. ამ თვალსაზრისის მიმდევრები თვლიან, რომ ტერმინები იქმნება და მათი ფუნქციონირების არე ხელოვნურად შექმნილი პირობებია, რომლებიც ეწინააღმდეგება ბუნებრივი ენის პირობებს, ამიტომ შეუძლებელია მათი განხილვა თანაბარ პირობებში

ჩვეულებრივ სიტყვებთან (რეფორმატსკი 2005:17). ამ მოსაზრებას ემხრობა ლეიჩიკი, რომელიც ტერმინოლოგიას თვლის ტერმინთა ერთობლიობად, რომელიც სტიქიურად შეიქმნა (ლეიჩიკი 2009:106).

გვიშიანი, რომელიც მეტაენის საკითხებს იკვლევს, მიიჩნევს, რომ ტერმინოლოგია გულისხმობს პირობითი და არა ბუნებრივი ენის სემასიოლოგიური სისტემის შესწავლას, რომელიც თავისუფლად გამოიყენება კომუნიკაციის მიზნებისათვის. „შეგრძნებების საშუალებით მგრძობელობითი აღქმა პირველადია; ის ყველა შემეცნების წყაროა. თუმცა ეს შემეცნების პროცესის მხოლოდ ერთი ასპექტია. მეორე ასპექტი რაციონალური შემეცნებაა, რომელიც დაფუძნებულია უფრო ზოგადი ცნებების შექმნაზე. ეს ცნებები სასარგებლო იქნება მოცემული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ მაშინ, თუ მასთან დაკავშირებული იქნება მკაცრად განსაზღვრული სიტყვები ან სიტყვაშეთანხმებები. სხვა სიტყვებით - მიღებული სამეცნიერო რეზულტატები ვერ გახდება კაცობრიობის მიღწევა მანამ, სანამ აზრთა მოძრაობა არ მიაღწევს აბსტრაქციის ისეთ დონეს, რომელზედაც შესაძლებელია უკვე შექმნილი ცნების შეერთება განსაზღვრულ სიმბოლოსთან ან ნიშანთან" (გვიშიანი 2008:7). ამდენად, უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ცოდნის ფორმირებისთვის გამოიყოფა ორი მხარე: მგრძობელობითი აღქმა და რაციონალური, ამასთან ამ პროცესში ტერმინოლოგია არის ნებისმიერი სამეცნიერო კვლევის დამასრულებელი ეტაპი და იგი წარმოადგენს თითქოსდა ხელოვნურ ზედნაშენს ბუნებრივი გზით განვითარებად ენის ლექსიკურ სისტემაზე.

ამდენად, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით ტერმინოლოგია ქმნის ლექსიკის ავტონომიურ ნაწილს. ამ პოზიციის მომხრეები ტერმინოლოგიას განიხილავენ ცალკეული მეცნიერების ჩარჩოებში.

ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით ტერმინოლოგიის, როგორც ჩაკეტილი სალექსიკონო კონტექსტის გაგებას, რომელსაც ფლობენ და რომლითაც მანიპულირებენ ადამიანთა საქმიანობის მხოლოდ განსაზღვრული სფეროს წარმომადგენლები. მხოლოდ მათთვისაა გასაგები კონკრეტული საგნობრივი სფეროს ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დაუფლება და ტერმინოლოგიით მანიპულირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადამიანთა საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში სრულყოფილი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, აქვე უნდა

ითქვას, რომ პროფესიული ენა გაუგებარი, ან არასრულყოფილად გასაგებია არაპროფესიონალი ენის მატარებლისათვის, რაც ხშირად პროფესიონალსა და დილექტანტს შორის კომუნიკაციისას გაუგებრობებსაც იწვევს. პროფესიული ენის დასაუფლებლად საჭიროა სპეციალური სწავლება, განათლება. შესაბამისად, ადამიანთა ის წრე, რომელიც იყენებს პროფესიულ ენას აცნობიერებს მის ღირებულებას. მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროფესიული ენა ზოგადი ენისაგან განსხვავებით ნაკლებად ექვემდებარება სწრაფ ენობრივ ცვლილებებს და ასევე ნაკლებად ექცევა გარეენობრივი მოვლენების გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე შესაძლოა ითქვას, რომ პროფესიონალური ენები მაღალი ორგანიზაციითა და სიმყარით/სიმტკიცით გამოირჩევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინოლოგია, რომელიც ტერმინთა ერთობლიობას ქმნის, ნებისმიერი ნაციონალური ენის დამოუკიდებელი პლასტია და იგი მჭიდრო კორელაციაშია ადამიანის პროფესიონალურ საქმიანობასთან. ტერმინთა დახმარებით ცოდნის, მეცნიერებისა და ტექნიკის თითოეულ დარგში ხდება მათი სისტემების ფორმირება, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია პროფესიული ცოდნის ცნებით კორელაციებთან. „თითქმის ყოველი ნაბიჯი მეცნიერების პროცესში აღინიშნება ტერმინთა შექმნით ან მათი დაზუსტებით. ჩვეულებრივი სიტყვები თავისუფლად გამოიყენება და მათი მარკერი აზრის არასიმკვეთრე, ანუ ბუნდოვანებაა, რადგან ყოფითი, დილექტანტური ცოდნა არასაკმარისად ზუსტია, რაც, თავის მხრივ, ზოგადი ენის მახასიათებელია. როცა ჩვენი ცოდნა ორიენტაციას იღებს კონკრეტიკისაკენ, რაიმე საგნობრივი სიზუსტისაკენ, ზუსტი მეცნიერებისაკენ, მაშინ გვჭირდება ზუსტი ენა, სადაც ყოველ ტერმინს აქვს მკაცრად ფიქსირებული მნიშვნელობა. ასეთად სამეცნიერო ენა გადაიქცევა ტერმინთა გამოყენების წყალობით" (რეფორმატსკი 2005:19). სწორედ სამეცნიერო ცოდნის ან საგნობრივი სფეროს განვითარების ამ ეტაპზე არის ყველაზე მოთხოვნადი ტერმინოლოგია.

### **1.3 ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი**

ტერმინოლოგიის შესწავლასა და მის დახასიათებას ხელს უშლის იმ ტიპის ნაშრომთა ნაკლებობა, რომელთა ანალიზის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა

ტერმინოლოგიის სისტემურობისა და მისი დინამიკის განზოგადება, მისი ფორმირების თავისებურებებისა და ევოლუციის სრულყოფილი აღქმა. ამ კონტექსტში ნაშრომში ვცდილობთ გამოვკვეთოთ ენის სისტემაში სხვადასხვა მიმართულებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ საბაზისო ენობრივი ტერმინოლოგიის ფორმირებაში, არამედ ცოდნის ამ სფეროს სამეცნიერო იდეოლოგიის ჩამოყალიბებაშიც. ნებისმიერი მეცნიერების განვითარების ეტაპების დადგენის პროცესში ძირითადი როლი ენიჭება სწორედ მისი ტერმინოლოგიური აპარატის ფორმირების ანალიზს, რამდენადაც მეცნიერების ევოლუცია და მისი ტერმინოლოგიური აღჭურვა ურთიერთგანპირობებულია: პირველი წარმოუდგენელია მეორის გარეშე და პირიქით.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინოლოგია ტერმინთა ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, მეცნიერების ყველა დარგის კუთვნილებაა, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისობაშია მათთან და აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს. ესენია: მიზანშეწონილობა, მოწესრიგებულობა, სისტემურობა და ა.შ. ტერმინოლოგიის ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ და უწყვეტ პერიოდს მოითხოვს და მას სამეცნიერო დარგის სპეციფიკა და მის კომპონენტებს შორის რთული ურთიერთმიმართება, მისი საგანი, ობიექტი და მიზნები განაპირობებს.

რამდენიმე ათწლეული წელია, რაც ცოდნის სხვადასხვა დარგების მეცნიერთა ყურადღება აქტიურადაა მიმართული როგორც სამეცნიერო ცოდნისადმი სისტემური მიდგომისაკენ, ასევე ზოგადად კოგნიტიური პროცესების სისტემური განხილვისაკენ. სისტემური მიდგომის არსი და ღირებულება გულისხმობს იმ პრინციპებს, რომლებსაც ხშირად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ სამეცნიერო სფეროებში ვხვდებით.

ასეთი მიდგომა გვიქმნის მნიშვნელოვნად სრულყოფილ წარმოდგენას მიმდინარე პროცესების არსის შესახებ. იგი ფუნდამენტურად განსხვავდება იმ ტიპის წარმოდგენისაგან, რომელიც შესაძლებელია მიიღოს მკვლევარმა რომელიმე კონკრეტულ დარგთან მიმართებაში ტრადიციული ლოგიკის ჩარჩოებში მოქცეული მიდგომის საფუძველზე და არა სისტემური მიდგომის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს სისტემური პრინციპების გამოყენების კიდევ ერთი ძლიერი მხარე - სისტემის განვითარების ზუსტი პროგნოზირების შესაძლებლობა, რაც ერთ-ერთია იმ აუცილებელ ასპექტთა შორის, რომლებიც ნებისმიერ თანამედროვე კვლევას მოეთხოვება.

პროცესებისადმი სისტემური მიდგომის დროს ენობრივი საშუალებები არ განიხილება როგორც ამა თუ იმ სისტემის იზოლირებული ნიშნები ან ელემენტები - მათზე დაკვირვება და მათი კვლევა წარმოებს მთელ რიგ სხვა სისტემებთან კავშირის დინამიკაში, რომლებიც არსებობს კონკრეტულ იერარქიაში.

ბერტალანფის მიხედვით სისტემურ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ იგი გვაძლევს ადეკვატურ წარმოდგენას რთული დინამიკური სისტემის შესახებ მისი კვლევის სამი პლასტის ერთმანეთთან დაკავშირების გზით, ესენია: საგნობრივი, ფუნქციური და ისტორიული (ბერტალანფი 1969).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

### 1. საგნობრივი პლასტი

სისტემური კვლევის საგნობრივი ასპექტი პირველ რიგში გვაძლევს საშუალებას აღვიქვათ სისტემის ცნება იმ ელემენტთა ერთობლიობად, რომლებსაც გარკვეული კავშირები აქვთ ერთმანეთთან. სისტემის ცალკეული ელემენტები საგნობრივ ასპექტში განიხილება იმ ტიპის ერთეულებად, რომლებიც ერთობლივად და არა განცალკევებულად ფუნქციონირებენ. ამას გარდა აღნიშნული ასპექტი გვებმარება გავშიფროთ, ავხსნათ გარემო და მისი ელემენტები და აღვიქვათ ისინი სისტემის გარემოცვად, რომელსაც მასთან ორმხრივი კავშირი აქვს. სისტემის ელემენტების შესწავლა მოცემულ შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს მისი შემადგენლების მხოლოდ აღმოჩენა-გამოვლენით - ამ მიზანს წარმატებით ემსახურებოდა ტრადიციული, წმინდა ანალიტიკური მიდგომა. სისტემური მიდგომის მიზანია შეიქმნას მთლიანური წარმოდგენა სისტემაზე, რასაც საფუძვლად უდევს სისტემის ელემენტების განსაზღვრა და ქვესისტემების დადგენა, რაც ქმნის ამ სისტემის მთლიანობას. გარდა ამისა სისტემის ცალკეული ელემენტი აღქმულ უნდა იქნას როგორც აუცილებელი და, როგორც საკმარისი შემადგენელი, რათა შესაძლებელად იქნეს მიჩნეული ამ კონკრეტული სისტემის არსებობა.

ამ თვალსაზრისით სისტემა უნდა განვიხილოთ როგორც მეტასისტემის ნაწილი, ანუ სისტემა უნდა გავიაზროთ იმ გარემოსა და/ან იმ გარემოცვაში, რომლის შემადგენლებსაც ისინი წარმოადგენენ და რომლის ფარგლებშიც ისინი ფუნქციონირებენ. მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ სისტემის წარმოშობის, არსებობისა და დანიშნულების კანონზომიერებები - დავადგინოთ სისტემის ძირითადი ფუნქცია,

რომელსაც იგი ასრულებს იმ მეტასისტემის ჩარჩოებში, რომლის შემადგენელიც თვითონაა.

## 2. ფუნქციური პლასტი

სისტემის ფუნქციური პლასტის შესწავლა გულისხმობს მისი ელემენტების ფუნქციების განსაზღვრას არა გარემოცვისგან აბსტრაჰირებულად, მისგან მოწყვეტით, არამედ აღნიშნული ელემენტების კვლევას შიდასისტემური მიმართებების გათვალისწინებით. სისტემური ანალიზის ფუნქციური ასპექტი გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ ერთი მხრივ - შიდასისტემური მიმართებების მექანიზმები: ურთიერთმიმართება შემადგენელ ელემენტებს შორის, მათი სტრუქტურა და მეორე მხრივ გარესსისტემური მიმართებების მექანიზმები: სისტემის დამოკიდებულება/-მიმართება გარემოსთან, რა ტიპის ფუნქცია აქვს სისტემის ელემენტს გარემოსთან მიმართებაში (ჩესნოკოვი 1989:68-69).

## 3. ისტორიული პლასტი

სისტემური მიდგომის უპირატესობა ტრადიციულისაგან განსხვავებით ვლინდება ტერმინის სემანტიკის განსაზღვრისა და მისი მნიშვნელობის დაზუსტების თვალსაზრისითაც, რაც სისტემის ელემენტის შესწავლას გულისხმობს დინამიკაში. დღეს ლინგვისტური ობიექტის, კერძოდ კი ტერმინოლოგიის ანალიზის პროცესში აქტუალურია მისი განხილვა სისტემურობისა და დინამიურობის ჭრილში. ამ ტიპის კვლევა გვაძლევს წარმოდგენას ტერმინთა ისეთ თვისებაზე, როგორცაა მათი კავშირი კოგნიტიურ ოპოზიციებთან (ნემიკა 2006:71). ეს ეხება სისტემურობის ახლებურ გაგებასაც: „მას შემდეგ, რაც ვიტყვით უარს იმაზე, რომ ენობრივი სისტემის ყველა ქვესისტემა ერთ რიგში განვალაგოთ, საჭიროა დადგინდეს ამ სისტემის ძირითადი სტრუქტურული ფენები, რომელთა გადაკვეთის საფუძველზეც აიგება მათი სრულყოფილი სტრუქტურა, და შემდეგ, თითოეული ფენის ფარგლებში გამოვავლონოთ ენობრივი ფაქტების ქვესისტემის შესაბამისი სტრუქტურა" (ჩესნოკოვი 2008:112).

ვფიქრობთ, რომ სისტემური მიდგომის ისტორიული პლასტი ძალზედ დიდ მნიშვნელობას იძენს ენათაშორისი კორელაციებით ნაკლებად გამოკვლეული საკითხების კვლევისას. ისტორიული პლასტის მნიშვნელობას და ღირებულებას განაპირობებს ისიც, რომ ბილიგვიზმი თანამედროვე ენათაშორისი კომუნიკაციის

ყველაზე უფრო აშკარა ბუნებრივი მოვლენაა. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება გლობალიზაციის უნივერსალური ტენდენციებით ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, რელიგიურ-სულიერ და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროებში. ასეთი მიდგომა აღრმავებს ტერმინთა სისტემურ აღქმას.

გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება ითქვას, რომ თითოეული დარგის ტერმინოლოგია ობლიგატორული კონცეპტუალურ-ენობრივი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ენობრივი სისტემის ყველა დონის ადეკვატურ აღწერას. ის გვიჩვენებს ენის დონეების ევოლუციას. დარგთა შესაბამისი ტერმინოლოგიის სიუხვე მეტყველებს იმაზე, რომ ტერმინოლოგია თავის სათავეს საუკუნეების წიაღში იღებს, რომ მისი ფორმირება დიდი ხნის მანძილზე ხდებოდა. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ისიც, რომ ტერმინოლოგიაში აღბეჭდილია სხვადასხვა ეპოქების წერილობითი ენის თავისებურებები, რომელიც ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენით. ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც ჰუმბოლდტი წერს, „შიდა და გარე სამყაროს ცალკეულ საგანთა აღნიშვნა ღრმად სწვდება გრძნობით აღქმას, ფანტაზიას, ემოციას და ყველა მათგანის ურთიერთმოქმედების წყალობით აღწევს ეროვნულ ხასიათამდე, რადგან სწორედ აქ ხდება ადამიანის შერწყმა ბუნებასთან, საგნობრიობა, ნაწილობრივ მართლაც რომ მატერიალური, - ერწყმის ფორმირების პროცესში მყოფ სულს. ამ სფეროში, შესაბამისად, უფრო აშკარად იგრძნობა ეროვნული თვითმყოფადობა”(ჰუმბოლდტი 1984:104).

#### 1.4 ტერმინოსისტემა - ლინგვისისტემის თანასისტემა

უკანასკნელი პერიოდის ლინგვისტურ კვლევებში ცოდნის სხვადასხვა დარგების ტერმინოლოგია გააზრებულია როგორც განსხვავებულ სფეროთა ტერმინების ერთობლიობა, რომელიც ქმნის დამოუკიდებელ ენობრივ სისტემას. ტერმინთა კლასიფიკაცია ცოდნის დარგების მიხედვით განაპირობებს ტერმინოსისტემათა შექმნას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად მივიჩნევთ კვლევის ფოკუსში მოვაქციოთ ტერმინოსისტემის პოზიციის დადგენის, მისი ლინგვისისტემასთან მიმართებების განსაზღვრის საკითხები. ამ თვალსაზრისით ობლიგატორულად ვთვლით ასევე განვმარტოთ ტერმინოსისტემის, როგორც ავტონომიური სისტემის არსებობის აუცილებლობა და განვიხილოთ მისი რელევანტურობის საკითხი. ამ საკვლევ საკითხთა

წრიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ტერმინის არსი. ტერმინი ტრადიციული გაგებით და ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით განიმარტება როგორც სიტყვა ან სიტყვაშეთანხმება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ამა თუ იმ ცნებას და რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დარგისა და სპეციალობის ჩარჩოებში. ზოგადგამოყენებითი სიტყვებისაგან განსხვავებით, რომელთა მარკერებადაც მრავალმნიშვნელობა და ექსპრესიულობა ითვლება, ტერმინი მიჩნეულია ერთმნიშვნელოვან და არაექსპრესიულ ენობრივ ერთეულად. იგი ცალსახად და ზუსტად გამოხატავს ცნებას, შესაბამისად, ტერმინების დონეზე პოლისემია დაუშვებელია.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არაპოლისემიური ტერმინისა და პოლისემიური ენობრივი ნიშნის - სიტყვის - გამიჯვნის საფუძველს ის ფაქტი ქმნის, რომ ისინი ბუნებრივ ენასა და ნებისმიერი ენის ლინგვისტურ სისტემაში გამოხატულების განსხვავებულ პლასტებს ქმნიან. მაგალითად, ენობრივი ნიშანი „ოთხკუთხედი“ ასახავს და გამოხატავს ისეთ საგანს, რომელსაც ოთხი კუთხე აქვს, თუმცა გეომეტრიაში ოთხკუთხედი ეწოდება ისეთ ფიგურას, რომლის შიგა კუთხეების ჯამი 360-ს შეადგენს. პირველი გაგებით სიტყვა „ოთხკუთხედი“ ენობრივი სისტემის ნიშანია, სიტყვაა, ხოლო მეორე გაგებით – იგი ტერმინია, რომელიც გეომეტრიულ ტერმინთა სისტემაში, უფრო ზუსტად კი – ტერმინოსისტემაში თავსდება. ტერმინი „ოთხკუთხედი“ ვიწრო სპეციალისტთა, კერძოდ კი, - მათემატიკოსთა კომპეტენციის საზღვრებშია მოქცეული, მაშინ, როცა არასპეციალისტისთვის საგანი ოთხკუთხედი იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ მას ოთხი კუთხე აქვს (თაბუკაშვილი 2010:144).

აღნიშნული მაგალითით ცხადდება ის, რომ ნებისმიერ ენაში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს როგორც ბუნებრივი ენის სისტემის კომპონენტი, ასევე ტერმინოლოგიის, ტერმინოსისტემის შემადგენელი, მისი ერთეული.

ხშირ შემთხვევაში ასეთი დამთხვევები, დუალიზმები, გაურკვევლობისა და უხერხულობის საბაზს იძლევა. ამიტომ ამ ტიპის გაუგებრობათა მთელი რიგისგან თავის დაღწევის მიზნით ხშირად გამოიყენება ლათინური და ბერძნული სიტყვები, რათა ამ გზით ბუნებრივი ენის სისტემის კომპონენტმა ტერმინოლოგიის მნიშვნელობა შეიძინოს.

მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინები ერთიანდება ტერმინოლოგიურ სისტემებში და ისინი ენის სისტემის პარალელურად ქმნიან ავტონომიურ სისტემას – ტერმინოსისტემას. თუმცა ხშირ შემთხვევებში შესაძლებელია ერთი და იგივე ტერმინი ორ ან მეტ არამომიჯნავე ტერმინოლოგიურ სისტემებში განთავსდეს, ანუ მოხდეს ამ ტერმინთა შეღწევა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებში და ისინი შესაბამისად ინტერდარგობრივ ტერმინებად იქცეს, თუმცა მათი რეფერენციური მნიშვნელობები ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. მაგალითად, ტერმინი „ოპერაცია“ სამ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ დარგთა ტერმინოსისტემებში თავსდება, ესენია: მედიცინა, სამხედრო საქმე და საფინანსო დარგები. იგივე შეიძლება ითქვას ტერმინზე „ასიმილაცია“, რომელიც ბიოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის ტერმინოსისტემათა „კუთვნილება“ (თაბუკაშვილი 2010:145).

ავტორი ასევე ყურადსაღებად მიიჩნევს და ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ დროთა განმავლობაში ხდება ზოგიერთი ტერმინის სპეციფიკური ხასიათის, მისი ვიწროპროფესიული მნიშვნელობის „დევალვაცია“ და ფართო პროფილით გამოყენება, ანუ ამ ტერმინთა ღირებულება მოცულობითი ხდება, შესაბამისად კი ეს „სახეცვლილება“ იწვევს მათ გამოყენებას მეტყველების სხვადასხვა აქტებსა და სხვადასხვა საკომუნიკაციო აქტებში. ასეთებია: ხელოვნებათმცოდნეობითი და ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები - ჟანრი, პორტრეტი, სტილი, დუეტი, პროლოგი, სიუჟეტი, ფაბულა. ამავე რიგში ერთიანდება ტექნიკური ტერმინები: აკუმულატორი, ამორტიზატორი, კონვეირი, მასა, რენტგენი, ტემპერატურა; ფილოსოფიური ტერმინები: დიალექტიკა, აზროვნება, კატეგორია, ცნება, შემეცნება და ა.შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, არსებობს მრავალი ტერმინი, რომელიც ინარჩუნებს ვიწრო სპეციალურ მნიშვნელობებს და მისი შეღწევა-შერევა რომელიმე სხვა დარგის ტერმინოსისტემასთან შეუძლებელია. ასეთებია: აფრიკანტი, ფონემა, სინეკდოხა, სოლფეჯიო, სოპრანო და ა.შ. თუმცა მათი კონოტაციური გამოყენება სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციებში ამა თუ იმ სტილისტიკური ინტენციით, ცხადია, გამორიცხული არ არის (თაბუკაშვილი 2010:145).

ხშირად დარგობრივი სფეროების „შევსება“ ისეთი ტერმინებით ხდება, რომელთა ეტიმოლოგია უკავშირდება ბერძნულ და ლათინურ ენებს. ავტორი მიიჩნევს, რომ

ამგვარ „პოლიტიკას“ თავისი საფუძველი და გამართლება აქვს. ერთი და იმავე სიტყვის ერთი მხრივ ტერმინად და მეორე მხრივ ენის სისტემის შემადგენლად გამოყენების დროს, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ „ოთხკუთხედის“ მაგალითზე, შესაძლებელია რეცეფციის თვალსაზრისით უხერხულობები მოჰყვეს. ამგვარი გაუგებრობების უფულებელყოფისთვისა და რეალური რეფერენტების აღნიშვნისათვის სწორედ ლათინურსა და ბერძნულ ენებს მიმართავენ. მათში მოიაზრება ტერმინები, ანუ იცვლება მათი სემანტიკური მნიშვნელობა და ისინი ახალ ღირებულებასა და დატვირთვას იძენენ. მაგალითად, დღეს ფართო სპექტრით გამოიყენება ლათინური წარმოშობის სიტყვა „დისტრიბუცია“, რომელიც მისი ქართული ეკვივალენტის „განაწილება“ ანალოგიურია. ისმის კითხვა: აქვთ თუ არა ამ სიტყვებს ეკვივალენტური ღირებულებები, თუ ისინი სხვადასხვა ცნებებს აღნიშნავენ? ტრანსლაციის თვალსაზრისით ისინი ეკვივალენტური ერთეულებია, მაგრამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კუთხით მათი ღირებულება სხვადასხვაგვარი და არაერთმნიშვნელოვანია. იქ, სადაც შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „დისტრიბუცია“, შეუძლებელია ენობრივი ნიშნის „განაწილების“ გამოყენება. მაგალითად, ფრაზებში „ბილეთების განაწილება“, „სტუდენტთა განაწილება ჯგუფების მიხედვით“, „საათების განაწილება“ არ იგულისხმება დისტრიბუცია და პირიქით, - მაგალითებში - „მანქანათა ნაწილების დისტრიბუცია“, „ლუდის დისტრიბუცია“, „პროდუქტის ეფექტური დისტრიბუცია“ და ა.შ. იგულისხმება სემა განაწილება, თუმცა ენობრივი ერთეულის „განაწილება“ გამოყენება ამ კონტექსტში იწვევს ერთგვარ უხერხულობას, რადგან ტერმინმა „დისტრიბუცია“ მოირგო, მოიხდინა, შეისისხლხორცა სემა განაწილება, თუმცა კომუნიკაციური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი აღმოჩნდა შესაბამის საკომუნიკაციო აქტებში ტერმინის „დისტრიბუცია“ გამოყენება. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ტერმინი ერთი მხრივ სემანტიკური ნიშნით უფრო მოცულობითი, უფრო მაღალი ღირებულების მქონეა, ვიდრე ენობრივი ერთეული როგორც ენობრივი სისტემის ნიშანი (თაბუკაშვილი 2010:146).

საინტერესო მიდგომას გვთავაზობს რ.თაბუკაშვილი ენის ტერმინოსისტემაში ლათინური და ბერძნული ეტიმოლოგიის სიტყვების მოზღვავებასთან დაკავშირებით, რასაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, თავისი მიზეზები და საფუძველი აქვს, რომელთაგან ყველაზე რელევანტურად იგი მათ ინტერნაციონალურობას მიიჩნევს, რაც თავისთავად

ქმნის ფონს იმისათვის, რომ ტერმინები გასაგები იყოს. „თუ დავუშვებთ იმას, რომ ნებისმიერი ენა საკუთარ ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით აწარმოებს ტერმინებს, წარმოიშვება ერთი მხრივ, ზღვრის გავლების პრობლემა ტერმინებსა და სიტყვებს შორის და მეორე მხრივ, ტერმინოლოგია დაკარგავს ინტერნაციონალურ ხასიათს, რაც რეალურად ტერმინოლოგიის წარმოშობისა და კომუნიკაციის პროცესში მათი გამოყენების საფუძველია“ (თაბუკაშვილი 2010:146).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვიზიარებთ ავტორის პოზიციას, რომელიც თვლის, რომ ტერმინთა ერთიანობა ნებისმიერი ენის ენობრივ სისტემაში ქმნის იმანენტური სისტემის თანასისტემას, რომელსაც ტერმინოსისტემა შეიძლება ეწოდოს.

ამ მოსაზრების გასამყარებლად რ.თაბუკაშვილი იმოწმებს ფ. დე სოსიურს, რომელიც თვლიდა, რომ ტერმინოლოგიას თავისი ენა აქვს. იგი თავისთავად სემიოტიკურ სისტემას წარმოადგენს. სემიოტიკური სისტემა კი, სადაც ცნებასა და ბგერით აღმნიშვნელს შორის ურთიერთცალსახა შესატყვისობა გვაქვს, ნომენკლატურას წარმოადგენს, რომელიც ძირითადად ბერძნულისა და ლათინურის საფუძველზე იქმნება, რაც ათავისუფლებს ბუნებრივ ენებს საკუთარი ლექსიკის გამოყენებისაგან ტერმინოლოგიის შესაქმნელად” (ნებიერიძე 1999).

ასევე საფუძველს მოკლებული არაა ინგლისური და ფრანგული ენების სიტყვათა მარაგიდან ტერმინთა შემოდინება დარგობრივ ენებში, რაც გლობალიზაციითა და საერთაშორისო ურთიერთობებითაა გამოწვეული. მაგალითად, მენეჯმენტი, მარკეტი-ნგი, პრაიმტაიმი, ბიზნესის ადმინისტრირება და მონიტორინგი ინგლისური ენიდან დარგობრივ ენებში დამკვიდრებული ტერმინებია, ხოლო ლოჯისტიკა, ბიუჯეტი, კონსოლიდაცია, კოალიცია, მულტიმედიადიზაინი ფრანგული ენის ლექსიკიდან შემოსულ ტერმინოლოგიას მიეკუთვნება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვიზიარებთ რ.თაბუკაშვილის პოზიციას, რომელიც თვლის, რომ „ტერმინოსისტემა ნებისმიერი ბუნებრივი ენის ლინგვოსისტემის თანასისტემას წარმოადგენს, რომელიც პირობითადაა გრადუირებული თანასისტემად, იგი თავისი ღირებულებითა და პრაგმატიკული ფუნქციით ნომენკლატურული სისტემაა, რომელიც არა სუბორდინაციული, არამედ კოორდინაციულია ენის ლინგვოსისტემასთან მიმართებაში. ამას გარდა ტერმინთა

„ინტერნაციონალიზაცია” ერთგვარად იზოლირებულ სივრცეს ქმნის იმ მოსაზრებით, რომ ისინი ბუნებრივი ენების ლინგვოსისტემის ერთეულებს „ათავისუფლებენ” ორმაგი დატვირთვისაგან, რასაც წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად შესაძლებელია რეფერენციული დამთხვევები, რეცეფციული გაუგებრობები და კომუნიკაციური ბარიერების წარმოქმნა და უზუსტობები მოჰყვეს. ტერმინების ჰიპერონიმია, მათი ზესემანტიკური ღირებულება ტერმინს მოქნილს ხდის, შესაბამისად მათი პრაგმაკომუნიკაციური ფუნქცია ინტრადარგობრივ ჩარჩოებს სცილდება და ინტერდარგობრივ პლასტში გადადის, რაც თავისთავად ტერმინთა მობილობას და პოლისემიურობას გულისხმობს“ (თაბუკაშვილი 2010:147).

## 1.5 ტერმინოლოგიისა და ტერმინოსისტემის გამიჯვნის საკითხისათვის

ტერმინოლოგიასა და ტერმინოსისტემას შორის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ არსებობს ამ ცნებათა განხილვის ორი ტენდენცია.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ტერმინოლოგია და ტერმინოსისტემა ერთმანეთის ჩანაცვლებადი სინონიმური ცნებებია. ტერმინოლოგია ენობრივ ერთეულთა არა სტიქიური, არამედ მოწესრიგებული და სისტემური ერთიანობაა. ყველა ტერმინი ამა თუ იმ ხარისხით მანიპულირებს საკუთარი საგნობრივი დარგის ჩარჩოებში. მათი მანიპულირების ხარისხი პირდაპირაა დაკავშირებული ცოდნის მოცემული დარგის განვითარების დონესთან. ამ თვალსაზრისის თანახმად ცნებები ტერმინოლოგია და ტერმინოლოგიური სისტემა შესაძლოა განვიხილოთ სინონიმებად. ამავე მოსაზრებას იზიარებს ტუმანოვა, რომელიც ტერმინოლოგიას განიხილავს ტერმინთა სისტემურ ორგანიზაციად, რომელშიც შინაგანი კავშირები და მიმართებები იერარქიულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან (ტუმანოვა 2002). ბარანდეევი ტერმინოსისტემას მიიჩნევს ნიშანთა სისტემად, რომლის ერთეულები და ასევე მათ შორის კავშირები ჩაკეტილია ცოდნის ერთი დარგის ჩარჩოებში და ქმნის ერთ ტერმინოლოგიურ ველს (ბარანდეევი 1993:62).

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ტერმინოლოგია ლექსიკურ ერთეულთა სტიქიურად სტრუქტურირებული ერთიანობაა, მაშინ როცა ტერმინოსისტემა ტერმინმცოდნეების მიერ ხელოვნურად შექმნილი იერარქიული

წარმონაქმნია (კანდელაკი 1977). ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინთა იერარქიულად სტრუქტურირებული ერთიანობა შესაძლებელია იწოდებოდეს ტერმინოსისტემად. ტერმინოსისტემის ფორმირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ პროფესიული სფეროს ტერმინოლოგიის განვითარების დონე საკმაოდ მაღალია.

ბონდარევა ერთმანეთისაგან მიჯნავს ტერმინოლოგიის სისტემური თვისებების იმპლიციტურობას მისივე ექსპლიციტური თვისებებისაგან. იგი ტერმინოლოგიის მარკერებად მიიჩნევს: ა) ლექსიკური ერთეულების სტიქიურ ერთობლიობას, რომელთა სისტემური მარკერები იმპლიციტურია. ბ) ტერმინს უნდა ჰქონდეს რეალური ობიექტი ენაში. ტერმინოსისტემის მახასიათებლებად კი იგი იმას თვლის, რომ ტერმინოსისტემა ლინგვისტთა და ტერმინმცოდნეთა მიერ მოწესრიგებული წარმონაქმნია, რომლის სისტემური მარკერები ექსპლიციტურია. ეს ტერმინოლოგიის ფორმალიზებული მოდელია (ბონდარევა 2003).

ტერმინოსისტემაში იგულისხმება რთული და მყარი სისტემა, რომელიც შეიცავს განსაზღვრული პრინციპების მიხედვით ხელოვნურად შერჩეულ ლექსიკურ ერთეულებს. მის საფუძვლად ითვლება ცნებათა ენობრივი ნიშნის ფორმაში კონსტრუირებული და რეალიზებული სისტემა ან ლოგიკური სქემა. ასეთი სქემის ცენტრში არის ძირითადი ცნება, რომლისგანაც გამომდინარეობს სხვა ცნებები, რომლებიც აღნიშნავენ სახეობებს, მარკერებს, ფუნქციებს, პროცესებს და სხვა მომიჯნავე ობიექტებს. ცნებათა სხვადასხვა სახეობებს შორის არსებობს სახეობითი, ფუნქციონალური, ატრიბუტული, და ლოგიკური კავშირების სხვა სახეობები. ტრადიციულად სრულყოფილი ტერმინოსისტემის შექმნის მიზნით ლოგიკურ სქემას აუცილებელია დაემატოს ცნებების დეფინიციები, შერჩეულ უნდა იქნას ტერმინები, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ ამ ცნებებს და ადეკვატურად გამოხატავენ ტერმინოსისტემის ორგანიზებულობას, სტრუქტურას ისე, რომ ყოველ ტერმინს შეესაბამებოდეს ერთი ცნება (ლეიჩიკი 2006).

ცხადია, ლექსიკური ერთეულების ორგანიზაციის ასეთი პრინციპი გვაძლევს საშუალებას დავადგონით ლოგიკური კავშირი ტერმინოლოგიის ერთეულებს შორის. თუმცა, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის ფაქტიც, რომ ამ ტიპის ტერმინოსისტემის ფარგლებს მიღმა ხშირად რჩება ლექსიკური ერთეულების ის რაოდენობა,

რომელიც ვერ აკმაყოფილებს კონკრეტულად ამ ტერმინოსისტემისადმი კუთვნიებადობის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ეს ტერმინები მაინც შედის ამა თუ იმ სფეროს ტერმინოლოგიის შემადგენლობაში და ისინი აქტიურად გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა დარგის პროფესიული ენის მომხმარებლების მიერ. შესაბამისად, ტერმინმცოდნეობის, როგორც უახლესი ლინგვისტური მიმართულების კვლევის მიღმა რეალურად არსებობს ტერმინთა გარკვეული რიცხვი/ჯგუფი, რომლებიც ფიქსირდებიან რეალურ კომუნიკაციაში, მათი აქტუალიზაცია ხდება პროფესიულ კომუნიკაციაში, თუმცა ისინი, სწორედ იმის გამო, რომ ვერ ხერხდება მათი მკაფიო, ცალსახა კუთვნიებადობის განსაზღვრა კონკრეტული ტერმინოსისტემისადმი, ვერ მოექცნენ ლინგვისტური კვლევის ფოკუსში.

ტერმინოსისტემის ფორმირების პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ტერმინმცოდნეობაში. განსაკუთრებით ეს ეხება ცოდნის ახალი სფეროების ფორმირებას, რადგან საქმიანობის ნებისმერი სფეროს ტერმინოლოგიის აღწერა მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

არსებობს რამდენიმე მიდგომა, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნას სპეციალისტის მიერ ტერმინოსისტემის აგებისა და აღწერის პროცესში. ზოგიერთი ტერმინოსისტემა იქმნება გასაანალიზებელი ტერმინოლოგიის ცნებითი კონტინიუმის ეტაპობრივი დედუქციური დაშლის გზით, რომელიც ეფუძნება ტერმინების გამოყენების სიხშირეს ზეპირ თუ წერილობით ტექსტში. გათვალისწინებულია არსებული მაკლასიფიცირებელი ქვედარგები და ამის საფუძველზე გამოიყოფა ტერმინოსისტემის ბირთვი, რომელსაც ქმნის ერთი მხრივ საბაზისო ტერმინები და მეორე მხრივ – პერიფერიაზე არსებული ტერმინები, რომელშიც წარმოდგენილია შერეული ტიპის ტერმინები. პრაგმატიკული მიდგომა ეხმარება მეცნიერს დაადგინოს დარგთაშორისი შესაბამისობები ტერმინოსისტემის აგების პროცესში და ასევე დაასაბუთოს განსაზღვრული ლექსიკური პლასტების კუთვნიებადობა ამა თუ იმ სისტემასთან.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ტერმინოსისტემა მყარი რთული დინამიური სისტემაა, იგი ტერმინოლოგიის კოგნიტიური მოდელია, საგნობრივი სფეროს ე.წ. მეტამოდელია (ტატარინოვი 1987).

აქედან გამომდინარე, ნაშრომში ტერმინს განვიხილავთ როგორც ენის კოგნიტიურ-დისკურსულ ერთეულს. შესაბამისად, საგნობრივი სფეროს კომპიუტერი

ტერმინოსისტემის განხილვისას უპირატესობას ვანიჭებთ და ვიყენებთ კოგნიტიურ-დისკურსულ მიდგომას.

### პირველი თავის დასკვნები

ცნების *ტერმინი* მრავალფეროვანი და ჰეტეროგენული დეფინიციების ფართო პალიტრიდან ნაშრომში ვეყრდნობით იმ განმარტებას, რომელიც ტერმინს მიიჩნევს სპეციალური დანიშნულების ენის, ანუ პროფესიულ-დარგობრივი ენის საფუძველად, დარგობრივ ცნებათა სისტემის სიტყვიერ სუბსტანციად, შესაბამისად, სპეციალურ, ანუ დარგობრივ ცნებათა აღმნიშვნელად, რომელიც სისტემურადაა ორგანიზებული, უნიფიცირებულია, ფუნქციონირებს მართებულ არეში და აქვს მისთვის ობლიგატორული მარკერები. ტერმინი სიტყვის სემანტიკურ სფეროს მიეკუთვნება და მას განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა აქვს. შესაბამისად, ტერმინი განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მქონე სემანტიკური სფეროს ლექსიკური ერთეულია. იგი სპეციალური დანიშნულების ენის, ანუ პროფესიულ-დარგობრივი ენის საფუძველია, დარგობრივ ცნებათა სისტემის სიტყვიერი სუბსტანციაა, და, შესაბამისად, სპეციალურ, ანუ დარგობრივ ცნებათა აღმნიშვნელის ფუნქციას ასრულებს. ტერმინს მისთვის ობლიგატორული მარკერები აქვს, რომელთაგან მნიშვნელოვანია: 1. მისი ინტეგრაციული ნიშნები: სისტემურობა, კომუნიკაციურობა, ნომინაციურობა, მოტივირებულობა. 2. მისი დიფერენციალური ნიშნები: კონვენციურობა-დარგობრიობა, ერთმნიშვნელოვანება; 3. ტერმინის, როგორც ენობრივი ერთეულის შინაგანი ფორმა მისი შინაარსია, ხოლო გარეგნული ფორმა - მისი ლექსიკური მნიშვნელობა. 4. გამოხატულების პლანისა და ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფების მიხედვით ტერმინს აქვს ენობრივი სუბსტრატი, ხოლო ტერმინთა სისტემაში, ანუ შინაარსის პლანში - ტერმინული ნიშნები. 5. ტერმინს სახელდების ფუნქცია აქვს და განეკუთვნება საკუთარი სახელის კატეგორიას. ტერმინი ლექსიკური ფონდის ერთეულს ახალ მნიშვნელობას ანიჭებს, რითიც ტერმინს ლექსიკური ერთეული ახალ სემანტიკურ ველში შეყავს.

ტერმინოლოგია, როგორც ტერმინთა ერთიანობა, განიხილება სპეციალური ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ნაწილად. იგი ნებისმიერი ნაციონალური ენის

ავტონომიური სეგმენტია, მისი დამოუკიდებელი პლასტია, რომელიც კორელაციაშია ადამიანის პროფესიულ საქმიანობასთან. ტერმინოლოგიით, როგორც ჩაკეტილი სალექსიკონო კონტექსტით მანიპულირებენ განსაზღვრული სფეროს წარმომადგენლები მართებულ არეში. ცალკეული დარგების ტერმინოლოგია ობლიგატორული კონცეპტუალურ-ენობრივი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ენობრივი სისტემის ყველა დონის აღწერას.

ტერმინოსისტემის სტრუქტურა ორი კუთხით განიხილება. ერთი მხრივ, - გარეენობრივი, ანუ ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით ის ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვათა ან სიტყვაშეთანხმებათა სისტემაა, რომლის შემადგენელთა ინტეგრირებას ამ სისტემაში საფუძვლად უდევს იმ რეალიათა, ცნებათა თუ კონცეპტთა სემანტიკური მსგავსება-სიახლოვე, რომლებსაც ისინი ასახელებენ. მეორე მხრივ - შიდაენობრივი, ანუ ლინგვისტური თვალსაზრისით - ტერმინოსისტემა ღია და დინამიური სტრუქტურაა, რომლის ლექსიკური ერთეულები მუდმივ ცვლილებებს განიცდიან. ტერმინოსისტემის სტრუქტურაში ნათლად ვლინდება ენის ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებითი კანონზომიერებები, რომლებიც ახალი ობიექტების ნომინაციისათვის გამოიყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება არ იმეორებს მექანიკურად ზოგადლიტერატურული სიტყვაწარმოების ხერხებს.

ტერმინოლოგიის დეფინიციები ეფუძნება ორ ასპექტს. ერთი მხრივ იგი განიხილება როგორც ტერმინთა ელემენტების, ცნებებისა და დასახელებების ერთიანობა; ხოლო მეორე მხრივ - როგორც მოძღვრება ტერმინთა ელემენტების, ცნებებისა და დასახელებების შესახებ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ხორციელდება ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია: 1. ტერმინოლოგია - სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენელია. 2. ტერმინოლოგია ნაციონალური ენის ავტონომიური სეგმენტია, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო სალიტერატურო ენასთან. 3. ტერმინოლოგია საერთოდ არაა ენა, ის ხელოვნურად შექმნილი ნიშანთა სისტემაა. ამ კონტექსტში ტერმინოლოგია მიჩნეულია სალექსიკონო კონტექსტად, სოციალურად სავალდებულო ჩაკეტილ სალექსიკონო სისტემად. მისი საზღვრები განპირობებულია რეალობის განსაზღვრული სოციალური ორგანიზაციით, რომლითაც მანიპულირებენ ადამიანთა საქმიანობის მხოლოდ განსაზღვრული სფეროს წარმომადგენლები.

თითოეული დარგის ტერმინოლოგია ობლიგატორული კონცეპტუალურ-ენობრივი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ენობრივი სისტემის ყველა დონის ადეკვატურ აღწერას. ტერმინოლოგია გვიჩვენებს ენის დონეების ევოლუციას. ცალკეული დარგების ტერმინოლოგია და დარგთა შესაბამისად მათი გავრცობა/გამრავლება/გამრავალფეროვნება მოწმობს იმას, რომ ტერმინოლოგიის ფორმირება ხდებოდა დიდი ხნის მანძილზე და რომ მასში ასახულია სხვადასხვა ეპოქების წერილობითი ენის თავისებურებები, რომელიც ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენით.

მსგავსი რეფერენციის მქონე ტერმინები ტერმინოლოგიურ სისტემებში ერთიანდებიან და ენის სისტემის პარალელურად ავტონომიურ სისტემას - ტერმინოსისტემას ქმნიან, რომელიც თავის მხრივ იმანენტური სისტემის არა დაქვემდებარებულ სუბსისტემას, არამედ თანასისტემას წარმოადგენს, რომელიც პირობითადაა გრადუირებული თანასისტემად. ტერმინოსისტემა თავისი ღირებულებითა და პრაგმატული ფუნქციით ნომენკლატორული სისტემაა, რომელიც არა სუბორდინაციული, არამედ კოორდინაციულია ენის ლინგვოსისტემასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტერმინოსისტემა მყარი და რთული დინამიური სისტემაა, რომ იგი ტერმინოლოგიის კოგნიტიური მოდელია, საგნობრივი სფეროს ე.წ. მეტამოდელია.

ტერმინი ენის კოგნიტიურ-დისკურსული ერთეულია. შესაბამისად, საგნობრივი სფეროს კომპიუტერი ტერმინოსისტემის განხილვისას უპირატესობას ვანიჭებთ და ვიყენებთ კოგნიტიურ-დისკურსულ მიდგომას.

## თავი 2.

### ტერმინი სოციოლინგვისტიკის ჭრილში

#### 2.1. ენა სოციალური იდენტურობის ფაქტორი

ოსკაარი, რომელიც ერთ სიბრტყეზე განიხილავს ენას, კულტურას, ინდივიდსა და საზოგადოებას, საყრდენ წერტილად მიიჩნევს იმ პოსტულატს, რომ ენა ფსიქოსოციალური ფენომენია. ავტორის ეს პოზიცია მის მიერ გამყარებულია იმ მოსაზრებით, რომ ენა არსებობს და ვითარდება ბიოლოგიურ და სოციალურ კონტექსტში. ენა როგორც ნიშანთა სისტემა ემსახურება ადამიანის აზროვნების, აღქმისა და მოქმედების სოციალურ პროცესებს. აქედან გამომდინარე ის საზოგადოების წევრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა, გამოხატოს აზრი, გადმოსცეს ის და დაამყაროს კომუნიკაცია (ოსკაარი 2003:16).

ენა ასახავს ცხოვრებისეულ მოვლენებს, ეხმარება ადამიანს აღიქვას და შეიმეცნოს სოციალური ნორმები, ანუ ის მოლოდინები, რომლებიც საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფს გააჩნია საკუთარი ჯგუფის წევრების ქცევებისა და განწყობების მიმართ. ასევე ენა უყურადღებოდ არ ტოვებს საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის ხერხებსა და კულტურულ ტრადიციებს. ენის განვითარების დინამიკას ნათლად ასახავს ბავშვის განვითარება როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. თუ კარგად დავაკვირდებით ამ პროცესს, ცხადი გახდება, თუ როგორ ხდება ბავშვის ენობრივი „აღზრდა“, ანუ როგორია ენის გავლენა ბავშვის აღზრდის პროცესზე, რა მიმართულებით ვითარდება ბავშვი, როცა იგი იწყებს ენის შესწავლას თუ აღქმას, როცა ის ფლობს ენას ამა თუ იმ დონეზე და როცა ის მართავს დამოუკიდებლად კომუნიკაციას საკუთარი შეხედულებისამებრ. „ენის საშუალებით ნათელი ეფინება იმ ვითარებას, თუ როგორ გარდაიქმნება ბიოლოგიური ადამიანი, ბიოლოგიური არსება სოციალურ ადამიანად, სოციალურ არსებად. ენის საშუალებით ადამიანი სწავლობს აღიქვას გარე სამყარო, მოახდინოს საკუთარი მოთხოვნების და განცდების კოდიფიცირება“ (ოსკაარი 2003:16).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენა არ არსებობს ცარიელ სივრცეში და არ შეიძლება იქნას განხილული ადამიანისაგან, ადამიანთა ჯგუფისაგან და იმ საზოგადოებისაგან იზოლირებულად, რომელსაც ის ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით

გვერდს ვერ აუვლით ედვარდ სეპირს, რომელიც განმარტავს, თუ რაოდენ დიდია ენის შესწავლის პროცესში ორი ასპექტის, - გარესამყაროსა და საურთიერთო, საკონტაქტო პირის როლი. იგი ენაში ხედავს გზის გამკვლევს სოციალურ რეალობაში და ადგენს: “Eliminate society and there is every reason believe that the child will learn to walk, if, indeed, he survives at all. But it is just as certain that he will never learn to talk, that is, to communicate ideas according to the traditional system of a particular society”. („უგულებელჰყავით საზოგადოება და არ არსებობს იმის მიზეზი გჯეროდეთ, რომ ბავშვი სიარულს ისწავლის, ან გადარჩება თუ არა საერთოდ. მაგრამ ცხადია, რომ ის ვერასოდეს ისწავლის ლაპარაკს, რაც გულისხმობს აზრების გაცვლა-გადაცემას კონკრეტული საზოგადოების ტრადიციული სისტემის მიხედვით”) (სეპირი 1921:2).

ინდივიდისათვის ენა მისი პიროვნული და სოციალური იდენტურობის ძირითადი ფაქტორია და ასევე იდენტიფიკაციის ფაქტორიც. ხშირად გვეხმის ჩვენს გარშემო ამ ტიპის გამოთქმები: „ის სხვანაირად ლაპარაკობს“, „ის რაღაც განსხვავებულია ყველასგან“. ამ გამოთქმებთანაა დაკავშირებული ყველა სხვა პოზიტიური თუ ნეგატიური შეფერილობის ფრაზა. ჩვენი ენით ცხადდება როგორც ჩვენი ნაციონალური და რეგიონალური მიკუთვნებადობა, ასევე ჩვენი მიკუთვნებადობა სქესთან, საზოგადოების ამა თუ იმ ფენასთან ან საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფთან. პიროვნების იდენტიფიკაციის ნიშნებია ხმა, გამოთქმა, ინტონაცია, სიტყვათა შერჩევა, სიტყვაწყობა წინადადებაში, წინადადების წყობა, სინტაქსური კომბინაციების აგების შესაძლებლობები, ასევე ნონვერბალური და ექსტრავერბალური კომპონენტები და მრავალი სხვა. ენა ასევე საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ინსტრუმენტია. ენის გარეშე საზოგადოების ინსტიტუციების ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით ოსკაარი ასკვნის, რომ ენა სოციალური კონტროლისა და სოციალური გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ კონტაქტს ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლებთან, არამედ ის თავადაა ჯგუფის შექმნისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების განმსაზღვრელი ფაქტორი. გარდა ამისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევა იგი ენის როლს ეროვნული იდენტურობის ჩამოყალიბების საქმეში (ოსკაარი 2003:16).

ოსკაარი თვლის, რომ ოთხი კომპონენტი – ენა, კულტურა, ინდივიდუმი, საზოგადოება – ქმნის ერთ მთლიანობას, რომელშიც მისი შემადგენლები არა იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კონტაქტში, ერთმანეთთან კავშირში უნდა იქნეს განხილული იმ შემთხვევაშიც კი, როცა რომელიმე მათგანი ცალკე გამოიყოფა კვლევის ობიექტად. საკითხები, რომლებიც ინდივიდს და მის ენას ან ენებს ეხება, მუდმივად აღქმულ და შეცნობილ უნდა იქნას როგორც ინდივიდუალური და საზოგადოების ფენომენები და არა როგორც დიქტომიურ ნიშანთა მატარებელი. ის განხილულ უნდა იქნას კონვერგენციის პრინციპის მიხედვით. ამ კონტექსტში ოსკაარი იმოწმებს არისტოტელეს, რომლის თანახმადაც ადამიანი არის როგორც zoon logon echon, ასევე zoon politicon რაც ნიშნავს, რომ ადამიანი არსებაა, რომელსაც აქვს ერთი მხრივ ლოგოსი, ანუ ენა, გონება და მეორე მხრივ ის, რომ იგი სოციალური არსებაა. ადამიანი დანახულ უნდა იქნეს მის გარეგან და შინაგან გარემოთა შორის ურთიერთობის, მისი ენობრივ-ეკოლოგიური სისტემის ფონზე. ამ კონტექსტში შესაძლოა ლაპარაკი იყოს ასევე მისი სოციოკულტურული ურთიერთობის ჩარჩოების შესახებაც (ოსკაარი 2003:17).

## **2.2 ენათა დიფერენციაცია სოციოლინგვისტიკურ ჭრილში**

### **ტერმინის სოციოლინგვისტიკური ასპექტები**

დარგობრივი ტერმინი, რომელიც დარგობრივი ენების საფუძველია, პირველ რიგში დარგის სპეციალისტებს შორის კომუნიკაციის საშუალებაა, რომელსაც ისინი კომპლექსური საგანთა მიმართებების აღსანიშნად და მათ გამოსახატად იყენებენ. ამდენად ეს ენები განსაზღვრულ აზროვნებისა და ქმედების სახეობაზეა ორიენტირებული და მათთან დაკავშირებული, რომლებიც თავის მხრივ მათი ენობრივი გამოხატვის ფორმებზე ახდენენ გავლენას. ამ ტიპის პროფესიონალური ენობრივი ქმედება დარგობრივი ინფორმაციის ასახვისას და მისი ენობრივი გამოხატვისას უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ზუსტი და ცალსახა, რაც ხორციელდება ერთი მხრივ სისტემური ტერმინოლოგიის, დარგობრივი ტექსტის სახეობების კონვენციებისა და მეორე მხრივ – დარგობრივი ინფორმაციის ზოგადი სტრუქტურირების გათვალისწინებით. დარგობრივი კომუნიკაციისათვის ეს ნიშნავს მნიშვნელობის კონოტაციური და ემოციური კომპონენტების უკანა პლანზე გადაწევასა და ავტორის მიერ ეფექტური,

ენობრივად ეკონომიური ტექსტის აგებას ინფორმაციის შეფასებისაგან დისტანციურად (საკუთარი აზრის გამოხატვის გარეშე).

დარგობრივი ენების გამოყენებამ შესაძლოა სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტებს შორის, ასევე/ან სპეციალისტა და დილექტანტს შორის გამოიწვიოს კომუნიკაციური გაუგებრობები, რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს და სრულყოფილ იქნეს ცოდნის ტრანსფერის სპეციფიკური ფორმით.

ჰოფმანი აღნიშნავს, რომ „ნამდვილი დარგობრივი ენა ყოველთვის უკავშირდება სპეციალისტს. თუ მას არასპეციალისტი იყენებს, დარგობრივი ენა კარგავს თავის უშუალო კავშირს დარგობრივად აზროვნებასთან. ცნებები და გამონათქვამები ასევე კარგავენ თავისი მნიშვნელობისა და სიზუსტის დიდ ნაწილს, უპირველეს ყოვლისა კი თავის მიმართებას დარგობრივ სისტემატიკასთან, რასაც დილექტანტი ვერ ამჩნევს” (ჰოფმანი 1976:31).

გლეზერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დარგობრივი კომუნიკაციის ქმედების შედეგი დარგობრივი ტექსტია, რომელიც მიმართებებით დაკავშირებული, საგნობრივ-ლოგიკურად დანაწევრებული, დასრულებული, რთული ენობრივი გამონათქვამია, რომელიც გამოხატავს გარკვეული საქმიანობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ შინაარსს, იყენებს სიტუაციურად ადეკვატურ ენობრივ საშუალებებს და ავსებს მათ ისეთი ვიზუალური საშუალებებით, როგორცაა სიმბოლოები, განტოლებები, გრაფიკები და სურათები (გლეზერი 1990:18).

ამდენად, დარგობრივი ენა და კომუნიკაცია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალ აქტანტს გულისხმობს, რომელთაგან თითოეული როგორც ლინგვისტიკის, ისე სოციოლოგიის კვლევის საგანი უნდა იყოს. აღნიშნულ აქტანტაგან ერთ-ერთის უგულებელყოფა, ანუ მათი განცალკევებული კვლევა ვერ შექმნის განსახილველი საგნის სრულ სურათს. შესაბამისად, ტერმინის, დარგობრივი ენისა და კომუნიკაციის კვლევა წარმოადგენს ორი დარგის, - ლინგვისტიკისა და სოციოლოგიის პრეროგატივას, ამ დისციპლინათა სიმბიოზურ კვლევით საქმიანობას, რაც თავის მხრივ აღნიშნულ დისციპლინის შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს, რადგან ამა თუ იმ დარგობრივი ენის გამოყენება შესაბამისი დარგის სპეციალისტის, შესაბამისი სოციალური ფენის წარმომადგენლის, სტატუსისა და ასაკის მქონე პროფესიონალის მიერ ხდება, რომელიც ამა თუ იმ სფეროს, ან/და საზოგადოების წევრია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ზოგადად ტერმინი, შესაბამისად დარგობრივი ლექსიკა, და მათ შორის, ცხადია, ჩვენი კვლევის საგანიც – კომპიუტერული ლექსიკა - სოციოლინგვისტიკის კვლევის საგანია, რადგან სოციოლინგვისტიკის შესწავლის ძირითადი ობიექტია პროფესიული ენების სუბსტანდარტული ლექსიკა და აღნიშნული ლექსიკის ფუნქციონირების სოციალური კონტექსტი. ხშირ შემთხვევებში სოციოლინგვისტიკურ ნაშრომებში ვხვდებით ტერმინოლოგიური მეტონიმის ფაქტებს, როცა ვარიანტული სიტყვაშეთანხმებებით – პროფესიული ენა/პროფესიული ქვეენა/სუბენა – სახელდება სხვადასხვა ფენომენები, კერძოდ, ენის პროფესიულად განპირობებული ფორმის ფენომენი და ენის ამავე ფორმის სალექსიკონო შემადგენლობის ერთეულები (კომაროვა 2004).

ამავე კონტექსტში მოვიაზრებთ დარგობრივ კომუნიკაციასაც. იგი, როგორც სოციალური მოვლენა ასევე სოციოლინგვისტიკის ჭრილში უნდა განიხილებოდეს, რადგან მის საფუძველს როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინი ქმნის.

სოციოლინგვისტიკისა და კომუნიკაციური სიტუაციის მიხედვით დარგობრივი ენების კლასიფიკაციის მცდელობა სლექტინგს და ჰანსენს ეკუთვნით. ისინი ასახელებენ ენების სამ ტიპს: 1. ენა, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციური აქტის პროცესში, რომელშიც მონაწილეობს ამა თუ იმ პროფესიული სფეროს ორი ექსპერტი. (ამ შემთხვევაში ისინი ამა თუ იმ დარგის პროფესიონალები არიან). 2. ენა უპირატესად ლიტერატურულია, ამა თუ იმ პროფესიონალური სფეროს კომუნიკაციური აქტია, თუ მასში მონაწილეობს ერთდროულად ექსპერტი და არა ექსპერტი (მაგალითად ჟურნალისტი უყვება თავისი სპეციალობის შესახებ აუდიტორიას). 3. ენა, ზოგადად, თუ ის ყოველდღიურად გამოიყენება არასპეციალისტთა მიერ. (სლექტინგი, ჰანსენი 1977)

დარგობრივი ენების მეორე ფუნქციონალური კლასიფიკაცია ეყრდნობა დიფერენციაციას პროფესიული დარგისა თუ სფეროს გათვალისწინებით ან/და მის საფუძველზე, რომელსაც ესა თუ ის დარგობრივი ენა ემსახურება (მეცნიერება, ტექნიკა, მედიცინა, ტრანსპორტი და ა.შ.)

მესამე კლასიფიკაცია სტრუქტურული ტიპისაა. მისი ფუნქცია დარგობრივი ენების მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის აღწერაა. დარგობრივ ენებს, რომლებიც ვერბალურ დონეზე გამოხატავენ პროფესიონალურ ცოდნას, აქვს ყველა ლექსიკურ-

სემანტიკური საშუალება, რომელიც საშუალებას აძლევს მას ადეკვატურად მოემსახუროს პროფესიულ სფეროს (გრაუდინა, შირიაევი, 1999:206).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დარგობრივი კომუნიკაციის პროცესი სოციალური ქმედებაა და იგი სოციალურ ურთიერთობებში აისახება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სოციალური მოვლენების, მათი თავისებურებებისა და მახასიათებლების კვლევა ლინგვისტური კუთხით სულ უფრო მეტ ღირებულებას იძენს, ხდება სულ უფრო აქტუალური და მრავალი მკვლევარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

### 2.3 ტერმინოლოგია და დარგობრივი ენები რეტროსპექციულ ჭრილში

ტერმინოლოგიის შესწავლისადმი მიძღვნილი ლიტერატურის მიმოხილვა გვამძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ტერმინოლოგიის წარმოშობა და მისი განვითარება დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე მოხერხდებოდა ერთი მხრივ მისი მეცნიერული გააზრება და მეორე მხრივ მისი იმ კრიტერიუმების დამუშავება, რომელთა მიხედვითაც ხდება ამა თუ იმ ერთეულების მიკუთვნება ტერმინოლოგიური ლექსიკისადმი. დიდი ხნის განმავლობაში ამ პროცესებს იზომორფული ხასიათი ჰქონდა, იგი დაკავშირებული იყო დენოტატთა და მათ შესატყვის ცნებათა სტიქიურ წარმოშობასა და ევოლუციასთან, ამასთან ეს პროცესი მიმდინარეობდა ზოგადი ენის ბაზაზე, რაც განაპირობებს კიდევ იმ მოსაზრებას, რომ ტერმინოლოგია განხილულ იქნას ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ნაწილად (სუსპენსკაია, პოდოლსკაია, ვასილიევა 2009).

ტერმინოლოგია დინამიური და მოძრავი ენის ლექსიკური სისტემაა, ამიტომ კვლევას ამ სფეროში აქვს ისტორიული საწყისები, რომელიც გვამძლევს ინფორმაციას ტერმინოლოგიის წარმოშობის, მისი განვითარებისა და მისი დროში ცვალებადობის შესახებ, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია შესაბამისი მეცნიერებისა და ეპოქის აზროვნების ზოგად სტილთან. „ტერმინოლოგია, როგორც ტერმინთა ერთიანობა, სპეციალური ლექსიკის ნაწილია, მისი შემადგენელია“ (რეფორმატსკი 2005:7).

ფლუკი თვლის, რომ დარგობრივი ენა სათავეს იღებს იქ, სადაც თავად ენა. იგი ისევე ძველია, როგორც ენა. დარგობრივი ენების წარმოშობის საფუძველს საზოგადოებაში სამუშაოს დანაწილება წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ერთმანეთთან

ურთიერთობა დაიწყო და სხვადასხვა წარმოების საქმიანობას შეუდგნენ, გაჩნდა კონკრეტული ენის გამოყენების საჭიროება. თუმცა ცალკეული დარგობრივი ენების წარმოშობა შესაბამისი სპეციალობებისა და დარგების აღმოცენების პერიოდს ემთხვევა. (ფლუკი 1996:27-28).

ფლუკი იზიარებს მოსაზრებას, რომ უძველესი დარგობრივი ენების რიცხვს მიეკუთვნება მეზღვაურთა და მეთევზეთა ენა, ასევე მიწათმოქმედთა და მჭედელთა ენა, რომლებიც ჯერ კიდევ დამწერლობის წინა პერიოდში არსებობდა. ავტორის დაკვირვებით ადრეულ დარგობრივ ენებში ჭარბობდა ლათინური წარმოშობის სიტყვები და ტერმინები, რაც ლათინური ენის პრიმატსა და მის გავლენაზე მეტყველებს. ლათინური ენის გავლენა, როგორც ფლუკი აღნიშნავს, ასევე აშკარად აისახა მშენებლობისა და ღვინის წარმოების დარგებზე. დარგობრივი ენის განვითარების პირველ წყაროდ ავტორი ასახელებს გამოცანების, შელოცვებისა და ანოტაციების ტიპის ტექსტებს, რომლებიც ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ავტორი თვლის, რომ ეს ტექსტები შეიცავდნენ დარგობრივ ტერმინებს (ფლუკი 1996:28).

დარგობრივმა ენებმა წერითი სახით არსებობა შუა საუკუნეებში დაიწყო. პირველი წერილობითი დარგობრივი ტექსტები გაჩნდა ისეთ დარგებში როგორებიცაა ფილოსოფია, სამართალმცოდნეობა, ქიმია, მედიცინა. იმდროინდელ დარგობრივ ტექსტებში განსხვავებით მხატვრული ტექსტისაგან ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ტექსტის ემოციურ და ესთეტიკურ მხარეს. დარგობრივი ტექსტის შედგენისას გათვალისწინებული იყო მისი მარკერები - აზრის სიზუსტე, სიცხადე და ლაკონურობა (ფლუკი 1996:29).

XVIII საუკუნე ითვლება სხვადასხვა დარგობრივი ენების წარმოშობის, მათი ჩამოყალიბებისა და ფორმირების გადამწყვეტ, ანუ გარდამავალ ეტაპად, რადგან ამ პერიოდს ეკუთვნის დარგობრივი ენების განვითარების აღმავლობა. ამ პერიოდში განვითარდა მეცნიერება, ტექნიკა, ეკონომიკა და მათთან ერთად საზოგადოებაც. შეიქმნა ახალი დარგები, როგორებიცაა: ბეჭდვითი და ელექტრონული ტექნიკა, რკინიგზა და ა.შ. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი ენების განვითარების ისტორიაში ამ პერიოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი ენების კვლევის თვალსაზრისით ეს პერიოდი არ იყო მრავალფეროვანი და მდიდარი მეცნიერული ნაშრომებით. შესაბამისად ძალიან მწირია ინფორმაცია. მ.გიზეკე თვლის, რომ შუა საუკუნეების დარგობრივ

ლიტერატურასა და დარგობრივი ენის უახლეს ისტორიას შორის კავშირი არ არსებობს (გიზეკე 1983). ჰააგე დარგობრივი ლიტერატურისა და დარგობრივი ენის უახლეს ისტორიას განიხილავს სხვადასხვა დარგის განვითარების ისტორიად და ამბობს: „მეცნიერების ისტორიის წინარე ცოდნის გარეშე ვერც შუა საუკუნეების დარგობრივი ლიტერატურის რეალიებსა და კომუნიკაციურ ღირებულებებს აღვიქვამთ და ვერც თანამედროვე დარგობრივი ენის ისტორიის ინოვაციებს განვიხილავთ“ (ჰააგე 1983:186).

XIX საუკუნე ცნობილია ინდუსტრიული რევოლუციის სახელწოდებით. ეს პერიოდი ხასიათდება ტექნიკური დარგების განვითარებითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში რადიკალური საიხლეების დანერგვით. შეიქმნა ახალი დარგები და დისციპლინები. შესაბამისად ჩამოყალიბდა ახალი დარგობრივი ენებიც, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდნენ.

მეცნიერულ-ტექნიკური დარგობრივი ენების მრავალფეროვნების თვალსაზრისით გამოირჩევა XX საუკუნე. დამკვიდრდა ასობით ახალი ტერმინი, რაც დარგობრივი ენის ლექსიკონების შედგენის საფუძველი გახდა. უკვალოდ არ გაქრა არც ძველი დარგობრივი ენები. მათ განიცადეს მკვეთრი ცვლილებები და მოხდა მათი შევსება ახალი ტერმინებით. დარგობრივი ტერმინების რიცხვმა მილიონი შეადგინა.

დარგობრივი ტერმინოლოგიის კვლევისას ანთროპოლინგვისტიკის ჭრილში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას დარგობრივი ლექსიკის ფორმირების თავისებურებები, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ამა თუ იმ პროფესიონალური საქმიანობის შემეცნების პროცესთან. სამეცნიერო ცოდნის ფორმირება და დაგროვება ხდება ადამიანის სამეტყველო-შემეცნებითი საქმიანობის პროცესში. სწორედ აზრისა და სიტყვის დახმარებით ხდება ახალი ცოდნის მიღება, ფორმირება და დამაგრება ამა თუ იმ საზოგადოებაში. მეცნიერების პროგრესი დაკავშირებულია არა მხოლოდ სამეცნიერო მონაცემების დაგროვებასთან, არამედ სამეცნიერო აზროვნების ლოგიკის განვითარებასთან, და ცხადია, სამეცნიერო ენასთან. ახალი სამეცნიერო ცნებების წარმოშობა გულისხმობს ამ ცნებათა წარმატებული ვერბალური გამოხატვის ძიებას. „ტერმინები არ ჩნდება, მათ არ იგონებენ, ისინი იქმნება მათი აუცილებლობის გაცნობიერების მიხედვით“ (ვინოკური 1939:24).

ცხადია, ტერმინები იქმნება ნაციონალური ენის საფუძველზე. ამასთან ნებისმიერი ტერმინის ნაციონალური ენობრივი გაფორმება ეყრდნობა “ენის მთელ სტრუქტურას, მთელ მის სიტყვაწარმოებით ბაზას, ხატოვნების მთელ არსენალს”. გამოხატვის ნაციონალური ფორმა, რომელსაც იძენს ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგია სხვადასხვა ნაციონალურ ენებში, ასახავს ამ ეთნოსის ნაციონალური აზროვნების ლოგიკას და მისი ნაციონალური მსოფლხედვის სპეციფიკას (კორნილოვი 2003:68).

ცოდნის სხვადასხვა დარგისა თუ წარმოებისათვის დამახასიათებელი ტერმინები თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა: ზოგიერთი ჩასახვის სტადიაშია, სხვები კი სრულად აკმაყოფილებენ თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, მათი დიდი ნაწილი იკავებს შუალედურ მდგომარეობას. მიზანშეწონილია გამოიყოს ტერმინოლოგიის განვითარების სამი ეტაპი:

1. საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელია პროფესიული ლექსიკის ბაზაზე ტერმინოლოგიის თანდათანობითი „აღმოცენება“, ძირითადი გვარეობითი ცნებების ტერმინოლოგიზაცია. პროფესიონალური ლექსიკა თავდაპირველად ასრულებს მუშა ტერმინების ფუნქციას, შემდეგ კი - ჩვეულებრივი ტერმინების ფუნქციას. აქ ჯერ კიდევ არ არის ზუსტი სისტემური ორგანიზაცია. ხშირია სინონიმები, არ არსებობს ტერმინთა წარმოების სპეციალური ხერხები.

2. მეორე ეტაპზე ტერმინოლოგია სისტემურად ორგანიზებულია: გვარეობითი ცნებები იღებს ტერმინების სახეს და მათზე დაყრდნობით იწარმოება ახალი ტერმინები. ვითარდება სპეციფიკური ტერმინოლოგიისათვის ობლიგატორული სიტყვაწარმოების ხერხები. ტერმინებმა მიიღეს დეფინირება, ტერმინებს ენიჭება ლოგიკური და ლინგვისტური ნიშან-თვისებები, ტერმინოლოგია მომწიფებულია უნიფიკაციისათვის და სტანდარტიზაციისათვის.

3. მესამე ეტაპზე ტერმინოლოგია სისტემურად ორგანიზებულია. ტერმინოლოგიის ჩარჩოებში ყალიბდება ტერმინთა ჯგუფი, რომელიც იყენებს ნომინაციის სამეცნიერო-ინტელექტუალურ ნიშან-თვისებებს. ტერმინოსისტემის შემდგომი სრულყოფა მიმდინარეობს მისი შიდა რესურსების ხარჯზე, ასევე სახეზეა ტერმინთა გამდიდრების პროცესი მომიჯნავე ტერმინოლოგიის ხარჯზე. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია ასევე სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის კოორდინაციის ამოცანების გადაჭრის საკითხები საერთაშორისო მასშტაბით (თაბუკაშვილი, ჩხეიძე 2012).

## 2.4 დარგობრივი ენების არსებობის ფორმები

ნებისმიერი ენა გარკვეული ფორმით არსებობს. ენის არსებობის ფორმები - ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული ცალკეული სისტემები, რომლებსაც სხვადასხვა საკომუნიკაციო სტატუსი აქვთ. ენას, შესაძლოა ერთი არსებობის ფორმა ჰქონდეს, შეიძლება - რამდენიმე. ისტორიული განვითარების პროცესში ენის არსებობის ფორმები ჩვეულებრივ იცვლება: არსებობის ერთი ფორმა ენაცვლება მეორეს, ან ერთი ფორმის გვერდით მეორეც მკვიდრდება.

**ზოგადი, ანუ საყოველთაო ენა** (მას სტანდარტულ ენას, სალიტერატურო ენასაც უწოდებენ) ენის არსებობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ფორმაა. იგი მხატვრული ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლების, ოფიციალური ინსტიტუტების ენაა. ამგვარ პოლიფუნქციურობასთან ერთად მას ახასიათებს უმაღლესი ენობრივი სტატუსიც - იგი დიალექტებსა და სოციალურ ჟარგონებზე ზემდგომი ფორმაა. ამ თვალსაზრისით მას მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს (ფლუკი 1996).

**დარგობრივი ენა** ენის ის ფორმაა, რომელიც ემსახურება ენობრივი კომუნიკაციის დამყარებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. დარგი ზოგადად გაიგება როგორც სფერო, რომელშიც ადამიანმა მიიღო განათლება, რომელშიც იგი სპეციალიზირებულია ანდა სპეციალობის მიხედვით მუშაობს. ამასთან აქ დარგში იგულისხმება არა მხოლოდ სამეცნიერო დისციპლინა, არამედ ასევე მისი გამოყენების სფეროები, მაგ: ტექნიკა, ბიზნესი, მედიცინა, ტრანსპორტი, სახელმწიფო თუ კომუნალური მმართველობა, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება და ა.შ. (ფლუკი 1996).

„დარგობრივი ენა ყველა ენობრივი საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ დარგობრივ სფეროში, დარგობრივად შემოსაზღვრულ კომუნიკაციის სფეროში, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის გაგებინების უზრუნველსაყოფად“ (ფლუკი 1996).

გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივი ენა უამრავ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროს მოიცავს, (ხელოვნება, მედიცინა, ტექნიკა, მშენებლობა და ა.შ.) დარგობრივი ენის განმარტების დროს თავს იჩენს სხვადასხვა სახის სირთულეები. საყოველთაო, უნივერსალური დეფინიცია დარგობრივი ენისა არაა შემუშავებული. ეს გასაგებიცაა, რადგან დარგობრივი ენები მრავალი დისციპლინის კვლევის ობიექტია და ნებისმიერ

შემთხვევაში დეფინიციათა მრავალფეროვნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული, განსაზღვრული ასპექტი (კომუნიკაციური, სოციოლოგიური, პრაგმატული) და ამ ასპექტის რელევანტურობა, რომელთანაც შესაბამისობაშია დარგობრივი ენის თითოეული განმარტება.

დარგობრივი ენის ძირითად ამოცანად ფლუკი მიიჩნევს ენობრივ ნიშანთა მარაგის გამოყენებას გარკვეული ობიექტისა თუ საქმის ვითარების ზუსტი და ლაკონური ფორმით წარმოსაჩენად. აქედან გამომდინარე იგი თვლის, რომ დარგობრივ ენას, როგორც ნიშანთა ერთობლივ სისტემას „ინსტრუმენტალური“ ხასიათი აქვს (ფლუკი 1996).

დარგობრივი ენები სოციალურად სტრუქტურირებადი ენებია და იგი ორ სიბრტყეზე - ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურზე განეფინება.

დარგთა სრულყოფილი განთავსება ჰორიზონტალურ სიბრტყეზე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მუდმივად ვითარდება და წარმოიქმნება ახალი სამეცნიერო სფეროები, ხოლო მოძველებული დარგები ქრება ან სხვა სფეროში ინტეგრირდება. დარგობრივი სფეროს მრავალფეროვნების პირობებში შესაბამისად არსებობს ამ დარგის შესაფერისი და მისი სემანტიკური კონცეპტების ადეკვატური დარგობრივი ენებიც. თუმცა ისინი, მაგალითად ეკონომიკა, იყოფა უამრავ ქვედარგად, როგორებიცაა ბიზნესი, ფინანსები, აუდიტი, საბანკო საქმე და ა.შ. აქედან გამომდინარე დარგობრივი ენებიც იყოფა ჯგუფებად. საქმე ეხება დარგობრივი ენების განლაგება/განფენას ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ სიბრტყეზე. ჰორიზონტალური სიბრტყის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებობს დარგობრივ ენათა იმდენი რაოდენობა, რამდენი დარგობრივი სფეროცაა. ანუ, ენათა და დარგთა რიცხოვანება ადეკვატურ თანაფარდობაშია ერთმანეთთან. მაგ. არსებობს მედიცინის დარგობრივი ენა, ეკონომიკის დარგობრივი ენა, ფიზიკის დარგობრივი ენა, ტექნიკის დარგობრივი ენა და ა.შ. რადგან გლობალიზაციის ფონზე ბევრი ახალი სამეცნიერო სფერო იქმნება, ხოლო ბევრიც ძველდება და ან ქრება, შესაბამისად შეუძლებელია დარგობრივი ენების ზუსტი რაოდენობის დადგენა. შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი ენების რიცხვი მუდმივად ცვლადია და აქედან გამომდინარე შეუძლებელია მათი ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებიდან იმის დადგენა, თუ რამდენი დარგობრივი ენა არსებობს დღესდღეობით ან რამდენი არსებობდა და გაქრა (ფლუკი : 1996).

დარგობრივი ენები *ჰორიზონტალურ სიბრტყეზე* შესაძლოა განფენილ იქნას სამ სფეროში - სამეცნიერო, ტექნიკურ და ინსტიტუციონალურ სფეროებში. შესაბამისად არსებობს სამი მსხვილი დარგობრივი ენა:

1. სამეცნიერო ენა (მას ასევე უწოდებენ თეორიულ ენასაც)
  - სამეცნიერო დარგობრივი სფეროებისა და თეორიების ენა
2. ტექნიკის ენა
  - ხელსაწყოებისა და მათი გამოყენების ენა
3. ინსტიტუციების ენა
  - ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის ენა

სამეცნიერო, ტექნიკურ და ინსტიტუციურ ენებთან ერთად არსებობს სხვა დარგობრივი ენებიც, რომლებიც *ჰორიზონტალურ სიბრტყეზე* ერთმანეთს ემიჯნებიან და სხვადასხვა დარგებს მიეკუთვნებიან. *ჰორიზონტალური სიბრტყე* განასხვავებს ხელით მომუშავე და მეცნიერებაში მომუშავე ადამიანების ენებს. *ჰორიზონტალურ სიბრტყეზე* განფენილ ენებს მიეკუთვნებიან:

1. უძველესი წარმოებისა და ხელით მომუშავეთა დარგობრივი ენა (გემთმშენებლობა, ხის დამუშავება, წიგნის ბეჭდვა, ნადირობა და სხვა.)
2. ტექნიკური დარგობრივი ენა და გამოყენებითი მეცნიერების დარგობრივი ენა (მაგ. ელექტროტექნიკა, ინფორმატიკა, რკინიგზის მნიშვნელობა, ტელეკომუნიკაცია)
3. სამეცნიერო დარგობრივი ენა (მაგ. მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, იურიდიული მეცნიერება, ეკონომიკის დარგობრივი ენა, თეოლოგია და ა.შ)
4. ინსტიტუციური ენები (მაგ. პოლიტიკის დარგობრივი ენა, იურიდიული დარგობრივი ენა, მმართველობის ენა) (ფლუკი 1996).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სამი დარგობრივი ენის გარდა არსებობს აგრეთვე სხვა დარგობრივი ენებიც, რომლებიც *ჰორიზონტალურ სიბრტყეზე* განეფინებიან. მათ უწოდებენ *კვეენებს*, ანუ *სუბენებს*. ენათა ამგვარი გადანაწილება განავრცობს *ჰორიზონტალურ სიბრტყეზე* განლაგებულ დარგობრივ ენებს. ესენია:

- საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგობრივი ენა

- პროდუქციის-, დამზადებისა- და სერვისის სექტორის დარგობრივი ენა (იგივეა, რაც ტექნიკისა და ინსტიტუციის ენა)
- სამეცნიერო-, ტექნიკის-, ბიზნესის- ენა
- პროფესიული და სამეცნიერო ენა
- თეორიული(სამეცნიერო) და პრაქტიკული(ყოველდღიური) ენა(ფლუკი 1996).

ჰოფმანი დარგობრივი ენების ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განფენას მიიჩნევს ღია სივრცედ, რომლის შევსება და განახლება მუდმივად ხორციელდება (ჰოფმანი 1985).

დარგობრივი ენების განფენა *ვერტიკალურ სიბრტყეზე* გულისხმობს ცალკეულ დარგში არსებული აბსტრაქციის დონეებს.

ამასთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი თეორია ჩამოაყალიბეს ჰაინც იშერტმა და ლოთარ ჰოფმანმა.

ჰაინც იშერტი წარმოადგენს დარგობრივი და ენობრივი აბსტრაქციის სამ დონეს:

1. სამეცნიერო ენა (თეორიული ენა)
  - წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებისა და მკვლევარებს შორის
  - უმაღლესი აბსტრაქციის დონე
2. დარგობრივი სასაუბრო ენა
  - ზეპირი კომუნიკაცია სპეციალისტებს შორის
  - საშუალო აბსტრაქციის დონე
3. წარმოების ენა (ტექნიკურ ენასაც უწოდებენ)
  - წარმოებაში არსებული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია
  - დაბალი აბსტრაქციის დონე (ჰოფმანი 1985).

ჰოფმანი განასხვავებს აბსტრაქციის ხუთ დონეს:

1. უმაღლესი აბსტრაქციის დონე უჭირავს სამეცნიერო, ანუ თეორიულ ენას
  - გამოიყენება მეცნიერთა მიერ
2. ექსპერიმენტული სამეცნიერო ენა
  - ხელოვნური სიმბოლოების გამოყენება
3. გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის ენა
  - მარტივი ენა და ჭარბი ტერმინოლოგიზაცია
4. მატერიალური პროდუქციის ენა
  - ჭარბი ტერმინოლოგიზაცია

## 5. საყოველთაო ენა

- ბუნებრივი ენა, ტერმინების ნაკლებობა და უკავშირო ტიპის სინტაქსი. გამოიყენება წარმოებასა და ვაჭრობაში (ჰოფმანი 1985).

ესა თუ ის დარგი და მისი შესაბამისი დარგობრივი ენა „ვარგისიანია“, გამოიყენება რაღაც გარკვეული პერიოდის მანძილზე. ამიტომ ამა თუ იმ დარგობრივი ენის ლექსიკა მალე ცვდება, ძველდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ტევადი და ვრცელია, ვიდრე საყოველთაო ენა. ეს იმით აიხსნება, რომ არსებობს უამრავი დარგი, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდება. ამიტომ გამოიყენება ტერმინი „დარგობრივი ენები“ - და არა „დარგობრივი ენა“ - რადგან არსებობს იმდენი დარგობრივი ენა, რამდენი დარგიცაა (ფლუკი 1996).

**პროფესიული ენების** ცნება რამდენადმე უფრო ვიწროა და განისაზღვრება თვით მოლაპარაკე სუბიექტით, მაგ: პოლიტიკოსის ენა. მაგრამ საზოგადოებრივ პროცესებში ჩვეულებრივ ხდება პროფესიული ენობრივი კოდის ცვლა. მაგალითად, ამა თუ იმ პროდუქტის მწარმოებლის პროფესიული ენა განსხვავდება ამ პროდუქტის რეკლამის ენისაგან, რომელიც გათვლილია ამ ენის არმცოდნე ან ნაკლებად მცოდნე მომხმარებელზე (ფლუკი 1996).

სპეციალურ ლიტერატურაში „პროფესიული ენა“ (ინგ.technical language; გერმ. Berufs-sprache; ფრანგ. Langue professionnelle) ორი მნიშვნელობით გვხვდება:

1. ენების ტიპები, რომლებიც წარმოიშობა მისი მიკუთვნებადობით განსაზღვრულ პროფესიასთან. (მაგ: მეზღვაურთა ენა, სამხედროთა ენა, სტომატოლოგთა ენა და ა.შ).
2. მოცემული ენის სოციალური დიალექტი, რომელიც იმ პირთა მეტყველების კუთვნილებაა, რომლებიც ერთსა და იმავე პროფესიას წარმოადგენენ (ნელი-უბინი 2003).

მეტყველის განმარტებით პროფესიული ენა განსაზღვრული პროფესიული ჯგუფის ადამიანთა ენაა, მათი დარგობრივი ენაა. პროფესიული ენის ბირთვის ქმნის მისი ტერმინოლოგია. იგი ზოგჯერ მოიცავს ასევე არაფორმალურ ჯგუფურ პროცესებში წარმოქმნილ ენობრივ თავისებურებებს (მეტყველის ენის ლექსიკონი 2005:98). ხშირ შემთხვევაში პროფესიული ენა სემანტიკურად უახლოვდება, თუმცა არ უტოლდება ისეთ

სპეციალურ სახელდებებს როგორებიცაა: პროფესიული ჟარგონი, პროფესიული სლენგი.

პროფესიული ენა ლიტერატურაში სოციოლექტის - სოციალურად (პროფესიულად) განპირობებული ტიპის მნიშვნელობითაც გვხვდება. ამ მნიშვნელობით ის როგორც წესი, გამოიყენება სოციოლინგვისტიკურ ნაშრომებში (სკვორცოვი 1972).

ფუნქციონალურ-სტილისტიკური თვალსაზრისით პროფესიული ენა უპირველეს ყოვლისა ნაციონალური ენის ერთ-ერთი სუბსისტემაა, რომელიც წარმოდგენილია ვარიანტთა მრავალრიცხოვნებით (სხვადასხვა მეცნიერებების, წარმოებების, ხელოსნობის და ა.შ. სუბენები). ეს თავისებურება, როგორც წესი, არის ცნების "პროფესიული" დამატება, მისი შევსება, სრულყოფა ტერმინოლოგიური ფორმანტით (=აფიქსით) „ქვე“, ან/და „სუბ“: პროფესიული ქვეენა/პროფესიული სუბენა. მაგალითად, სოლნიშკინა პროფესიულ საზღვაო ქვეენას ამგვარად განმარტავს: „ესაა ეთნოსის ენის რეალიზაციის ერთ-ერთი ვარიანტი, ქვესისტემა, მეორადი ენა ზოგად ენასთან მიმართებაში, რომელიც გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი თეზაურუსით და რომელიც ემსახურება ზღვაოსნობის დარგში ურთიერთობის როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ სფეროებს. ცხადია, რომ პროფესიული ქვეენა არაა ენა ამ სიტყვის სრულყოფილი გაგებით, რადგან მხოლოდ პროფესიული ერთეულების გამოყენებით შეუძლებელია აიგოს სრულყოფილი გამონათქვამი. მის შემადგენლობაში არსებული ვოკაბულარი მოიცავს არა ყველა თემას, არამედ იგი მოიცავს მხოლოდ განსაზღვრულ, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ და აქტუალურ პროფესიულ სფეროებს, რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია იმ მიზნით, რომ მათ უზრუნველყონ ყოფითი საქმიანობები (სოლნიშკინა 2006).

უახლოეს წარსულში შეიქმნა ახალი დისციპლინა და მისი შესაბამისი მიმართულება ლინგვისტიკაში - ენები სპეციალური მიზნებისათვის და მათი ლინგვისტიკა (სპეციალური მიზნების ენების ლინგვისტიკა – Linguistics languages for special purposes), მას ხშირად მოკლედ LSP ლინგვისტიკას უწოდებენ. ამ დისციპლინის ჩარჩოებში პროფესიულ ენას მიაკუთვნებენ კვაზიტერმინებს, რომლებსაც აქვთ არაერთმნიშვნელოვანი შინაარსი და რომლებიც დამოკიდებულნი არიან მათი გამოყენების კონტექსტზე. ენები სპეციალური მიზნებისათვის შესაძლოა ლიტერატურაში შეგვხვდეს სინონიმებით „სპეციალური ენა“, „ენის პროფესიული ნაირსახეობა“.

საზოგადოებრივი შრომის დანაწევრებას თან სდევს სპეციალური ცოდნის წარმოშობის პროცესი, რომლის მომხმარებლები ცოდნის კონკრეტული დარგის სპეციალისტები არიან. პროფესიული ენები წარმოიშობა საზოგადოებაში პროფესიული ჯგუფების გამოყოფის შედეგად. ფუნქციონალური და სტრუქტურული მიმართულებით სპეციალური ენა რეალიზაციის კონკრეტულ პირობებში შედარებით იოლად იყოფა ცალკეულ პროფესიულ სახესხვაობებად. თითოეული პროფესიული სახესხვაობა მოიცავს სამეცნიერო და პრაქტიკის ენებს (პროფესიული სასაუბრო ენა) (ანენკოვა 2012:13-14).

ტერმინის - პროფესიული ენა - გამოყენების უამრავი კონტექსტის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი გამოიყენება მინიმუმ ხუთი აზრით. 1. ნაციონალური ენის განსაკუთრებული ფორმის აღსანიშნად; 2. სასაუბრო პროფესიული ენის აღსანიშნად; 3. არაკოდიფიცირებული პროფესიული დასახელების ერთიანობის აღსანიშნად; 4. ტერმინის „კონკრეტული სამეცნიერო დარგი“ სინონიმად ისეთ სიტყვაშეთანხმებებში, როგორებიცაა, მაგალითად ქიმიის ქვეენა, მათემატიკის ქვეენა; 5. კოდიფიცირებული და არაკოდიფიცირებული სპეციალური დასახელებების ერთიანობის აღსანიშნად (ფელდე 2015).

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, გამიჯნონ ერთმანეთისაგან ტერმინების პროფესიული ქვეენები/სუბენები და ენები სპეციალური მიზნებისათვის შინაარსი, ლინგვისტები მათ უფრო ხშირად გამოიყენებენ სინონიმებად. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინმცოდნეობაში არსებობს ტრადიცია აღქმულ იქნას ენა სპეციალური მიზნებისათვის „როგორც ტერმინოლოგიური ლექსიკის ფუნქციონალური სფერო, რასაც მნიშვნელოვანწილად მივყავართ ტერმინის ფუნქციის შესწავლამდე მისი სამეტყველო რეალიზაციის პროცესში“ (ტატარინოვი 2006).

ფელდე თვლის, რომ პროფესიული ქვეენა (ან სპეციალური) – ზოგადი ენის რეალიზაციის ვარიანტთაგან ერთ-ერთია, განსაკუთრებული ფუნქციონალურ-სემიოტიკური ქვესისტემაა, რომელიც გამოიყენება პროფესიული ურთიერთობებისათვის, სპეციალური ცოდნის დაგროვების, სპეციალური ცოდნის გადაცემის, და ინტერპრეტაციისათვის, ასევე პროფესიული სფეროს რეალიზების შეფასებისათვის. პროფესიული ქვეენების, როგორც ზოგადი ენის ვარიანტის გამოყოფის ძირითადი ფაქტორები როგორც ცნობილია არის საზოგადოების დანაწევრება (ფელდე 2015).

სპეციალური ქვეენები ემსახურებიან სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა სფეროს, ნაწილობრივ ისინი გამოიყენებიან ასევე ყოფაში. გამოყენების სფეროებისა და პროფესიული ჩარჩოების მიხედვით განასხვავებენ სამ ჯგუფს: 1. საკუთრივ სპეციალური ქვეენები (პროფესიული ქვეენები), რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო, საწარმოო (ინდუსტრიული), სახელმწიფო, პროფესიულ-საზოგადოებრივი, სარეკლამო და ინფორმაციული საქმიანობის სფეროებში, ასევე რელიგიის სფეროში პროფესიული საუბრისთვის, დიპლომატიაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფინანსებში, მოდის სფეროში, სპორტში და ა.შ. 2. ხელობებისა და ხელოსნობის სპეციალური ქვეენები (კედრის წარმოების ქვეენა, მონადირეთა ქვეენა და ა.შ.). 3. კონსუმბტანციონალური სპეციალური ქვეენები, რომლებსაც არ აქვთ მკაფიო საზღვრები ენის სხვა ქვესისტემებთან. ესენია: ტერიტორიალური დიალექტები, მდაბიოთა ენა, ჯგუფური ჟარგონი, კულინარიის ენა, მებაღეობის ენა, ჯარისკაც-კონტრაქტორთა ქვეენა და ა.შ). ანალოგიურ დაყოფას გვთავაზობს ლეიჩიკი (ლეიჩიკი 2006).

ზემოჩამოთვლილ პროფესიულ (სპეციალურ) ქვეენათა ნაირსახეობა შესაძლებელია არსებობდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. დომინანტური ფუნქციის, სპეციალური ლექსიკის შერჩევის თავისებურებების, ანუ იმ სიტყვათა და სიტყვაშეთანხმებათა ერთობლიობის მიხედვით, რომლებიც აღნიშნავენ პროფესიონალთა საზოგადოების სპეციფიკურ ცნებებსა და წარმოდგენებს, ასევე პროფესიული ურთიერთობის ამოცანებს, გამოყოფენ პროფესიულ ქვეენათა სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ, ოფიციალურ-საქმიან და სასაუბრო სტილს, ასევე გამოყოფენ მათი არსებობის ზეპირ ფორმებსაც: არაოფიციალური პროფესიული მეტყველება, ჟარგონიზირებული პროფესიული მეტყველება, პროფესიული ჟარგონი. სპეციალურ ქვეენათა თითოეული ფორმისათვის დამახასიათებელია ენობრივ ერთეულთა და სინტაქსურ კონსტრუქციათა სპეციფიური ნაკრები (ფელდე 2015).

პროფესიულ (სპეციალურ) ქვეენათა ლექსიკონური შემადგენლობა ფუნქციონალურ-სტილისტიკური თვალსაზრისით იყოფა ორ ფენად (ფუნქციონალურ რეგისტრად): ზედა ფენად (ანუ ნორმის ზონა) და ქვედა ფენად (უზუსის ზონა). ზედა ფენა ესაა ტერმინოლოგია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ტერმინოლოგიური ლექსიკის განსხვავებული ჯგუფები. სპეციალური ქვეენის ლექსიკონური

შემადგენლობის ქვედა რეგისტრი წარმოდგენილია სხვადასხვა ჯგუფის პროფესიული და პროფესიულ-ჯარგონული ლექსიკა (ფელდე 2015).

## 2.5. ტერმინოლოგიური ლექსიკის სტრატეგიკაციული ერთეულები

ტერმინოლოგიურ ლექსიკას გარდა მისი ძირითადი სტრატეგიკაციული კომპონენტისა, ტერმინისა, მიეკუთვნება ასევე სტილისტიკურად ნეიტრალური სპეციალური დასახელებები, რომელთა ძირითადი გამოყენების სფერო სპეციალური ენის სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, ოფიციალურ-საქმიანი სტილის წერილობითი ფორმებია. ესაა ტერმინოიდები, პროტოტერმინები, პრეტერმინები, კვაზიტერმინები, ფსევდოტერმინები, დეტერმინები. ისინი განსხვავდებიან ტერმინოლოგიურობის ხარისხით, აღსანიშნ ცნებასთან კავშირის სიღრმით, ასევე ფორმალური ნიშნებით (მაგ. სტრუქტურული ნიშნების რაოდენობით). მოწესრიგებული ტერმინების ერთობლიობა ქმნის ტერმინოსისტემას (ფელდე 2015).

ტერმინოიდები – ტერმინის მსგავსი სპეციალური დასახელებებია, რომლებიც წარმოიშობა ახალი ცოდნის ჩასახვის პერიოდში და რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივ ხანმოკლე დროის მონაკვეთში ცნებათა დასახელებისათვის, რომლებიც არაერთმნიშვნელოვნად ესმით სპეციალისტებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შორის ლექსიკონებშიც ტერმინოიდები გამოიყენება მათ შინაარსზე სხვადასხვა თვალსაზრისის მითითებით. ტერმინოლოგიური ლექსიკის ეს ერთეულები არ გამოირჩევიან მნიშვნელობის სიზუსტით, კონტექსტუალურად დამოკიდებულები არიან, აქვთ არამყარი ხასიათი, შესაძლოა მათი გამოყენება რამდენიმე სუბენაში სხვადასხვა მნიშვნელობებით. ზოგიერთი ტერმინოიდი ფუნქციონირების პროცესში იღებს მკაფიო დეფინიციას, ექვემდებარება კოდიფიცირებას და ხდება ტერმინები. ზოგიერთ ტერმინოიდებს ტერმინები განდევნიან გამოყენების სფეროდან. ზოგიერთი კი გადადის კვაზიტერმინების ჯგუფში (ფელდე 2015).

პროტოტერმინებს ეკუთვნის ჯერ კიდევ სამეცნიერო პერიოდამდე არსებული სპეციალური დასახელებები, რომლებიც ასახელებენ არა ცნებებს, არამედ წარმოდგენებს პროფესიული საქმიანობის სფეროს ობიექტებზე (მაგ. შინაური წამალი, ჩანასახი, ხოლიხი=მოსასმელი ბადე, ბადე=სათხეველი და ა.შ.). პროტოტერმინები მჭიდრო კავშირშია ზოგად ენასთან. მათ განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია

„შემთხვევითი“ ნიშნებით მოტივირებულობა ან დასახელების მოტივის დაკარგვა/გაქრობა. პროტერმინების ფუნქციონირების ძირითადი სფეროა ე.წ. „თავისებური ენობრივი ტერმინოლოგიები“ (ექიმბაშობა, ქსოვა-დართვა=საფეიქრო საქმე, მონადირეობა, მეთევზეობა და ა.შ.) (გრინევი 2001).

ტერმინოლოგიური ლექსიკის კიდევ ერთი სტრატეგიკაციული ერთეული – პრეტერმინები მრავალსიტყვიანი სპეციალური ნომინაციაა, რომელიც ასახელებს ახალფორმირებულ ცნებებს, რომელთათვისაც ჯერ კიდევ არაა მოძებნილი მოკლე დასახელება. წინარეტერმინებს შორის ჭარბობს აღწერითი კონსტრუქციები. მაგ: ლიცენზიის გამცემის საფირმო ნიშნის გამოყენების შესახებ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციაზე ლიცენზირებული შეთანხმება. ასეთი ერთეულები გამოირჩევიან ფორმების არამდგრადობით და ხანმოკლეობით. ბევრი მათგანი დროთა განმავლობაში იცვლება ერთსიტყვიანი ან ორსიტყვიანი ტერმინებით.

საბოლოო ტერმინოლოგიზაციის, ან პრეტერმინის ან მნიშვნელობის დიფუზიური მოცულობის ტერმინოიდის ჩანაცვლების პროცესი ახლით ხშირად დროში იწელება. ასეთ შემთხვევაში პროფესიულ ენაში დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებადი წინარეტერმინები და ტერმინოიდები გადადიან კვაზიტერმინების ჯგუფში. (მაგ: სატყეო და ხის გადამამუშავებელი წარმოება, ენები სპეციალური მიზნებისათვის).

ტერმინოლოგიური ლექსიკის შემადგელობაში გამოიყოფა ასევე ფსევდოტერმინები, რომლებსაც აქვთ ტერმინის ძირითადი თვისებები, თუმცა აღნიშნავენ არარსებულ ან მეცნიერულად დაუსაბუთებელ ცნებას. (მაგ: მუდმივი ძრავი, ფილოსოფიური ქვა, ტელეპორტაცია და ა.შ.).

ტერმინი, რომელიც ზოგად ენაში ისე შევიდა, რომ არ შეუცვლია მნიშვნელობის მოცულობა, უწოდებენ დეტერმინს (მაგ.კომპიუტერი, ქსეროქსი, ვაუჩერი და სხვა).

პროფესიული სუბენის მაღალი რეგისტრის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენლები ნომენებია(=ნომენკლატურა). ნომენი ცალკეულ ობიექტთა დასახელებაა, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის საქმიანობის ისეთ პროდუქტს, რომელიც წარმოებულია მრავალგზის ერთი ნიმუშის მიხედვით (მაგ: საწარმოო დაზგების დასახელებები, მანქანათა მოდელები, ფოლადის მარკები, სელექციონერების პროდუქცია და სხვა). ნომენთა უმრავლესობა ხასიათდება შინაარსის პირობითობით, დამოუკიდებლობით კონტექსტისაგან და უნარით აწარმოოს მთელი რიგი პროდუქცია

(ნომენკლატურები, ჩამონათვალები). ბევრი ნომენი თავის დასახელებაში შეიცავს ციფრებს, სიმბოლოებს, აბრევიატურებს. მაგ: BMW – 500; F-4 და სხვა (კანდელაკი 1970).

**პროფესიული სუბენების** სალექსიკონო შემადგენლობის დაბალი რეგისტრის ერთეულები ასევე არაერთგვაროვანია. ბირთვს ქმნის პროფესიონალიზმები – სტილისტურად მარკირებული სიტყვები, იშვიათად სიტყვაშეთანხმებები, რომლებიც ასახელებენ წარმოდგენებს და ახდენენ პროფესიული საქმიანობის ამა თუ იმ დარგის ცნებების ფორმირებას. ისინი გამოიყენება სპეციალისტთა ზეპირ მეტყველებაში ნახევრად ოფიციალური ან არაოფიციალური ურთიერთობების პირობებში პროფესიულ თემებზე. პროფესიონალიზმების განმასხვავებელი ნიშანია არაკოდფიცირებულობა და ასევე ის, რომ ბევრ მათგანს აქვს სტილისტიკური შეფერილობა, რომელიც ვლინდება მისი სტილისტიკურად ნეიტრალურ სპეციალურ დასახელებასთან შედარების გზით. უმეტეს შემთხვევებში პროფესიონალიზმების ექსპრესიულობა მატერიალურად გამოხატულია სიტყვაწარმოებით აფიქსებში. პროფესიონალიზმების წარმოების პროდუქტიული ხერხია ასევე ზოგადი ენის სიტყვის მნიშვნელობის მეტაფორიზაცია და სპეციალიზაცია. სტილისტიკურად ნეიტრალური პროფესიონალიზმები, რომლებიც ხშირად გამოიყენება სპეციალისტთა მეტყველებაში, შესაძლებელია გადავიდეს ტერმინთა რიგებში. პროფესიონალიზმების ტერმინოლოგიზაციის ალბათობა მაღლდება, თუ მას არა აქვს ერთსიტყვიანი სინონიმი დარგის ტერმინოლოგიის სფეროში.

პროფესიულ ლექსიკაში არის ისეთი ტერმინები, როგორცაა მაგ. „მილის მუხლი“. თუ პროფესიონალიზმი გამოიყენება ორ ან მეტ სპეციალურ სუბენაში, ის გადადის ინტერპროფესიონალიზმების ჯგუფში. მაგ: мука – «пылеобразное вещество»; ფქვილი – მტვრის მსგავსი ნივთიერება; кирпич – «объемная рукопись или книга» აგური – მოცულობითი ხელნაწერი ან წიგნი“ (ფელდე 2015).

სპეციალური სუბენების შემადგენელია ასევე დეპროფესიონალიზმები, ანუ, ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ასახელებენ არაპროფესიული სფეროს ობიექტებს, და რომლებიც ამავე დროს იყენებენ პროფესიული სუბენების მატერიალურ საფუძველს. (მაგ: მიშენება/ მინაშენი; ).

სპეციალური ლექსიკის ცალკე პლასტად გამოიყოფა პროფესიული ჟარგონები. იგი შედგება სპეციფიკური ფორმებისაგან, რომლებსაც ხმარობენ ამა თუ იმ პროფესიული

ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის წევრები ზეპირ მეტყველებაში საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინთა ნაცვლად. მაგალითად, „ტუბიკი“, ნაცვლად „ტუბერკოლიოზით დაავადებული“, „პეპელა“, ნაცვლად „ვენაში ჩადგმული სისტემა“ (მედიცინის ენა), „მენტი“, ნაცვლად „პოლიციელი“, „შმონი“ ნაცვლად „ჩხრეკა“ (პოლიციური ენა).

გარდა ამისა, სხვა ჯგუფებისაგან პროფესიული ჟარგონები განსხვავდება იმით, რომ ისინი სტილისტიკურად მწირი ბუნებისაა და მათ ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ კონოტატიური კომპონენტი. ჩვეულებრივ ეს კონოტაცია დაცინვის კონოტაციაა. (მაგ: лыжник – «пожилой пациент с тростью» (мед.) მოთხილამურე - „მოხუცი პაციენტი საბიჯგი ჯოხით“ (ფელდე 2015).

პროფესიონალური ჟარგონი სპეციფიური სიტყვა ან სიტყვაშეთანხმებაა, რომელიც მხოლოდ არაოფიციალურ ზეპირ კომუნიკაციაში გამოიყენება. მას მკვეთრად გამოხატული ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა აქვს და ძალიან სუსტი ნომინაციური მნიშვნელობა. ჟარგონს უფრო მკვეთრი, მძაფრი შეფასებითი თვისებები აქვს, ვიდრე პროფესიონალიზმებს. მათ ძირითადად სახუმარო, ირონიული, პეჟორატიული ნიშან-თვისებები აქვს.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ჟარგონის კონოტაციურ-სტილისტიკური მნიშვნელობა დენოტატიურ მნიშვნელობასთან უფრო ძლიერ პოზიციაშია. დასახელების საგნობრივ-ლოგიკური ფუნქცია ექსპრესიულ ფუნქციასთან შედარებით მეორეხარისხოვანია. (მორგუნოვა 2003:49).

პროფესიულ ჟარგონს განმარტავენ როგორც დამდაბლებული სტილის არასალიტერატურო ლექსიკას, დამახასიათებელს პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის მეტყველებისათვის. მიჩნეულია, რომ პროფესიული ჟარგონი ოფიციალური ტერმინების დუბლეტებია, რომლებიც გამოხატულების პლანში სხვადასხვა თავისებურებებით გამოირჩევა. მაგ. მათემატიკოსთა პროფესიულ ჟარგონში გვხვდება ტერმინი კუბი (კუბიკი - ბოლოკიდური მარცვლის მოკვეცა), ინფორმატიკოსთა წრეში - კომპი (კომპიუტერი - ბოლოკიდური რამდენიმე მარცვლის მოკვეცა), პროგი (კომპიუტერული პროგრამა - ორი სიტყვის თავისებური სინთეზი მარცვალთა მოკვეცა-ამოღების ხარჯზე) და ა.შ.

პროფესიული ჟარგონის მაგალითად გამოდგება მარკეტინგის პროფესიულ სუბენაში ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ერთეულები. მაგ: „გაპიარება“ - საზოგადოებისათვის პროდუქტის გაცნობა; „დაბოლება“ - პოტენციული კლიენტის დარწმუნება მასში, რომ იყიდოს ეს პროდუქტი. განსხვავებით პროფესიული ტერმინებისაგან, პროფესიული ჟარგონი ნაკლებად გვხვდება სპეციალურ ლექსიკონებში (როზენტალი, გოლუბი, ტელენკოვა 2002).

კომპიუტერის პროფესიულ სუბენაში პროფესიული ჟარგონის მაგალითებია: ვინტი - ვინჩესტერი; კლავა - კლავიატურა; პოსტი - შეტყობინება; დაპოსტვა - შეტყობინების დატოვება; ჩათაობა - რეალურ დროში განხორციელებული კომუნიკაცია;

პროფესიული სუბენების ყველა მარკირებულ ერთეულს აქვს მაღალი ლინგვისტიკური ინფორმაციულობა და ამიტომ მათ ყურადღება უნდა მიექცეს ინსტიტუციონალური დისკურსების, პროფესიონალური ენობრივი სამყაროს სურათის და ასევე სამყაროს სურათის ღირებულებების ანალიზისას. პრინციპულად მნიშვნელოვანია ამასთან ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ცნებები - პროფესიულად შეზღუდული ენის არსებობის ფორმა (პროფესიული, ან სპეციალური სუბენები), მათი ფუნქციურ-სემიოტიკური სახესხვაობები (ტერმინოლოგია, ტერმინოსისტემა, ზეპირი პროფესიული მეტყველება, პროფესიული ჟარგონი) და მოცემული ფორმის სალექსიკონო შემადგენლობის პროფესიულად მარკირებული ელემენტები (ტერმინები, ნომენები, პროფესიონალიზმები, და სპეციალური ლექსიკის სხვა სტრატეგიკაციული ერთეულები). ეს დაგვეხმარება მოვახდინოთ ლინგვისტიკური ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია და გავექცეთ ტერმინოლოგიურ აღრევებს.

დარგობრივ-პროფესიული ლექსიკის დიფერენციაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი დარგობრივი და/ან პროფესიული ენა/სუბენა ამა თუ იმ ეთნო-ენის „კონგლომერატია“, რომელიც ემსახურება განსაზღვრული სოციუმის წევრებს შორის კომუნიკაციას. შესაბამისად, სოციუმისათვის დამახასიათებელია მისი ინდივიდებისა და შესაბამის სოციალურ ცნებათა სისტემის ერთიანობა და ერთობლივი პროფესიული საქმიანობა.

## 2.6 ტერმინის კონოტაცია დარგობრივ ენასა და კომუნიკაციაში

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური კონოტაციის თეორია მრავალგზის ყოფილა კვლევის საგანი, დღემდე არასაკმარისადაა გაშუქებული ამ სფეროში მრავალი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხი. არსებობს კონოტაციის დეფინირებისა და მისი აღწერის უამრავი რაკურსი, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებიდანაა დანახული. სემიოტიკაში განასხვავებენ დენოტატურ და კონოტატურ მნიშვნელობებს (ზარტი 1975, იემსლევნი 1960, ეკო 1998 და სხვა). ლექსიკური სემანტიკა განიხილავს კონოტაციის ადგილს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სტრუქტურაში და იკვლევს ძირითად კონოტატურ მიკროკომპონენტებს (აპრესიანი 1974, ზვეგინცევი 1957, კობოზევა 2000, კომლევნი 2003, სტერნინი 1985, თელია 1986 და მრავალი სხვა). სტილისტიკაში კონოტაცია უკავშირდება სტილისტიკურ მნიშვნელობას და განისაზღვრება ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა და სიტყვის ფუნქციონირების პირობების გათვალისწინებით. (ვინოკური 1980, დოლინინი 1987, კოჟინა 1983, სკრებნევი 1975, შმელევი 1973 და სხვანი). კონოტაციისადმი ფსიქოლინგვისტური მიდგომისას მკვლევარები ძირითადად იკვლევენ მეტყველების ემოტიური შემადგენლის საკითხებს. (მიაგოვა 1987, შახოვსკი 1987 და სხვანი). კულტუროლოგიური თვალსაზრისით კონოტაცია განიხილება როგორც სიტყვასთან დაკავშირებული კულტურული წარმოდგენის ანარეკლი (ვერემჟაგინი ...1980). კონოტაციის როგორც ცნების ერთიანი დეფინიციის არარსებობა განპირობებულია მისი სირთულით და მრავალასპექტურობით. ნებისმიერი კუთხიდან მისი კვლევისას წინა პლანზე გადმოიწევეს კონოტაციის ესა თუ ის ასპექტი, შესაბამისად ამ ფენომენის განმარტება დამოკიდებულია მეცნიერების კონკრეტული მიმართულების მიზნებსა და ამოცანებზე.

ლინგვისტთა უმრავლესობა კონოტაციას (სტილისტიკური მნიშვნელობა, პრაგმატიკული შინაარსი, მნიშვნელობის პრაგმატიკული კომპონენტი, სემანტიკური ასოციაცია) მიიჩნევს აუცილებელ ლექსიკურ კომპონენტად, რომელიც წარმოადგენს სიგნიფიკატური, დენოტატური მნიშვნელობის დამატებით ლექსიკურ კომპონენტს. (აპრესიანი, ბინოგრადოვი, ზვეგინცევი, შმელევი და სხვანი). თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომელიც გულისხმობს, რომ კონოტაცია არის სიტყვის მნიშვნელობის აუცილებელი კომპონენტი და მის გარეშე სიტყვის ფუნქციონირება მეტყველებაში

შეუძლებელია (ბლუმფიდი, ვინოკური, კობოზევა, სტერნინი, თელია, შახოვსკი და სხვანი). ცხადია, თუ ამოსავალ წერტილად მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ ენა და მეტყველება ერთი მხრივ დიქტომიური, ურთიერთგამომრიცხავი, ხოლო მეორე მხრივ ურთიერთგანმაპირობებელი ფენომენებია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ცალკეული ლექსიკური ერთეული მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში იძენს „სიცოცხლეს“, და მისი სრულყოფილი არსებობა კომუნიკაციის პროცესში ცალკეულ, სიტუაციით განპირობებულ ნიუანსებზეა დამოკიდებული და ამ ე.წ. „შემავსებელი“ კონოტაციური დეტალებითაა განპირობებული, მაშინ უნდა დავეყრდნოთ იმ მოსაზრებას, რომ ისევე როგორც სხვა ენობრივი მოვლენები, კონოტაციაც მხოლოდ მეტყველების პროცესში იძენს თავის ღირებულებას და მხოლოდ კომუნიკაციისას „შეიფერება“ ესა თუ ის ლექსიკური ერთეული იმ დამატებითი „ტონალობით“, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციის სრულყოფილებისათვისაა საჭირო და რომლის დახმარებითაც ხდება სიტუაციის შინაარსის სრული პორტრეტის შექმნა და მისი სრულყოფილი აღქმა.

ენის სისტემაში ლექსიკური ერთეული ძმრალი, მყარი, შეზღუდული კონოტაციური ნიშან-თვისებების მქონე სიტყვაა, რომელთა „გაცოცხლება“ კომუნიკაციის დროსაა შესაძლებელი. კონოტაციური ნიშან-თვისებები ცალსახად ზღუდავენ ლექსიკური ერთეულების გამოყენების პირობებს, გარემოებებს, სფეროებს. შეზღუდვა ვრცელდება ლექსიკური ერთეულის გამოყენებისას სხვადასხვა ენობრივ ჩარჩოებში, სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა სოციალურ გარემოსა და კულტურაში, სხვადასხვა ნაციონალურსა და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ვითარებაში. აშკარაა, რომ ნებისმიერი ლექსიკური ერთეულის გამოყენება ამა თუ იმ კონოტაციით განსაზღვრულ საკომუნიკაციო აქტში ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია. ანუ, კონოტაცია განაპირობებს კომუნიკაციას, მის პერცეფციას/რეცეფციას.

სპეციალურ ლიტერატურაში ლექსიკური კონოტაცია დარგობრივი ენისა და კომუნიკაციის ჭრილში არც თუ აქტიურად განხილვება. ეს საკითხი დეტალურ ანალიზს საჭიროებს. ჩვენი მიზანი არაა წარმოდგენილ ნაშრომში სიღრმისეულად ამ საკითხის შესწავლა, თუმცა არც მისი გაუთვალისწინებლობა მიგვაჩნია მართებულად.

ცხადია, საყოველთაო ენა და კომუნიკაცია სხვაგვარად აღიქვამს და შეიმეცნებს კონოტაციის ცნებას, განსხვავებით დარგობრივი ენისა და კომუნიკაციისაგან, სადაც

წინა პლანზე ყოველთვის წამოიწევს დარგობრივი ტერმინის ცნება, რომელიც საკუთარი, თვისობრივად მისთვის მარკირებული ნიშან-თვისებებით გამოირჩევა და შესაბამისად განსხვავდება სალიტერატურო-საყოველთაო ენის ლექსიკური ერთეულებისგან.

თუკი ლექსიკოგრაფიულ გამოცემებს დავესესხებით, ადვილად შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, არის თუ არა დარგობრივი ენა და დარგობრივი კომუნიკაცია თავისუფალი კონოტაციისაგან, თუ მას – ენასა და კომუნიკაციას დასდევს სტილისტიკური შეფერილობისა და ემოციური ტონალობის კვალი.

ბუსმანის ენათმეცნიერულ ლექსიკონში დარგობრივი ლექსიკის დეფინიციაში ამ ცნების ყველაზე რელევანტურ ფაქტორად სწორედ კონოტაციის ცნებაა მიჩნეული: „დარგობრივი ლექსიკა (ენობრივი ნორმა), რომლის სიტყვათა მნიშვნელობები თავისუფალია ყოველდღიური ენის კონოტაციისაგან“[....].(ბუსმანი 2008).

დარგობრივი ენისა და დარგობრივი კომუნიკაციის ჭრილში, კონოტაციის როლისა და ფუნქციის განსაზღვრის მიზნით რელევანტურად ვთვლით მიმოვიხილოთ ტერმინი ენის სისტემასა და კომუნიკაციის პროცესში. ცხადია, ენისა და კომუნიკაციის გამიჯვნა ანალოგიურია დარგობრივი ენისა და დარგობრივი კომუნიკაციის დიქტომიისა, დავეყრდნობით რა იმ მოსაზრებას, რომ ტერმინი ტერმინოსისტემის შემადგენელი, მისი ერთეულია, რომლის აქტუალიზაცია დარგობრივ კომუნიკაციაში ხორციელდება. გამომდინარე აღნიშნულიდან, ტერმინების მარკერებად ვ. შმიდტი მიიჩნევს:

ა) ესთეტურ, ექსპრესიულ, მორალურ ნეიტრალიტეტს.

ესთეტური ნეიტრალიტეტი – ტერმინის მარკერი არ შეიძლება იყოს მისი ჟღერადობა, რომლითაც მას მიენიჭება უპირატესობა სხვა ტერმინთან შედარებით.

ექსპრესიული ნეიტრალიტეტი – ტერმინი არ შეიძლება იყოს ზედმეტად ექსპრესიული, რადგან ამით დარგობრივი ენების რაციონალურობა ეჭვქვეშ დადგება.

მორალური ნეიტრალიტეტი – ტერმინმა არ უნდა გამოხატოს კომუნიკატორის სუბიექტური პოზიცია, რადგან ესეც რაციონალურობას ეწინააღმდეგება, ის სრულიად თავისუფალი უნდა იყოს შეფასებითი ელემენტებისაგან. კონოტაცია, რომელიც გულისხმობს შეფასების ელემენტებს, დარგობრივ ენებში თავიდან უნდა იქნეს აცილებული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ ფორმებსაც კი, როგორებიცაა დიმიწუტიური ფორმები, დარგობრივ ენებში ზოგადად არ აქვთ

კონოტაცია. როდესაც ფიზიკოსი „პატარა ნაწილაკზე“ (გერმ: Teilchen,-„chen“ ალერსიანობის, დიმიწუტივობის გამომხატველი სუფიქსია გერმ.ენაში) ლაპარაკობს, იგი ამით გამოხატავს აღნიშნული ნაწილაკის კონკრეტულ ზომას, ანუ იმას, რომ ეს ნაწილაკი ზომით პატარაა და არა მის შეფასებით, სუბიექტურ დამოკიდებულებას ამ ნაწილაკთან. იგივე შეიძლება ითქვას ანატომიის სპეციალისტზე, რომელიც იყენებს ტერმინს “Tastkörperchen”, რომლითაც ასევე საგნის მხოლოდ მცირე ზომა გამოიხატება და არა მისი დემინტიური ფორმა, ანუ კნინობითი, საალერსო ფორმა, ანუ არა სუბიექტისმიერი შეფასება ამ საგნისა ( [www.univie.ac.at](http://www.univie.ac.at)).

ტერმინები, როგორც წესი, დარგობრივ ენებში სიზუსტით და ცალსახა ერთმნიშვნელობით გამოირჩევა. მათ არა აქვთ არც კონვეციონალური კონოტაცია და ისინი არც დარგობრივ ასოციაციებს იწვევენ. აღნიშნულთან ერთად დარგობრივი ტერმინების უპირატესობებად ითვლება აგრეთვე ის, რომ ისინი ყველასათვის გასაგები საერთაშორისო ტერმინებია და ისიც, რომ ისინი ცალსახად გასაგები, ერთმნიშვნელოვანი ცნებებია. ამდენად, **დარგობრივი ცნებები არაა ემოციურად კონოტირებული.** დარგობრივი ენის სისტემაში დარგობრივი ტერმინი აბსოლუტური ტერმინია. იგი აბსოლუტური ცნებაა და კავშირშია ენობრივი ერთეულის სტრუქტურულ-ფორმალურ ასპექტთან.

კონოტაცია, როგორც ცნების დამატებითი შინაარსი, ტერმინთან მიმართებაში აღნიშნავს და გულისხმობს სუბიექტის ინტენციას. სუბიექტის ინტენციის აქტუალიზაცია ხდება მხოლოდ კონტექსტში და იგი სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში. კონოტაციის სუბიექტურობა გულისხმობს კომუნიკანტთა სოციალურ მდგომარეობას, მთლიანად სოციუმს და მასთან დაკავშირებულ თითოეულ ასპექტს, რომლებიც თავისთავად მნიშვნელოვანი და ღირებულია კომუნიკაციის პროცესში.

კონოტაცია, როგორც დარგობრივი ტერმინის დამხმარე „ინფორმატორი“ მიუთითებს აღნიშნული დარგობრივი ტერმინის ამა თუ იმ ნიშან-თვისებაზე, მის სხვა დამატებით შინაარსზე, სხვა „დაფარულ“, „არაფორმალურ“ ნიუანსებსა თუ ასპექტებზე მხოლოდ კონკრეტული კომუნიკაციის პროცესში, სადაც სუბიექტი, რომლის სოციალური სტატუსი (მისი ასაკი, სქესი, გამოცდილება, კოგნიცია, რელიგია, კულტურული კუთვნილება და ზოგადად წარმომავლობა) განაპირობებს ამ ტერმინის კონოტაციური დაშიფვრისა და შიფრის მოხსნის და ტერმინის შინაარსობრივი სუბიექტური

მარკერების ამოხსნის საკითხს, აქცენტს აკეთებს ტერმინის შინაარსის განსაკუთრებულ, თვისობრივად ახალ ტონალობაზე, ემოციაზე. შესაბამისად, კომუნიკაციის სუბიექტი მისი ფონური ცოდნითა და კომპეტენციით ერთ-ერთი უმთავრესი და რელევანტური კომპონენტია კონოტაციის განხილვის კონტექსტში.

ამრიგად, კონოტაცია სემანტიკურ-ანთროპოცენტრისტული მოვლენაა და იგი ენის სისტემის ცალკეული ლექსიკური ერთეულის კომუნიკაციური აქტუალიზაცია-რეალიზაციის ფონზე ხორციელდება. აღნიშნულის ანალოგიით შესაძლებელია ითქვას, რომ კონოტაცია დარგობრივი ენისა და დარგობრივი კომუნიკაციისათვის ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა და ამ თვალსაზრისით იგი ცალკეული ტერმინის აზრობრივ-ასოციაციური ინტერპრეტაციის საფუძველია.

კანას მიხედვით კონოტაცია ენაში შესაძლებელია რეალიზებულ იქნას: ლექსიკური (ჭამა – თქვლეფა), მორფოლოგიური (გორა – გორაკი) ან სტრუქტურული (მუხასავით დგას; თავზე გოგრა გადევს?) საშუალებებით. ნებისმიერ ენობრივ ერთეულს შესაძლებელია ჰქონდეს ნეგატიური ან პოზიტიური კონოტაცია. მაგ. „გული“ პოზიტიური კონოტაციისაა ლექსიკურ ერთეულებთან „სიყვარული, სითბო, მეგობრობა, ერთგულება“; „თავი“ ნეგატიურ კონოტაციაშია ლექსიკურ ერთეულთან „გოგრა“; ასევე ნეგატიური კონოტაცია აქვს ლექსიკურ ერთეულს „ლოთი“ „ალკოჰოლიკის“ მნიშვნელობით (კანა 2010).

#### 1. ლექსიკური კონოტაცია ზოგადი ენის სისტემაში

ნებისმიერი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში გვხვდება ორი ტიპის კონოტაცია.

ა. ინჰერენტული, ანუ მუდმივი კონოტაციის მქონე სიტყვები, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობა გამოხატავს ცალსახად დადებით ან უარყოფით შეფასებას. ინჰერენტული კოლოკაციის სიტყვები მარკირებულია. მარკირება სტილისტიკური პრინციპის მიხედვით ყოფს ლექსიკას სალაპარაკო ლექსიკად, ნეიტრალური შეფერილობის ლექსიკად და ლიტერატურულ-მწიგნობრულად. ინჰერენტული კონოტაციის ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორებიცაა: ქლესა, მლიქვნელი, მუქთახორა, მესუფრია, გაიძვერა, გაქნილი, კვაჭი, ლაწირაკი, ცინგლიანი. ინჰერენტულია კონოტაცია ასევე სხვადასხვა შეფერილობის მქონე სტილისტიკურად განსხვავებული რეგისტრის მქონე ლექსიკურ ერთეულებთან: მოხუცი, მოხუცებული,

ბებერი, ბერიკაცი, ხნიერი, დროული, ბებრუცუნა, ბებრუცა; ნასვამი, ნაღვინევი, ზარხოში, დაღეული, მთვრალი.

ბ. სიტყვები, რომლებშიც ასეთი შეფასება გამოხატულია ირიბად და იგი ძვეს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის პერიფერიულ ზონაში. ამ ტიპის კონოტაციას კონტექსტური, ანუ ოკაზიონალური კონოტაცია ეწოდება. უარყოფითი კონოტაცია აქვს მაგ: ლექსიკურ ერთეულებს თავი – გოგრა, კვახი; ბატი – უტვინო, სულელი, ბატისტვინა, ბატი ტასიკო (უჭკუო ქალი); სახედარი – ვირი, ბრიყვი, რეგვენი, ლენჩი.

ხშირად ლექსიკურ კონოტაციას იყენებენ ევფემიზმის ფუნქციით. მაგ: უსინათლო – სუსტი მხედველობის ადამიანი; ლესბოსელი – საფოს მიმდევარი; ცაცია – ამბიდექსტრი; ინვალიდი – ალტერნატიულად განვითარებული; ჰომოსექსუალი – გეი.

### ტერმინთა ლექსიკური კონოტაცია

ტერმინებში ლექსიკური კონოტაცია როგორც ინჰერენტული, ასევე ოკაზიონალური ტიპისაა.

### ტერმინთა მუდმივი, ანუ ინჰერენტული კოლოკაციის მაგალითები:

1. ლექსიკური ერთეული *გომიკი* გამოიყენება ლგბტ თემის წევრების აღსანიშნავად. მისი კონოტაცია ცალსახად პეჟორატიული, ნეგატიური და დამამცირებელია.
2. ტერმინით *დელინკვენტობა*, აღინიშნება ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ან ანტისოციალური ქმედება. მას ნეგატიური კონოტაცია აქვს. ([http://unicef.ge/uploads/Guidance\\_on\\_legislative\\_reform.pdf](http://unicef.ge/uploads/Guidance_on_legislative_reform.pdf)).
3. ტერმინი *კორუფცია* ა. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ბ. საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით. ტიპურ გამოვლინებად მიჩნეულია მექრთამეობა, საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ. (<http://www.nplg.gov.ge>). აღნიშნული ტერმინი ცალსახად უარყოფითი კონოტაციისაა.
4. ტერმინი *ტერორიზმი*, რომელიც გულისხმობს საზოგადოების დაშინებას, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით

ზეგავლენის მოხდენას, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურებას ასევე ნეგატიური კონოტაციის შემცველია. (<http://www.nplg.gov.ge>)

ტერმინთა ოკაზიონალური კონოტაციის მაგალითები:

1. ლათინური წარმომავლობის ტერმინი *კოჰაბიტაცია* პოლიტოლოგიურ ტერმინოლოგიაში განიმარტება როგორც არჩევნებში დამარცხებულ და გამარჯვებულ გუნდებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება, თანაარსებობა. მაგრამ ქართულ რეალობაში მის მნიშვნელობას სხვადასხვა პოლიტიკური აქტორები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე ამ ტერმინმა გარკვეული ინტერპრეტირებული, ნეგატიური, დამცინავი სახე მიიღო და იგი უარყოფითი კონოტაციით გამოიყენება, მაგალითად, სკოლის მერხზე გამოჩნდა წარწერები:  $ჯემო + გვანცა = კოჰაბიტაცია$ . (<http://chiti.ge/pedia>)
2. საბჭოურ-სოციალისტურმა ტერმინმა *აგიტაცია-პროპაგანდა*, რომელიც საბჭოთა სივრცეში პოზიტიური კონოტაციით გამოიყენებოდა, დღეს მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ფონზე ნეგატიური კონოტაცია შეიძინა („აგიტპროპი“).
3. ტერმინი *კოლაბორაციონიზმი* თანამრომლობას, პარტნიორობას ნიშნავს. თუმცა ამ ტერმინმა უარყოფითი კონოტაცია მიიღო მეორე მსოფლიო ომის დროს – ყველა ოკუპირებულ ქვეყანაში კოლაბორაციონალისტები ეწოდა იმ ხალხს, რომლებმაც ევროპაში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1939-1945 წლებში თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან. (<http://www.nplg.gov.ge/glossword/index.php?a=list&d=10>).

## 2. მორფოლოგიური კონოტაცია ზოგადი ენის სისტემაში

ენაში კონოტაცია ლექსიკურ ერთეულებთან ერთად რეალიზდება მორფოლოგიური სუფიქსაციის გზითაც. ხშირად მორფოლოგიური კონოტაციის შედეგად ვიღებთ კნინობითი ან ფამილიარული მნიშვნელობის მქონე სახელს. კონოტაციის მორფოლოგიური ხერხი შესაძლებელია ადამიანის დასამცირებლად იქნეს გამოყენებული. უპატივცემულობა, არადჩაგდება, არადმიჩნევა, უგულვებელყოფა, ანუ სტი-

ლისტიკური დამცირების, დაკნინების ეფექტის მიღწევა სწორედ იმ სუფიქსების საშუალებით შეიძლება, რომლებსაც აქვს ფამილარობის, ვულგარულობის, უხეშობის, უპატივცემულობის რეგისტრი. მაგ: ახალგაზრდა – ყმაწვილკაცი, ყმაწვილქალი; მოხუცი ქალი – დედაკაცი; მოხუცი კაცი – ბერიკაცი; მამალი (ახალგაზრდა მამაკაცის აღსანიშნად) – მამლაყინწა, მამლაყინწობს (ყოყლოჩინა, ამპარტავანი, მედიდური ახალგაზრდა ყმაწვილი).

ხშირად მორფოლოგიური კონოტაცია დომინუტივებით რეალიზდება. დომინუტივების ფუნქციაა საგნის „მინიატურისაცია“, რაც, როგორც წესი, სუფიქსის საშუალებით ხორციელდება, მაგრამ ამას გარდა დომინუტივებს შეუძლია აგრეთვე ემოციური კონოტაციაც გამოხატოს. დომინუტიური სახელები საგანს სუფიქსების დახმარებით შემცირებულად წარმოგვიდგენს. მაგ: სახლი – სახლუკა, ცხენი – ცხენუკა, ძაღლი – ძაღლუკა, ბიჭი – ბიჭუკა, ბიჭუ - ნა, ბიჭიკო, ბიჭანჭური; გოგო – გოგონა, მელა – მელაკუდა, კატა – კატუნია, ფისო - ფისუნია, ბებერი – ბებრუცუნა, ლამაზი – ლამაზუნა; ღიპი - ღიპუკა; კაცი – კაცუნა, კაცმაცუნა; ბურთი – ბურთულა, ბურთულაკი; ბუმტი – ბუმტუკი;

ხშირად ზოგიერთ ენაში, მათ შორის ქართულშიც კნინობითი კონოტაციისთვის არ გამოიყენება სუფიქსები. ასეთ შემთხვევაში ლექსიკურ ერთეულს ემატება სიტყვები – პატარა, მცირე, მომცრო.

### **ტერმინთა მორფოლოგიური კონოტაცია**

არსებითი ან ზესართავი სახელების დემინუტივიზაცია ტერმინებთან მიმართებაში არ ისახავს მიზნად საგნის, მისი ნიშან-თვისების ან ზოგადად ხდომილობისათვის კნინობითი ფორმის მინიჭებას და არ ქმნის საგნის მინიმალისაციის ასოციაციას. მორფოლოგიური კონოტაცია ტერმინებში გადის ალერსობით-კნინობითი კონოტაციის ჩარჩოებიდან და ქმნის მშრალ, ნეიტრალური ტიპის ტერმინს, რომელიც სემანტიკურად შესაძლებელია გვაძლევდეს სემას „მცირე ზომის საგანი“, მაგრამ იგი აღარ იწვევს საგნის, როგორც მისი შესატყვისი დიდი ზომის საგნის გამიზნულად მინიმალისაცია/მომცრობის ასოციაცია-შთაბეჭდილებას. იგი დაცლილია სუბიექტის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებისაგან. მაგალითად, როცა ექიმი იყენებს დარგობრივ ტერმინს „ყვითელი სხეულაკი“ (ყვითელი სხეულაკები ის სხეულაკებია,

რომლებიც ავტომატურად ამზადებენ საშვილოსნოს განაყოფიერებული კვერცხ-უჯრედის მისაღებად) არ იგულისხმება, რომ არსებობს ამ დარგობრივი ტერმინის პარალელური ფორმა „ყვითელი სხეული“, გამორიცხულია ისიც, რომ ექიმი მისი სუბიექტური დამოკიდებულების გამო უწოდებს ან მოიხსენიებს „სხულს“ „სხულაკად“.

იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკურ ტერმინებზეც, რომლებსაც ძირითადად, იშვიათი გამონაკლისების გარეშე ინჰერენტული კონოტაცია აქვთ. მაგალითად:

1. მილი – მილაკი (ბილითონური მილი, დგუმის მილი, მაგრამ დენტის აირების მილაკი, სითბური მილაკი. ასევე კაპილარული მილაკი (დროსელი). საინტერესო მაგალითია სამედიცინო ტერმინოლოგიიდანაც - პიპეტის მილაკი; და ა.შ.
2. ღილი – ღილაკი (ღილი - დუგმა, შესაკრავი, მაგრამ ღილაკი – ზარის ღილაკი, ტელეფონის ღილაკი)
3. ბირთვი – ბირთვაკი (ბირთვი – უჯრედის ცენტრალური ნაწილი. ბირთვაკი - ბირთვში მოთავსებული მცირე ზომის სხეულაკი; მცირე ზომის ბირთვი)
4. ბურთი – ბურთულა (ბურთი – გასაბერი ბურთი, მაგრამ მაგნიტური ბურთუ-ლები)

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება შედგენილი, რთული ტერმინების-კომპოზიტებისა და ტერმინი-სინტაგმების (შესიტყვებები) წარმოება. ტექნიკური ტერმინი-კომპოზიტები და ტერმინი-სინტაგმები ინჰერენტული და ნეიტრალური კონოტაციის მატარებელნი არიან. რთული ტერმინებია, მაგ: ქვითკირი, თერმოსტატი, ფერომაგნეტიზმი, ნანო-ღერო (მსოფლიოში ყველაზე პატარა ელემენტი), დედაპლატა (კომპიუტერის ხერხემალი), დედადაფა (კომპიუტერის ერთ-ერთი საკვანძო ნაწილია, რომელიც აერთიანებს და აკავშირებს კომპიუტერის ყველა კომპონენტს ერთმანეთთან და ახდენს მათ შორის ინფორმაციის გადაცემას).

ტერმინი-სინტაგმების მაგალითებად შეიძლება დასახელებულ იქნას:

1. თხელფურცელსაგლინავი დგანი - thinsheet mill (ინგ.); FFeinblechwalzwerk, n (გერმ.);
2. გაგლინვა-ადიდვა -rolling-drawing process (ინგ.); Schwalzen n (გერმ.);
3. ფორტიფიკაციული ნაგებობა - fortification structures (ინგ.);

4. ფუძე-ჩარჩო – package header (ინგ).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ტერმინთა წარმოება მორფოლოგიური კონოტაციის ხერხით ინჰერენტულია და მათი ოკაზიონალური ფუნქციონირება არ ხერხდება.

### 3. სტრუქტურული კონოტაცია ზოგადი ენის სისტემაში

სტრუქტურულ-სტილისტიკური ხერხით პოზიტიური და ნეგატიური კონოტაცია რეალიზდება ტექსტის დონეზე. სუბიექტური დამოკიდებულება, ემოციები და განწყობა ხდომილობისა თუ პიროვნება/საგნის მიმართ აისახება გამონათქვამის ექსპრესიულობაში. ენობრივი საშუალებების გამოყენება ემოციური ფონის შესაქმნელად დამოკიდებულია სიტუაციაზე. მალა სტილისტიკურ ფიგურებს უწოდებს განსაკუთრებულ ელემენტებს, რომლებიც ტრადიციული სტილისტიკის ბირთვს ქმნიან. მათ მთავარ ფუნქციად იგი მიიჩნევს გამონათქვამის ვარიაციულობას და ემოციურობას. სტილისტიკური ფიგურების მიზანია ტექსტის პუნტირება, აქცეპტირება, კონტრასტირება და შეფასება. ამ ენობრივ საშუალებებს იგი მიაკუთვნებს: ტროპებს და სინტაქსურ სტილისტიკურ ფიგურებს. ტროპებს მიეკუთვნება მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოხა, პერიფრაზი. მაგ: ფუნჩულა, ჩაპუტკუნებული გოჭივითაა – (ბავშვის) დადებითი კონოტაცია; ღორივითაა გასუქებული, ღიპი ადევს, ქონის ნაჭერია (ზრდასრული ადამიანის) უარყოფითი კონოტაცია; რიჩარდი ლომია - მეტაფორით გამოხატული ნეგატიური კონოტაცია. ბეჟა თერგდალეულია - მეტონიმით გამოხატული ნეგატიური კონოტაცია. თავზე ჭერი აქვს – სინეკდოქით გამოხატული დადებითი კონოტაცია; სამი გაზაფხული გასულა – სინეკდოქით გამოხატული დადებითი კონოტაცია; არა პურითა ერთითა ცოცხლობს ადამიანი (არა მხოლოდ პურით ცოცხლობს ადამიანი) – სინეკდოქით გამოხატული დადებითი კონოტაცია;

### ტერმინის სტრუქტურული კონოტაცია

ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობის პერიფერიულ ზონაში დევს სუბიექტური შეფასება, აქვთ კონტექსტური, ანუ ოკაზიონალური კონოტაცია. მაგალითად:

Trojan Horse - ტროას ცხენი (ტექნ.) – ყველაზე სახიფათო კომპიუტერული ვირუსი (უარყოფითი კონოტაცია)

Trojan Horse - ტროას ცხენი (სამედ.) – მეთოდი, რომლითაც ვირუსის სიმსივნეებში შეგზავნა ხდება. ტროას ცხენად ამ შემთხვევაში ლეიკოციდების გამოყენება ხდება. პროსტატის კიბოს დამარცხების წარმატებული ექსპერიმენტი (დადებითი კონოტაცია).

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნულ მაგალითებში ერთსა და იმავე ტერმინს – ტროას ცხენი – რომელიც ორ რადიკალურად განსხვავებულ დარგობრივ ენაში გამოიყენება, აქვს ამ დარგთა შესაბამისი, დარგით განპირობებული სხვადასხვა კონოტაცია. ტექნიკური დარგის შემთხვევაში მას უარყოფითი, ხოლო სამედიცინო დარგის შემთხვევაში კი – დადებითი კონოტაცია აქვს.

Malware (MMalicious Software) - მალვეარი – მავნე, ბოროტი პროგრამა, ანუ ვირუსი (უარყოფითი კონოტაცია)

Code Red - Computer worm - განგაშის ვირუსი (უარყოფითი კონოტაცია)

Network worm – ქსელური ვირუსი (უარყოფითი კონოტაცია)

Storm worm – შტორმის ჭია – ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ვირუსი, (უარყოფითი კონოტაცია)

Game Over Zeus – ვირუსთა ქსელი, რომელიც აღწევს კომპიუტერში და უმიზნებს მცირე ბიზნესს (უარყოფითი კონოტაცია)

World Wide Web - მსოფლიო აბლაბუდა – მსოფლიო კომპიუტერული ქსელი (დადებითი კონოტაცია)

მათემატიკური ტერმინებია: ფრჩხილების გახსნა, (გახსენით მარცხენა ფრჩხილი), — ორმაგი ფრჩხილი, პირველი ფრჩხილი, მეორე ფრჩხილი, ფრჩხილების დახურვა. (დახურეთ ფრჩხილები). ასევე ტერმინი „ფრჩხილები ალგებრულ გამოსახულებაში“, ნაკვეთური ფრჩხილები, იგივე ფიგურული ფრჩხილები (დადებითი კონოტაცია).

ასევე საინტერესოა ტერმინი „ფილოსოფიური ქვა“, იგივე „წითელი ლომი“ ანუ მზა ფილოსოფიური ქვა (კირიანი სილისაგან შემდგარი ქვა), იგივე „უკვდავების ელექსირი“ – ასე უწოდებდნენ ალქიმიკოსები ნივთიერებას, რომელიც დააჩქარებდა უბრალო ლითონის გარდაქმნას ოქროდ (დადებითი კონოტაცია).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინის ზოგად მარკერებთან ერთად, - ერთმნიშვნელობა, სიზუსტე, აბსტრაქტულობა, სისტემურობა, ნეიტრალურობა და გამოხატვის ეკონომიურობა, - მათ დამატებით მახასიათებლებად სახელდება ასევე ესთეტიკური, ექსპრესიული, მორალური ნეიტრალურობა. ამ თვალსაზრისით ისინი არ

ექვემდებარებიან სუბიექტურ შეფასებას, ანუ კონოტირებას. თუმცა, ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ დარგობრივ ტერმინთა ლექსიკონებში ვხვდებით ცალსახად უარყოფითი შეფასების მქონე მუდმივ, ანუ ინჰერენტულ კონოტაციას. დარგობრივი ტერმინები, მიუხედავად ტერმინთა ზოგადი მახასიათებლებისა, რომლებიც ცალსახად გამორიცხავენ ტერმინთა სუბიექტურ შეფასებას, ნაწილობრივ შეიცავენ კონოტაციის ელემენტებს, რაც კომუნიკაციის პროცესში სტრუქტურულ-სტილისტიკური საშუალებებით რეალიზდება. ახლავს თუ არა ტერმინს „სუბიექტური, დამატებით-შეფასებითი ელემენტი“ განსაზღვრულია კონოტაციის საშუალებებითა და იმ დარგით, რომლის საზღვრებშიც ხდება მათი აქტუალიზება.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინთა მნიშვნელობის პერიფერიულ ზონაში დევს კონოტაცია, რომლის იმპლემენტაციაც კომუნიკაციის პროცესში სტილისტიკური ხერხით ხდება. შესაბამისად, ასეთი ტიპის ტერმინებს ამგვარ „გარემოცვაში“ აქვთ კონტექსტური, ანუ ოკაზიონალური კონოტაცია.

## 2.7 კომპიუტერული სუბენა – პროფესიული სოციოლექტი

პროგრესი სამყაროს ენობრივ სურათში იწვევს ახალი ენობრივი ელემენტების წარმოშობას, რაც ხელს უწყობს და ამკვიდრებს სხვადასხვა სფეროებში პროცესებისა და დარგის შესაბამისი საგნობრივ-ცნებითი ერთეულების დენოტაციას. ყოველივე ამან განაპირობა სხვადასხვა მიმართულებებით ენობრივი სუბსისტემების წარმოშობის აუცილებლობა, რომელთა შორისაა ე.წ. კომპიუტერული ენა (ვალგინა 2003;119).

„სოციოლექტი“ ან „პროფესიული სოციოლექტი“ გამოიყენება იმ სპეციფიკური ენის აღსანიშნავად, რომლის საშუალებითაც კომუნიცირებენ ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლები პროფესიულ თემებზე. ცნებაში „სოციოლექტი“ მოიაზრება ე.წ. ჯგუფური ენა, ანუ სოციალური დიალექტი, რომელზედაც ლაპარაკობენ კონკრეტულ სოციალურ კლასში, სოციალურ ჯგუფსა ან სუბკულტურაში. ცნებაში „პროფესიული სოციოლექტი“ მოიაზრება ენის პროფესიული ვარიანტების, დიალექტების, ანუ „ლექტების“ ერთობლიობა, რომლითაც სარგებლობს ადამიანთა ესა თუ ის საზოგადოებრივი გაერთიანება, ან ჯგუფი. ჩვენს შემთხვევაში ადამიანთა ამ გაერთიანებას ქმნის კომპიუტერული ტექნოლოგიების პროფესიონალების ჯგუფი. ხოლო ენა, რომელსაც ისინი კონკრეტულ სოციალურ კლასში საუბრისას გამოიყენებენ,

ანუ პროფესიულ სოციოლექტს, წარმოადგენს კომპიუტერული სუბენა. რომლის „ფონდს“ კომპიუტერული ტერმინოლოგია ქმნის.

„კომპიუტერმცოდნეების“ პროფესიულ სოციოლექტს აქვს სამნაწილიანი სტრუქტურა, რომელშიც გამოიყოფა სამეცნიერო ლექსიკა (ტერმინები), ყოველდღიური-საქმიანი ლექსიკა (პროფესიული ლექსიკა) და ყოველდღიური-სალაპარაკო ლექსიკა (ჟარგონი).

პროფესიული სოციოლექტის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის ერთეულების არსებობა (ტერმინები, პროფესიონალური ლექსიკა და პროფესიონალური ჟარგონი) ფუნქციონალურ-სტილისტიკური თვალსაზრისით ქმნის სინონიმურ ან/და ომონიმურ მიმართებებს.

სამყაროს კომპიუტერული სურათი წარმოადგენს სამყაროს სურათის ერთ-ერთ პროფესიონალურ ტიპს, სახეობას. ადამიანთა სოციოკულტურული გაერთიანების არსებობა, რომელთათვისაც საერთო ინტერესის საგანი კომპიუტერია, გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ სოციალურ-კულტურულ სივრცეზე – კომპიუტერული კულტურის არსებობაზე თანამედროვე ადამიანის შემეცნებაში. ეს სივრცე იმ ადამიანების რეალური ცოდნისა და კომპიუტერული სამყაროს იდეალური და მატერიალური წარმოდგენების ერთობლიობაა, ვინც ფლობს პროფესიონალურ ენას, ანუ ვინც ამ ენის მომხმარებელია.

აშკარაა, რომ ენობრივი ერთეულების განვითარების ტენდენცია მუდმივი და შეუქცევადი პროცესია, რადგან ახალი ტერმინების „დაბადება“ მუდმივად თან სდევს პროგრესს მეცნიერებასა და ტექნიკაში. ამ კონტექსტში გასაგები ხდება სპეციალური კომუნიკაციის ენობრივი ერთეულების მიმართ დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენენ როგორც ამ სფეროს სპეციალისტები, ასევე ტერმინოლოგები, ლინგვისტები, ამა თუ იმ დარგის მთარგმნელები. ცოდნის სპეციალურ სფეროებში კომუნიკაციის ენობრივი საშუალებების უამრავი კვლევა ეძღვნება ტერმინთმცოდნეობის ზოგადთეორიულ პრობლემებს, მათი სხვადასხვა ენაზე თარგმნის თავისებურებებს, ასევე კონკრეტული ტერმინოლოგიური სისტემის ენობრივ თავისებურებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ტერმინოსისტემები აღწერილია ამ კვლევებში არაერთგვაროვნად და განსხვავებული კუთხით. ასეთ ტერმინოლოგიურ სისტემას მიეკუთვნება კომპიუტე-

რული ტერმინების სისტემა, კომპიუტერული ტერმინოლოგია და მისი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანის სპეციფიკა.

### მეორე თავის დასკვნები

დარგობრივი ენები უშუალო კავშირშია დარგობრივ აზროვნებასთან. დარგობრივი ტერმინი ქმნის დარგობრივი ენების საფუძველს, რომლებიც პირველ რიგში დარგის სპეციალისტებს შორის კომუნიკაციის საშუალებად მიიჩნევა და რომელიც კომპლექსური საგანთა მიმართებების აღსანიშნად და მათ გამოსახატად გამოიყენება პროფესიონალების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ დარგობრივი ენის გამოყენება შესაბამისი დარგის სპეციალისტის, შესაბამისი სოციალური ფენის წარმომადგენლის, სტატუსისა და ასაკის მქონე პროფესიონალის მიერ ხდება, რომელიც ამავდროულად ამა თუ იმ სფეროს, ან/და საზოგადოების წევრია, დარგობრივი ენა ორი დარგის, - ლინგვისტიკისა და სოციოლოგიის – კვლევის საგანს წარმოადგენს. დარგობრივი კომუნიკაციის პროცესი სოციალური ქმედებაა და იგი სოციალურ ურთიერთობებში აისახება. ამავე მეცნიერებათა კვეთაზე ხორციელდება დარგობრივი ენის ძირითადი ერთეულის, ტერმინის, და მისი პრაქტიკული გამოყენების – დარგობრივი კომუნიკაციის კვლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ზოგადად ტერმინი, კონკრეტულად კი - კომპიუტერული ტერმინი - სოციოლინგვისტიკის კვლევის საგანია, რადგან სოციოლინგვისტიკა განიხილავს ენასა და საზოგადოებას, ენასა და საზოგადოების წევრებს შორის, ან/და საზოგადოების წევრებს შორის ენობრივი ურთიერთობის საკითხებს.

დარგობრივი ენებისა და შესაბამისად დარგობრივი ტერმინების წარმოშობის ისტორია სათავეს იღებს იქ, სადაც თავად ენა. ამასთან ტერმინოლოგია ენის დინამიური და მოძრავი ლექსიკური სისტემაა, რაც გულისხმობს, რომ იგი წარმოიშობა, იცვლება დროში და ვითარდება. ტერმინოლოგიის ფორმირება დაკავშირებულია შესაბამისი მეცნიერებისა და ეპოქის აზროვნების სტილთან. ტერმინები ნაციონალური ენის საფუძველზე იქმნება და ასახავს ეთნოსის ნაციონალური აზროვნების ლოგიკას და მისი ნაციონალური მსოფლხედვის სპეციფიკას. განასხვავებენ ტერმინების განვითარების სამ ეტაპს: პირველი ეტაპი საწყისი ეტაპია, რომელიც ხასიათდება ტერმინოლოგიის

თანდათანობითი „აღმოცენებით“ პროფესიული ლექსიკის ბაზაზე. ამ ეტაპზე ხორციელდება ძირითადი გვარეობითი ცნებების ტერმინოლოგიზაცია. მეორე ეტაპზე ხდება გვარეობითი ცნებების ბაზაზე ახალი ტერმინების წარმოება, ვითარდება სიტყვაწარმოება. ამავე ეტაპზე ხორციელდება ტერმინთა დეფინირება და ტერმინთა მომწიფება უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციისათვის. მესამე ეტაპზე ტერმინოლოგია ვითარდება სისტემურად, ხდება ტერმინოსისტემის სრულყოფა და ტერმინთა გამდიდრების პროცესი მომიჯნავე ტერმინოლოგიის ხარჯზე.

სოციალურად სტრუქტურირებადი დარგობრივი ენები ყველა იმ ენობრივი საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც ემსახურება ენობრივი კომუნიკაციის დამყარებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. მათი განფენა ხდება ორ სიბრტყეზე – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურზე. ჰორიზონტალური სიბრტყე პრაქტიკულად მუდმივად განახლებადი და ღია სიბრტყეა, რის მიზეზადაც ისაა მიჩნეული, რომ დარგთა რაოდენობა მუდმივად განიცდის ცვლილებას, ახალი დარგის „დაბადება“ ქმნის ახალი დარგობრივი ენის „დაბადების“ აუცილებლობას. ამდენად, ჰორიზონტალურ სიბრტყეზე არსებობს დარგობრივ ენათა და დარგთა რიცხობრივი თანაფარდობა. აღნიშნულ სიბრტყეზე დარგობრივი ენები განეფინება სამ ძირითად მსხვილ სფეროზე – სამეცნიერო, ტექნიკურ და ინსტიტუციონალურ სფეროებზე, რასთან შესაბამისობაშიც არსებობს სამი მსხვილი დარგობრივი ენა – სამეცნიერო, ტექნიკის და ინსტიტუციონალური ენები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განფენილ დარგობრივ ენებს განავრცობენ სუბენები. ვერტიკალურ სიბრტყეზე დარგობრივი ენების განფენა ეფუძნება იმ დარგობრივი და ენობრივი აბსტრაქციის დონეებს, (ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს სამი, ხოლო ზოგიერთი - ხუთი აბსტრაქციის დონის არსობაზე) რომლებიც არსებობს ცალკეულ დარგებში.

დარგობრივი ენების პარალელურად სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ტერმინს პროფესიული ენები, რომლებშიც ერთი მხრივ იგულისხმება ენების ტიპები, რომლებიც წარმოიშობა მისი მიკუთვნებადობით განსაზღვრულ პროფესიასთან და მეორე მხრივ - მოცემული ენის სოციალური დიალექტი, რომელიც ერთი და იგივე პროფესიის მქონე პირთა კუთვნილებაა. პროფესიული ენა სოციოლინგვისტიკურ ჭრილში სოციოლექტის სოციალურად (პროფესიულად) განპირობებული ტიპის მნიშვნელობით გვხვდება. ამ თვალსაზრისით პროფესიული ენების კვლევა

ხორციელდება მათი სუბსტანდარტული ლექსიკისა და აღნიშნული ლექსიკის ფუნქციონირების სოციალური კონტექსტის შესწავლის მიზნით. დარგობრივი ენების არსებობის კიდევ ერთი ფორმა – პროფესიული ჟარგონი, პროფესიული სლენგი – დარგობრივი და პროფესიული ენებისაგან გამოირჩევა საკუთარი სპეციფიკური ფორმებით, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინთა ნაცვლად გამოიყენება ზეპირ მეტყველებაში პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა მიერ.

ცოდნის ნებისმიერი სფერო განსაზღვრული სოციალურად შეზღუდული ვერბალური საშუალებებით, ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი „ფონდით“ სარგებლობს. დარგობრივ-პროფესიული ენის ლექსიკურ-სემანტიკურ ერთეულებად თვლიან ზოგადსამეცნიერო ლექსიკას, ანუ ზოგადდარგობრივ ტერმინებს, სპეციალურ ლექსიკას, ანუ ვიწროდარგობრივ, კონკრეტული დარგის, ან/და სფეროს ტერმინებს. ტერმინთა მახასიათებლებია სემანტიკური, მოტივაციური, სიტყვაწარმოებითი, სინტაგმატური კავშირებით განპირობებული სისტემურობა ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში. მათ მარკერებად ასევე მიჩნეულია კონტექსტუალური დამოუკიდებლობა, კონვენციონალურობა (ანუ შეთანხმება სპეციალისტთა შორის ტერმინის გამოყენებაში, მის მიმოქცევაში შეყვანის შესახებ) და ასევე მკაფიო დეფინიცია. ლექსემა იმ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნას ტერმინად, თუ იგი ექსპრესიულად ნეიტრალურია, ახასიათებს ნომინაციურობა, მონოსემანტიკურობა და სემანტიკის სიზუსტე, აქვს ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი სისტემურობა. ტერმინის რანგში ასევე მოიაზრება ტერმინოიდები, პროტოტერმინები, პრეტერმინები, კვაზიტერმინები, ფსევდოტერმინები, დეტერმინები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტერმინოლოგიურობის ხარისხით, აღსანიშნ ცნებასთან კავშირის სიღრმით, ასევე ფორმალური ნიშნებით (მაგ. სტრუქტურული ნიშნების რაოდენობით). მოწესრიგებული ტერმინების ერთობლიობა ქმნის ტერმინოსისტემას. პროფესიულ სუბენებში გამოიყოფა მაღალი და დაბალი რეგისტრის ერთეულები. მაღალი რეგისტრის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენლები ნომენებია, ხოლო დაბალი რეგისტრის ერთეულების ბირთვს ქმნის პროფესიონალიზმები – სტილისტიკურად მარკირებული სიტყვები. პროფესიული სუბენების შემადგენლობაში შედის აგრეთვე დეპროფესიონალიზმები – არაპროფესიული სფეროს ობიექტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ამავე დროს იყენებენ პროფესიული სუბენების

მატერიალურ საფუძველს. ცალკე ლექსიკურ პლასტს ქმნის პროფესიული ჟარგონი, რომელსაც ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ კონოტატიური კომპონენტი.

დარგობრივ-პროფესიული ენების ვერბალური საშუალებების დიფერენციაცია გვაფიქრებინებს, რომ ნებისმიერი დარგობრივი და/ან პროფესიული ენა/სუბენა ამა თუ იმ ეთნოენის „კონგლომერატი“, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული სოციუმის წევრებს შორის კომუნიკაციის პროცესში. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ დარგისათვის/პროფესიისათვის შესაბამისი სოციუმისათვის პროფესიული კომუნიკაციის სივრცეში დამახასიათებელია მისი ინდივიდუალისა და შესატყვის სოციალურ ცნებათა სისტემის ერთიანობა და ერთობლივი პროფესიული საქმიანობა.

ტერმინის ზოგად მარკერებთან ერთად, როგორებიცაა ერთმნიშვნელოვნობა, სიზუსტე, აბსტრაქტულობა, სისტემურობა, ნეიტრალურობა და გამოხატვის ეკონომიურობა, - მათ აქვთ აგრეთვე ესთეტიკური, ექსპრესიული, მორალური ნეიტრალურობა. აღნიშნული მარკერების გამო ისინი არ ექვემდებარებიან სუბიექტურ შეფასებას, ანუ კონოტირებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივ ტერმინთა ლექსიკონებში ვხვდებით ცალსახად უარყოფითი შეფასების მქონე ინჰერენტულ კონოტაციას. დარგობრივ ტერმინებს მაინც აქვთ ნაწილობრივი კონოტაცია, რისი რეალიზაციაც სტრუქტურულ-სტილისტური ხერხით ზეპირ კომუნიკაციაშია მოსალოდნელი. ამდენად, დარგობრივ ტერმინთა კონოტირება დამოკიდებულია კონოტაციის ხერხსა და იმ დარგზე, რომლის საზღვრებშიც ხდება მათი აქტუალიზება. ტერმინებს მათი სემანტიკის პერიფერიულ ზონაში მარკერის სახით შესაძლოა ქონდეს კონოტაცია, სუბიექტური შეფასების ნიუანსი, რომლის იმპლემენტაციაც კომუნიკაციისას სტილისტიკური ხერხით ხორციელდება. შესაბამისად, ასეთი ტიპის ტერმინებს ამგვარ „გარემოცვაში“ აქვთ კონტექსტური, ანუ ოკაზიონალური კონოტაცია.

სამყაროს ენობრივ სურათში ახალი სემენტების, შესაბამისად, ახალი ენობრივი ელემენტების წარმოშობა პროგრესის თანმდევი პროცესია. საზოგადოების განვითარების ის სფეროები, რომლებიც პროგრესს, მუდმივ ცვლილებებს განიცდის და მუდმივი ფორმირების პროცესშია, დაკავშირებულია ახალი საგნობრივ-ცნებითი ერთეულების წარმოშობასთან, რაც ლოგიკურად მოითხოვს და განაპირობებს ახალი აღსანიშნის დენოტაცია/ნომინაციის ობლიგატორულობას. აღნიშნული დენოტატები ტერმინის სტატუსით მკვიდრდება ნაციონალური დარგობრივი ენის

ტერმინოსისტემაში და გამოიყენება კონკრეტული დარგის, პროფესიის ფარგლებში კომუნიკაციისას. გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტულ პროფესიულ ენას განსაზღვრული სოციალური ფენის, განსაზღვრული პროფესიის მქონე პირები განსაზღვრულ სოციუმში, დარგით და/ან პროფესიით განპირობებულ სივრცეში იყენებენ, მას პროფესიულ სოციოლექტს უწოდებენ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ კომპიუტერული ენა პროფესიული სოციოლექტია, რომელსაც სამნაწილიანი სტრუქტურა აქვს. ესენია - სამეცნიერო ლექსიკა (ტერმინები), ყოველდღიური-საქმიანი ლექსიკა (პროფესიული ლექსიკა) და ყოველდღიური-სალაპარაკო ლექსიკა (ჟარგონი). აღნიშნული ერთეულების არსებობა ფუნქციონალურ-სტილისტური თვალსაზრისით ქმნის სინონიმურ, ომონიმურ მიმართებებს პროფესიონალური სოციოლექტის შიგნით.

## თავი 3

# კომპიუტერული ტერმინოლოგიის კორპუსის ლინგვისტური ანალიზი

### 3.1. კომპიუტერული ენა როგორც ბუნებრივი ენის ლექსიკური სუბსისტემა

კომპიუტერული ენა შედგება სპეციალური ტერმინებისა და პროფესიონალიზმებისაგან, ასევე ჟარგონული ლექსიკისაგან. მათ იყენებენ კომპიუტერის სფეროს სპეციალისტები.

ზოგიერთი ლინგვისტი კომპიუტერულ ენას ბუნებრივი ენის სუბსისტემად განიხილავს, რომელიც ტერმინების შექმნის პროცესში ბუნებრივი და ხელოვნური საწყისების შეფარდებით ხასიათდება. ლინგვისტების შრომებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ ბუნებრივი ენის ძირითადი ნიშნები: სისტემურობა, მთლიანობა, ფუნქციურობა, იერარქიულობა, გახსნილობა, შედარებითი სტაბილურობა, უნიკალურობა. ცოცხალი ენის მთავარი ნიშანია მეტყველებაში მისი რეალიზაცია. მკვლევარ პუზირიოვის აზრით მეტყველება არის ენის აღმოჩენა, მისი მატერიალიზაცია, ამ მატერიალური ზედაპირის მიღმა კი იფარება სავარაუდო საზრისი (პუზირიოვი 2008).

ბუნებრივი ენისგან განსხვავებით, ხელოვნური ენა ხასიათდება ისეთი ნიშნებით, როგორცაა: მიზანმიმართულობა, საერთაშორისო ხასიათი, უფრო ხისტი სისტემურობა, უნივერსალურობა, სტანდარტულობა, ტექნიზირებულობა.

ნიშნები, რომლებიც აახლოებს კომპიუტერულ ენას ბუნებრივ ენასთან შემდეგია:

1. კომპიუტერული ტერმინების ფართო გამოყენება მეტყველებაში, მათი თავსებადობის გაფართოება, სპეციალური ტერმინოლოგიის სფეროდან ზოგადი მოხმარების ლექსიკაში გადასვლა (დეტერმინოლოგიზაცია და დესპეციალიზაცია);
2. კომპიუტერული ტერმინოსისტემის შედარებითი გახსნილობა - იგი მუდმივ ცვალებადობას განიცდის საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად;
3. კომპიუტერული ტერმინების სიტყვაწარმოებითი აქტივობა;
4. კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ველის ფორმირება;
5. ენის მატარებელთა აზროვნებაში კომპიუტერულ ტერმინებთან მიმართებაში ასოციაციური ველებისა და ასოციაციური კავშირების გაჩენა (სიტნიკოვა 2011).

კომპიუტერული ენის ხელოვნურ ენასთან დამახლოებელი ნიშნებია:

1. კომპიუტერული ტერმინების ინტერნაციონალიზაცია; თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტიკა აღწერს ენის როლს საზოგადოებრივ პრაქტიკაში და ითვალისწინებს მის როგორც სისტემურ თავისებურებებს, ასევე სოციალურ-პრაგმატიკულ ასპექტს. ასეთი კომუნიკაციურ-სოციალურ-პრაგმატიკული მიდგომა სამეტყველო აქტივობის საკითხების გადაწყვეტისადმი განპირობებულია როგორც შემეცნების პროცესების ღრმად გაგების აუცილებლობით, ისე პრაქტიკული მოთხოვნილებით, რომ მასობრივი კომუნიკაციისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობის პირობებში გამომუშავებულ იქნას მაქსიმალური ზემოქმედების საშუალებები ადამიანების შეგნებულ საქმიანობაზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ინტერნაციონალური ლექსიკის არსებობის ფაქტი, მისი ფუნქციონირების პირობებისა და უმთავრესად, მისი სისტემურ-სტრუქტურული თვალსაზრისით გაგება, შეიძლება უზრუნველყოფდეს შემეცნებითი პროცესების ოპტიმიზაციას ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. საერთაშორისო ლექსიკა, როგორც ისტორიის პროდუქტი და როგორც ლინგვისტური ფენომენი ბევრი მეცნიერის კვლევის სფეროა (ლეკა 2005).

ზოგიერთი კომპიუტერული ტერმინი შეიცავს ბერძნულ-ლათინურ ელემენტებს: მაგ. პრეფიქსები:

de-	decoder
anti-	antivirus
hyper-	hyperlink
cyber-	cyberspace
intra-	intranet
extra-	extranet

ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია სხვადასხვა ენებში ფორმით მსგავსი ტერმინების ფუნქციონირებაშიც ვლინდება. მაგ.

ინგლისური	გერმანული	ფრანგული	რუსული	ქართული
Processor	Prozessor	Processeur	Процессор	პროცესორი
Installation	Installation	<u>Installation</u>	Инсталляция	ინსტალაცია

2. კომპიუტერული ტერმინების ისეთ მორფოლოგიურ და ფონოლოგიურ თავისებურებათა არსებობა, რომლებიც არაა დამახასიათებელი ზოგიერთი ენისთვის. მაგ. ნომინაციის განსაკუთრებული მოდელების გამოყენება, რომლებიც არ მოიპოვება ან არაპროდუქტიულია სხვა, მაგ. რუსულ და ქართულ ენებში: e-mail.

3. ფორმალური სპეციფიკური ნიშან-სიმბოლოების არსებობა კომპიუტერულ ენაში, მაგ. : [http//](http://).

კომპიუტერული ენა, წარმოადგენს რა ახალ წარმონაქმნს, ასახავს ტერმინების შექმნის ძირითად ტენდენციებს. ამ ენის მომავალი განვითარების პერსპექტივას აქვს ორი ძირითადი გზა (New Developments 2001).

პირველი გზა არის კომპიუტერული ენის როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შუამავლის პიჟინიზაცია.

კომპიუტერული ენის პიჟინიზაციის სოციო-ლინგვისტური და ეთიკურ-ფსიქო-ლოგიური პირობებია:

- ინგლისური ენის ექსპანსია;
- ადამიანის აქტივობის სხვადასხვა სფეროს კომპიუტერიზაცია, რაც განაპირობებს კომპიუტერული ენის ცოდნის აუცილებლობას.
- კომუნიკაციის სფეროს გაფართოება. კომპიუტერული ენა ვითარდება პროგრამისტების პროფესიული ჟარგონიდან. კომპიუტერული ენის ფარგლებში ჩნდება სლენგი, იდიომი, სინონიმი, ომონიმი და სხვა ერთეულები.
- თანამედროვე, ინფორმაციული ენის მოთხოვნილება გამარტივებული გრამატიკით.

კომპიუტერული ენის ძირითადი მახასიათებლებია:

- ეზოთერული ხასიათი;
- განსხვავებული წარმოშობის სინონიმების არსებობა;
- კომპიუტერული ენის ერთეულების ორმაგი ეტიმოლოგია.

კომპიუტერული ენის განვითარების მეორე გზაა მისი როგორც ენის სტრუქტურულ-ფუნქციური ვარიანტის ფუნქციონირება, რომელიც ემსახურება პროფესიული კომუნიკაციის სფეროს „ადამიანი - კომპიუტერი“, „ადამიანი - კომპიუტერი - ადამიანი“. ამ შემთხვევაში კომპიუტერული ენა განვითარდება როგორც დარგობრივი ენა.

### 3.2. კომპიუტერული ტერმინოლოგიის კორპუსი

საზოგადოების სხვადასხვა სფეროს კომპიუტერიზაციის პროცესი იწვევს სპეციალიზირებული კომპიუტერული ტერმინოლოგიის ფართო და აქტიურ დანერგვას მსოფლიოს სხვადასხვა ენათა ლექსიკაში. ისტორიულად მოვლენები ისე განვითარდა, რომ მსოფლიო კომპიუტერიზაციის ფლაგმანი გახდა ამერიკის შეერთებული შტატები, რაც განსაზღვრავს კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას ინგლისური ენის ბაზაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფერო დინამიურად ვითარდება. მუდმივად ხდება კომპიუტერის განახლება და სრულყოფა პროგრამული უზრუნველყოფის, ინსტრუმენტული საშუალებებისა და სამომხმარებლო ინტერფეისის სფეროში, რასაც თან ახლავს ახალი კომპიუტერული ლექსიკის გაჩენა (ეფენდიევა 1972).

იცვლება არა მარტო სასაუბრო ლექსიკა, არამედ სპეციალური ლექსიკაც, ჩნდება ახალი ტერმინები. ამ მოვლენას უარყოფითი მხარეც აქვს - სამწუხაროდ, ბევრი სიტყვა ჩვენს მეტყველებას ხდის გაუგებარს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, მაგრამ ეს გარდაუვალი პროცესია. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომპიუტერული სუბენის შესწავლის შემდეგი ასპექტები:

- სტილისტური დიფერენციაცია;
- კომპიუტერული ლექსიკის განვითარების შესწავლა, რომელიც შედარებით მეთოდზე იქნება დაფუძნებული;
- მისი ურთიერთქმედება ზოგადი გამოყენების ლექსიკასთან;
- ინგლისური ენის გავლენა სხვა ენების კომპიუტერული ლექსიკის ფორმირებაზე.

კომპიუტერული ტერმინოსისტემა წარმოადგენს ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სფეროს ცნებათა ნომინაციას. აღნიშნული ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად, სემანტიკურად და სხვა კავშირებით. კომპიუტერული ტერმინოლოგია როგორც ნომინაციათა სისტემა ვითარდება ადამიანის შეგნებული საქმიანობის შედეგად, ამიტომ სრულიად კანონზომიერია კომპიუტერული ტერმინოლოგიის კავშირი ინფორმატიკასთან.

კომპიუტერული ტერმინოსისტემის ზოგად სტრუქტურაში შედის სამი ურთიერთდაკავშირებული ერთეულის შრე:

1. კოდიფიცირებული ტერმინები:

autocovariance - ავტოკოვარიაცია

biax - ბიაქსი

bitpad - პლანშეტური ციფრატორი

2. სხვა სამეცნიერო დარგებიდან ან ზოგადი მოხმარების ენიდან ნასესხები ტერმინები:

route - გზა - მონაცემთა გადაცემის ქსელის კვანძების თანმიმდევრობა.

3. ზოგადტექნიკური ტერმინები:

System - სისტემა - ოპერაციული სისტემა;

Module - მოდული - ამოცანათა პანელი.

კომპიუტერული ტერმინი ჩამოთვლილთაგან თითოეულის ერთეულია. აღსანიშნავია ასევე კომპიუტერული სლენგიზმები, რომლებიც განეკუთვნება სუბსტანდარტის სფეროს და წარმოადგენს კომპიუტერის მოყვარული არაფორმალური საზოგადოების სპეციალურ სოციოლექსს (ფელბერი 1984, Metal Bulletin 2005).

ლოგიკურ-სემანტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით კომპიუტერული ტერმინები იყოფა შემდეგ კლასებად:

- საგნები: (პლანშეტი, ვებ-კამერა, კლავიატურა);
- პროცესები (ჩატვირთვა, გამორთვა, დამუშავება, დაყენება, გაშვება);
- თვისებები: (გაფართოება, სპეციფიკაცია, ხანგრძლივობა);
- სიდიდეები და მათი ერთეულები: (მეგაბაიტი, გიგაბაიტი, ბიტი, მეგაბიტი).

კომპიუტერული ტერმინის ძირითადი ნიშნებია:

- ინტერნაციონალურობა;
- საგნობრივი მიმართულება;
- სისტემურობისადმი ტენდენცია;
- პოლიმორფიზმი;
- პოლიფუნქციურობა.

ასევე გამოვყოფთ ბაზისურ კონცეპტებს, რომლებიც შეადგენენ ტერმინოსისტემის ბირთვს. საკვლევი ტერმინოსისტემის ბაზისური კონცეპტებია:

- კომპიუტერული ტექნიკური საქმიანობის განხორციელების ობიექტი - კომპიუტერი როგორც ტექნიკური საშუალება;

- კომპიუტერული ტექნიკური საქმიანობის განხორციელების სუბიექტი - მომხმარებელი;
- შიდა გარემო - ინდივიდები, ორგანიზაციები, კომპიუტერული ტექნიკური საქმიანობის პირობები;
- შუამავალი - ტექნიკური ხელსაწყო, რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედებას, ასევე ქმედებები, რომლებსაც ის ახორციელებს.

ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტექნიკური ტერმინოსისტემისათვის ბაზისური კონცეპტის საყრდენი კონცეპტების სისტემის აგებას უზრუნველყოფენ:

- პროგრამები, ტექნოლოგიები და მეთოდები (*back end, BinHex*);
- ტექნიკური დახასიათება და მოწყობილობები (*digital*);
- ინფორმაციის კონტროლი, გადაცემა და შენახვა (*chip, virtual directory*);
- ინფორმაცია დისპლეიზე და კლავიატურაზე (*image, wallpaper*);
- მისამართი და სახელები (*address, domain name*);
- საზომი ერთეულები (*byte, dpi, gigabit, hertz, Kbps, megabyte*);
- პრობლემები (*anomaly, crash, freeze*);
- ტექნიკური ქმედებები (*launch, save, optimize*);
- კავშირისდამყარება სხვა მომხმარებლებთან (*moderated newsgroup, packet network*);
- დაშვების განხორციელება კომპიუტერთან (*access, dial-up, keyword, log, open access*);
- მომხმარებლის დასახელება (*author, client, end-user*);
- მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები (*access rights, illegal*);
- ობიექტთან ურთიერთქმედებით მიღებული შედეგები (*carbon footprint, digital lifestyle*);
- დოკუმენტები და სტანდარტები (*account, de facto standard, document*);
- გარეგანი ზემოქმედება (*broadcast storm, client pull/push, cut-and-paste attack*);
- მესამე პირების ზოგადტექნიკური მოქმედება (*rain fade, RFC (Request for Comments)*);
- პირები და ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს (*access provider*);

- გარე კონტროლი (*authorization, Internet security, security*);
- ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს (*console, device, front end, gateway*);
- ტექნიკური ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირს *OH (off hook)*.

კომპიუტერული სფეროს სემანტიკურ ბირთვად ჩვენ მოვიაზრებთ კომპიუტერულ ტერმინოლოგიას, რომელიც წარმოადგენს ტერმინოსისტემას და აქვს უნიკალური სპეციფიკური თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები.

### 3.3. კომპიუტერული ტერმინოსისტემის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები

სტრუქტურულად ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოლოგიური ერთეულები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

1. სიტყვა-ტერმინები/ ტერმინ-ლექსემები:

- მარტივი: chip - ჩიპი, bug - შეცდომა, დეფექტი
- წარმოებული, რომელიც შედგება ერთი ფუძისა და აფიქსებისაგან: *driver* - დრაივერი, *equipment* - მოწყობილობა
- რთული, რომელიც შედგება ორი ფუძისგან: *electrodynamics* - ელექტროდინამიკა;

2. ტერმინ-შესიტყვებები/ტერმინ-ფრაზემები, რომელთა შიგნით კავშირები რეალიზდება:

ა. შეერთებით, რომლის დროსაც ატრიბუტული და ზოგიერთი რელატიური (ძირითადად ზმნიზედური) კომპონენტი და ასევე გარკვეული კომპონენტი ერთდება და ქმნის ტერმინოლოგიურ შესიტყვებას:

*direct digital control* - პირდაპირი ციფრული მართვა;

*control key* - მართვის ღილაკი.

ბ. სხვადასხვა გრამატიკული საშუალებებით, რომელთა შორის მთავარ როლს ასრულებენ წინდებულები:

*correction for displacement* - შესწორება გადაადგილებისათვის;

*delay per logic function* - ერთ ლოგიკურ ფუნქციაზე შეჩერება.

მარტივი ტერმინები, რომლებიც ერთი ტერმინოსისტემის შემადგენლობაშია და ხასიათდება მონოსემიურობით, შეიძლება ჩაითვალოს მოცემული თემატიკის საკვანძო სიტყვებად (Recommendations 1963, ვარტოფსკი 1968).

რთული ტერმინები შეიძლება შეგვხვდეს ერთ ტერმინოსისტემაში, მაგრამ მათ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მნიშვნელობები სხვადასხვა კონტექსტში. მაგ.

Workstation –

ა. სამუშაო სადგური (ინფორმაციული ტექნოლოგიების სფერო);

ბ. შეფ-მზარეულის სამუშაო ადგილი (რესტორნების სფერო) და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ასეთი ტერმინები უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომელშიც გვხვდება მოცემული სიტყვა (ნელიუბინი 2004, აბელია, კიმი 1981).

ტერმინ-შესიტყვებები სიტყვათა ჯაჭვია, რომელიც ხშირი ხმარებისას იცვლება აბრევიატურებით, ეს უკანასკნელი კი შემდგომ შეიძლება შევიდეს სხვა რთული ტერმინის შემადგენლობაში. მაგ.

*Message Handling System - შეტყობინებათა გადამუშავების სისტემა* - ამჟამად უფრო ხშირად აღინიშნება აბრევიატურით *MHS*.

*Novell MHS - ნოველის ფირმის შეტყობინებათა გადამუშავების სისტემა.*

კომპიუტერულ სუბენაში ხდება იგივე ლექსიკო-სემანტიკური პროცესები, რაც ზოგად ლიტერატურულ ენაში, კერძოდ,

- პოლისემია: cell – 1) ელექტრონული ცხრილების ძირითადი ერთეული; 2) მართკუთხა უჯრა სტრიქონებისა და სვეტების გადაკვეთის ადგილზე ელექტრონულ ცხრილში; 3) მეხსიერების უჯრა ;
- სინონიმია - diskette, floppy disk, flexible disk – დისკეტა;
- ომონიმია - argument – 1) არგუმენტი, საბუთი 2) დამოუკიდებელი ცვლადი;
- ანტონიმია - start – end - დაწყება - დამთავრება , internal – external - შიდა - გარე.

კომპიუტერულ ტერმინებში სემანტიკურ პროცესებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ ადგილი აქვს ჰიპონიმას, მაგ. ტერმინი subdirectorie - სუბდირექტორია/ქვეკატალოგი არის ჰიპერონიმი ისეთ ტერმინებთან (ჰიპონიმებთან) მიმართებაში, როგორიცაა:

- user - კატალოგი, რომელიც შეიცავს ცალკეულ ქვეკატალოგებს სისტემის ყველა მომხმარებლისათვის;
- accounts - კატალოგი, რომელიც შეიცავს ინფორმაციულ ანგარიშებს;

- programs - პროგრამათა კატალოგი;
- memos - ტექსტური ფაილების კატალოგი;

მოყვანილ მაგალითში ასახულია ცნების „სუბდირექტორია“ (ან „ქვეკატალოგი“) მრავალდონიანი სტრუქტურა. ჰიპონიმის საფუძველზე ურთიერთდაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ერთიანდებიან თემატურ და ლექსიკო-სემანტიკურ ჯგუფებში, კლასებსა და ქვეკლასებში, სემანტიკურ ველებსა და სემანტიკურ სფეროებში.

სემანტიკური ადაპტაციის პროცესში შეიძლება მოხდეს ინგლისურენოვანი სიტყვის აზრობრივი დიაპაზონის შევიწროება ან გაფართოება (ანისიმოვა 1993, მანერკო 2003, ჩიგაშოვა 2004). შევიწროება იმის გამო ხდება, რომ ჩვეულებრივ ხდება პოლისემიური სიტყვების ერთი მნიშვნელობის სესხება. მაგ. სიტყვა banner-ს ინგლისურ ენაში აქვს მნიშვნელობები: დროშა, ალამი, ბაირალი, სიმბოლო, მსხვილი შრიფტით აწყობილი სათაური (გაზეთში), ტრანსპარანტი, ლოზუნგი, დევიზი, საუკეთესო, სამაგალითო, მთავარი და ა.შ. კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში კი ბანერი არის ვებ გვერდის ნაწილი, სადაც განთავსებულია რეკლამა (პიხტი, დრასკაუ 1985).

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობის შევიწროების მაგალითად კომპიუტერული ტერმინების სესხების შემთხვევაში ასევე შეიძლება დავასახელოთ სიტყვა bug, რომელსაც ინგლისურ ენაში აქვს მნიშვნელობა ბაღლინჯო, მწერი, ხოჭო, ვირუსი, მიკრობი, აკვიატებული აზრით შეპყრობილი ადამიანი, მოსასმენი მოწყობილობა, დაცვის სიგნალიზაცია და ა.შ. კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში კი მას აქვს მნიშვნელობა პროგრამული ან აპარატული შეცდომა.

ორივე შემთხვევაში მოხდა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შევიწროება მისი სპეციალიზაციის ხარჯზე.

სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ხდება ზოგადი მოხმარების სიტყვებისათვის დამატებითი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მინიჭებით. კომპიუტერული ტერმინების სესხებისა და სემანტიკური ადაპტაციის პროცესში ზოგადი მოხმარების სიტყვებს შეიძლება გაუჩნდეს დამატებითი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა (ბაბუშკინი, 2001).

ეს პროცესი მეტნაკლებად ნათლად შეინიშნება მეტაფორიზებული კომპიუტერული ტერმინების სესხების დროს. მეტაფორიზებულ ტერმინში ვგულისხმობთ ტერმინებს, რომლებიც წყარო ენაში მეტაფორული გადატანის გზით იქნენ შექმნილი (გადატანა მსგავსების მიხედვით). მეტაფორა არის ადამიანის კონცეპტუალური სისტემის

განუყოფელი ნაწილი, მისი აზროვნების მნიშვნელოვანი თვისება და ლექსიკის შევსების ეფექტური საშუალება (ბოლდირევი 2001, ვოლოდინა 1998).

მეტაფორული ნომინაციის როლი ტერმინების შექმნისას საერთოდ, და განსაკუთრებით, ცოდნის ახალ სფეროთა ტერმინოლოგიის შექმნისას, საყოველთაოდ მიღებული ფაქტია (გოლოვანოვა 2008). კომპიუტერული ტექნოლოგიების სფერო არ არის გამონაკლისი.

აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ კოგნიტურ მეტაფორას, რომელიც ახალი ცნების სინთეზირებას ახდენს. კომპიუტერული ტერმინების მეტაფორიზაციის პროცესი ხდება არა ქაოტურად, არამედ ის ექვემდებარება რამდენიმე ფაქტორს. მეტაფორული მნიშვნელობის ფორმირების ბუნების ანალიზისას, ტრადიციულად გამოყოფენ ამ პროცესის სამ ეტაპს:

- საკვლევი ობიექტის იზოლირება მისი რამდენიმე განმასხვავებელი თვისების მიხედვით. ამასთან სიტყვის აღება ხდება არა მთელი მნიშვნელობების მოცულობით, არამედ გამოიყოფა მხოლოდ საჭირო მნიშვნელობა. მაგალითად, ტერმინ *ტრაფიკის* (ინგლ. *traffic* - მოძრაობა) მსგავს ნიშნად საწყის ეტაპზე აღმოჩნდა სწორედ „მოძრაობა“ და ტერმინმა ტრაფიკი მიიღო დეფინიცია *ინფრომაციული ინტენსიურობა*, რომელიც გადაიცემა ციფრული არხით.
- კონცეპტუალიზაცია - საკვლევი ობიექტის ცნების ფორმირება ზოგადი მოხმარების სიტყვის მნიშვნელობის გავლენით (დაწვრილებით იხ. 3.5);
- ნომინაციის არჩეული ერთეულის გამყარება ახალი ცნებით და ორი სემანტიკური შრის შერწყმა (ახალი ცნებისგან ზოგადი მოხმარების სიტყვის მნიშვნელობის ჩამოშორება), იმის საფუძველზე, რომ ნომინაციის ახალ მნიშვნელობას აქვს ავტონომიური მიმართულება. ამასთან დაკავშირებით, ნომინაციის ერთეული იძენს დამოუკიდებელ ნომინაციურ ღირებულებას და იქცევა ტერმინად (ზაბენკო 2006).

კომპიუტერული ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები მიუთითებს ტერმინოლოგიის მთლიანობასა და მის სისტემურ ხასიათზე.

### 3.4. კომპიუტერულ ტერმინოლოგიურ ნომინაციათა ფონდის შევსების ფართოდ გავრცელებული საშუალებები

#### 3.4.1 კომპიუტერული ლექსიკის ერთეულების წარმოქმნის ლექსიკო-სემანტიკური ხერხი

ლინგვისტური თვალსაზრისით კომპიუტერული ტერმინების შექმნა ექვემდებარება შემდეგ ხერხებს:

- სემანტიკურ ხერხს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგადლიტერატურულ ენაში სიტყვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროში კი ტერმინი იძენს სხვა მნიშვნელობას.
- სინტაქსურ ხერხს, რომელიც ექვემდებარება ტერმინის შექმნას სიტყვების შეერთების გზით. მაგ. სინტაქსური ხერხითაა ნაწარმოები ტერმინი memory scan. აღსანიშნავია, რომ ენაში ტერმინის შექმნის აღნიშნული ხერხი საკმაოდ გავრცელებულია.
- მორფოლოგიურ ხერხს, რომელიც ექვემდებარება ზოგადი მოხმარების სიტყვების ან უკვე არსებული ტერმინების აფიქსაციას.

სემანტიკური ტერმინ-წარმონაქმნები ერთ-ერთი ტრადიციული და პროდუქტიული ხერხია სპეციალური დასახელებების შესაქმნელად. ახალი სიტყვების წარმოქმნის სემანტიკური ხერხი მდგომარეობს უკვე არსებული სიტყვისათვის, ახალი, მეორადი მნიშვნელობის მინიჭებაში იმ მსგავსების საფუძველზე, რომელიც არსებობს ახალსა და უკვე ცნობილ მოვლენას შორის. სემანტიკურ საფუძველზე წარმოქმნილი კომპიუტერული ტერმინოლოგია აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი ხშირი გამოვლინებაა (არუტიუნოვა 1988, ანისიმოვა 2001, ნეფიოდოვა 2003, მეშკოვი 1976).

ძირითადად, ტერმინების წარმოქმნა ხდება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შედეგად:

Feature – (თვისება) - პროგრამით უზრუნველყოფილი მიმზიდველი შესაძლებლობა;

kernel – (გული, არსი) - ოპერაციული სისტემის ბაზური ბირთვი;

lock – (კლიტით დაკეტვა) - ფაილის, მონაცემთა ბაზის და ა.შ. დაბლოკვა;

batch – (კომპლექტი) - (არს. სახ.) პაკეტი, (ზედსართავი) ჯგუფური, პაკეტის, (ზმნა) მონაცემთა შეგროვება, შეტყობინებათა პაკეტის ფორმირება;

delete – (წაშლა) - კომპიუტერის მეხსიერებიდან მონაცემების ან ფაილების წაშლა;

frame – (ჩარჩო, სტრუქტურა, სისტემა) - ფიქსირებული ფორმატის მონაცემთა ბლოკი, რომელიც გადაიცემა კავშირის არხით;

Character – (ასო) - გრაფიკული ნიშანი;

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში შეგვიძლია დავაკვირდეთ მნიშვნელობის განვითარების სხვადასხვა ხერხებს. მასში ფართოდაა წარმოდგენილი მეტაფორული გადატანის სხვადასხვა სახეობები:

*hardware* - აპარატული უზრუნველყოფა (სემანტიკური გადატანის საფუძველია მასალა, რომლისგანაც შედგება კომპიუტერის დეტალები);

*Wizard* - პროგრამა ექსპერტი, რომელიც უზრუნველყოფს Windows-ის ბევრ პროგრამაში ორიენტირებას. იგი აიოლებს მოცემულ ოპერაციულ სისტემაში მუშაობას, სწრაფად და ადვილად ასრულებს რთულ ოპერაციებს, თითქოს ჯადოქრობს (მეტაფორა ეფუძნება სიტყვა "wizard"-ის ლიტერატურული მნიშვნელობის (მაგი, სასწაულმოქმედი) პერიფერიული სემის აქტუალიზებას.

დასახელება ხშირად გადადის სხვა საგანზე რაიმე საერთო ფუნქციის საფუძველზე:

*patch* - პროგრამის სექცია, რომელიც შემოტანილია შეცდომის გასასწორებლად (ზოგადლიტერატურული მნიშვნელობა - „სალბუნი“).

*folder* (ქართ. - საქაღალდე) - დირექტორია, რომელიც შეიცავს სხვა საქაღალდეებს ან/და ფაილებს.

ფორმის მსგავსება:

*window* (ქართ. - ფანჯარა) - სწორხაზოვანი ადგილი ეკრანზე, რომელშიც ხდება აპლიკაციის ან დოკუმენტის გამოტანა;

სტრუქტურის მსგავსება:

*net* (ქართ. - ქსელი) - კომპიუტერები, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ერთიან კომუნიკაციურ სისტემაში.

კომპიუტერულ ჟარგონში მეტაფორიზაციის პარალელურად აქტიურად მოქმედებს მეტონიმიაც:

*heavy metal* – (ქართ. - მძიმე ლითონი) - დიდი, ძვირადღირებული, ზესწრაფი კომპიუტერი;

*silicon* – (ქართ. - სილიკონი, ქიმიური ელემენტი) - აპარატული უზრუნველყოფა, უპირატესად ინტეგრალური სქემები;

*iron* – (ქართ. - რკინა) აპარატული უზრუნველყოფა, ქსელური ვირუსი.

ორივე ენის კომპიუტერულ ჟარგონში ასევე ადგილი აქვს სინეკდოქსებურ გადატანებს:

*Bits* – (ქართ. - ნატეხი) - დოკუმენტის ელექტრონული წარმოდგენა;

*Copper* - (ქართ. - სპილენძი) - თითბერის კაბელი;

*Suit*- (ქართ. - ამალა) - ხელმძღვანელი სტრუქტურების წარმომადგენელი;

*Box* (ქართ. - ყუთი) - კომპიუტერი.

სიტყვაწარმოება ნებისმიერი ენისა და სუბენის ლექსიკური საშუალებებით შევსების მუდმივი გზაა, რომელიც მნიშვნელოვან შედეგს იძლევა რაოდენობრივი თვალსაზრისით, და, უდავოდ, მოითხოვს დეტალურ ანალიზს (ვინოკური 1939, ბონზი 1984, მაჩაიძე 2002, ლოპატინი 1979).

სიტყვაწარმოების საშუალებები, რომლებსაც ტრადიციულად გამოყოფენ ენის სისტემაში არის: აფიქსაცია, კონვერსია, აბრევიაცია.

კომპიუტერული ტერმინების შექმნისას აქტიურად გამოიყენება ლათინური წარმოშობის თავსართები, რომლებიც დამახასიათებელია სამეცნიერო სტილისათვის: ინტერ-, სუპერ-, მინი-, მაკრო-, მიკრო-, ავტო-, მულტი-, მეგა-:

*Interactive* - ინტერაქტიური;

*Minidriver* - მინიდრაივერი;

*Superuser* - პრივილეგირებული მომხმარებელი;

*Microfile* - მიკროფაილი;

*Multisystem* - მულტისისტემა;

*Megaword* - მეგასიტყვა.

პრეფიქსებს შორის დიდი სიხშირით ხასიათდება re - განმეორებითი მოქმედების მნიშვნელობით:

*Recopy* - ხელმეორედ კოპირება;

*Recreate* - მონაცემთა აღდგენა;

*Reformat* - გადაფორმატება.

პრეფიქსები cyber-(ვირტუალურ სამყაროსთან მიმართებაში), e-(ელექტრონული) საერთაშორისოა. ისინი გამოირჩევიან პროდუქტიულობით და აქვთ ზრდის

ტენდენცია. გარდა ფართო მოხმარების *e-mail*-ისა - *ელექტრონული ფოსტა*, არსებობს *e-პრეფიქსიანი* სხვა ტერმინებიც:

*e-book* - *ელექტრონული წიგნი*;

*e-cash* - *ელექტრონული ფული*;

*e-form* - *ელექტრონული ფორმა, ელექტრონული ბლანკი*.

ინტერნეტის მომხმარებლები იყენებენ „net“- ს თავსართის სახით, რომელსაც აქვს ინტერნეტთან დაკავშირებულის ფუნქცია. მაგ. შევადართო პროფესიონალიზმები:

*net.newcomer* - *ახალბედა ინტერნეტში*;

*net.session* - *ქსელური კონფერენცია*;

*net.person* - *ქსელის მომხმარებელი*.

ჟარგონიზმები:

*net.lurker* - (*ქართ.: ქსელის მალულად მზვერავი*) - *ქსელის პასიური მომხმარებელი*;

*net.god, net.goddess* - (*ქართ.: - ქსელის ღმერთი*) - *ცნობილი პიროვნება ქსელში*;

*net.police, net.cops* - (*ქართ.: - ქსელის პოლიციელები*) - *მომხმარებლები,*

*რომლებიც აკრიტიკებენ ტელეკონფერენციის სტატიების შინაარსს.*

კონვერსია მიეკუთვნება სიტყვაწარმოების არალინეარულ საშუალებებს. კონვერსიის პროცესში, აფიქსაციისგან განსხვავებით, სიტყვა მატერიალური ცვლილების გარეშე გადადის ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში.

ტერმინოლოგიურ ლექსიკაში საკმაოდ ფართოდაა რეპრეზენტირებული ორი მოვლენა: 1. სუბსტანტივაცია:

*Abort* - *პროგრამის მოქმედების შეწყვეტა დროზე ადრე. წარმოებულია ზმნიდან abort* - *ავარიული დასრულება, წარუმატებლობა*;

*Click* - *დაჭერა, დაწკაპვა, „დაკლიკვა“ ზმნიდან Click* - *დატკაცუნება*;

*Autosave* - *ავტომატური შენახვის ფუნქცია ზმნიდან save* - *ინფორმაციის შენახვა*.

2. ვერბალიზაცია:

*pirate* - (*მეკობრე, საავტორო უფლების დამრღვევი*) *პროგრამის არალეგალურად კოპირება*;

*Spam* - (*პრაქტიკულად არასაჭირო ინფორმაცია, მაგ; ელ.ფოსტაზე მიღებული რეკლამა*)- *რეკლამის მასობრივი დაგზავნა ელექტრონული ფოსტით*;

*Variate - ვარირება, არსებითი სახელიდან variate - შემთხვევითი სიდიდე.*

კომპიუტერულ სუბენაში საკმაოდ პროდუქტიულია კონვერსიული სიტყვაწარმოების მოდელი განსხვავებული სტილისტური კუთვნილების ზმნებიდან. სხვა მეტყველების ნაწილზე გადასვლისას ეს ზმნები გარდაიქმნებიან არსებით სახელებად ან ზედსართავ სახელებად:

*Setup - აწყობა, კონფიგურაცია;*

*slow-down - შენელება;*

*pop-up - ეკრანზე გამოსახვა;*

*add-on – გაფართოება.*

ჩვენს მიერ განხილული თითოეული ხერხი (ლექსიკურ-სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური) გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით კომპიუტერულ ლექსიკაში. კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მიმდინარე სემანტიკური ტრანსფორმაცია ვლინდება მნიშვნელობის სპეციალიზაციაში, ლექსიკური თავსებადობის გაფართოებაში, მეტაფორიზაციაში. ტერმინოლოგიაში კონვერსია, როგორც წესი, მიმართულია სუბსტანტივაციაზე.

### **3.4.2. აბრევიაცია როგორც კომპიუტერული ტერმინების სიტყვაწარმოების საშუალება**

ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოკლებებს. ისინი დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, ფიქსირდებიან ლექსიკოგრაფიულ წყაროებში და ხშირად უფრო ცნობილნი ხდებიან, ვიდრე მათი წყარო. შემოკლებათა რამდენიმე ტიპი პროდუქტიულია კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნისას, მაგ. ანბანური შემოკლებები :

HTTP - Hyper Text Transfer Protocol - ჰიპერტექსტური ფაილების გადაცემის პროტოკოლი;

DB - data base - მონაცემთა ბაზა.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში გვხვდება შემოკლების ოთხი ტიპი (ბაკარაძე 2009):

- აბრევიაცია
- აკრონიმია
- მოკვეცა
- შეზრდა

აბრევიატურები იქმნება შესიტყვების სიტყვათა საწყისი ასოებისგან:

RWM (read-write memory);

ADMD (Administration Management Domain).

აკრონიმები იქმნება ასოების სხვადასხვა შეთანხმებებისგან (პირველი ასოებისგან, რამდენიმე პირველი და რამდენიმე ბოლო ასოსგან და იკითხება როგორც ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულები. მაგ.:

CASE - Computer-Aided Software Engineering;

CAT - Computer-Aided Tomography.

მოკვეცილი შემოკლებები ძირითადად დამახასიათებელია სლენგისთვის. მოკვეცილი შემოკლებების მაგალითებია:

emu - emulator

info – information

tech - technical

შენაზარდი ტერმინები ჩნდება ერთი ამოსავალი ტერმინის სრული შერწყმით მეორეს მოკვეცილ ფუძეზე ან ამოსავალი ტერმინების ორი მოკვეცილი ფუძის შერწყმით. ახალი ტერმინის მნიშვნელობა სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს მასში შემავალი სტრუქტურული კომპონენტების მნიშვნელობას. მაგ.:

netiquette - (net + etiquette);

botnet - (robot + net).

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება აბრევიაცია ინტერნეტ სივრცეში. ინტერნეტით სარგებლობისას უფრო მოსახერხებელია გრძელი ტერმინების შემოკლებული ან აბრევიატურული დაწერა. მაგ:

A/S/L/ - (Age, Sex, Location- ასაკი, სქესი, ადგილმდებარეობა);

AFB - (Away From Brain- კომპიუტერისგან შორს);

სპეციფიური ემოციური ელფერის მიცემის მიზნით, მთლიან ფრაზებსა და სიტყვებს ამოკლებენ ინიციალებამდე, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი სიმბოლო ან პუნქტუაციის ნიშანი შეიძლება გამოხატავდეს მთელ წინადადებას და მასში ჩადებულ ემოციას. მაგალითად:

B4 - Before;

C4N- Chao For Now;

F2F - Face to Face;

U2 - You Too.

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ფუნქციის გაზრდამ წარმოშვა ე.წ. ვირტუალური ენა, სადაც ვერბალური ნარატივის გარდა, მნიშვნელოვანია ისეთი სემიოტიკური ნიშნებიც, როგორცაა ხატულები და სხვადასხვა სახის პიქტოგრამები. ხშირად, ვირტუალური ურთიერთობისას სიტყვა ჩანაცვლებულია ასეთი ნიშნებით, მეტიც, დიალოგიც კი მიმდინარეობს ასეთ ნიშანთა გამოყენებით. ამ ნიშანთა ფსიქოლოგიური, თემატური და კონტექსტუალური მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამარტივებს კომუნიკაციას. სასვენი ნიშნებისგან შექმნილი „ემოციური ხატები“ კომუნიკაციაში მონაწილე პირის განწყობის გამოხატვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მათი მეტყველება გაჯერებულია მთელი რიგი აბრევიატურებით, სიმბოლოებით და შემოკლებული გამონათქვამებით, რათა ზუსტად იყოს გამოხატული მისი მთქმელის მიერ გამოხატული შეგრძნება, ემოცია თუ სახის გამომეტყველება. მათი გამოყენების სიხშირე საოცრად მაღალია. ჩეთი ახალ საკომუნიკაციო ფორმაზე გადასვლაა, რაც XXI საუკუნის მეტყველების რეგისტრად შეიძლება ჩაითვალოს და ეჭვგარეშეა, განიცდის მუდმივ პროგრესს (შაპოვალოვა 2008).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შემოკლება, როგორც სიტყვაწარმოების საშუალება როგორც ლიტერატურულ, ისე არასტანდარტულ ენებში უფრო და უფრო განვითარდება ნომინაციის მოთხოვნებისა და ენის ძირითადი, კომუნიკაციური ფუნქციის შესრულების შესაბამისად, რათა მოხდეს იმ მოსაუბრეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლებიც საუბრობენ ინფორმაციის მოკლე, ეკონომიურ ერთეულებში (მაჩაიძე 2002, ბრაგინა 1981).

### 3.5 .ინტერნეტის ენა როგორც განსაკუთრებული ენობრივი სუბსისტემა

#### 3.5.1. ინტერნეტ დისკურსი და ლინგვო-კულტუროლოგიური ველი

თითოეულ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას თან ახლავს ლინგვისტური რევოლუციაც. ინგლისელი ლინგვისტი ნორმან ფეირკლაუ ახასიათებს მსოფლიოში არსებულ დღევანდელ ენობრივ სიტუაციას, როგორც საკომუნიკაციო ენის ტექნოლოგიზაციას, რაც პირველ რიგში უკავშირდება ინტერნეტის ინტენსიურ მოხმარებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ამ სფეროსთან დაკავშირებული ლექსიკის ფართო გამოყენებას.

ელექტრონული სამყარო ფიზიკური სამყაროს პარალელური სამყაროა, რომელიც ბევრად უფრო კომფორტულია, ვიდრე რეალური, რადგან ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია პრაქტიკულად ყველაფრის გაკეთება სახლიდან გაუსვლელად. ინტერნეტი ბევრისთვის ურთიერთობის, ახალი ნაცნობების გაჩენის, ვირტუალური მეგობრობის, ფლირტისა და ნამდვილი რომანების სამყაროც კია (კრისტალი 2001, გოროშკო 2007, ლიხოლიტოვი 1997, სკლიარევსკაია 1998).

საზოგადოების ცხოვრებაში კომპიუტერისა და ინტერნეტის ინტენსიური დანერგვა იწვევს განსაკუთრებული სახის დისკურსის - ინტერნეტ-დისკურსის ფორმირებას (ვოლოდინა 2000).

ენაში ხდება განსაკუთრებული ლექსიკური სუბსისტემის ფორმირება, რომელსაც აქვს საკუთარი ენობრივი თავისებურებები და განსაკუთრებული სოციო-კულტურული მახასიათებლები. ნაცნობი ლექსიკის გამოყენება ქმნის სიმარტივის, ნდობის ეფექტს, უზრუნველყოფს კონტაქტის დამყარებას ხალხმრავალ აუდიტორიასთან და მომხმარებლებს უიოლებს რთული ტექნიკური ცნებების გაგებას (ნოვოდრანოვა, 2006).

ინტერნეტის ლექსიკა ინარჩუნებს პროფესიული ტექნიკური ჟარგონის ცალკეულ ნიშნებს და აქტიურად იყენებს ზოგადი მოხმარების ლექსიკას, ექვემდებარება გარკვეული ენის იმანენტურ კანონზომიერებებს და არაფორმალური ლექსიკის გაჩენის პრინციპების მიხედვით ყალიბდება (შკაპენკო, 2008).

ინტერნეტ-დისკურსში კომპიუტერული და ინტერნეტის ცნებების გამოხატვის ძირითად საშუალებად გვევლინება მეტაფორა. მეტაფორა ინტერნეტის ენაში გამოირჩევა განსაკუთრებული ხასიათით და განსხვავდება კლასიკური მეტაფორისგან. იგი ერთი მხრივ კორელაციაშია ტექნიკურ კონცეპტებთან, მეორე მხრივ კი აგებულია

ადამიანის ცხოვრების ბანალური, ყოველდღიური კონცეპტების საფუძველზე, რაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი როგორც კონცეპტუალური მეტაფორა.

ველის მეთოდის, რომელიც შეიმუშავეს ი. ტირმა, ვ.პორციგმა, ლ. ვაისგერბერმა და სხვა მეცნიერებმა, ვითარდებოდა თანამედროვე მეცნიერების ბევრ მოდიფიკაციაში. ველის ცნება საკმაოდ კარგად ხსნის ონომასიოლოგიის ფაქტებს „სამყაროს ხატის“ სინქრონულ ენობრივ ინტერპრეტაციაში.

ენობრივი ველი ენის მსოფლალქმის ნაწილია, ამ პლანში ისმის საკითხი ველის შესახებ, რომელშიც ენობრივი ერთეულები განიხილება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ასახავენ ისინი კულტურის შესაბამის ფრაგმენტს. ამ დარგში ერთ-ერთი ბოლო მიღწევაა ვ. ვორობიოვის მიერ შემუშავებული ლინგვო-კულტუროლოგიური ველის კონცეფცია, რომელიც ზოგადად განისაზღვრება როგორც ერთეულთა იერარქიული სისტემა, რომელთაც აქვთ საერთო მნიშვნელობა და ასახავენ კულტურის შესაბამის ცნებებს - ლინგვო-კულტურემებს.

ვორობიოვის თეორიის მიხედვით (ვორობიოვი 2008), ლინგვო-კულტუროლოგიურ ველს შეიძლება ჰქონდეს როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული ხასიათი, და ამის შესაბამისად, მის დომინანტად გვევლინება კონკრეტული და განყენებული სემანტიკის სიტყვები. ველის ერთეულები განიხილება მათი პარადიგმატიკული და სინტაგმატიკური თავისებურებების თვალსაზრისით, რაც ასახავს ველის ელემენტების არა მარტო საგნობრივ-ცნებობრივ კავშირს, არამედ რეალიათა შესატყვისი საგნების გამოყენების ხასიათსაც, მათი, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტებად გამოყენებას. ლინგვო-კულტუროლოგიური ველის ელემენტები ლინგვისტური და რეფერენტულია და თავისი ბუნებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე სხვა ველები. ვორობიოვის მტკიცებით ლინგვო-კულტუროლოგიური ველი როგორც ლინგვო-კულტურემათა სტრუქტურა, წარმოადგენს ნიშანთა, მნიშვნელობათა და შესატყვისი ცნებათა ერთობლიობას კულტურის ობიექტების შესახებ, ხოლო ლინგვო-კულტურემათა სემანტიკა წარმოადგენს ენობრივი და არაენობრივი შინაარსის - რეფერენტის ასახვის სხვადასხვა და ამავდროულად ურთიერთდაკავშირებული ფორმების დიალექტიკურ კავშირს.

ლინგვო-კულტურემა შედის არა მარტო ენობრივ ურთიერთობებში, არამედ უფრო ღრმა არაენობრივ „პარადიგმებში“ და „სინტაგმებში“. ლინგვო-კულტუროლოგიური

ველი თავისი ბუნებით ახდენს ენობრივი და კულტუროლოგიური შინაარსის სინთეზს. ვორობიოვის აზრით, ასეთი ველის უმთავრესი სტრუქტურულ-სემანტიკური კომპონენტებია ველის ბირთვი და მისი ინვარიანტული ლინგვო-კულტუროლოგიური არსი; ცენტრი და პერიფერია; ლინგვოკულტურემათა პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა.

ვორობიოვი ამგვარად განავითარებს ლინგვო-კულტუროლოგიური ველის განსაზღვრებას და გვთავაზობს, გავიგოთ ის, როგორც ლინგვო-კულტურემათა იერარქიული სისტემა, რომელთაც აქვთ გარკვეული კულტურული სფეროსთვის დამახასიათებელი საერთო (ინვარიანტული) აზრი. ასეთი გაგებით ლინგვო-კულტუროლოგიური ველის ბირთვს აქვს არა მარტო საერთო ენობრივი მნიშვნელობა, არამედ ლინგვო-კულტუროლოგიური ინვარიანტული აზრიც.

ლინგვო-კულტუროლოგიური ველის ბირთვი მოიცავს ლინგვო-კულტურემათა ძირითად კლასს (ჯგუფებს), რომლებსაც ვორობიოვი პირობითად უწოდებს სუბ-ველებს, ან მიკროველებს, რომლებიც განეკუთვნება სულიერი და მატერიალური კულტურის სხვადასხვა სფეროებს.

ჩვენ ლინგვო-კულტუროლოგიური ველის ბირთვად განვიხილავთ ინტერნეტს. ინტერნეტის ველის ბირთვი შედგება მიკრო-ველებისაგან, პირველ ყოვლისა, ადამიანი და მისი ყოველდღიური ცხოვრება მოიცავს ისეთ მიკრო-ველებს, როგორიცაა:

*სხეულის ნაწილები და ორგანოები:*

Brain - (ტვინი) - ელექტრონული გამომთვლელი მანქანა;

Backbone – (ხერხემალი) - ძირითადი ქსელი;

Hand – (ხელი) - hand tool - ხელის ინსტრუმენტი; (old) hand - ადამიანი, რომელიც კომპიუტერის კარგი მცოდნეა;

Finger – (თითი) - ინტერნეტ სამსახური, რომელიც აწვდის ინფორმაციას სხვა კომპიუტერზე მომუშავე მომხმარებლის შესახებ, მაგ., მის სრულ სახელს, დროს, როდესაც ის ბოლოს შევიდა სისტემაში და სხვა მონაცემებს. Fat finger - შეცდომა, რომელიც კლავიატურაზე ბეჭდვის პროცესში გამოწვეულია არასწორ ღილაკზე თითის შემთხვევით დაჭერით;

head – (თავი) - Net head - ადამიანი, რომელიც ძალიანაა გატაცებული ინტერნეტით;

Skin – (კანი) - სურათები, ფერები, დიზაინი და ა.შ., რაც ჩანს მონიტორზე ან მობილურის ეკრანზე და, რომლის შეცვლაც შეუძლია მომხმარებელს;

eye – (თვალი) - eyeball - ვებსაიტის ვიზიტორი;

Artificial intelligence - ხელოვნური ინტელექტი.

*მოთხოვნილებები:*

*საკვები:*

Spam – (ხორცის კონსერვი) - სპამი (პრაქტიკულად არასაჭირო ინფორმაცია, მაგ; ელ.ფოსტაზე მიღებული რეკლამა);

Cracker – (კრეკერი, ორცხობილა) - ადამიანი, რომელიც ბოროტი მიზნებისთვის იყენებს კომპიუტერს;

Ham – (ლორი) - სასურველი შეტყობინება;

bread crumb – (პურის ნამცეცი) - ინტერფეისში იმ საიტების სია, რომლებიც მომხმარებელმა ბოლო დროს მოინახულა;

Honey - (თაფლი) - Honeypot – გამოთვლითი სისტემის ნაწილი, რომელსაც აკონტროლებს უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფა დამრღვევის დაჭერის მიზნით.

*ტანსაცმელი:*

Jacket – (ქურთუკი) - დისკეტის ყუთი;

Button – (ღილი) - ღილაკი;

Boot - (ყელიანი ფეხსაცმელი) - ჩატვირთვა;

Pocket – (ჯიბე) - ჯიბე ბარათებისათვის;

Shoe – (ფეხსაცმელი) - ჩექმა მაგნიტურ დისკებზე;

Hat - (ქუდი) - სიმბოლოს სახელწოდება - white hat - ადამიანი, რომელიც პოულობს და აგვარებს კომპიუტერის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს სანამ მეორე მხარე ("black hat") ბოროტად გამოიყენებს მას.

anorak - (სპორტული ქურთუკი) - პიროვნება, რომელსაც უყვარს, მაგრამ დიდად არაა დაინტერესებული კომპიუტერით.

*საცხოვრებელი და საშინაო მოხმარების საგნები:*

Window – (ფანჯარა) - სწორკუთხა ადგილი დისპლეის ეკრანზე, რომლიდანაც ხორციელდება ურთიერთობა პროგრამასთან ან მის ნაწილთან;

Mirror – (სარკე) - ძირითადი საიტის კოპიო სხვა სერვერზე ;

Pad - (ხალიჩა) - მაუსის დასადები;

Desktop – (სამუშაო მაგიდა) - ეკრანული და ინტერაქტიური გარემო მომხმარებლის სამუშაო კომპონენტების ეკრანზე წარმოდგენილი სიმბოლოებით;

Doorway – (შესასვლელი) - ვებ-გვერდი, რომელიც ოპტიმიზირებულია კონკრეტული საძიებო მოთხოვნის პასუხად, რომ გადაამისამართოს მომხმარებელი სხვა საიტზე;

shelfware – (თაროზე მოთავსებული ნივთები) - გამოუყენებელი პროგრამული უზრუნველყოფა;

toaster – (ტოსტერი) - დაბალი სიმძლავრის კომპიუტერი;

wallpaper - (შპალერი) - სურათი ან სხვა გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ფონად ედება მენიუს და ოპერაციული სისტემის სხვა ელემენტებს მონიტორზე.

გარდა ამისა, ადამიანი და მისი შრომითი საქმიანობა მოიცავს ისეთ მიკრო-ველებს, როგორცაა:

*ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის სამყარო:*

Sleep - (ძილი) - დასვენება, უმოქმედობა;

Play – (თამაში) - მოქმედებაში მოყვანა; - Playback - ვიდეო ან აუდიო მასალის ხელახალი ჩართვა;

Run – (სირბილი) - პროგრამის გაშვება;

Load – (ტვირთი) - ჩატვირთვა;

Jump – (ხტომა) - წყვეტა, გადასვლა;

Chat - საუბარი.

*მედიცინა და ჯანმრთელობა:*

fast infector - სწრაფი მოქმედების ვირუსი;

antidote - (ანტიდოტი, შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება) - პროგრამა, რომელიც იცავს კომპიუტერს ვირუსებისაგან;

clone – (კლონი) - პროგრამული უზრუნველყოფის პირატული ვერსია;

morphing – (ტრანსფორმაცია, მორფინგი, ერთი ობიექტის გარდაქმნა მეორე ობიექტად)- გამოსახულების ტრანსფორმაცია ტვინინგის (ანიმაციური ტექნიკის) საშუალებით.

*კომერცია/ეკონომიკა:*

contact card – (საკონტაქტო ბარათი) - ბარათი, რომელიც შეიცავს ელექტრონულ ინფორმაციას;

electronic brokerage – (ელექტრონული ბროკერობა, შუამავლობა) - ყიდვა-გაყიდვა კომპიუტერის საშუალებით;

(Network) meltdown – (რაიმე გაუთვალისწინებელი) - შეფერხება ქსელის მუშაობაში;

dormant account - (არააქტიური დეპოზიტური ანგარიში) - არააქტიური ეკაუნტი.

*სამხედრო სფერო:*

Password - პაროლი;

Cache - (მალული საცავი) - arms cache - იარაღის ფარულისაწყობი - cache

memory - ქემ-მეხსიერება (მცირე მოცულობის სწრაფადმოქმედი ბუფერული მეხიერება);

kill - (მოკვლა) - პროცესის შეწყვეტა;

(letter) bomb – (ბომბი) - ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი დიდი რაოდენობით წერილი, რომელიც იწვევს კომპიუტერის დაზიანებას.

*სამთო (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების) სფერო:*

(net/web mining/digging მადნის მოპოვება/თხრა) მონაცემების ამოღება (აღმოჩენა), მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი.

*ნავიგაცია:*

Port – (პორტი) - შემაერთებელი წერტილი ან ინტერფეისი კომპიუტერსა და შიდა ან გარე მოწყობილობას შორის;

Navigate – (ნაოსნობა) - გადაადგილება ქსელში ერთი გვერდიდან ან სერვერიდან მეორეში;

Piracy – (მეკობრეობა) - პროგრამის არალეგალურად კოპირება;

*მშენებლობა:*

Chrome – (ქრომი) - ვიზუალური დიზაინის ელემენტები, რომლებიც მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას მონიტორზე განთავსებული ბრძანებების შესახებ.

*ტრანსპორტი:*

Traffic – (მოძრაობა) - ტრაფიკი - ინფორმაციული ნაკადის ინტენსიურობა;

Bus – (ავტობუსი) - სალტე;

Highway – (გზატკეცილი) - information highway - ინფორმაციის გადაცემის მაგისტრალური არხი.

მიკრო-ველს ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია, სპორტი ვაერთიანებთ საერთო სახელწოდებით *ადამიანი, მისი გატაცებები და სულიერი ცხოვრება*:

Trojan horse – (ტროას ცხენი) - პროგრამა, რომელიც მალულად აღწევს კომპიუტერში მისი დაზიანების მიზნით;

Easter egg – (სააღდგომო კვერცხი) - დამალული მესიჯი;

Icon – (ხატი) - პიქტოგრამა, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ მოქმედებას და ჩვეულებრივ არის ინსტრუმენტების პანელზე;

Picture – (სურათი) - ციფრული გამოსახულება;

Script – (ხელნაწერი, სცენარი) - ბრძანებების პაკეტი;

tennis – (ჩოგბურთი) - email-tennis ელ-წერილების დაუსრულებელი გაცვლა-გამოცვლა.

ხოლო მიკროველებს ფაუნა, ფლორა და ბუნებრივ მოვლენებს ვაერთიანებთ სახელწოდებით *ადამიანი და ბუნება*:

Mouse – (თაგვი) - კურსორის სამართავი მოწყობილობა;

Bug – (ხოჭო) - აპარატული შეცდომა;

Worm – (ჭია) - ვირუსი;

Spider – (ობობა) - საძიებო აგენტი;

Flooding – (წყალდიდობა) - ქსელის ავსება ინფორმაციის პაკეტებით.

ინტერნეტ ლექსემები უმრავლეს შემთხვევაში სტანდარტული ენის ჩვეულებრივი სიტყვებია, რომლებიც დაექვემდებარა სიტყვაწარმოებით ტრანსფორმაციებს. მაგ.:

Mailer – (გამგზავნი) - საფოსტო პროგრამა;

Hedgehog – (ზღარბი) - გამოუცდელი მომხმარებელი.

ავტორის მიერ შექმნილის (coinage) მაგალითად გამოდგება *cyberspace*, რომლის ავტორმა უილიამ გიბსონმა პირველად იხმარა ის თავის სამეცნიერო-ფანტასტიკურ მოთხრობაში *Neuromancer*, რომელშიც აღწერილია კომპიუტერების სამყარო და ამ სამყაროში მცხოვრები საზოგადოება (ბერძნულიდან: kybernan, to govern - მართვა). როგორც უკვე აღვნიშნეთ,

სტანდარტულ სიტყვებთან ერთად ინტერნეტის ენაში გამოიყენება სიტყვები ისეთი სპეციალური პროფესიული სუბსისტემებიდან როგორცაა

მედიცინა:

*virus* – ვირუსი;

*hygiene* – ზომები, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერის ვირუსით ინფიცირების თავიდან ასაშორებლად;

*clone* – პროგრამული უზრუნველყოფის პირატული ვერსია.

*სამხედრო სფერო:*

*password* – პაროლი;

*(letter) bomb* – საფოსტო გზავნილი, რომელიც შეიცავს ვირუსს.

ასევე სოციალური სუბ-სისტემიდან - სლენგიდან:

*geek* – კომპიუტერის ექსპერტი;

*nerd* – კომპიუტერის პროფესიონალი;

*dweeb* – მომხმარებელი, რომელიც არასწორად მოიხმარს ინტერნეტს, მაგ. აგზავნის დიდი მოცულობის შეტყობინებებს;

*glitch* – შეცდომა აპარატულ უზრუნველყოფაში

*zap* – წაშლა.

ინტერნეტის ენა ერთი მხრივ ქმნის განსაკუთრებულ ენობრივ სუბსისტემას, მეორე მხრივ კი ვითარდება ზოგადეროვნული ენის წესების მიხედვით. როგორც ინტერნეტ დისკურსის ენობრივი სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, შესაძლებელია გამოვყოთ ლექსემათა ოთხი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედის ისეთი ტექნიკური ტერმინები, როგორცაა პროგრამათა, ბრძანებათა, მოწყობილობათა, პროგრამირების ენათა სახელწოდებები და ა.შ.

მეორე ჯგუფში შედის პროფესიული ჟარგონი, ტექნიკური ენა, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება სპეციალისტების მიერ ერთობლივი მუშაობის პროცესში:

*dirt road* – (ჭუჭყიანი გზა) - ნელი დაკავშირება ინტერნეტთან დიდი ტრაფიკის გამო;

*crack* – (გასკდომა, გაბზარვა) - კომპიუტერული პროგრამების/სისტემების გატეხვა;

*handshake* – (ხელის ჩამორთმევა) - კავშირის დამყარება;

*ghost* – (აჩრდილი) - შეტყობინება, რომელიც დატოვებულია ჩატიდან გასული მომხმარებლის მიერ (ამ სიტყვის ცნობილი სინონიმია *offline message*).

მესამე ჯგუფში შედის სლენგური ლექსემები, რომლებიც ჩნდება პროგრამისტების ჯგუფში ამ ჯგუფის მიღმა მყოფი საზოგადოებისათვის გაუგებარი მოვლენების აღსანიშნავად. სლენგის ენა შეიძლება არ უკავშირდებოდეს უშუალოდ კომპიუტერს და ინტერნეტს. ამ ლექსემებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასებები, ისინი ახდენენ იუმორის უჩვეულო გრძნობის დემონსტრირებას, სლენგური ლექსემის მაგალითებად გამოდგება:

*barf* – (ღებინება) - ცუდად მუშაობა;

*Honey pot* – (თაფლის ქილა) – გამოთვლითი სისტემის ნაწილი, რომელსაც აკონტროლებს უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფა დამრღვევის დაჭერის მიზნით.

მეოთხე ჯგუფში შედის ინტერნეტ-ლექსემები, რომლებიც გასცდნენ კომპიუტერის სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფს და ცნობილი გახდნენ ყველა ინტერნეტ მომხმარებლისა და თანამედროვე ადამიანისათვის. მაგ.:

*netsurfing* – მოგზაურობა ქსელში;

*browsers* – ბრაუზერები;

*sites* – საიტები;

*pages* – გვერდები;

*password* – პაროლი.

ინტერნეტმა განაპირობა ენის ფუნქციონირების ახალი გარემოს შექმნა, გაჩნდა ქსელური ან ელექტრონული ენა. თავისი არსებობის მანძილზე ამ ენამ შეიძინა ლინგვისტური თავისებურებები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ინტერნეტის ლექსიკური თავისებურებები (მასლოვა 2004).

### 3.5.2. ტერმინების მეტაფორიზაცია

სამეცნიერო და ტექნიკურ შემეცნებაში დიდ როლს ასრულებს ასოციაციური აზროვნება, რომლის ერთ-ერთი გამოვლინებაა მეტაფორული გადატანის უნარი. მეცნიერების ენასა და საყოფაცხოვრებო ლექსიკას შორის პირდაპირი და მჭიდრო კავშირია, რადგან ნებისმიერი მეცნიერება ეყრდნობა საზოგადოების აზროვნებასა და მეტყველებას. საყოფაცხოვრებო ლექსიკა, რომელიც აღნიშნავს ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ცნებებს და რომლებთანაც მას შეხება აქვს ყოველდღიურ

ცხოვრებაში, ადვილად ექვემდებარება ტერმინოლოგიზაციას და ტერმინის სახით მნიშვნელოვნად აიოლებს კომუნიკაციას პროფესიულ სფეროში. ჩვეულებრივ გამოყოფენ ასოციაციების ორ ძირითად სახეობას, რომელიც ტერმინის წარმოქმნის წინაპირობად გვევლინება, ესენია: ფიზიკური და ფუნქციური მსგავსება. სემანტიკური ტერმინ-წარმონაქმნები ეფუძნება სიტყვის განზოგადებით ბუნებას და მის აზრობრივ სტრუქტურაში მოცემულ პოტენციურ შესაძლებლობებს (ივანოვი 2004).

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ყოველდღიური ურთიერთობა კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან, მეტაფორა იქცა ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექსიკური რესურსის ფორმირების კანონზომიერ საშუალებად, რადგან მან უზრუნველყო თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროს აღწერა ენის მატარებელთათვის ინტუიციურად გასაგები ნომინაციური ერთეულებით. არაპროფესიონალი მომხმარებლები ცდილობენ ახსნან მათთვის ახალი, გაუგებარი მოვლენები მეტაფორების საშუალებით, რომლებიც ნაკლებად ნომინაციურ და მეტწილად მაორიენტირებელ, ახსნით ფუნქციას ასრულებენ. კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ჰიპოთეზის მიხედვით, ახალ ცოდნათა დამუშავება ხორციელდება ძველი, ადამიანის მეხსიერებაში უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე. კონკრეტული სიტუაციის მიხედვით ხდება ძველი ცოდნის აქტუალიზება, მისი სახეცვლილება და გამოყენება ინფორმაციის ინტერპრეტაციისათვის. მეტაფორას დიდი შემეცნებით-ევრისტიკული პოტენციალი, სამყაროს შეცნობის მეტაფორულ საშუალებას კი საყოველთაო ხასიათი აქვს, ამიტომ მეტაფორა შეიძლება განვიხილოთ ადამიანური ცნობიერების ფუნდამენტურ კოგნიტურ მექანიზმად (ვოლოდინა 1995, ვოლოდინა 2000).

ადამიანური აზროვნების მეტაფორულობის შესახებ საუბრობენ დ. ლაკოფი და მ. ჯონსონი (ლაკოფი, ჯონსონი 1980). სწორედ აღნიშნული მოსაზრებაა მათი მეტაფორული კონცეპტების (metaphorical concepts) თეორიის საფუძველი. მეტაფორა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ჩვენს ცნებით სისტემას და ამავდროულად გავლენას ახდენს ჩვენს მსოფლალქმაზე. შესაბამისად, იგი ქმნის რეალობას და განსაზღვრავს ჩვენს ქმედებებს და ცხოვრებას (გუდკოვი 2003).

თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებაში და შესაბამისად კომპიუტერულ ტერმინოლოგიაშიც აღინიშნება მეტაფორიზაციის ორი ძირითადი მიმართულება:

- კომპიუტერისა და ინტერნეტის ანტროპომორფიზაცია;
- ადამიანის კომპიუტერომორფიზაცია.

ორივე ეს პროცესი ეფუძნება ორმხრივ მეტაფორულ კონცეპტს ადამიანი ↔ კომპიუტერი. კომპიუტერის მუშაობასა და ადამიანის ტვინის მუშაობაში შეინიშნება პარალელური პროცესები, რომლებიც ეფუძნება ცოდნის ბანკს (ერთობლიობას). ამიტომ კომპიუტერული პროცესები შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტელექტუალური აქტივობის, ცნობიერების აქტივობის გამეორება (სიმბოლური რეპრეზენტაციებით ოპერირება). ზემოხსენებული პარალელური პროცესების არსებობა საშუალებას იძლევა მოხდეს ადამიანის ტვინის მუშაობის მოდელირება კომპიუტერულ ტერმინებში.

დღესდღეობით მოხდა მეტაფორული კონცეპტის „ადამიანი ↔ კომპიუტერი“ გაფართოება და წარმოიშვა კონცეპტი „რეალური სამყარო ↔ ვირტუალური სამყარო“, რასაც მოწმობს მეტაფორები:

Cyberspace - კიბერსივრცე;

Virtual City - ვირტუალური ქალაქი;

Global Village - გლობალური სოფელი;

Netizens - ქსელის მობინადრეები;

Virtual Cemetery - ვირტუალური სასაფლაო და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტროპომორფული მეტაფორები გამოიყენება არა მარტო ახალი დასახელების შესაქმნელად, არამედ მოსაუბრეზე ან მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მოსახდენად, ე.ი. პრაგმატიკული თვალსაზრისით ისინი ასრულებენ, პირველ ყოვლისა, ემოციურ-შეფასებით ფუნქციას. ამავე დროს ისინი ემსახურებიან ევრისტიკულ და ახსნით მიზნებს. მიმართავს რა ანტროპომორფულ მეტაფორებს, საკუთარი ქმედებების და ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში არსებული საგნების ანალოგიის საშუალებით, ადამიანი ცდილობს აუხსნას საკუთარ თავს და სხვებსაც, თუ როგორ მუშაობს კომპიუტერი და ინტერნეტი (ნოვოდრანოვა 2002).

კომპიუტერულ სფეროს სტანდარტულ ენაში შემოაქვს ახალი ცნებები და ახალი კონცეპტები, რაც ცვლის არა მარტო ჩვენს მეტყველებას, არამედ ჩვენს აზროვნებასაც. აშკარაა, რომ მსოფლიო კომპიუტერულ ქსელს შეაქვს საკუთარი წვლილი ე.წ. „კოგნიტურ რევოლუციაში“, რადგან ადამიანის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში

დანერგვით, ინტერნეტი გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე (ვინოგრადოვა 2007).

კომპიუტერული და ინტერნეტ ცნებების გამოხატვის ძირითადი ხერხი - მეტაფორა - შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფუნდამენტური კოგნიტური ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამეტყველო სქემების გადატანას ერთი კონცეპტუალური სფეროდან მეორეში.

კონცეპტი კოგნიტური ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი ტერმინია, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ ცოდნის ელემენტს და ცოდნის მიღების საშუალებას. კონცეპტის ენობრივი გამოხატვის საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ მეტაფორა, რომელიც დიდწილად მიგვმართავს ენის იმ სფეროს დისკურსული თავისებურებებისადმი, რომელსაც ეკუთვნის. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი ცოცხლდება მეტაფორაში.

ინტერნეტ-დისკურსში მეტაფორა ორი ფუნქციის რეალიზებას ახდენს: პირველ ყოვლისა, ის აიოლებს ინტერნეტის გაგებას იმ ხალხის მიერ, ვისაც არ აქვს სპეციალური ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში, იგი გამოხატავს ახალს ნაცნობისა და ძველის საშუალებით. მეორეც, იგი უზრუნველყოფს ცნების ექსპრესიულ გამოხატვას (გორშკოვი 2007).

ჩატარებული კონცეპტუალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინტერნეტის მეტაფორიზაციის საფუძველია ყოველდღიური კონცეპტები, რომლებიც მიეკუთვნება ენის მატარებლის ყოფით ცნებებს: ადამიანი; საკვები; საცხოვრებელი. გარდა ამისა გამოიყენება კონცეპტები ადამიანისთვის ახლობელი სხვა სფეროებიდანაც: მედიცინა; ტრანსპორტი; ცხოველთა და მცენარეთა სამყარო.

თავად ცნება ინტერნეტიც ექვემდებარება მეტაფორიზაციას. ყველაზე უნივერსალური კონცეპტუალური მეტაფორებია:

ინტერნეტი ჩქაროსნული მაგისტრალია - Internet is the highway;

ინტერნეტი ცოცხალი ორგანიზმია - Internet is a living organism;

ინტერნეტი ზღვაა - Internet is the sea;

ინტერნეტი სივრცეა - Internet is a space;

ინტერნეტი სამყაროა - Internet is the world;

ინტერნეტი არქივი/ბიბლიოთეკაა - Internet is an archive/a library.

მეტაფორული გადატანა ლექსემების შემნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხია ინტერნეტის ენაში (კრისტალი 2001).

ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტექნიკურ ტერმინოსისტემაში ტერმინ-მეტაფორები განაწილდა შემდეგნაირად:

ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტექნიკური ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის ანტროპომორფული მოდელი, რომელიც გულისხმობს ადამიანს მთელი მისი ბიოლოგიური და ფსიქო-ინტელექტუალური თვისებებით და მისი მოღვაწეობის განსხვავებული გამოვლინებებით, როცა ის გვევლინება ცენტრალურ სფერო-დონორად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში:

- პროფესიული ინსტრუმენტები და ქმედებები (*harvest, stack*);
- ყოველდღიური მოხმარების საგნები (*inbox, key*);
- ქცევა, ადამიანის ფიზიკური ქმედება (*clienterror, handshake*);
- ადამიანი და მისი ფსიქო-ინტელექტუალური თვისებურებები (*dumbterminal, smarthome*);
- ადამიანი და მისი ბიოფიზიკური თვისებურებები (*fatbinary, thinclient*);
- ადამიანური კომუნიკაციისა და ურთიერთობის საშუალებების გამოვლენა (*datatraffic, queue*);
- საკვები და მისი მოხმარება (*cookie, menu, vanilla*);
- მშენებლობები და მათი ფრაგმენტები (*backdoor, mailbox, stovepipe*);
- ტანსაცმელი და მისი ელემენტები (*bells-and-whistles, subnetmask*);
- სოციალური მდგომარეობა (*host, orphans*).

ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტექნიკური ტერმინოსისტემის მეტაფორების შექმნის არაანთროპოლოგიური მოდელი გულისხმობს ადამიანის გარემომცველ მოვლენებსა და საგნებს, როცა ისინი გვევლინებიან ცენტრალურ სფერო-დონორად მეტაფორული ტერმინთშემოქმედების პროცესში (გუდკოვი 2003).

- ფლორა (*daisy chain, search tree*);
- ფაუნა (*beta bug, mouse pad*);
- ბუნების მოვლენები და წყლის სტიქია (*broadcaststorm, flooding, freeze*);
- ობიექტის ტექსტურა (*floppy disk, hard copy, soft copy*);
- ლანდშაფტი (*bypass*);

- ხმა(*double click*);
- ფერი (*blue screen of death*);
- სუნი(*flavor*);
- გამოსახულება (*icon*).

ტერმინების მეტაფორიზაცია უკავშირდება ექსპრესიულობისადმი ენის ზოგად ტენდენციას. კომპიუტერული სპეციალური ტერმინოლოგია ახალ მოსაზრებათა, შედარებათა, მეტყველების ახალ საშუალებათა პრაქტიკულად ულევნი წყაროა.

### 3.5.3. მეტაფორული ნომინაციის თავისებურებები

კომპიუტერული მეტაფორიზაციის დროს ხდება ახალი მნიშვნელობის წარმოშობა განსხვავებულ სემათა აქტუალიზაციის საფუძველზე. მაგ.:

სემა 'კავშირი, შეერთება': *bridge* n.(ინგლ.: ხიდი) კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში იძენს მნიშვნელობას 'მოწყობილობა, რომელიც აერთებს ორ ქსელს.;

სემა 'გამოსახულება': *icon* n. (ინგლ. ხატი, სახე) - გრაფიკული ინტერფეისის ელემენტი;

სემა - 'რღაც გამანადგურებელი, რომელიც მოქმედებს საიდუმლოდ': *virus* n. (ინგლ.: ვირუსი, ბაცილა) - კომპიუტერული ვირუსი;

სემა 'ვერაგობა, მზაკვრობა': *Trojan horse* n.(ბერძნ. - ტროას ცხენი) - პროგრამა, რომელიც სხვა პროგრამად ასაღებს თავს ინფორმაციის მიღების მიზნით;

სემა 'რღაც მცოცავი': *spider* n.(ინგლ. ობობა) - საძიებო აგენტი - ინტერნეტ სივრცეში პროგრამული საძიებო მექანიზმის სახელწოდება ყველა იმ დოკუმენტის ავტომატურად ასარჩევად, რომელზეც არის მითითება პირველ არჩეულ დოკუმენტში;

სემა 'ყურება': *window* n.(ინგლ. - ფანჯარა) - სწორკუთხა ადგილი დისპლეის ეკრანზე, რომლიდანაც ხორციელდება ურთიერთობა პროგრამასთან ან მის ნაწილთან.

მეტაფორიზებული ტერმინების აღწერისას საჭიროა დავახასიათოთ მოტივირების ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ხდება მეტაფორული გადატანა (VIA Technology 2005).

შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნიშნები:

1. გადატანა ფორმის მიხედვით:

*Mouse* - თაგვი;

*net- ქსელი;*

*icon- ხატი.*

2. გადატანა ფუნქციის მიხედვით:

*basket - კალათი;*

*bridge - ხიდი;*

*traffic - მოძრაობა;*

*backbone - ხერხემალი, საყრდენი;*

3. გადატანა მოქმედების მექანიზმის მიხედვით:

*Trojan horse - ტროას ცხენი;*

*spider - ობობა;*

*virus - ვირუსი.*

4. გადატანა მოქმედების ხასიათის მიხედვით:

*Sleep - ძილი;*

5. გადატანა ზომის მსგავსების მიხედვით:

*notebook - რვეული.*

მეტაფორული ტერმინები, რომლებიც შექმნილია ზემოხსენებული ნიშნების ერთიანობის საფუძველზე, გასაგებად რთული არ არის, რადგან მათი მოტივაცია აშკარაა.

კომპიუტერული ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც წარმოქმნილია მეტაფორიზაციის საშუალებით, შეიძლება მივაკუთვნოთ განსხვავებული დონორების საშუალებით წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებს. მოცემული ტერმინები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ, რადგან მათი წარმოშობის წყაროების ანალიზი არა მარტო ნათელს მოფენს ნომინაციის პროცესს კომპიუტერული ტერმინოსისტემის ფარგლებში, არამედ საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც საერთოა განვითარებადი ტერმინოსისტემისათვის (ზუბოვი 2004).

მეტაფორიზაცია ინგლისური ენის კომპიუტერული ტერმინოსისტემის შევსების უნივერსალური საშუალებაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომპიუტერული ტერმინოლოგიის შემდგომ განვითარებას მოჰყვება ახალი მეტაფორების შექმნა (ირისხანოვა, 2001).

მეტაფორული ნომინაციის თავისებურებათა ანალიზმა ინგლისურენოვან კომპიუტერულ ტექნიკურ ტერმინოსისტემაში გვაჩვენა, რომ აღნიშნული ტერმინოსისტემა ხასიათდება უნიკალური სპეციფიკური თვისებებით, რომლებიც ნათლად გამოვლინდა მეტაფორული ტერმინების კორპუსში.

### 3.5.4. ნეოლოგიზმები გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით

კომპიუტერული ტექნოლოგიების ლექსიკის შექმნაში მონაწილეობს არა მარტო მზა უზუალური ერთეულები, რომლებიც მეტაფორულად გამოიყენება, არამედ საკუთრივ ნეოლოგიზმებიც. ხშირად ასეთი ახალი წარმონაქმნები იქმნება უკვე არსებული ერთეულების ანალოგიით (ხიდემელი 2012). მაგ.:

*Honeynet* - *ჰანინეთი* - პროგრამა, რომელიც დამონტაჟებულია ინტერნეტ ჰაკერების მოსაზიდად, მათი მოქმედების გასაკონტროლებლად. კომპონენტ *Honey*-ს მეტაფორული გამოყენება ნაცვლად ჩვეული *Inter*-სა ეფუძნება წყარო-სფეროს (თაფლი: ტკბილი, გემრიელი) და სამიზნე სფეროს (პროგრამა, რომელიც იზიდავს მომხმარებლებს) შორის ასოციაციებს.

ასევე ტერმინის *Internet* ანალოგიით გაჩნდა შემდეგი ერთეულები:

*Darknet* - *დარქნეთი* - პროგრამები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია საავტორო ელექტრონული საიტების უკანონო გაზიარება საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვის გარეშე. ეფუძნება წყარო-სფეროს (ბნელი) და სამიზნე სფეროს (პროგრამა, რომელიც სახიფათოა მომხმარებლებისათვის) შორის ასოციაციებს.

*Evernet* - *ევერნეთი* - ინტერნეტ რესურსების წვდომა კავშირის სხვადასხვა საშუალებებით. წყარო-სფერო (მუდმივი); სამიზნე სფერო (პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას მომხმარებლებისათვის).

*Sneakernet* - *სნიქერნეთი* - ფაილების გადაცემა ფლოპი დისკის ან სხვა მოძრავი საშუალების გზით. ასოციაცია: მონაცემების გადასატანად არა ქსელის, არამედ ფეხსაცმლის (ჩუსტების - „ბოტასების“) გამოყენება.

ისეთ რთულ სიტყვაში, როგორცაა *blue jacking* - ბლუჯექინგი - ტელეფონის დროებითი დაბლოკვა ბლუთუსის საშუალებით ანონიმური ინფორმაციის გაგზავნის გზით - აშკარაა პარალელი სიტყვასთან *hi jacking*. ახალ სიტყვას ისევე როგორც პროტოტიპს, აქვს უარყოფითი კონოტაცია.

სტანდარტული შესიტყვების environmental pollution (გარემოს დაბინძურება) ანალოგიით შეიქმნა ერთეული Information pollution - კულტურის ან ინდივიდის მიდრეკილება არასასურველი ინფორმაციის დიდი ნაკადისადმი, რომელიც საზიანოა მისთვის.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან აღსანიშნავია ნეოლოგიზმების კონოტაციური აქცენტების დამთხვევა პროტოტიპების შეფასებით მახასიათებლებთან.

ამგვარად, აშკარაა ტენდენცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ კომპიუტერული ტერმინოსისტემის ინოვაციების დიდი რაოდენობის შექმნისას რთული უზუალური წარმონაქმნის ერთი კომპონენტის შეცვლით იქმნება ახალი ლექსიკური ერთეული გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით. კომპიუტერული სამყაროს ახალი ობიექტის ნომინაცია ხორციელდება სათუთი, ზოგჯერ კი უხეში იუმორის ელემენტების მოხმობის საშუალებით (კუზნეცოვა 2009).

სამყაროს ენობრივი სურათის, კერძოდ კომპიუტერული ტერმინოსისტემის ერთეულების შექმნისას რეგულარულად მონაწილეობს მეორადი ნომინაციის ერთეულები, რომლებიც იქმნება ტრადიციული სიტყვების მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში მეტაფორა სიტყვაწარმოების მსგავს ფუნქციას ასრულებს. ეს კი სრულიად კანონზომიერია, რადგან კოგნიტური თვალსაზრისით მეტაფორა ერთი საზრისის გააზრება და რეპრეზენტაციაა მეორის საფუძველზე (ტროფიმოვა 2004).

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ სამყაროს შეცნობის მეტაფორულ მეთოდს საყოველთაო ხასიათი აქვს. ინტერნეტი ქმნის საკუთარ სტერეოტიპებს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ფრაგმენტების სახით.

### **3.5.5. მეტონიმიზაცია როგორც კომპიუტერული ტერმინოსისტემის შევსების ერთ-ერთი საშუალება**

მეტაფორიზაციასთან ერთად, კომპიუტერული ტერმინოსისტემის შევსების საშუალებაა მეტონიმიზაცია.

კომპიუტერულ ტერმინოვებში მეტონიმიური გადატანის ილუსტრირება შეიძლება შემდეგი მაგალითებით:

- მსგავსება ფუნქციის მიხედვით:

*Browser (browse)- (მომსვლელი, მნახველი) - ბრაუზერი, პროგრამა, რომელიც გამოიყენება დოკუმენტების მოსაძიებლად და ეკრანზე გამოსატანად;*

*Driver (drive)- (მძღოლი, მეთვალყურე, ზედამხედველი) - დრაივერი (პერიფერიული მოწყობილობების მუშაობის მკონტროლებელი პროგრამა);*

*Server (serve)- (ოფიციალტი) - მთავარი კომპიუტერი ლოკალურ ქსელში;*

- მსგავსება მოქმედების მიხედვით:

*Hacker (hack) - (ჭრილობის მიმყენებელი, გამტეხი) - ჰაკერი, ადამიანი, რომელიც უნებართვოდ აღწევს კომპიუტერში ან ქსელში და შეუძლია შეცვალოს ან გაანადგუროს მასში ჩაწერილი ინფორმაცია - კომპიუტერული ქსელებისა და პროგრამების გამტეხი;*

*Router (route) – (მიმართულების მიმცემი) - როუტერი, ინფორმაციის გამანაწილებელი ქსელში.*

- დასახელების გადატანა ნაწილიდან მთელზე:

*processor/microprocessor –პროცესორი/მიკროპროცესორი;*

*byte/gigabyte - ბაიტი, გიგაბაიტი.*

ამგვარად, კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მეტონიმის საფუძველს წარმოადგენს ერთგვაროვან კატეგორიებს შორის მიმართება, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ასოციაციები მომიჯნავეობის საფუძველზე.

### **3.5.6.კომპიუტერული სლენგის ფორმირება**

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, კომპიუტერმა ზოგადად, კონკრეტულად კი ინტერნეტმა მოიტანა ენის არსებობის ახალი ფორმები, კომუნიკაციის ახალი ხერხები, სამეტყველო ქმედების ახალი სტერეოტიპები. ინფორმაციული ტექნოლოგიები შეიჭრენ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებში. მათ აქტიურ ზემოქმედებას განიცდის ენა, როგორც სისტემა და როგორც კომუნიკაციის საშუალება. დღესდღეობით თანამედროვე კომპიუტერული სამყაროს რეალიებთან შეჯახებას თავს ვერ არიდებს ამ სამყაროსთან კავშირის არმქონე რიგითი მოსაუბრეც კი.

მკვლევარები ი. პიჩკური და მ. ტრეშჩევა გამოყოფენ ინტერნეტის მომხმარებელთა მეტყველების თავისებურებებს როგორც დამოუკიდებელ ჟარგონს (პიჩკური, ტრეშჩევა 1999). მკვლევარების ნაწილი გვთავაზობს ასეთი ურთიერთობის ენას დავარქვათ

“Usertalk”. სოციო-ლინგვისტიკის თვალსაზრისით “Usertalk” ექსკლუზიურობის გარკვეული ნიშნებით გამოირჩევა და საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ის, როგორც ჟარგონი (ერმაკოვა 2001).

ე.შეიგალის სტატიაში (შეიგალი 1996) კომპიუტერული ლექსიკის ერთი და იგივე არალიტერატურული ერთეულების აღსანიშნავად ტერმინ „კომპიუტერულ ჟარგონ“-თან ერთად გამოიყენება ტერმინი „კომპიუტერული სლენგი“.

კომპიუტერული სლენგის ჩამოყალიბება, თავდაპირველად, დაკავშირებული იყო პროგრამისტების პროფესიულ ჟარგონთან. დროთა განმავლობაში, კომპიუტერის მნიშვნელობა გაცდა ვიწროპროფესიული ურთიერთობის სფეროს და ფართო საზოგადოების ინტერესის ობიექტად იქცა. კომპიუტერული სლენგის როგორც სუბენის (ენის სუბსისტემის) ჩამოყალიბება თავდაპირველად მოწოდებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებს მომსახურებოდა. შემდგომ ამ სოციალურმა ჯგუფმა შეიძინა დიფუზიური ხასიათი: სლენგი გამოიყენება სპეციალისტების, კომპიუტერის სხვადასხვა დონის მომხმარებლებისა და კომპიუტერული თამაშების მოყვარულთა მეტყველებაში. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ის, რომ კომპიუტერთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის და ინფორმაციის გაცვლის საშუალება მიეცა როგორც ბავშვებს, ასევე განსხვავებული სოციალური, ეთნიკური, სამართლებრივი, რელიგიურ-კონფესიონალური, გენდერული და სხვა სახის სტატუსის მქონე ადამიანებს. კომპიუტერული სლენგი წარმოადგენს საცდელ პოლიგონს, სადაც ხდება პოტენციური კომპიუტერული ტერმინების რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში „გამოცდა“ (შაპოვალოვა 2008).

ჩვენი აზრით, თავისი ხასიათით, კომპიუტერული სლენგი პროფესიული ჟარგონის ნაირსახეობას წარმოადგენს, ჟარგონიზირებული მეტყველებაა: სლენგს + ნეიტრალური ან ფამილარული ლექსიკა. სლენგის ფორმირებაც, სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობს. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ სულ უფროდაუფრო სრულიად განსხვავებული სოციალური და სხვა სტატუსის ადამიანი ცდილობს „შეიჭრას“ კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპიუტერის მომხმარებელთა რაოდენობის განუხრელი ზრდა განაპირობებს კომპიუტერული სლენგის მატარებელთა ვიწროპროფესიული კორპორაციული ურთიერთობების რღვევას, ვინაიდან, არაპროფესიულ კომუნიკანტს, ანუ ჩვეულებრივ

მომხმარებელს, თემატური ურთიერთობისას ისევე სჭირდება ობიექტის და მოქმედებების დასახელება, როგორც კომპიუტერული სფეროს სპეციალისტს. ყოველივე ეს ქმნის იმის წინაპირობას, რომ კომპიუტერულმა ტერმინებმა ფართო გამოყენება შეიძინონ და ენობრივი სტატუსი მოიპოვონ. ეს ფაქტი შესაძლებელია დავუკავშიროთ ახალ ენობრივ მოვლენებთან დაკავშირებულ კანონზომიერებას, როდესაც სამეტყველო ერთეული ამჟღავნებს ტენდენციას, სტანდარტულ სიტუაციაში მოგვევლინოს სტანდარტული ფორმით, ფსიქოლოგიურად ხდება ამ კავშირის ავტომატიზაცია, რომლის შედეგადაც, ეს მნიშვნელობა ხდება მიღებული ენობრივი კოლექტივის მიერ (კუტუზოვი 2004).

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სოციალური ქსელში **Facebook** გავრცელებული სლენგის რამდენიმე მაგალითს:

**Facebook minute** – fb-ზეგატარებული დროის გაურკვეველი მონაკვეთი, დაწყებული იმ წუთიდან, როცა fb-ზე 1 წუთით შეხვედით შეტყობინების შესამოწმებლად;

**Like shock** – განცდა, რომელიც უჩნდება ადამიანს, როცა მისმა პოსტმა იმაზე მეტი მოწონება დაიმსახურა, ვიდრე ელოდა;

**Ego wall** – კედელი, რომელზეც დიპლომი, სერთიფიკატები და სიგელებია გამოკრული;

**Life password** – პაროლი, რომელსაც ყველა საიტზე ხმარობთ;

**Compunicate** – ინტერნეტით მიმოწერა ერთ ოთახში ყოფნისას, როცა დალაპარაკებაც შესაძლებელია;

**Internet Coma** – საათობით კომპიუტერთან ჯდომა, ისე რომ პიროვნება არ რეაგირებს არაფერზე, რაც გარშემო ხდება;

**easy like** – მოგობრული ადამიანი, რომელიც ყველაფერს ალაიქებს სოციალურ ქსელში;

**Facebook necrologist** – ის, ვინც ვინმეს გარდაცვალებას პირველი ამცნობს fb-ის მეგობრებს;

**wikiot: Wiki + idiot** – ის, ვისაც სჯერა, რომ ყველაფერი, რაც wikipedia-ში წერია, მართალია.

სტატისტიკურად ინგლისურ ენაში ყოველწლიურად 50 ახალი სიტყვა ჩნდება, მათ შორის ნახევარი სლენგია. სლენგი ყველაზე ეფექტურად რეაგირებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარ ცვლილებებზე და შესაძლებელს ხდის რთული აზრის მოკლედ და გასაგები ფორმით გადმოცემას.

### **მესამე თავის დასკვნები**

კომპიუტერული ენა ბუნებრივი ენის სუბსისტემაა, რომელიც ტერმინების შექმნის პროცესში ბუნებრივი და ხელოვნური საწყისების შეფარდებით ხასიათდება.

კომპიუტერულ ტერმინოსისტემას განვიხილავთ როგორც ტერმინოლოგიური ერთეულების კორპუსს, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სფეროს ცნებათა ნომინაციას.

კომპიუტერული ტერმინოსისტემის ზოგად სტრუქტურაში შედის სამი ურთიერთდაკავშირებული ერთეულის შრე: კოდიფიცირებული ტერმინები, სხვა სამეცნიერო დარგებიდან ან ზოგადი მოხმარების ენიდან ნასესხები ტერმინები, ზოგადტექნიკური ტერმინები.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები მიუთითებს ტერმინოლოგიის მთლიანობასა და მის სისტემურ ხასიათზე.

კომპიუტერული ტერმინების ნომინაციის საშუალებები უნივერსალური და კოდიფიცირებულია: სიტყვა-ტერმინები, ტერმინ-შესიტყვებები და სიტყვა-სიმბოლოები. სიტყვა ტერმინების კლასიფიკაცია ხორციელდება სიტყვის მორფემული სტრუქტურის მიხედვით: მარტივი, წარმოებული და რთული. ტერმინ-შესიტყვებები გარკვეული მოდელების მიხედვითაა შექმნილი. ტერმინოლოგიური ნომინაციის ხერხები ასევე უნივერსალურია: სემანტიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური.

სიტყვაწარმოების საშუალებები, რომლებსაც გამოვყოფთ კომპიუტერულ ტერმინოსისტემაში არის: აფიქსაცია, კონვერსია, აბრევიაცია.

კომპიუტერული ტერმინების სიტყვაწარმოების განსაკუთრებით პროდუქტიული საშუალებაა აბრევიაცია, სადაც გვხვდება შემოკლების ოთხი ტიპი: აბრევიაცია, აკრონი-  
მია, მოკვეცა და შეზრდა.

კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მიმდინარე სემანტიკური ტრანსფორმაცია ვლინდება მნიშვნელობის სპეციალიზაციაში, ლექსიკური თავსებადობის გაფართოებაში, მეტაფორიზაციაში.

კომპიუტერისა და ინტერნეტის ინტენსიური დანერგვა იწვევს განსაკუთრებული სახის დისკურსის - ინტერნეტ-დისკურსის ფორმირებას. ინტერნეტის ენა ერთი მხრივ ქმნის განსაკუთრებულ ენობრივ სუბსისტემას, მეორე მხრივ კი ვითარდება ზოგადეროვნული ენის წესების მიხედვით. ინტერნეტის ლექსიკა ინარჩუნებს პროფესიული ტექნიკური ჟარგონის ცალკეულ ნიშნებს და აქტიურად იყენებს ზოგადი მოხმარების ლექსიკას, ექვემდებარება გარკვეული ენის იმანენტურ კანონზომიერებებს და არაფორმალური ლექსიკის გაჩენის პრინციპების მიხედვით ყალიბდება.

ინტერნეტ დისკურსის ენობრივი სისტემის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ ლექსემათა ოთხი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედის ისეთი ტექნიკური ტერმინები, როგორცაა პროგრამათა, ბრძანებათა, მოწყობილობათა, პროგრამირების ენათა სახელწოდებები და ა.შ., მეორე ჯგუფში - პროფესიული ჟარგონი, ტექნიკური ენა, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება სპეციალისტების მიერ ერთობლივი მუშაობის პროცესში, მესამე ჯგუფში - სლენგური ლექსემები, რომლებიც ჩნდება პროგრამისტების ჯგუფში ამ ჯგუფის მიღმა მყოფი საზოგადოებისათვის გაუგებარი მოვლენების აღსანიშნავად. მეოთხე ჯგუფში კი ინტერნეტ-ლექსემები, რომლებიც გასცდნენ კომპიუტერის სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფს და რომლებიც ცნობილი გახდნენ ყველა ინტერნეტ მომხმარებლისა და თანამედროვე ადამიანისათვის.

ინტერნეტს განვიხილავთ ლინგვო-კულტუროლოგიური ველის ბირთვად. ინტერნეტის ველის ბირთვი შედგება მიკრო-ველებისაგან, როგორცაა: ადამიანის სამყარო, ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის სამყარო, ტერმინი ანტროპომორფიზმები, მითების, დღესასწაულების, კულტურის სამყარო, ზუსტ მეცნიერებათა სამყარო, ტრანსპორტის სამყარო, სოციალური ცხოვრება - ინტერიერის სამყარო, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, გარემო.

მეტაფორული გადატანა ლექსემების შემნის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ხერხია ინტერნეტის ენაში.

თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებაში და შესაბამისად კომპიუტერულ ტერმინოლოგიაშიც აღინიშნება მეტაფორიზაციის ორი ძირითადი მიმართულება:

კომპიუტერისა და ინტერნეტის ანტროპომორფიზაცია; ადამიანის კომპიუტერო-მორფიზაცია.

ინტერნეტ-დისკურსში მეტაფორა ორი ფუნქციის რეალიზებას ახდენს: პირველ ყოვლისა, ის აიოლებს ინტერნეტის გაგებას იმ ადამიანებისათვის, ვისაც არ აქვს სპეციალური ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში. იგი გამოხატავს ახალს ნაცნობისა და ძველის საშუალებით. მეორეც, იგი უზრუნველყოფს ცნების ექსპრესიულ გამოხატვას.

კომპიუტერული სლენგი პროფესიული ჟარგონის ნაირსახეობაა, რომელიც შეიძლება არ უკავშირდებოდეს უშუალოდ კომპიუტერს და ინტერნეტს, აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასებები და ახდენს იუმორის უჩვეულო გრძნობის დემონსტრირებას. ამასთანავე კომპიუტერული სლენგიზმები კომპიუტერის მოყვარული არაფორმალური საზოგადოების სპეციალური სოციოლექტია.

ჩვენი მასალის განხილვისა და ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროს ტერმინოსისტემა სტიქიურად კი არ იქმნება, არამედ ექვმდებარება ენობრივი სისტემის გარკვეულ კანონზომიერებებს.

## თავი 4.

### კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის თავისებურებები

#### 4.1. ტექნიკური თარგმანის თავისებურებები

კ. დურიეს აზრით, სიტყვა „თარგმანის“ უამრავი განსაზღვრება არსებობს. ლინგვისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თარგმანი – ეს არის ერთი ენის ნიშნების ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშნების საშუალებით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ზედაპირული და აბსტრაქტულია, თითქოს თარგმანი წარმოადგენდეს ერთი ენის ლინგვისტური კოდის გაშიფვრას და მეორე ლინგვისტურ კოდში კონვერსიას წინასწარ დადგენილი შესატყვისების საშუალებით. ის არ აღწერს იმ ინტელექტუალურ პროცესს, რომელიც თარგმანს სჭირდება (დურიე 1988).

თარგმნა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი სფეროა და მნიშვნელოვან კულტურულ ტრადიციას წარმოადგენს. თარგმნას, როგორც ადამიანის მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროს, განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოების ცხოვრებაში. თუმცა, მეცნიერება თარგმნის პროცესის კანონზომიერებების შესახებ, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ასეთი დაგვიანება სწორედ თარგმნის კომპლექსური ხასიათით და სხვა დისციპლინებთან მჭიდრო კავშირით აიხსნება, ვინაიდან თარგმანი ახდენს არა მხოლოდ სხვადასხვა ენების, არამედ სხვადასხვა კულტურების შეპირისპირებასაც (ბარხუდაროვი 1962, ვერემჰაგინი 1980, ბრეუსი 2000).

თარგმანი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ცხოვრების ყველა სფეროში, ტექნიკის განვითარებამ და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ზრდამ კი მნიშვნელოვნად გაზარდა სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის მნიშვნელობა.

ტექნიკური ლიტერატურის თარგმანი არის დისციპლინა, რომელიც წარმოიშვა ერთი მხრივ ლინგვისტიკისა და მეორე მხრივ მეცნიერებისა და ტექნიკის გადაკვეთაზე. შესაბამისად, სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის თარგმანი უნდა განვიხილოთ როგორც ენათმეცნიერების, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პოზიციებიდან, ზოგადენობრივი საკითხების კვლევისა და ვიწრო ტერმინოლოგიის განხილვის თვალსაზრისით (ბერმანი 1959, ლევი 1967, რობინსონი 1991).

ტექნიკური თარგმანის სირთულე განპირობებულია იმით, რომ იგი მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან. მხატვრული თარგმანისგან განსხვავებით, სხვადასხვა დარგობრივი ტექსტების თარგმნისას, დაუშვებელია ორიგინალიდან ნებისმიერი გადახვევა ან უზუსტობა. თითოეული სიტყვის, თითოეული განსაზღვრების თარგმნა მოითხოვს აბსოლუტურ სიზუსტეს (ზარხუდაროვი 1968, ზორისოვა 1991).

ერთი და იგივე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა ერთი დარგის ფარგლებში. ტექნიკური თარგმნის დროს უნდა შეირჩეს ერთადერთი სწორი ტერმინი. მთავარი მოთხოვნაა თარგმანის სიზუსტე, ამასთანავე დაუშვებელია, რომ ნათარგმნი სიტყვა ტექსტის ორაზროვან გაგებას იწვევდეს.

სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანი არის მთარგმნელობითი საქმიანობის სფერო, რომელშიც სამუშაოს პროფესიონალურ დონეზე შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომლებმაც კარგად იციან აღნიშნული სფერო და მისი სპეციფიური ტერმინოლოგია, საკმაოდ კარგად ფლობენ უცხოურ ენას და, რაც მთავარია აქვთ უნარი სათანადო დონეზე გადმოსცენ აზრები თარგმანის ენაზე, ისე რომ არ დაირღვეს ორიგინალის სტილი და აზრი.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას თან ახლავს ახალი ტერმინების გაჩენა. ტექნიკური თარგმნის პროცესში მთარგმნელმა უნდა ჩაატაროს კვლევითი სამუშაო იმისათვის, რომ ახალმა ტექნიკურმა ტერმინმა, რომელიც არაა ასახული სამიზნე (ჩვენს შემთხვევაში ქართულ) ენაში, არ დაკარგოს თავისი პირველადი მნიშვნელობა და გასაგები იყოს ქართულენოვანი სპეციალისტებისათვის.

როგორც ცნობილია, ტექნიკური ტექსტი ტექნიკური და სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტია სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სპეციალისტებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე სპეციალური ტერმინოლოგია იჭრება ცოდნის ერთი სფეროდან მეორეში (ანენკოვა 2012).

დარგობრივი თარგმანი უნდა განხორციელდეს სამეცნიერო-ტექნიკურ სტილში, უნდა გამოირჩეოდეს სიზუსტით და არ უნდა შეიცავდეს ემოციებს.

ტექნიკურ თარგმანს მხატვრული თარგმანისაგან განასხვავებს შემდეგი თავისებურებანი:

1. ტექნიკური თარგმანი მოითხოვს უცხოური ენის არა მარტო ზოგადი ლექსიკის, არამედ სპეციალური ტერმინოლოგიის ღრმა ცოდნას.

2. ტექნიკურმა თარგმანმა ზუსტად უნდა გადმოსცეს სპეციალური ტერმინებისგან შემდგარი ორიგინალის აზრი.

3. ტექნიკურ თარგმანში დაუშვებელია მცირედი გადახვევაც კი ტერმინების განმარტების პროცესში, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ტექსტის არსის შეცვლა და მასალის არასწორი გაგება.

4. ტექნიკური თარგმანი ხშირად მოითხოვს დიაგრამების, გრაფიკების და ა.შ. დამატებით დამუშავებას.

5. ტექნიკური თარგმანის განხორციელებისას აუცილებელია იმ მოთხოვნათა გათვალისწინება, რომლებიც არსებობს როგორც ქართულენოვანი, ასევე ორიგინალის ენის ტექსტებისადმი.

ფრანცისკო აიალა თვლიდა, რომ საჭიროა ტექსტების დიფერენცირება თარგმნის მეთოდების სხვაობათა გათვალისწინებით. ტექსტების გასაოცარი ნაირსახეობა, რომლებშიც ასახულია წერილობითი კულტურა, საჭიროებს მუდმივად ცვალებად მიდგომას იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც მიზნად ისახავს თარგმანი: არ შეიძლება ერთნაირად ითარგმნოს მათემატიკური ტრაქტატი, პოლიტიკური მეტყველება, კომედია ან ლირიკული პოემა.

შესაძლებლად ვთვლით, გამოვყოთ ტექსტები, რომლებიც ორიენტირებულია შინაარსზე და ტექსტები, რომლებიც ორიენტირებულია ფორმაზე.

ტექსტებში, რომლებიც ორიენტირებულია შინაარსზე, იგულისხმება ისეთი ტექსტები, რომელთა ძირითადი მიზანია შინაარსის, ინფორმაციის გადმოცემა. ფორმაზე ორიენტირებული ტექსტები ასევე გულისხმობს შინაარსის გადმოცემას, მაგრამ ამ ტიპის ტექსტებში დომინირებულ კომპონენტად მოიაზრება ენობრივი ფორმა (აროშიძე, მაზმიშვილი 2013).

აქედან გამომდინარე, შინაარსზე ორიენტირებულ ტექსტებს შეიძლება მივაკუთვნოთ პრესის შეტყობინებები, კომერციული კორესპონდენცია, საქონლის სპეციფიკაცია, ტექნიკური ხელსაწყოების ექსპლუატაციის ინსტრუქციები, საპატენტო აღწერები, ოფიციალური დოკუმენტები, სასწავლო ან სპეციალური ლიტერატურა, კვლევები, ანგარიშები, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა სპეცია-

ლური ტექსტები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შინაარსზე ორიენტირებულ ტექსტებს არ აქვთ ფორმა. ფორმა და შინაარსი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ენაში აზრის გამოხატვის ხერხი არც თუ ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე მისი შინაარსი. ამიტომ შინაარსზე ორიენტირებული ტექსტები უნდა გაანალიზდეს სემანტიკის, გრამატიკისა და სტილისტიკის პლანში და მათი გათვალისწინებით მოხდეს თარგმნა სხვა ენაზე (ნაიდა 1969, შვეიცერი 1988).

მნიშვნელოვანია ორიენტირება ინფორმაციული შინაარსის გადმოცემაზე. შინაარსზე ორიენტირებული ტექსტი თარგმნის პროცესში მოითხოვს ინვარიანტობის უზრუნველყოფას შინაარსის დონეზე. თარგმნის ენობრივი გაფორმება უნდა შეესატყვისებოდეს თარგმნის ენობრივ კანონებს.

უმთავრესი სირთულე ტექნიკური ლიტერატურის თარგმნისას არის:

- აბრევიატურებისა და შემოკლებების დიდი რაოდენობა;
- რთულ გრამატიკულ კონსტრუქციათა თარგმნის თავისებურებები;
- პოლისემიური სიტყვის სწორი მნიშვნელობის შერჩევის ადეკვატურობა;
- უეკვივალენტო ლექსიკური ერთეულების სიმრავლე;
- ტექნიკური თარგმნის ერთიანი მოდელის არარსებობა;
- ტერმინების მორფოლოგიური აგებულება და სემანტიკური თავისებურებები;
- ლექსიკის მუდმივი განახლება და ნეოლოგიზმების გაჩენა.

ცალკე პუნქტია მთარგმნელის აუცილებელი ინდივიდუალური განსწავლულობა, რომელიც წარმატებული კომუნიკაციის საყრდენი ასპექტია.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვითია, ის ამავე დროს ადაპტირებული უნდა იყოს ტერმინების სრულყოფილ გაგებაზე, გარდა ამისა, სპეციალური ცნებების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ თარგმანი გასაგებად იოლი იყოს.

ვინაიდან ტერმინი არის სპეციალური, მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე სიტყვა ან შესიტყვება მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ სფეროში, მან ზუსტად უნდა ასახოს გარკვეული სფეროსთვის დამახასიათებელი ცნებები, პროცესები და საგანთა სახელები.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ ტერმინით აღნიშნული ცნება, პირველ ყოვლისა, საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ სფეროს ცოდნა, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული ტერმინოლოგია (ანისიმოვა 2008).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინისათვის დამახასიათებელია შესატყვისობა ზუსტად განსაზღვრულ ცნებასთან, არ არის მართებული მისი როგორც განცალკევებული აზრობრივი ერთეულის განხილვა, რადგან ბევრმა ტერმინმა, რომელსაც აქვს გარკვეული ტექნიკური მნიშვნელობა, შეიძლება შეიცვალოს შინაარსი იმ დარგობრივი კონტექსტის მიხედვით, რომელშიც გამოიყენება (ბორისოვა 2001, ბარხუდაროვი 1970).

ჩვენი აზრით, ტერმინების სწორად გასაგებად საჭიროა მათი მორფოლოგიური აგებულების, ზოგადი მოხმარების სიტყვებისგან მათი განმასხვავებელი სემანტიკური თავისებურებების, ტერმინ შესიტყვებათა ძირითადი ტიპების, მათი სტრუქტურული თავისებურებებისა და გამოყენების სპეციფიკის ცოდნა.

ამგვარად, ტექნიკური თარგმნის პროცესი უნდა დაიყოს ორ ძირითად ეტაპად - ანალიზის და სინთეზის ეტაპად. ანალიზი გულისხმობს მთარგმნელის მიერ ტექსტის მნიშვნელობის (მნიშვნელობათა სისტემის) გაგებას; სინთეზი კი მდგომარეობს იმავე მნიშვნელობის (მნიშვნელობათა სისტემის) ასახვაში სხვა ენის საშუალებებით. მთარგმნელს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი სახის გარდაქმნა იწვევს გარკვეული ინფორმაციის დაკარგვას, ამიტომ საჭიროა ასეთი ტრანსფორმაციის მინიმუმამდე დაყვანა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები (ვალეევა 2006).

მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელი ფლობდეს ზოგად ფილოლოგიურ ცოდნას, რადგან თარგმნის ბევრი პრობლემის გადაჭრა და გარკვეული ინფორმაციის გასაგები ფორმით გადმოცემა შესაძლებელია მხოლოდ ფილოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით (ვინე, დარბელნი 1978).

მთარგმნელის პრაქტიკული კვალიფიკაცია გამოიხატება ნებისმიერი სირთულის შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილებების პოვნასა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების უნარში.

## 4.2. კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმანის სპეციფიკა

### 4.2.1. სესხება, როგორც კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე გადმოცემის ყველაზე პროდუქტიული ხერხი

კომპიუტერული ტექნიკური სტილის ერთ-ერთ ყველაზე ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს ტერმინების სიუხვე, რომლებიც აღნიშნავენ კომპიუტერული სფეროს სპეციფიკურ ობიექტებსა და ცნებებს. ეს ლექსიკური აპარატი სპეციალურადაა შექმნილი კოგნიტური ინფორმაციის გადმოსაცემად. კომპიუტერულ ტერმინს უნდა ჰქონდეს ზუსტი განსაზღვრა მისი გამოყენების ყველა შემთხვევისთვის.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის ანალიზის პროცესი წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, თვალი ვადევნოთ ნომინაციის ცოცხალ პროცესს, როდესაც ჩვენს თვალწინ ხდება ტერმინთშემოქმედების აქტები და ახალი დარგის ცნებითი აპარატის ჩამოყალიბება. თვით ენის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ენობრივმა ფაქტმა „სამეტყველო გადარჩევის“ პროცესი გაიაროს, რათა დაიმკვიდროს თავისი ადგილი ენობრივ სისტემაში (კრისინი 2000, გლუხენკა 2010, ზაუტაშვილი 2009).

როდესაც ვსაუბრობთ ქართული კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს მიმდინარე პროცესთან, რომლის დროსაც ხდება შემოთავაზებულ ტერმინთა ენობრივი ვერიფიკაცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესა თუ ის მთარგმნელობითი გადაწყვეტილება, რომელიც, შესაძლოა ადეკვატური იყოს კონკრეტული სიტუაციური ვარიანტისთვის, შეიძლება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს, როგორც შესაბამისი ტერმინი. სიტყვის ტერმინად ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანი მოვლენაა და განპირობებულია, როგორც ლინგვისტური, ასევე, ექსტრალინგვისტური ფაქტორებით (ვინოგრადოვა 2006).

ენის განვითარება ხდება მისი შინაგანი კანონზომიერებების შესაბამისად და განისაზღვრება ენობრივი სისტემის მოთხოვნებით. საზოგადოების ცხოვრებაში სიახლეების გამოჩენა, ისევე როგორც ახალი საგნებისა და მოვლენების შეცნობა იწვევს ნომინაციის აუცილებლობას, რასაც მოჰყვება ენაში ახალი სიტყვებისა და გამოთქმების წარმოქმნა ან ადრე არსებული ლექსიკური ერთეულებისათვის ახალი მნიშვნელობების მინიჭება. ენის ლექსიკური ფონდის შევსება ხორციელდება როგორც შიდაენობრივი

რესურსების, ასევე სხვა ენის ლექსიკური მასალის ხარჯზე (ვოლოდინა 1997, გოცირიძე, ხუხუნი 1984, გარბოვსკი 2004.).

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კონტაქტების გაფართოებასთან დაკავშირებით, ქართული ენის ლექსიკაში შეინიშნება დიდი რაოდენობით უცხოენოვანი ნასესხები სიტყვების გაჩენა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინგლისური ენიდან ნასესხებ სიტყვებს.

სიტყვათა სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა. ლექსიკური ნასესხობები წარმოადგენს ტერმინოლოგიის შექმნის ერთ-ერთ წყაროს. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ენობრივ პროცესთა სირთულეს, შიდა და გარე ენობრივი მოვლენების გავლენას ენის სტრუქტურაზე (ივანოვა 2006, შუხარდტი 1950, შჩერბა 1945).

შესაძლებლად მიგვაჩნია კომპიუტერული ტერმინების ნასესხობების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ნასესხობის წყაროს მიხედვით. მაგ.

ტერმინი address ნასესხებია ფრანგულიდან (addresser);

alphabet ბერძნულიდან (alphabetos);

code ლათინურიდან (codex).

2. ნასესხობათა ასპექტის მიხედვით (იმის მიხედვით, თუ სიტყვის ჟღერადი კომპლექსის რომელი ასპექტია ახალი რეციპიენტი ენისთვის):

ა. ფონეტიკური ასპექტი, მაგ.:

montage (ფრანგ. ენა),

medium (ლათინური ენა).

ბ. სემანტიკური ასპექტი - ენაში არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობის - ხშირად გადატანითის სესხება. მაგ. language (ლათ. lingua). კომპიუტერულ ტერმინში language იგულისხმება ენა, რომელიც გამოიყენება კომპიუტერული პროგრამების დასაწერად.

გ. მორფოლოგიური ასპექტი (სიტყვის ცალკეული, გარკვეული მნიშვნელობის მქონე ნაწილების სესხება: მორფემების, აფიქსების), მაგ. ლათინური წარმოშობის პრეფიქსების ab-, anti-, non- ტერმინებში:

abort

anti-clash

nonprint

დ. მთარგმნელობითი ასპექტი (კალკირება - ზუსტი გადატანა რეციპიენტი ენის საშუალებებით, მორფოლოგიური სტრუქტურისა და მოტივაციის შენარჩუნებით, მაგ.

Parallel computer - პარალელური კომპიუტერი

4. ასიმილაციის ხარისხის მიხედვით:

ა. სრულად ასიმილირებული, რომელიც შეესატყვისება რეციპიენტი ენის ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ ნორმებს, მაგ.

disc (ლათ. discus),

code (ლათ. codex);

ბ. ნაწილობრივ ასიმილირებული, რომელიც წარმოთქმით, დამწერლობით ან გრამატიკული ფორმით რჩება უცხოენოვან სიტყვად, მაგ. medium (ლათ. ენ.);

გ. ნაწილობრივ ასიმილირებული უეკვივალენტო ლექსიკა, მაგ. Hanja – ჩინური ასოები, რომლებიც გამოიყენება კორეულ ენაში.

ნასესხობა განაპირობებს ენის ლექსიკის გამდიდრებას და მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ცხოვრებასა და ისტორიას: მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, კომერციულ და კულტურულ ურთიერთობებს, ფასეულობების გადაფასებას – ყოველივე ეს ენაში იწვევს უცხო ლექსემების დამკვიდრებას. თუმცა კონკრეტული მნიშვნელობის გარდა, ენაში მრავლად შემოდის უცხოური წარმომავლობის მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტებიც (ივკინა 2004).

„სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება – ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას, ზოგჯერ იმდენად, რომ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად” (გამყრელიძე 2008 :390).

სიტყვის სესხება ლინგვისტურ კონტექსტში, კონკრეტულ სიტუაციაში ხდება. ეს, როგორც წესი, ნიშნავს იმას, რომ სესხების პროცესში ჩართულია პოლისემიური ეტიმონის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ან მონოსემიური ეტიმონი. ვინაიდან სიტყვის სესხება ხდება კონკრეტულ სიტუაციაში, მისი მნიშვნელობა შემდგომში შეიძლება

შევიწროვდეს სემანტიკურად (ანუ, უფრო დაკონკრეტდეს), რეფერენტულად (საგანთა უფრო მცირე წყების აღნიშვნით), სტილისტურად, სოციალურად ან კონოტაციურად (კაზაკოვა 2001).

ყოველივე ზემოთქმული უნივერსალურია მეტყველებისათვის და ყველა ენას ეხება. განსხვავება მდგომარეობს სიტუაციაში და სემანტიკურ ველში, რომელსაც ახალი სიტყვა მოიცავს და რომელშიც მისი მნიშვნელობის განსაზღვრა სინონიმებთან კონტრასტში ხდება.

ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ჩართვითა და ფუნქციური ხასიათის შეძენით ნასესხობები შედიან ლექსიკის გარკვეულ სფეროში, სადაც ხდება მათი გავრცელება და რეგულარული გამოყენება, ისინი იწყებენ შეწყობას გარკვეულ სიტყვებთან და ქმნიან წარმოებულ სიტყვებს:

კომპიუტერი -კომპიუტერული;

პროგრამა - პროგრამისტი, პროგრამული, პროგრამირება.

ლექსიკურ ნასესხობათა შეთვისების პროცესი განისაზღვრება როგორც წყარო ენის, ისე რეციპიენტი ენის მთელი მაკროსისტემის შიდა სპეციფიკური თავისებურებებით.

კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული კომუნიკაციის გლობალიზაციამ გამოიწვია ინგლისურენოვანი ნასესხობების ზრდა ქართულ ენაში. ტერმინების სესხება ასახავს ინგლისური და ქართული კონცეპტოსფეროების ურთიერთკავშირის პროცესს, რომლის სტრუქტურაშიც შეიძლება გამოვყოთ კონცეპტთა იმპორტი და დანერგვა.

იმპორტში იგულისხმება კონცეპტის სესხება ერთი კონცეპტოსფეროს კულტურიდან მეორეში. დანერგვაში კი იმპორტირებული კონცეპტის ათვისება მიმღები კულტურის მიერ (კლიმზო 2003).

ტერმინოსისტემის სტრუქტურაში ჩვენ გამოვყოფთ ბირთვს (საყრდენ ტერმინებს) და პერიფერიას. ტერმინოსისტემის ბირთვს შეადგენს:

Computer - კომპიუტერი;

Notebook - ნოუტბუქი;

Monitor - მონიტორი;

Keyboard - კლავიატურა;

Mouse - თაგვი;

ახლო პერიფერია შედგება ხმარებაში უფრო გვიან შემოსული და ნაკლებად ხშირი გამოყენების ნასესხობებისგან:

- Laptop - ლეპტოპი;
- Netbook - ნეტბუქი;
- System Block - სისტემური ბლოკი;
- Processor - პროცესორი;
- Hard disk - მყარი დისკი;
- Mother board - დედა პლატა ;
- Sound/Audio Card - ხმის ბარათი;
- Video Card - ვიდეო ბარათი;
- Cooler - ქულერი;
- Switch - სვიჩი და ა.შ.

ბოლო დროს ახლო პერიფერიაში შევიდა ასევე არც თუ ისე ხშირი მოხმარების ტერმინები:

- Pocket PC - ჯიბის პერსონალური კომპიუტერი;
- Planchet Computer - პლანშეტური კომპიუტერი (პლანშეტი);
- Planchet Notebook - პლანშეტური ნოუტბუქი;
- Planchet Netbook - პლანშეტური ნეტბუქი;
- Communicator - კომუნიკატორი;
- Subnotebook - სუბნოუტბუქი;
- Touchscreen - სენსორული ეკრანი;
- Touchpad - თაჩპედი.

ტოტალური სესხების მომხრეები თვლიან, რომ სესხებაში ცუდი არაფერია და ეს გლობალიზაციის ნორმალური პროცესია. ქართულ ენაში ისედაც ბევრი ნასესხობაა, რომელთაგან ბევრი დროთა განმავლობაში გაქართულდა. თუმცა, მათ შეიძლება შევედავოთ, რადგან ნასესხებ ტერმინებთან მიმართებაში ბევრი პრობლემა იჩენს თავს. ნასესხები ტერმინების დიდი რაოდენობა ართულებს ქართულენოვან სპეციალისტებს შორის ურთიერთობას, აფერხებს სწრაფ ურთიერთგაგებას მათ შორის. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ხშირად ხდება მეტაფორული ასოციაციის ამპუტირება, რომელმაც უნდა

უზრუნველყოს აზრის გაგება. ამიტომ აშკარად უმჯობესია ტერმინის თარგმნა, თუ მოხერხდება შესაბამისი ქართული ეკვივალენტის პოვნა.

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კომპიუტერული ტერმინოლოგიის ტოტალური გაქართულება სასურველი, მაგრამ მიუღწევადია. არსებობს ტერმინები, რომლებსაც ვერ მიუსადაგებ შესაფერის ქართულ ანალოგს და გვიხდება მათი სესხება. ასეთი ტერმინებიდან ბევრი უკვე შევიდა ჩვენს ლექსიკონში, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბევრი ნასესხები ტერმინისთვის შეიძლებოდა შესაბამისი ეკვივალენტის მოძებნა: მაგ. „შუამავალი სერვერი“ „პროქსი სერვერის“ ნაცვლად.

ნასესხობები შეადგენს კომპიუტერული სფეროს ნეოლოგიზმების მნიშვნელოვან ნაწილს. აღნიშნული ნეოლოგიზმები გამოირჩევიან დიდი სიცოცხლისუნარიანობით და ლექსიკო-გრამატიკული პარადიგმის გავრცობის უნარით.

კომპიუტერული სფეროს ნეოლოგიზმების ლინგვისტური პერსპექტივების განხილვისას, მკვლევარებმა გამოყვეს შესასწავლი სფეროს ნეოლოგიზმების რიგი ლექსიკო-სემანტიკური ჯგუფები. ამ სიაში შევიდა შემდეგი ჯგუფები:

- კომპიუტერის შემადგენელი ნაწილები (*hardware*);
- პროგრამული პროდუქტები (*software*);
- კომპიუტერთან მუშაობა, პროგრამირება (*operating a computer, programming*);
- მომხმარებელი ან პროგრამისტი (*user, programmer*);
- ინტერნეტი (*Internet*) (კუზნეცოვა, ვარხომოვა 2009: 4).

დასახელებულთაგან თითოეულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს აქვს საკუთარი მახასიათებლები: შემადგენლობა, მასში შემავალ ერთეულთა გარკვეული რაოდენობა, ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შინაარსზე ზემოქმედების მქონე გარეგანი და შინაგანი ფაქტორებისადმი მიდრეკილება და ა.შ. თითოეული ჯგუფის მოცემული მახასიათებლები დამუშავებული და გაანალიზებულია სხვადასხვა მკვლევარის მიერ, რაც საგრძნობლად აიოლებს ენაში კომპიუტერული ლექსიკის ფუნქციონირებისა და გამოყენების გაგებას.

შევვიძლია გამოვყოთ ნეოლოგიზმების შექმნის ძირითადი წყაროები:

- არსებული სიტყვისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება (სემანტიკური დერივაცია);

- ახალი სიტყვების წარმოება ახალი რეალიების აღსანიშნავად (ნეოლოგიზმების წარმოება ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების გზით);
- ნასესხობები სხვა ენებიდან.

ეს უკანასკნელი გამოირჩევა საკუთარი სპეციფიკით კომპიუტერულ სუბენაში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ენაში, ქართულშიც ინგლისურენოვანი ტერმინების სესხება, ათვისება და ეროვნულ ნიადაგზე ტრანსფორმაცია ნომინაციის ძირითადი საფუძველია.

#### 4.2.2. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ძირითადი მეთოდები

მთარგმნელისათვის კომპიუტერული ტერმინოლოგიის გაგება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში და ზოგადად, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ახალი სიტყვები, გამოთქმები და შესიტყვებები, რომლებიც შექმნილია პროგრამისტების მიერ და ასეთ შემთხვევაში მთარგმნელის ამოცანაა ამ ახალი სიტყვებისა თუ გამოთქმების აზრის სწორად გადმოცემა და მკითხველამდე მიტანა (კომისაროვი 1970).

ტერმინების თარგმნის მეთოდებიდან ა. ვეიზე (ვეიზე 1997) გამოყოფს: აზრობრივ განვითარებას, კონკრეტიზაციას, განზოგადებას, დამატებითი სიტყვების შემოტანას, ანტონიმურ თარგმანს და ხელახალ ფორმულირებას.

ა. ვეიზე გვთავაზობს განვახორციელოთ აზრობრივი განვითარების პროცესი რამდენიმე ეტაპად:

- ზოგადი კონტექსტის აღქმა;
- ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა დაზუსტება;
- კონტექსტთან შესაბამისობის შემოწმება;
- ლოგიკური ჯაჭვების აგება;
- მისაღები ვარიანტის შერჩევა;
- არჩეული სიტყვების შემოწმება ზოგად კონტექსტში.

ამასთანავე, აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლოგიკური მსჯელობა ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით.

აზრობრივი განვითარების მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც ლექსიკონის ეკვივალენტი არ ესადაგება კონტექსტს. მაგ. სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ სიტყვას background ლექსიკონში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა:

- ა. უკანა პლანი;
- ბ. ფონი;
- გ. მოწყობილობა;
- დ. მოქმედების ადგილი;
- ე. წინაპირობა;
- ვ. ფარული/ნამდვილი მიზეზი;
- ზ. მომზადება;
- თ. განათლება;
- ი. კვალიფიკაცია;
- კ. ანკეტის მონაცემები;
- ლ. წარმომავლობა.

შევისწავლით რა ლექსიკონის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებს და შევადარებთ მათ ინგლისური სინონიმების ლექსიკონსა და სასაუბრო ლექსიკონს, მნიშვნელობის ლოგიკურად განვითარების გზით, მივიღებთ თარგმანის შემდეგ ვარიანტებს: საწყისი მასალა/ინფორმაცია, ზოგადი მონაცემები რაიმეს შესახებ.

მოდულაცია/აზრობრივი განვითარების მაგალითად გამოდგება ასევე proprietary - software - დახურული პროგრამული პროდუქტები. ამ შემთხვევაში მოხდა ლექსიკონ-სემანტიკური ჩანაცვლება, ლოგიკური გარდაქმნის დახმარებით.

ტერმინ-შესიტყვების თარგმნის ალგორითმის მაგალითის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი ფრაზის თარგმნა:

*“Emulation of IBM 3277 typewriter-style keyboard functions“*

თუ გავაანალიზებთ მოცემულ ფრაზას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ლაპარაკია რაღაცის ემულაციაზე, რადგან სიტყვას Emulation მოსდევს წინდებული of. შემდგომ კი სათარგმნია ტერმინ-შესიტყვება. ბოლო ორი ელემენტის თარგმნა შესაძლებელია როგორც „კლავიატურის ფუნქციები“. შემდეგი გასაანალიზებელი ელემენტი “typewriter style” აზრობრივად აზუსტებს სიტყვა keyboard-ის მნიშვნელობას. ამგვარად “typewriter-style keyboard functions” არის „საბეჭდი მანქანის ტიპის კლავიატურა“.

როგორც ვხედავთ, ყოველი მომდევნო ელემენტი აზუსტებს განსასაზღვრი სიტყვის „ფუნქციების“ მნიშვნელობას. დარჩენილი ორი ელემენტი კი აღნიშნავს მოწყობილობის დასახელებას: „IBM-ის მოწყობილობა 3277“. შესაბამისად, თარგმანის საბოლოო ვარიანტია:

„საბეჭდი მანქანის ტიპის კლავიატურის ემულაციის ფუნქცია IBM 3277-ის მოწყობილობაზე“.

კონკრეტიზაციას ადგილი აქვს მაშინ, თუ არსებით სახელებს ან ზმნებს მნიშვნელობათა ფართო სპექტრი აქვთ. მაგ. წინადადებაში:

“This Utility Band gives users outstanding flexibility from a single information management investment”

ზმნას “give” აქვს მნიშვნელობათა ფართო სპექტრი: მიცემა, ჩუქება, პირველ-წყაროობა, შეტყობინება, მაგრამ მოცემულ კონტექსტში კონკრეტიზაცია ხდება გამო-თქმის „მომხმარებლისათვის დიდი შესაძლებლობების მიცემა“ საშუალებით.

ვინაიდან ინგლისურენოვანი ტერმინები უფრო აბსტრაქტული ხასიათისაა, ვიდრე ანალოგიური ქართული ტერმინები, თარგმნის პროცესში განზოგადება უფრო იშვიათად გამოიყენება, ვიდრე კონკრეტიზაცია. განზოგადების დროს უფრო ვიწრო მნიშვნელობა იცვლება უფრო ფართო მნიშვნელობით. მაგ.:

Never leave the Walkman in the car parked in the sun - ნურასოდეს დატოვებ ხელსაწყოს მანქანაში, რომელიც მზეზე დგას.

დამატებითი სიტყვების შემოტანის აუცილებლობას ხშირად იწვევს ენის ნორმების გათვალისწინების საჭიროება. ტერმინში ხდება დამატებითი ელემენტის (სიტყვის) შეტანა, რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევს მთარგმნელს ნაგულისხმევი ელემენტების გადმოცემაში, მაგ.: *data analysis* — მიღებული მონაცემების ანალიზი.

ენობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, ინგლისურიდან ქართულზე თარგმნის პროცესში მთარგმნელი ხშირად იძულებულია შეცვალოს ცალკეული სიტყვები, შესიტყვებები, წინადადების ნაწილები და გარდაქმნას მთელი წინადადება, რათა მეტ-ნაკლებად სრულად გამოხატოს შინაარსი სათარგმნ ენაზე.

ტექნიკური ლიტერატურის თარგმნის მთავარ მახასიათებლად მკვლევარი პრონინა მიიჩნევს ინტერპრეტაციის პროცესში პოლისემიური სიტყვის სწორი მნიშვნელობის შერჩევის ადეკვატურობის საკითხს. სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ენა

შეიცავს ზოგადი გამოყენების სიტყვათა და შესიტყვებათა დიდ პროცენტს, ხოლო ზოგადი გამოყენების სიტყვათა მნიშვნელოვანი ნაწილი პოლისემიური სიტყვებია (ლიპატოვი 2004).

### 4.2.3. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ძირითადი ხერხები

ვ. ტაბანაკოვას აზრით, კომპიუტერული ტექსტების თარგმნის ნამდვილი მოდელის შექმნის წინაპირობა შეიძლება გახდეს კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ხერხების კლასიფიკაცია.

გამოკვლევებზე დაყრდნობით, ვ. ტაბანაკოვა გამოყოფს ნორმატიული თარგმანის 4 კლასს, რომლებიც შედგება:

- ტერმინებისგან, რომლებიც თარგმნას არ ექვემდებარება;
- ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციიდან ნასესხები სიტყვებისგან;
- სემანტიკური ეკვივალენტით ან ფუნქციური ანალოგიით (მიახლოებითი თარგმანი) თარგმნისაგან;
- კალკირებისაგან (მორფემული ან ლექსიკური);

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ აღნიშნულ კლასიფიკაციას, რადგან ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან დგინდება, რომ ქართულ ენაში იგივე მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ა. კოპირება - ტერმინები, რომლებიც თარგმნას არ ექვემდებარება

კომპანიებისა და კორპორაციების, ასევე ტექნოლოგიური სტანდარტებისა და პროგრამული პროდუქტების სახელწოდებები არ ითარგმნება. საყოველთაოდ ცნობილი კორპორაციების სახელწოდებები, როგორცაა Apple, Microsoft, Intel, AMD, NVIDIA, Lenovo, ASUS, Acer, Samsung, Gigabyte თანამედროვე ქართულენოვან დოკუმენტებში გვხვდება ლათინური ანბანით.

იგივე პრინციპით ხდება ტექნოლოგიური სტანდარტებისა და პროგრამული პროდუქტების სახელწოდებების ტრანსლაცია. ქართულ ენაში შესატყვისი ანალოგის არსებობის შემთხვევაშიც კი აღნიშნული პროგრამული პროდუქტებისა და ტექნოლოგიური სტანდარტების სახელწოდებები არ ითარგმნება. მაგ.:

პროცესორული მიკროარქიტექტურის სახელწოდება Sandy Bridge, რომელსაც სიტყვა-სიტყვითი თარგმანის შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა „ქვიშის ხიდი“, რჩება ინგლისური ვარიანტი.

იგივე პრინციპით, უკაბელო კავშირის სტანდარტი Bluetooth ითარგმნება არა როგორც „ცისფერი კბილი“, არამედ როგორც „Bluetooth-ის ტექნოლოგია“.

საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება ასევე ტერმინი Cross Fire. აღნიშნული ტერმინი არის ტექნოლოგიის სახელწოდება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოსახულების შესაქმნელად ერთდროულად იქნას გამოყენებული ორი ან მეტი (ოთხამდე) ვიდეო ბარათის სიმძლავრე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ტერმინი არ განეკუთვნება უეკვივალენტო ლექსიკას და ქართულ ენაში აქვს ეკვივალენტი „ჯვარედინი ცეცხლი“, ოფიციალურ კომპიუტერულ ლიტერატურაში თარგმანის ასეთი ვარიანტი, ბუნებრივია, მიუღებელია.

აღსანიშნავია, რომ არსებობს პროგრამული პროდუქტის სახელწოდებათა 2 ჯგუფი. პირველია მსხვილი კორპორაციების პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებსაც ჩვეულებრივ აქვთ შემდეგი სახის სახელწოდება:

მწარმოებელი + პროდუქტის სახელწოდება; მაგ. Adobe Photoshop - გამოსახულებების რედაქტორი კომპანია Adobe-ისგან.

პროგრამული პროდუქტის მაგალითად გამოდგება ასევე პოპულარული ფაილმენეჯერი Total Commander, რომელიც ქართულად გადმოდის იგივე ფორმით და არა როგორც „ტოტალური მეთაური“.

მეორე ჯგუფი - პროგრამა, დაწერილი ენთუზიასტების გაერთიანების მიერ, ჩვეულებრივ Open Source -ის მოდელის ფარგლებში - ანუ, მათ არ აქვთ მწარმოებლის სახელი. მაგ: Gnome, Gimp, KDE.

ამ ორი ჯგუფიდან არცერთის სახელწოდება არ ითარგმნება.

ბ. ტრანსკრიბცია/ტრანსლიტერაცია

თარგმნის მეორე ხერხია ა)ფუძის სესხება ტრანსკრიფციიდან, ინგლისურენოვანი სიტყვის წარმოთქმის გადმოტანა, ანუ ამოსავალი ტერმინის ჟღერადი ფორმის შექმნა ქართული ანბანის ასოების საშუალებით, რომელიც დღეისათვის საკმაოდ გავრცელებულია. მაგალითებად გამოდგება:

computer

კომპიუტერი

processor	პროცესორი
monitor	მონიტორი
notebook	ნოუტბუქი
smartphone	სმარტფონი
display	დისპლეი
driver	დრაივერი
modem	მოდემი
graphics	გრაფიკა
interface	ინტერფეისი
cursor	კურსორი
traffic	ტრაფიკი
joystick	ჯოისტიკი
Printer	პრინტერი
Scanner	სკანერი
File	ფაილი და ა.შ.

ბ) ტრანსლიტერაცია, რომელიც ინგლისურენოვანი სიტყვის გრაფიკული ფორმის გადმოტანაა. მაგ.:

Adapter - ადაპტერი

Internet - ინტერნეტი

Intranet - ინტრანეტი

მთარგმნელი ხშირ შემთხვევაში ტერმინების ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერირებას ახდენს, რაც აიოლებს მის სამუშაოს, მაგრამ ამავე დროს იწვევს დაბნეულობას მკითხველში, თუმცა დროთა განმავლობაში ასეთი სიტყვები მკვიდრდება ენაში.

თარგმანში ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის ხერხები ხშირად ერთდროულად გამოიყენება. განვიხილოთ მაგალითი:

There are advantages and disadvantages to *rooting*, so in this article I'd like to help you answer the question: should you root?

„რუთინგს აქვს უპირატესობაც და ნაკლიც. ამ სტატიაში შევეცდები დაგეხმაროთ, რომ პასუხი გასცეთ შეკითხვას: საჭიროა თუ არა რუთინგის გამოყენება?“

Rooting-ის მნიშვნელობაა *ფესვის ამოღება*. თუმცა თარგმანის ეს ვარიანტი, რომელიც მათემატიკასთანაა დაკავშირებული, არ გამოდგება, რადგან მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება მომხმარებლის მიერ სრული კონტროლის მოპოვება სისტემურ მართვებზე. Root არის ოპერაციული სისტემის განსაკუთრებული ნაწილი, რომელშიც მოცემულია გარკვეული მოქმედების ამკრძალავი წესები (მაგ.სისტემური ფაილების წაშლა ან სისტემური საქალაქებისთვის სახელების გადარქმევა). ზმნა *to root* აღნიშნავს ნებართვის მიღებას სისტემური პარამეტრების შეცვლაზე. ასეთი აღწერითი თარგმანი ძალიან მოცულობითია, ამიტომ მოხდა ტრანსკრიფციის გამოყენება ტრანსლიტერაციის ელემენტებით.

შემდეგ მაგალითში შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ როგორ იცვლის ფორმას გრამატიკის დონეზე ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გზით ნაწარმოები სიტყვები:

This required us to *parse* to ensure we didn't make any invalid memory references (which would *crash* the app immediately) and also build some strong heuristics to make sure we would recognize the LinearAlloc buffer when we found it.

„გაჩნდა პარსირების საჭიროება, იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენ არ მივუთითეთ მეხსიერების ის წყარო, რომელიც არაა ვალიდური (და დაუყოვნებლივ ქრეშს გამოიწვევდა), ასევე გაჩნდა საჭიროება შეგვექმნა ძლიერი ევრისტიკული ალგორითმი იმაში დასარწმუნებლად, რომ პოვნისთანავე ამოვიცნობდით LinearAlloc-ის ბუფერს“.

სიტყვა *crash* ინგლისურ წინადადებაში ზმნაა, ქართულში კი არსებითი სახელი. ეს გამოწვეულია მოცემული წინადადების თარგმნის თავისებურებით. თუმცა, შესაძლებელი იყო გვეხმარა ზმნური ფორმა ქრეშირება, რომელიც აღნიშნავს პროგრამული უზრუნველყოფის უარს. რაც შეეხება ზმნა *to parse*, იგი აღნიშნავს პროგრამის ტექსტის წაკითხვას, მისი სინტაქსის შემოწმებას და შუალედური ფაილის შექმნას ბლოკებისათვის, რომლებიც შეასრულებენ პროგრამის შექმნის მომდევნო სტადიებს. ამ პროგრამის საშუალებით შესაძლებელია იმის გაგება, არის თუ არა შეცდომები კოდში, რომლებიც ხელს შეუშლის მიცემული ბრძანებების შესრულებას. სალექსიკონო მნიშვნელობა „ანალიზი“ არ ასახავს ტერმინის არსს პროგრამირების კონტექსტში.

გარდა ზმნური ფორმისა „პარსირება“, ქართულ ენაში ასევე გაჩნდა არსებითი სახელი „პარსინგი“, რომელიც აღნიშნავს ზემოხსენებულ პროცესს, ასევე არსებითი სახელი „პარსერი“ იმ პროგრამის აღსანიშნავად, რომელიც ასრულებს მოცემულ ფუნქციებს.

თარგმნის პრობლემები საერთოდ არ წარმოიშობა, თუ უცხოენოვანი წარმოშობის სიტყვა უკვე არსებობს ქართულში: მაგ. მენიუ.

ტერმინების ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერირება აიოლებს მთარგმნელის სამუშაოს, მაგრამ ამავე დროს იწვევს დაბნეულობას მკითხველში, რადგან ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხი არ ხსნის ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას და ასეთი ტერმინი მომხმარებლისათვის, შესატყვისი ახსნის გარეშე გაუგებარია. თუმცა, მას აქვს დადებითი მხარეებიც, კერძოდ, ის უზრუნველყოფს ტერმინის ლაკონურობას, რომელიც დამახასიათებელია ორიგინალი ენისათვის. გარდა ამისა, აუცილებელია ხაზი გაესვას ტერმინის სპეციფიკურობას, როდესაც თარგმანის ენაში არ მოიძებნება მისი სრული შესატყვისი. ტერმინის სპეციფიკურობის გადმოცემა კი მეტად მნიშვნელოვანია. ხოლო თუ ამ უკანასკნელის გადმოცემის აუცილებლობა არ არსებობს, მაშინ ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გამოყენება უცხოური ნასესხობის ბოროტ გამოყენებად იქცევა და მშობლიური ენის დაბინძურებამდე მიგვიყვანს.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში ასეთი ტერმინები ისე მკვიდრდება ენაში, რომ წლების შემდეგ, ენათმეცნიერების გარდა, შესაძლოა, ადარავის გაახსენდეს მათი უცხოენოვანი წარმოშობა.

#### გ. სემანტიკური ეკვივალენტი/ფუნქციური ანალოგი

ტერმინების თარგმნის მესამე ტიპია სემანტიკური ეკვივალენტის (ფუნქციური ანალოგის) ანუ ქართულ ენაში რეალურად არსებული სიტყვის გამოყენება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ასახავს ინგლისურენოვანი ტერმინის მნიშვნელობას. ტრანსლაციის ზემოაღნიშნული მოდელებისგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში მთარგმნელი პოულობს ქართულ ფუძეს, რომელიც მნიშვნელობით შეესატყვისება ინგლისურ ტერმინს. მაგ.:

Network	ქსელი
Data	მონაცემები
device	მოწყობილობა

user	მომხმარებელი
screen	ეკრანი
security	უსაფრთხოება და ა.შ.

ქართული და ინგლისური ტერმინების შეპირისპირება აჩვენებს, რომ ყველა მათგანში ერთმნიშვნელოვნად არ ფიქსირდება ინგლისური ეკვივალენტის გავლენა. თუმცა, ტერმინის ლექსიკურ-სემანტიკური წარმონაქმნისას უფრო ხშირად შეინიშნება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების თავსებადობა კალკირებასთან და სემანტიკური გადატანა ხდება ინგლისური ენის ანალოგიით:

*memory* - მეხსიერება

*card* - ბარათი

*extension* - გაფართოება

*save* - შენახვა

*erase* - წაშლა

ჩამოთვლილი ტერმინების ქართული ვარიანტები აკადემიური თვალსაზრისით უფრო ადეკვატურია, თუმცა ენაში ყოველთვის ვერ ხერხდება ისეთი ეკვივალენტების შერჩევა, რომლებიც სრულად ასახავენ ამა თუ იმ საგნის, მოვლენისა თუ პროცესის არსს. სემანტიკური ეკვივალენტი უზრუნველყოფს ტერმინის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის ადეკვატურ გადმოცემას. ტრასკრიფცია/ტრანსლიტერაციასთან შედარებით, თარგმნის ეს ხერხი ნათარგმნი ტერმინის უფრო სრულყოფილ გაგებას უზრუნველყოფს. ტერმინის ქართული ვარიანტის შინაარსი ადვილი გასაგებია ქართველი მომხმარებლისთვის. მეორე მხრივ, მას არ ჭირდება ქართული ენის გრამატიკული სისტემისთვის მისი ფორმის მისადაგება. რაც შეეხებ აუარყოფით მხარეებს, ასეთებად ჩვენ მიგვაჩნია პოლისემიურობა, (რასაც ენაში უკვე არსებული სიტყვა განაპირობებს) და ტერმინისთვის სასურველი ორიგინალური ფორმის უქონლობა.

#### დ. კალკირება

ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნის მეოთხე ხერხია კალკირება - ახალი სიტყვის შექმნის საშუალება, რომლის დროსაც ხდება ორიგინალის ლექსიკური ერთეულის თარგმნა ინგლისური ენის ლექსიკურ-

სემანტიკური მოდელების სესხების საშუალებით და მათი ნაწილობრივი ან სრული ჩანაცვლება ქართულენოვანი პირდაპირი შესატყვისებით.

კალკირება სესხების ერთ-ერთი საშუალებაა. კალკირება ესაა ახალი სიტყვების შექმნა უცხოენოვანი სიტყვის პირდაპირი თარგმნით, ასევე სხვა ენიდან ნასესხები ახალი სინტაქსური მოდელების გაჩენა. კალკა შეიძლება დავეყოთ ლექსიკურ და სემანტიკურ კალკებად. სემანტიკური კალკა სუფთა ქართული სიტყვაა, რომელმაც კალკირების შედეგად მიიღო უცხოენოვანი სიტყვის მნიშვნელობა. ლექსიკური კალკა კი ჩნდება უცხოენოვანი სიტყვის პირდაპირი თარგმნით ქართულ ენაზე, ანუ პრეფიქსის, ფუძისა და სუფიქსის თარგმნისას მეორდება უცხოენოვანი სიტყვის სტრუქტურა და მნიშვნელობა. სემანტიკური და ლექსიკური კალკების გარდა, არსებობს ე.წ. ნახევრად კალკებიც. ისინი შედგება სიტყვაწარმოების ნაწილობრივ უცხოენოვანი და ნაწილობრივ ქართულენოვანი ელემენტებისგან.

ჩვენი დაკვირვებით კალკირება ტერმინთშემოქმედების განსაკუთრებით პროდუქტიული ხერხია. სტრუქტურული თვალსაზრისით, ჩვენს მიერ წარმოდგენილ მასალაში სემანტიკური კალკის უმრავლესობა ერთსიტყვიანი ტერმინებისაგან შედგება.

downloading, loading	ჩამოტვირთა
keyboard	კლავიატურა
key	კლავიში
mouse	თაგვი
memory	მეხსიერება
password	პაროლი
ლექსიკური კალკის მაგალითებია:	
liquidcrystal	თხევადკრისტალური
reloading	გადატვირთვა
subprogram	სუბპროგრამა

გარდა ამისა, კალკირება ხშირად გამოიყენება რთული ტერმინების თარგმნის პროცესში. მაგ.:

data application server	საინფორმაციო პროგრამების სერვერი
hyperlink	ჰიპერკავშირი
microarchitecture	მიკროარქიტექტურა

antivirus	ანტივირუსი
feedback	უკუკავშირი
motherboard	დედა პლატა
videocard	ვიდეო ბარათი
reboot	გადატვირთვა
wireless	უსადენო
touchpad	სენსორის პანელი

ამ შემთხვევაში ხდება ტერმინის სტრუქტურის კალკირება და ამასთანავე, ცალკეული კომპონენტები შეიძლება წარმოადგენდნენ ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციას ან ლექსიკურ-სემანტიკურ ჩანაცვლებას.

ლოტე აღნიშნავს, რომ ნასესხები ტერმინები შეიძლება შეგვხვდეს კომბინირებული სახით, რის შედეგადაც ვიღებთ ტერმინ-ჰიბრიდებს. კომპიუტერული ტერმინების თარგმნისას ხშირია კომბინირებული ნასესხობები, რომლებიც მიღებულია პირდაპირი სესხებისა და სემანტიკური და ლექსიკური კალკისაგან, ანუ როდესაც ხდება ნათარგმნი ლექსემის კომბინაცია პირდაპირ ნასესხობასთან, მაგ.:

Temporary file	დროებითი ფაილი
liquid crystal display	თხევადკრისტალური დისპლეი
game cartridge	სათამაშო კარტრიჯი
cache memory	ქეშ მეხსიერება
mail server	საფოსტო სერვერი

არის შემთხვევები, როდესაც კომპიუტერულ სიტყვასა ან შესიტყვებაში აშკარად ჩანს ახალი ნასესხები ინგლისური ელემენტი და ამავე დროს, გვხვდება საერთაშორისო ლექსიკური ელემენტიც, მაგალითად:

graphic adapter	გრაფიკული ადაპტერი
protective filter	დამცავი ფილტრი
demonstration version	სადემონსტრაციო ვერსია
artificial intelligence	ხელოვნური ინტელექტი

სადაც სიტყვები adapter, filter, version, intelligence კომპიუტერის შექმნამდე დიდი ხნით ადრე ნასესხები იყო ქართული ენის მიერ, მაგრამ ამჟამად აქტუალიზირებული და

ნაწილობრივ სხვაგვარად გააზრებული გახდა სწორედ კომპიუტერული ტექნოლოგიების უსაზღვრო პოპულარობის წყალობით. ამიტომ გადავწყვიტეთ, კომბინირებული ნასესხობების ჯგუფში შეგვეტანა:

ა. შესიტყვებები, რომლებიც მაქსიმალურად შეესატყვისება ინგლისურ პროტოტიპს, და რომელთა სტრუქტურაშიც გვხვდება სიტყვები, რომლებიც უკვე გამოიყენება ქართულ ენაში:

Winchester disc	ვინჩესტერის დისკი
virtual reality	ვირტუალური რეალობა
computer virusology	კომპიუტერული ვირუსოლოგია
laser disc	ლაზერული დისკი
optical disc	ოპტიკური დისკი
program product	პროგრამული პროდუქტი
electronic address	ელექტრონული მისამართი და ა.შ.

ბ. ინგლისური პროტოტიპის შესატყვისი შესიტყვებები ისეთი ლექსემებით, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისურენოვანი ტერმინის ლექსიკურ კალკას:

Subprogram library	- <u>სუბპროგრამების ბიბლიოთეკა</u>
Liquid crystal screen	- <u>თხევადკრისტალური ეკრანი</u> და ა.შ.

ან ინგლისურენოვანი ტერმინის სემანტიკურ კალკას:

e-mail address	- <u>ელექტრონული ფოსტის მისამართი</u>
Database	- <u>მონაცემთა ბაზა</u>
Electronic publishing	- <u>ელექტრონული გამოცემა</u>

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი:

Although the GNU operating system was first conceived in 1983 and the Free Software Foundation had first declared an interest in using the Mach *microkernel* as the core of the GNU operating system kernel as far back as 1987.

„თუმცა GNU-ს ოპერაციულ სისტემაზე მუშაობა დაიწყო 1983 წელს, თავისუფალი პროგრამული უზრუნველყოფის ფონდი(FSF) მხოლოდ 1987 წელს დაინტერესდა იმით, რომ Mach-ის მიკრობირთვი გამოიყენებინა საკუთარი ოპერაციული სისტემის ბირთვად“.

ტერმინი microkernel შედგება მორფემისაგან micro, რომელსაც ქართულ ენაში აქვს ეკვივალენტი მიკრო და kernel, რომელსაც ქართულ ენაში შეესატყვისება მნიშვნელობები

ბირთვი, გული, არსი. მათემატიკური ტერმინოლოგიის ანალოგიით მოცემული ელემენტი შეიძლება ვთარგმნოთ როგორც ბირთვი (შდრ. მაგ. : algebraic kernel - ალგებრული ბირთვი)

შემდეგ მაგალითში შეგვიძლია დავაკვირდეთ სიტყვის კალკირებას:

The Hurd's microkernel architecture and the structure of the *daemons* would securely free users from subjugation to system administrators.

Hurd-ის მიკრობირთვული არქიტექტურა და დემონების სტრუქტურა ათავისუფლებდა სისტემის მომხმარებლებს სისტემური ადმინისტრატორისადმი დაქვემდებარებისგან.

ტერმინი *daemon* წარმოიშვა ტერმინიდან Maxwell's demon (მაქსველის დემონი), იგულისხმება აზრობრივი ექსპერიმენტი, რომელშიც რაღაც აბსტრაქტული არსება დაკავებულია მოლეკულების დახარისხებით. კომპიუტერის სფეროში კი ტერმინი *daemon* აღნიშნავს მომხმარებლისგან დაფარულ პროცესს გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად, რომელიც მოითხოვს წინასწარ განსაზღვრულ მოქმედებებს (მაგ. დოკუმენტის სტანდარტულ ფორმატირებას, ან დროის მოცემულ მომენტში ოპერაციების შესრულებას). ქართულ ენაში ტერმინი დემონი კალკირების გზით შემოვიდა Unix-ის კლასის ოპერაციული სისტემების სფეროდან.

კალკირება მთარგმნელს ათავისუფლებს ტერმინთშემოქმედების მტანჯველი პროცედურისგან. კალკას განსხვავებული ფორმა გააჩნია, რაც ომონიმიზაციის პროცესს ხელს უშლის. კალკის გამოყენება გარკვეულ სოციალურ და პროფესიულ იმიჯთან არის დაკავშირებული. კალკირების უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ მისი შინაარსის გაურკვეველობა საწყის ეტაპზე, როდესაც საჭიროა გარკვეული დრო მისი გაცნობიერებისა და გათავისებობისთვის. ასევე, სირთულეს წარმოადგენს კალკის ენობრივ ჩარჩოებში გააზრების პრობლემა (ლოტე 1982).

მიუხედავად თარგმნის განხილული ოთხი ხერხისა, კომპიუტერულ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა კომბინაციები, რაც ხელს უწყობს რამდენიმე ტოლმნიშვნელობიანი ეკვივალენტის გაჩენას. მაგ. ზოგიერთი ტერმინის ტრანსლირება ქართულ ენაზე შეიძლება მოხდეს ფუძის სესხების გზით ტრანსკრიფციიდან, მაგრამ, ამავე დროს დასაშვებია მათი გამოყენება საწყისი ინგლისურენოვანი დამწერლობით:

ბანერი – banner

ლოგინი – login

ონლაინი –online და ა.შ.

ზოგჯერ შესაძლებელია როგორც ფუნქციური ანალოგების, ისე ტრანსკრიფციის მიხედვით ნასესხები ფუძის გამოყენება, მაგ.: შესიტყვებაში «integrated graphics» სიტყვის «integrated» ტრანსლირება ქართულ ენაზე შეიძლება იყოს როგორც „ჩაშენებული“, ასევე „ინტეგრირებული“ გრაფიკაც.

ორმაგი ვარიანტები დასაშვებია შემდეგი ტერმინების თარგმნის დროსაც:

install - ინსტალირება და დამონტაჟება

browser - ბრაუზერი და ნავიგატორი და ა.შ.

ასევე ფიქსირდება ზემოაღწერილი ოპერაციების ისეთი კომბინირებული სახეობები, როგორიცაა მაგ. კალკირება + კოპირება

*OTA updates - OTA განახლება*

*push notifications - push-ნოტიფიკაციები*

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულად გადმოცემის აღნიშნული ხერხები თავისებურ უნივერსალიებს წარმოადგენენ, რომლის აქტუალურობა, რომელიმე კონკრეტული ენის ჩარჩოებით არ შემოიფარგლება.

კომპიუტერული ლექსიკის შექმნის ხერხები ხასიათდება განსხვავებული პროდუქტიულობით ინგლისურსა და ქართულ ენებში, რაც აიხსნება თვით ამ ენების განსხვავებული სტატუსით.

თუ მთარგმნელი არაა დარწმუნებული ტერმინის თარგმნის სისწორეში, მაშინ, პირველ ყოვლისა, საჭიროა შემოწმდეს, ეკუთვნის თუ არა ის უეკვივალენტო ტერმინების ჯგუფს. თუ ეს ასეა, მაშინ აუცილებელია, დადგინდეს არსებობს თუ არა ამ ტერმინის ვარიანტი. ამისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ინტერნეტი, ელექტრონული ლექსიკონები, რადგან ისინი განახლებადი წყაროებია. თუ ტერმინის თარგმანი უკვე არსებობს, მაშინ სწორედ ის უნდა გამოვიყენოთ, რადგან მცდელობა, რომ შევცვალოთ ამა თუ იმ ტერმინის უკვე არსებული სახელწოდება, პრაქტიკულად შეუძლებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტრადიციული ეკვივალენტი ჯერ კიდევ არ არსებობს, მთარგმნელს აქვს უფლება დამოუკიდებლად შეარჩიოს თარგმნის ხერხი (ნელიუბინი 2005).

ზემოხსენებულ ხერხთაგან რომელიც არ უნდა შეირჩეს, მთარგმნელის მთავარი ამოცანაა ტერმინის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის ადეკვატური გადმოცემა. ამასთანავე, ის უნდა იყოს მონოსემიური და ნომინაციური.

#### 4.2.4. სიტყვაწარმოებითი ტრანსფორმაციები კომპიუტერული ტერმინების თარგმნის პროცესში

კომპიუტერული ტერმინების თარგმნისას აუცილებელია აღნიშნული ტერმინების მორფოლოგიური აგებულებისა და მათი სემანტიკური თავისებურებების, ასევე ტერმინ-შესიტყვებათა ძირითადი ტიპების, მათი სტრუქტურული თავისებურებებისა და გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინება. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს ტერმინებით გამოხატულ ცნებათა შინაარსის სწორად გადმოცემას.

კომპიუტერული ტერმინების თარგმნის პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვაწარმოებითი ტრანსფორმაციები და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ კომპიუტერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად თარგმნის თვალსაზრისით.

სუფიქსაცია კომპიუტერული ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნის აქტიური საშუალებაა. იგი განსაკუთრებით აქტიური საშუალებაა არსებითი სახელებისა და ზედსართავი სახელების საწარმოებლად (რეცკერი 2004).

ინგლისური და ქართული ენის სისტემები სტრუქტურულად მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ინგლისური არსებითს + არსებითი სიტყვათშეთანხმებების სესხების შემთხვევაში, მსაზღვრელი არსებითი სახელი შესაძლოა ისეთივე ფორმით გადმოვიდეს, როგორც ინგლისურშია, ანუ არ დაირთავს ზედსართავი სახელის ქართულ სუფიქსს. მაგალითად, (audio adapter -აუდიო ადაპტერი) ასეთი ტენდენცია გაძლიერდა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში და სავარაუდოა, რომ მომავალში ასეთი სიტყვათშეთანხმებები კიდევ უფრო გავრცელდება.

ზედსართავი სახელი, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგ მორფოლოგიურ ნიშნებს ატარებს:

1. მორფოლოგიური ცვლილებების გარეშე, მაგ. compact disk – კომპაქტ დისკი.
2. ინგლისურ ფორმაზე ქართული სუფიქსის დამატებით. მაგალითად,

anti-virus software -ანტივირუსის პროგრამული უზრუნველყოფა;

file format - ფაილის ფორმატი.

3. ინგლისური სუფიქსის ქართულით ჩანაცვლებით, მაგ. Buffering - ბუფერიზაცია.

4. ინგლისური სუფიქსის შენარჩუნებითა და ქართული სუფიქსის დამატებით, მაგ.

antivirus– ანტივირუსული.

კომპიუტერული ტერმინების ქართულ თარგმანებში გვხვდება შემდეგი სუფიქსები:

**ება:**

არქივირება

კოპირება

პროგრამირება

სკანირება

ინსტალირება

**აცია:**

არქივაცია

ბუფერიზაცია

ინსტალაცია

კომპიუტერიზაცია

**ული:**

ანტივირუსული

ვირტუალური

კომპიუტერული

სერვერული

**ური:**

ანალოგური

ჰიპერტექსტური

არსებითი სახელები ქართული სუფიქსების გამოყენებით ზმნებს ხშირად აწარმოებენ. მაგ. სკანერისგან მივიღეთ დასკანერება. ეს უკანასკნელი რომ სწორედ ქართულში უკვე შემოსული სკანერისგან არის მიღებული და არა ინგლისური scan-სგან, მტკიცდება იმით, რომ გამოიყენება დასკანერება, და არა, მაგალითად დასკანვა. არსებითი სახელისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებია: ამოპრინტერება, დამესიჯება, დაქსეროქსება და სხვ.

სუფიქსაციასთან ერთად კომპიუტერული ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნის აქტიური საშუალებაა პრეფიქსაცია. კომპიუტერული ტერმინების შექმნისას ქართულ ენაში აქტიურად გამოიყენება ლათინური წარმოშობის თავსართები ინტერ-, სუპერ-, მინი-, მაკრო-, მიკრო, მულტი, მეგა- და ა.შ:

გიგა - გიგაბაიტი;

ჰიპერ - ჰიპერტექსტი;

ინტერ - ინტერაქტიური, ინტერნეტი;

ინტრა - ინტრანეტი;

კილო - კილობაიტი, კილობიტი;

მეგა - მეგაბაიტი;

მიკრო - მიკროკომპიუტერი, მიკროპროცესორი, მიკროფაილი;

მაკრო - მაკრობრძანება;

მინი - მინიკომპიუტერი, მინიდრაივერი;

მულტი - მულტიმედია, მულტიმედიური, მულტისისტემა;

სუბ - სუბნოუთბუქი;

სუპერ - სუპერკომპიუტერი;

მინი - მინიდრაივერი.

ქართულ ენაზე ნათარგმნ კომპიუტერულ ტერმინებში გვხვდება სიტყვათშეხამებები, რომლებიც ძირითადად დეფისით ნაწარმოები რთული არსებითი სახელებია:

კომპაქტ-დისკი;

საუნდ-ბლასტერი;

სპელინგ-კორექტორი;

ტექსტ-პროცესორი;

ფაილ-სერვერი;

ფაქს-მოდემი;

ფლოპი-დისკი.

თარგმნის პროცესში სიტყვათწარმოების აფიქსალური საშუალების გამოყენება უზრუნველყოფს სიტყვის დერივაციული მნიშვნელობის გადმოცემას.

#### **4.2.5. კომპიუტერული ტერმინების თარგმნის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელი როგორც უეკვივალენტო ლექსიკის ადეკვატური ტრანსლაციის გაიოლების საშუალება**

მკვლევარი ტაბანაკოვა მთავარ პრობლემას კომპიუტერული ტერმინების თარგმნის პროცესში ხედავს იმაში, რომ აღნიშნული ტერმინების დიდი ნაწილი განეკუთვნება უეკვივალენტო ლექსიკას, ანუ იმაში, რომ არ არსებობს მათი შესატყვისები და აქედან გამომდინარე, დიდ სირთულეებს უქმნის მთარგმნელს (ტაბანაკოვა 2007).

ვ. ტაბანაკოვა გვთავაზობს, შევიმუშავოთ კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ადეკვატური და სტანდარტიზებული ალგორითმი. მთარგმნელ-პრაქტიკოსები ამუშავენ ალგორითმებს, ეგრეთწოდებულ თარგმნის მოდელებს, რათა მოხდეს თარგმნის პროცესის სტანდარტიზაცია და გაიოლება.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის სირთულეების გამო, საჭიროდ მიგვაჩნია ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინებისთვის ქართული თარგმანის ადეკვატური და სტანდარტიზებული ალგორითმის ე.წ. „თარგმნის მოდელის“ შემუშავება.

თარგმნის მოდელის შესახებ პირველმა აზრი გამოთქვა ამერიკელმა თეორეტიკოსმა, დინამიური ეკვივალენტობის თეორიის ფუძემდებელმა ნაიდამ. შემდგომში ეს აზრი განავითარა ვ. კომისაროვმა. ტაბანაკოვას კვლევების შედეგების მიხედვით, კომპიუტერული ტექსტების თარგმნისას გამოყენებულ უნდა იქნას თარგმნის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელი, რომელიც თარგმნის პროცესს მიიჩნევს აღწერის პროცესად და

გულისხმობს მთელ რიგ კონკრეტულ თავისებურებებს, როცა თარგმანის ვარიანტის შერჩევა შეუძლებელია სიტუაციის გაუთვალისწინებლად. თარგმნის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელი უზრუნველყოფს რეალური სიტუაციის გათვალისწინებით თარგმანის ვარიანტის შერჩევის თავისებურებებს. მოვიყვანოთ მაგალითი:

*This optimally coded program was made with the help of Linda.*

შესაძლოა, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ჟღერდეს ასე:

„ეს ოპტიმალურად კოდირებული პროგრამა შედგენილ იქნა ლინდას დახმარებით“.

მაგრამ კომპეტენტური მთარგმნელი უნდა ფლობდეს გარკვეულ ცოდნას კომპიუტერულ პროგრამირებაში, რადგან ფრაზას “optimally coded program” აქვს მნიშვნელობა „ოპტიმალურად შედგენილი პროგრამა“ (მაგ. პროგრამა, რომლის შესრულებაც მინიმალურ დროს საჭიროებს). “Linda” კი ამ შემთხვევაში არ აღნიშნავს ქალის სახელს. ეს არის პროგრამირების ენის სახელწოდება, რომელიც განკუთვნილია მონაცემთა პარალელური (ერთდროული) დამუშავებისათვის. მოცემულ შემთხვევაში გაცილებით უფრო მისაღები თარგმანი იქნებოდა შემდეგი:

„ეს ოპტიმალურად შედგენილი პროგრამა შექმნილია მონაცემთა პარალელური დამუშავების პროგრამირების ენის დახმარებით“.

მოყვანილი მაგალითიდან აშკარაა, რომ სათარგმნი ტექსტის ცნების გაგება და მთარგმნელის ინდივიდუალური კომპეტენცია დიდ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როცა ქართულ ლექსიკურ ერთეულებში არ არის ინგლისური სიტყვების ზუსტი შესატყვისები და უცნობი ტერმინის თარგმნისას მთარგმნელი იძულებულია შექმნას აღნიშნული ტერმინების საკუთარი ვარიანტი. თუმცა სამართლიანი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ თარგმანის ასეთი „საავტორო“ ვარიანტები არაერთგვაროვანია. ერთი და იგივე ლექსემას რამდენიმე მთარგმნელის მიერ შესრულებულ თარგმანში შეიძლება ჰქონდეს აზრობრივად განსხვავებულ მნიშვნელობათა საკმაოდ დიდი რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში კი თარგმანის ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული ლინგვისტურ ცოდნასა და ავტორის გემოვნებაზე (ბარხუდაროვი 1984, სკორიკოვა 2002).

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი - ნაწყვეტი სტატიიდან “Computer viruses: can they be prevented?”:

*“DON'T USE UNKNOWN SOFTWARE... Including “shareware” software, software from bulletin board services (BBC)“.*

სავარაუდო თარგმანია:

*„ნუ გამოიყენებთ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის წარმომავლობა უცნობია. ამ კატეგორიას მიეკუთვნება „საერთო სარგებლობის“ პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც ავრცელებენ საინფორმაციო სამსახურები“.*

თარგმანის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი ტერმინი: *shareware* და *bulletin board services (BBC)*. აგებულების მიხედვით *shareware* რთული ტერმინია, რომელიც შედგება ორი კომპონენტისგან: *share* - გაზიარება, ერთობლივად გამოყენება და *ware* - როგორც რთული სიტყვების კომპონენტი - *ნაკეთობა*(მაგ. *glassware* - შუშის ნაკეთობა), ამგვარად *shareware* საერთო გამოყენების ნაკეთობაა. აქვე აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ ორიგინალის ტექსტში ეს სიტყვა ბრჭყალებშია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს არის *shareware*-ის ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა.

სიტყვის ბრჭყალებში ჩასმით ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ საუბარია გარკვეული სახის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. თუ გადავხედავთ პერიოდულ ლიტერატურას, შეიძლება ვნახოთ ამ ცნების უფრო ზუსტი განმარტება: საინფორმაციო საშუალებებით რეკლამის მიზნით ევროპასა და ამერიკაში უფასოდ ვრცელდება სპეციალური პროგრამები, რათა დაინტერესებულმა მომხმარებელმა შეიძინოს აღნიშნული პროგრამების უფრო სრულყოფილი ვერსიები.

აქედან გამომდინარე, თარგმანის საბოლოო ვარიანტია:

*„რეკლამის მიზნით გავრცელებული კომპიუტერული პროგრამები“ ან „პირობითად უფასო კომპიუტერული პროგრამები“.*

შემდეგი ტერმინ-შესიტყვების *bulletin board services (BBC)*, რომელსაც აქვს საკუთარი აბრევიატურა, შემოთავაზებული ვარიანტი *„საინფორმაციო სამსახური“* შესაძლებელია ჩავთვალოთ მისაღებად. მაგრამ პერიოდულ ლიტერატურასა და სპეციალისტებს შორის ეს სამსახური ცნობილია როგორც „განცხადებების ელექტრონული დაფა“.

ამ მნიშვნელობაზე დაყრდნობით მიღებული თარგმანის საბოლოო ვარიანტია:

„ამ კატეგორიას განეკუთვნება “shareware”-ის ტიპის კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც განცხადებების ელექტრონული დაფების საშუალებით ვრცელდება კომპიუტერული ქსელებით“

ამგვარად, თარგმნის პროცესში აზრის გადმოსაცემად ძირითადი პარამეტრების სახით გამოიყოფა არა მარტო ადეკვატური ვარიანტის შერჩევა, არამედ ფონური ცოდნა, ლოგიკა, კონტექსტი და ცნების აბსტრაქტიზების უნარი.

მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ ტერმინ-შესიტყვების თარგმნა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ელემენტების დაწვრილებითი აზრობრივი ანალიზის გზით და ორიგინალის ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით ამ ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირის დასადგენად. აზრის გასაგებად საჭიროა მივმართოთ კონტექსტს და დამატებით ლიტერატურას ორიგინალის ენაზე, ქართული ეკვივალენტის მოსაძებნად კი ლექსიკონებს და დამატებით ლიტერატურას თარგმანის ენაზე.

მიგვაჩნია, რომ თარგმანის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელის გამოყენება მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტერმინოლოგიის, განსაკუთრებით კი უეკვივალენტო ლექსიკის თარგმნისას, როცა თარგმანის ვარიანტის შერჩევა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია ორიგინალში აღწერილი სიტუაციით და როცა აღნიშნული სიტუაციის დამატებითი მხარეების გამოვლენა აუცილებელია ორიგინალის სწორად გაგებისა და, შესაბამისად, სწორი თარგმანის უზრუნველსაყოფად.

#### **4.2.6. კომპიუტერული აბრევიატურების ქართულ ენაზე გადმოცემის ხერხები**

ინგლისურენოვანი კომპიუტერული შემოკლებების ქართულად თარგმნის პროცესში შეგვიძლია გამოვყოთ:

- უცხოენოვანი შემოკლების სესხება (ლათინური დამწერლობის შენარჩუნებით)  
HTML - (Hyper Text Markup Language - ინტერნეტში დოკუმენტების შესაქმნელი ენა);  
ASP - (Active Server Pages - სერვერის აქტიური გვერდები);  
BASIG - (Beginners All-purpose Symbolic Instruction Code - პროგრამირების ძირითადი ენა დამწყებთათვის და პროფესიონალებისათვის);

DNS - (Domain Name System - სახელების დომენური სისტემა);

GIF - (Graphic Interchange Format - გრაფიკული ფორმატი).

- შემოკლების ასოების გადმოცემა ქართული ასოებით:

Applet - აპლეტი (პროგრამა დაწერილი Java-ს ენაზე, რომლის შესრულება წარმოებს Java-თავსებადი ვებბრაუზერების ფარგლებში);

NICK - ნიკი (nickname - ფსევდონიმი;

blog - ბლოგი ( web + log).

- შემოკლების გადმოცემა ეკვივალენტური ქართული შემოკლებით:

PC- პკ (პერსონალური კომპიუტერი);

Kbps - კბწმ (ათასი ბიტი წამში - კავშირის სისწრაფის საზომი).

- შემოკლების აღწერითი თარგმანი მისი სრული ფორმით:

GPU - გრაფიკული პროცესორი;

LAN - ლოკალური ქსელი;

MS-მილიწამი.

აბრევიატურების თარგმნა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული პოლისემიისა და მათი ადრე გამოყენების პრეცედენტის არ არსებობის გამო. მაგ. PC-ს აქვს ყველასთვის ცნობილი ინგლისური ეკვივალენტი Personal Computer, მაგრამ ამავე დროს მას აქვს სხვა ეკვივალენტებიც:

Potential controller - პოტენციალის რეგულატორი;

printed circuit - ბეჭდვითი სქემა;

process control - ტექნიკური პროცესების მართვა;

programmabal control - პროგრამული მართვა;

propulsive coefficient - პროპულსიური კოეფიციენტი.

საგნის მხოლოდ ღრმა ცოდნა უზრუნველყოფს ტერმინის სწორად გაგებას. თუ შემოკლებები არაა გამოყენებული კონტექსტში (სპეციფიკაციები, რომლებიც თან ერთვის ტექნიკურ დოკუმენტაციას, ცხრილები, სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი), მაშინ აუცილებელია კონსულტაცია სპეციალისტებთან, გლობალურ ქსელში მუშაობა, დიდი კომპარატიული მუშაობა რამდენიმე იდენტურ ტექსტთან, რომლებშიც შეიძლება შეგვხვდეს მსგავსი ტერმინები და რომელთა დეკოდირება შეიძლება მოხდეს კონტექსტის მიხედვით (ტიულენევი 2004).

აკრონიმები გადადიან ქართულ ენაში ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის მეთოდით როგორც ახალი ტერმინები. ასეთი ერთეულები მარტივად შედიან ტერმინოლოგიაში და მათი ასიმილირება ენაში საკმაოდ სწრაფად ხდება.

ბევრი აკრონიმი ზოგადლიტერატურული ენის სიტყვების ომონიმურია. მაგ.:

CASE - (შემთხვევა) - Computer-Aided Software Engineering - ავტომატიზირებული პროექტირება და პროგრამების შექმნა;

MAN (ადამიანი) - Metropolitan Area Network - რეგიონული გამოთვლითი ქსელი,;

ROSE (ვარდი) - Remote Operations Service Element - დაშორებული ოპერაციების სერვისული ელემენტი;

CAT - (კატა) - Computer-Aided Tomography - კომპიუტერული ტომოგრაფია.

ზემოხსენებული აკრონიმები ემთხვევა ზოგადლიტერატურულ სიტყვებს გრაფიკული და ფონეტიკური გაფორმებით, ამიტომ საჭიროა მათი თარგმნა კონტექსტზე დაყრდნობით.

ასო-მარცვლოვანი აკრონიმები ასევე ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის მეთოდით ითარგმნება:

ESCON- ესკონი -Enterprise System Connection;

DEMARC - დემარკი - Distributed Enterprise Management Architecture.

ასევე გვაქვს შეკვეცილი წარმონაქმნების ტიპი:

abend - ებენდი (ABnormal+ END – არასასურველი დასასრული).

კონტამინატები (შენაზარდები), რომლებიც წარმოქმნილია სტრუქტურული ელემენტების ორი ენობრივი ერთეულის შერწყმის შედეგად ფუნქციური ან სემანტიკური სიახლოვის საფუძველზე ქართულ ენაში გადადის ტრანსლიტერაციის გზით (ბაკარაძე 2009):

netiquette - ნეტიკეტი (net - ქსელი + etiquette - ეტიკეტი - ქსელური ეტიკეტი)

botnet - ბოტნეტი (robot - რობოტი + net - ქსელი)

ტერმინებისა თუ ცნებების შემუშავების მაგივრად, ინგლისურენოვანი სიტყვები პირდაპირ შედის სხვადასხვა ენის ლექსიკაში და რა თქმა უნდა, ხანგრძლივი დროით მკვიდრდება.

### 4.3. კომპიუტერული ჟარგონიზმების თარგმნის სპეციფიკა

#### 4.3.1. მეტაფორული გადატანა როგორც კომპიუტერული ჟარგონიზმის ფორმირების უნივერსალური საშუალება და მისი თარგმნის სპეციფიკა

კომპიუტერული და არა მარტო კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას, როგორც წესი, წინ უსწრებს, პროფესიული კომუნიკაცია, რომლის პროცესშიც ხდება ცნებითი აპარატის ფორმირება.

სწორედ, პროფესიონალ კომუნიკანტთა სანქციონირებაა აუცილებელი, რათა სიტყვამ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეიძინოს. პროფესიული კომუნიკაცია, ანუ პროფესიული ჟარგონი ის საცდელი პოლიგონია, სადაც შესაძლებლობა გვეძლევა სიტყვის ტერმინოლოგიური პოტენციალი გამოვცადოთ. კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიურად განვითარებადი დინამური სისტემაა (რაც განპირობებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების უჩვეულოდ სწრაფი პროგრესით)(გოტიაშვილი 2009).

ქართულ ენაში ანგლიციზმების შემოჭრის ერთ-ერთი გზაა ჟარგონული ლექსიკა, კომპიუტერული ჟარგონის ბევრი სიტყვა გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში.

ჟარგონიზმები არსებობს არა მარტო ზეპირ მეტყველებასა და ელექტრონულ დოკუმენტებში, წერილებსა და ვირტუალურ კონფერენციებზე, მათ უკვე ვხვდებით ბეჭდურ გამოცემებშიც.

კომპიუტერული ჟარგონი ახალი მოვლენაა ქართულ ენაში. მისი სიახლე განისაზღვრება იმით, რომ მოცემული ლექსიკის მატარებლები და შემქმნელები - პროგრამისტები - არიან შედარებით ახალი პროფესიის წარმომადგენლები.

ბევრი ჟარგონიზმისათვის განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა მეტაფორიზაცია.

ლექსიკა კატეგორიზაციის ბუნებრივი გზაა, მეტაფორა კი უზრუნველყოფს მოვლენების უფრო ნათლად დაყოფას გარემომცველი სამყაროს საგნებად, კატეგორიებად. უკვე არსებულ ენობრივ მნიშვნელობებზე განხორციელებული კოგნიტური ოპერაციების შედეგად, მეტაფორა მონაწილეობას იღებს კონცეპტუალური სისტემის შევსებაში.

კომპიუტერული ლექსიკის შექმნის პროცესში მეტაფორა ახდენს კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროს კონცეპტუალიზაციას მათში სხვა, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სფეროების კონცეპტუალური სისტემების გადატანის გზით.

კომპიუტერული კომუნიკაციის პროცესში ადამიანებს სჭირდებათ ინფორმაციის გაცვლა. ამ უკანასკნელისთვის კი, აუცილებელია, შესაბამისი კოდის არსებობა. კოდის გამოყენება, თავის მხრივ, მოითხოვს კომუნიკანტთაგან ცოდნის ფონობრიობას, როდესაც ადრესანტისა და ადრესატის საინფორმაციო ბაზა ერთიან კოდს ეფუძნება. ფონური ცოდნა ფიქსირებულია ინდივიდუალურ და სოციალურ ცნობიერებაში. მისი აქტუალიზაცია კი კონკრეტულ კომუნიკაციურ პირობებზეა დამოკიდებული. ლექსიკური ფონისა და მისი მახასიათებლების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ენობრივ-კულტურულ ფენომენტთა შესწავლისას, რომლებიც, კონტრასტულ სოციოკულტურულ სამყაროთა თავისებურებების გამო, უკავშირდებიან როგორც ინვარიანტულ, ისე ვარიანტულ სემებს (ლუტოვინოვა 2009, კოტოვა 2001).

თუ ფონობრივი ცოდნა არ არის საერთო კომუნიკანტათვის, შეუძლებელია მათ ერთმანეთს გააგებინონ სათქმელი. ლექსიკური ფონის ობიექტივაციის გავრცელებულ მეთოდთა შორის აღსანიშნავია ასოციაციური მეთოდი, რომელიც ლექსიკური ფონის სემანტიზაციას ახდენს სემებს შორის არსებულ ასოციაციურ კავშირებზე დაყრდნობით.

არცერთი ცივილიზებული ერის კულტურა და მისი ლექსიკური სისტემა არასოდეს ყოფილა დახშული უნივერსალური ელემენტებისათვის, რომელთა ათვისება აისახებოდა საზრისთა განვითარებასა და გამრავალფეროვნებაზე ადგილობრივ კულტურულ ღირებულებებზე დაყრდნობით. კულტურათაშორისი ურთიერთობების დროს უნივერსალური საზრისები და გამოთქმები ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს, ნაციონალურ-კულტურული საზრისები და გამოთქმები კი აუცილებელ კომენტარს მოითხოვს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერკულტურული კომუნიკაციის წარუმატებლობა.

კომპიუტერულ კომუნიკაციაში არსებული ინგლისურენოვანი კოდი ქმნის ფონობრივ ინფორმაციულ ბაზას, რაც ქართულენოვანი კომპიუტერული კომუნიკაციის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს. ქართული სამეტყველო გარემო მოითხოვს

ურთიერთგაგებისთვის აუცილებელ ფონობრივ ცოდნას, როდესაც კომუნიკანტებმა იციან, რაზეა საუბარი (გოტიაშვილი 2009).

კომპიუტერული მეტაფორების თარგმნის პროცესში მთარგმნელმა კარგად უნდა გაიაზროს, მოცემულ მეტაფორას პოზიტიური შეფერილობა აქვს თუ ნეგატიური, ანუ უნდა გამოავლინოს შედარების მიზეზი. მან ასევე უნდა გაარკვიოს მოცემული სფერო კონოტაციურია თუ დენოტაციური.

საზოგადოდ, კონოტაცია განისაზღვრება, როგორც დამატებითი ასოციაციების ერთობლიობა, რომელსაც ლექსიკური ერთეული აღძრავს კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა ცნობიერებაში. კონოტაცია ამა თუ იმ ნომინაციის აღქმის პროცესში ინდივიდის ცნობიერებაში აღმოცენებული ასოციაციებისა და ემოციების კომპლექსია. გ. ლებანიძე ტრადიციული სტილისტიკის პრობლემატიკის განხილვისას მიუთითებს, რომ ყოველი გამონათქვამი, ან მისი კომპონენტი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი, ან ნეიტრალური. კონოტაციის გარეშე გამონათქვამი არ არსებობს, რადგან ნეიტრალური კონოტაციაც (პოზიტიური და ნეგატიური მარკირებული კონოტაციის ნეიტრალიზაციის შედეგი) კონოტაციის ერთ-ერთი (არამარკირებული) სახეობაა (ლებანიძე 2004).

თარგმანის თეორიაში კონოტაცია ლექსიკური ერთეულის პრაგმატიკულ მნიშვნელობად მიიჩნევა (ბარხუდაროვი 1975, კომისაროვი 1980, თელია 1986), რადგან ადრესანტი განსაზღვრულ გამონათქვამს ირჩევს შესაბამისი კომუნიკაციური პირობების გათვალისწინებით სასურველი კომუნიკაციური ეფექტის შესაქმნელად.

შესაბამისად, მთარგმნელმა შეიძლება გამოიყენოს პირდაპირი თარგმანი, როცა მთარგმნელი გათვლას აკეთებს იმაზე, რომ მეტაფორის გაგება მთარგმნელის გარეშე შესაძლებელი იქნება, მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ:

Samurai - სამურაი - დაქირავებული კომპიუტერული ჰაკერი, რომლის მომსახურებას იყენებენ კორპორაციულ კომპიუტერულ სისტემაში სანქცირებული შეღწევისათვის და რომელიც დამსაქმებლისადმი ერთგულებით გამოირჩევა. როგორც ვიცით, სამურაის ძირითადი მნიშვნელობაა მეომარი. შესაბამისად, როდესაც მომხმარებელი წააწყდება ამ სიტყვას, პირველი, რასაც ის აკეთებს, არის მისი დეკოდირება. რეციპიენტი პოულობს

იმ რელევანტურ თვისებებს, რომელიც დამახასიათებელია იაპონელი მეომრისათვის: გამბედაობა, თავგანწირვა, სიუზერენისადმი ერთგულება და ა.შ. და გადააქვს ისინი იმ ადამიანზე, რომელიც იჭრება კომპიუტერულ სისტემებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამურაის საყოველთაოდ ცნობილი თვისებები მენტალურად ედება ჰაკერის თვისებებს.

ასევე საინტერესო მაგალითია black-hole - შავი ხვრელი, რომელიც აღნიშნავს ინტერნეტით ურთიერთობისათვის წინააღმდეგობის გაწევას. აქ წყარო სფეროდ გვევლინება ყველასთვის ცნობილი კოსმოსური შავი ხვრელი, რომელიც შთანთქავს ყველაფერს.

*Zombie* - ზომბი - კომპიუტერი, რომელიც კონტროლდება ჰაკერის მიერ და აგზავნის დიდი რაოდენობით ინფორმაციას ვებ-საიტზე, რის შედეგად იგი მიუწვდომელი ხდება სხვა მომხმარებლებისათვის.

*Virus* - ვირუსი - ნაწილაკი, რომელსაც ცოცხალი უჯრედების ინფიცირების უნარი გააჩნია. აქედან გამომდინარე, მომხმარებლისათვის გასაგები ხდება, რომ ვირუსი არის საზიანო პროგრამა, რომელიც მალულად აღწევს კომპიუტერულ სისტემებში, პროგრამებში ან ფაილებში და შეუძლია კომპიუტერის დაინფიცირება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მაგალითებში ქართული ნომინაცია ინგლისურიდან პირდაპირი თარგმანია სწორედ იმ სიტყვების, რომლებიც შეიცავენ მეტაფორას. ზემოხსენებულ მაგალითებში შენარჩუნებულია მეტაფორული ხატი, რომელიც გასაგებია ქართული ენის მატარებელთათვის საერთო ფონობრივი ცოდნის საფუძველზე; მოყვანილ მაგალითებში სახეზეა კონოტაციების სრული შესატყვისობა, რომლის დროსაც ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი იდენტურია შესაპირისპირებელ კულტურულ არეალებში. მაგრამ ასეთი მაგალითები არც თუ ისე ბევრია.

კომპიუტერული მეტაფორების ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ნასესხობას ინგლისური ენიდან. ყველაზე ხშირია მეტაფორების გადმოცემა ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის მეთოდით. მაგ.:

ტერმინი Trojan Horse - ტროას ცხენი, რომელიც ქართულში გადმოდის ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციით ტროიანი, ქართველი მომხმარებლისთვის ასევე გასაგებია საერთო ფონობრივი ცოდნის საშუალებით. იგი წარმოქმნილია ბერძნულ მითოლოგიაში ტროას ცხენის შესახებ არსებული ლეგენდის მიხედვით. რადგან ტერმინის მოტივაცია აშკარაა, გასაგებად რთული არ არის, რომ ტროიანს, რომელიც

თავს აჩვენებს მომხმარებელს, თითქოს იგი არის სრულიად სანდო და უვნებელი, შეუძლია მოიპაროს ინფორმაცია ან ავნოს კომპიუტერულ სისტემას.

მოყვანილ მაგალითში მიუხედავად ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხისა, მომხმარებლისათვის გასაგებია მეტაფორული ტერმინის მნიშვნელობა მსგავსი ემოციურ-შეფასებითი ელფერის საფუძველზე. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს ასე არაა. მაგ.:

ბექდორი (Backdoor - უკანა შესასვლელი; კულისებს იქითა, საიდუმლო, ფარული) აღნიშნულ მაგალითში მეტაფორის მნიშვნელობა გასაგებია ინგლისურენოვანი მომხმარებლისათვის და მისთვის რთული არ არის მიხვედრა, რომ ეს არის ჯაშუშური პროგრამა, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ ინფორმაციის მიტაცებისთვის, არამედ კომპიუტერის ან ქსელის მალულად, უკანონოდ სამართავად. მაგრამ ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხის გამოყენება ქართულ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, გაუგებარს ხდის მას ქართულენოვანი მომხმარებლისათვის, რადგან ამ შემთხვევაში მომხმარებლის ფონური ცოდნა არ მუშაობს. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა მეტაფორის შეცვლა სხვა მეტაფორით/ეკვივალენტით - მაგ. *ჯაშუში* ან მეტაფორული ხატის შენარჩუნებით და განმარტებითი ინფორმაციის დამატების გზით, - მაგ. *ჯაშუშური პროგრამა*, რომელიც ნათელს გახდიდა მეტაფორული შედარების საფუძველს;

მსგავსი მაგალითები, როდესაც ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხით თარგმნისას დაკარგულია მეტაფორული მნიშვნელობა, ძალიან ბევრია. მაგ.: ვორმი (Worm - ჭია) - აქაც ინგლისურენოვანი მომხმარებლისათვის ნათელია, რომ ჭია ვერ იქნება დიდი ზიანის მომტანი და შესაბამისად იგი ხვდება, რომ ვორმი არის პროგრამა, რომელიც იწვევს მინიმალურ ზიანს ქსელში, მაგ. შეუძლია მოიხმაროს მომხმარებლის ინტერნეტ სიჩქარე. ქართულენოვანი მომხმარებლისათვის კი მეტაფორული მნიშვნელობა დაკარგულია.

იგივე შეიძლება ითქვას ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის ხერხით ნათარგმნ ტერმინზე „სპამი“ – (ხორცის კონსერვები, უფრო სწორად ფარში. სრული სახელია „Spiced ham“ – წიწაკიანი ლორი). ეს სიტყვა, როგორც სავაჭრო მარკა, მოგონილ იქნა კორპორაცია „ჰორმელის“ მიერ, რომელსაც გააჩნდა დიდი რაოდენობით ხორცი და აწარმოებდა იაფფასიან კონსერვებს, რომლითაც ომის შემდეგ, ინგლისელი ჯარისკაცები

იკვებებოდნენ. შემდეგ ეს სიტყვა ინტერნეტში გავრცელდა და ნიშნავს არავისთვის საჭირო ინფორმაციას. ერთ დღეს, ვიღაცას აზრად მოუვიდა რეკლამის განთავსება და ის ცნობილი გახდა როგორც „სპამი“. ეს საქმე „სპამერებისთვის“ ძალზედ მოსახერხებელი აღმოჩნდა. რეკლამას აკეთებს ყოველგვარი ფულადი გადასახადების გარეშე, თან შესაძლებელია მისი დაგზავნა რამდენიმე ასეულ ადამიანთან. ნეგატიური დამოკიდებულება სპამერების მიმართ, უკვე დიდი ხანია არსებობს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, თუმცა მისი მეტაფორული მნიშვნელობა ქართულენოვანი მომხმარებლისათვის გაუგებარია.

კომპიუტერული ტერმინ-მეტაფორების სესხების დროს შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პროცესები, რომლებიც ხდება მიმღები ენის ზოგადი გამოყენების სიტყვების სემანტიკაში:

1. ზოგადი გამოყენების სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის ტრანს-ტერმინოლოგიზაცია ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში, რომლის დროსაც ზოგადი გამოყენების სიტყვა რეციპიენტ ენაში აფართოებს თავის საწყის მნიშვნელობას წყარო ენის მსგავსი სიტყვის ანალოგიის მიხედვით. მაგ.: ლექსემას *mouse* (ინგლ. თაგვი) ფორმის მიხედვით მეტაფორული გადატანის საფუძველზე გაუჩნდა დამატებითი მნიშვნელობა „*a pointing device that functions by detecting two-dimensional motion relative to its supporting surface*“. ინგლისური კომპიუტერული ტერმინის *mouse* ტერმინოლოგიური მნიშვნელობის საფუძველზე გაჩნდა ახალი ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტი „*კურსორის სამართავი მოწყობილობა*“;
2. მნიშვნელობის ტერმინოლოგიზაცია/სპეციალიზაცია, მაგ.: *desktop-მა* ინგლისურ ენაში და *სამუშაო მაგიდამ* ქართულ ენაში შეიძინეს მნიშვნელობა “*ეკრანული და ინტერაქტიური გარემო მომხმარებლის სამუშაო კომპონენტების ეკრანზე წარმოდგენილი სიმბოლოებით*“.
3. ზოგადი გამოყენების სიტყვის ბირთვული მნიშვნელობის ტერმინოლოგიზაცია, მაგ.: ქართული ენის ზოგადი გამოყენების სიტყვა - *ძილი* ინგლისური *sleep*-ის ანალოგიით კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში გამოიყენება თავისი ძირითადი მნიშვნელობით - *დასვენება, უმოქმედობა*;

ჟარგონული მეტაფორა წმინდად ექსპრესიულია ზოგად ენაში არსებული მეტაფორისგან განსხვავებით, სადაც (ზოგად ენაში) იგი ასრულებს ესთეტიკურ ფუნქციას. ჟარგონისთვის უფრო ბუნებრივია სემანტიკური დერივაცია, ვიდრე აფიქსური. მეტაფორების სემანტიკური კლასიფიკაცია დაკავშირებულია მისი შინაარსობრივი მხარის სხვადასხვა თავისებურებებთან. მეტაფორის შინაარსი შედარებაა - შედარება გარკვეული ნიშნის მიხედვით. ამ თვალსაზრისით კომპიუტერული მეტაფორის კლასიფიკაციას განვიხილავთ როგორც ანტროპომორფულ, ანიმალისტურ, სივრცით და ა.შ. მეტაფორებს.

ზემოაღნიშნული მეტაფორების თარგმანებში შეგვხვდა მეტაფორული მნიშვნელობის განმარტების გზით გადმოცემის ბევრი შემთხვევა. მაგ.:

1. ანტროპომორფულ ან ანტროპოცენტრულ მეტაფორაში, რომელიც ეფუძნება ადამიანის შედარებას უსულო საგნებთან, მცენარეებსა და ცხოველებთან:
  - ა. ადამიანის სხეული ↔ კომპიუტერი: core ითარგმნება განმარტებით: კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერება;
  - ბ. ადამიანის ავადმყოფობები ↔ კომპიუტერი: core cancer - ითარგმნება განმარტებით: რესურსების ნელი კარგვის პროცესი;
  - გ. ადამიანის მოქმედება ↔ კომპიუტერი: to grovel - ითარგმნება განმარტებით: ნელა მუშაობა;
  - დ. ადამიანის დახასიათება ↔ კომპიუტერი: winner - ითარგმნება განმარტებით: წარმატებული პროგრამა;
2. ანიმალისტური ან ზოომორფული მეტაფორა, როდესაც შედარება ხდება ცხოველთან:
  - ცხოველი ↔ კომპიუტერი: rabbit job - ითარგმნება განმარტებით: გამოუსადეგარი პროგრამა;
3. მანქანური მეტაფორა, რომელიც ეფუძნება რაიმე მექანიზმთან შედარებას:
  - მექანიზმი ↔ კომპიუტერი: big iron - ითარგმნება განმარტებით: დიდი, ძალიან ძვირადღირებული კომპიუტერი;
4. ფლორისტული მეტაფორა, რომელიც ეფუძნება მცენარესთან შედარებას:
  - მცენარე ↔ კომპიუტერი: tree-killer - ითარგმნება განმარტებით: პრინტერი/ელექტრონული დოკუმენტის ვერსია ქალაქში (ე.ი. მკვდარ ხეზე);

5. სივრცითი მეტაფორა, რომელიც ეფუძნება სივრცის რომელიმე ნაწილთან ან განზომილებასთან შედარებას:

სივრცის მახასიათებელი ↔ კომპიუტერი: bitty box - ითარგმნება განმარტებით: პრიმიტიული კომპიუტერი;

6. ემოციური მეტაფორა, რომელიც ეფუძნება ექსპრესიულ მოტივაციას:

cough and die - ითარგმნება განმარტებით: სამუშაოს ავარიულად დასრულება;

7. რელიგიური მეტაფორა, რომელიც ეფუძნება რელიგიასთან, ტრადიციებთან, ღირებულებებთან შედარებას

ა. ქრისტიანული ღირებულებები ↔ კომპიუტერი: soul – ითარგმნება განმარტებით: სანდო ინფორმაცია ინტერნეტში;

ბ. ქრისტიანული რწმენის ქმედებები ↔ კომპიუტერი: to pray - ითარგმნება განმარტებით: მნიშვნელოვანი დოკუმენტის შენახვა.

როგორც ვხედავთ, მეტაფორების თარგმნის პროცესში გამოიყენება პირდაპირი გადატანის, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის და განმარტებითი თარგმნის ხერხები. ჩვენი აზრით ყველაზე პროდუქტიულია მეტაფორის პირდაპირი გადატანა, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებისთვის აუცილებელ ფონობრივ ცოდნას. ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციისა და განმარტებითი თარგმნის შემთხვევაში კი ადგილი აქვს მეტაფორული მნიშვნელობის დაკარგვას.

მეტაფორასთან ერთად, მეტონიმიზაცია უნივერსალური სემანტიკური პროცესია, რომელიც აქტიურად ფიქსირდება თანამედროვე ქართულ ენაში. მეტონიმიური გადატანის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას ახალი მნიშვნელობები წყარო ენაში და იქნას ნასესხები რეციპიენტ ენაში კალკირების გზით.

მაგალითად:

Macintosh (ვაშლის სახეობა)	-	პერსონალური კომპიუტერი
Pascal (ფრანგი მათემატიკოსი ფიზიკოსი, ლიტერატორი და ფილოსოფოსი)	-	პროგრამირების ენა პასკალი
Dr. Atanasoff's Computer (ფიზიკოსი John Vincent Atanasoff)	-	ათანასოვის კომპიუტერი
Turing machine (ინგლისელი	-	ტიურინგის მანქანა

მათემატიკოსი Alan Mathison Turing)

როგორც ვხედავთ, კომპიუტერული მეტონიმიის ქართულ ენაზე გადმოცემის პროდუქტიული ხერხია კალკირება.

მეტაფორებისა და მეტონიმიების თარგმნა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მაქსიმალურ სიზუსტეს, რადგან სათარგმნი ტერმინი შეიცავს წყარო ენის კულტურულ რეალიებსა და ასოციაციებს, ხოლო მისი თარგმანი კი - რეციპიენტი ენის რეალიებსა და ასოციაციებს.

#### 4.3.2. კომპიუტერული სლენგის თარგმნის თავისებურებები

კომპიუტერული სლენგის, ისევე როგორც ზოგადად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პროცესში, შეიმჩნევა ინგლისური ენის ზეგავლენა.

ქართულ კომპიუტერულ სლენგში ძალიან ბევრი ინგლისური ნასესხობაა. ეს ნასესხობები ხშირად კომპიუტერული ჟარგონიდანაა შემოსული. მაგ.:

Gamer - „გეიმერი“ (ინგლისური ჟარგონიდან კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე);

Smiley - „სმაილი“ (სასაცილო სახე, რომელიც გამოიყენება სოციალურ ქსელებში მიმოწერისას);

Doomer - „დუმერი“ - (თამაშის Doom მოტრფიალე);

Cracker - „კრეკერი“ - (პროგრამების გამტეხი);

Phreaker - „პრიკერი“ - (სატელეფონო ქსელში ჩართვის მოყვარული);

Reanimator - რეანიმატორი (სპეციალისტი ან სპეციალური პროგრამა, კომპიუტერის „კომიდან გამოსაყვანად“, რომლის პროგრამული უზრუნველყოფა სერიოზულადაა დაზიანებული და არ შეუძლია ნორმალურად ფუნქციონირება).

სლენგი შეიძლება აღმოცენდეს ინგლისურენოვანი წარმოშობის პროფესიული ტერმინებიდანაც:

hard drive - ჰარდ დრაივი

hard disc - ჰარდ დისკი

user - იუზერი

to click - დაკლიკვა

to zip - დაზიპვა

ქართული ენის მიერ ნასესხები სიტყვების გრამატიკულ ათვისებას მოსდევს მათი სიტყვაწარმოების გაქართულება. მაგალითად:

Zip - ზიპი - პოპულარული არქივატორი გახდა წყარო სიტყვებისა – დაზიპვა, დაზიპული;

Share - დაშეარება (გაზიარება);

Cancel - დაქენსელება (გაუქმება);

Like - დალაიქება (მოწონება);

Message - დამესიჯება (მესიჯის გაგზავნა);

Click - დაკლიკვა (დაწკაპუნება);

Save - დასეივება (შენახვა);

Pause - დაპაუზება (დროებით შეწყვეტა, შეჩერება);

Search - დასერჩვა (ძებნა);

Google - დაგუგლვა (ინტერნეტში ინფორმაციის ძებნა) და ა.შ.

სხვა ენებიდან სიტყვების სესხებას ლინგვისტები მიიჩნევენ სლენგის წარმოების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად. მაგ. ინგლისურმა სიტყვამ chat - ჭორაობა, ქართულ სლენგში ფართო მოხმარება ჰპოვა, რაც შემდეგ მაგალითებში დაფიქსირდა: „ვიჩეთავე“, „ჩეთაობა“, „ჩეთში ვარ“.

კომპიუტერული სლენგის ქართულ ენაზე თარგმნისას იგივე ხერხები მოქმედებს, რაც ზოგადად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პროცესში. ინგლისური ენის უშუალო ზეგავლენით ფორმირებული ქართული კომპიუტერული სლენგი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გზით:

იგნორი (ინგლ. ignore) — სოციალური ქსელის მომხმარებლის გარკვეული ინფორმაციის იგნორირება მომხმარებლის მიერ;

ლაზერი (ინგლ. Lazer) — ლაზერული პრინტერი;

ლოგინი (Log in) — სისტემაში შესვლა მომხმარებლის გარკვეული სახელით;

ტროლი (troll) — ანონიმური ინტერნეტ პროვოკატორი;

ფაქი (FAQ — Frequently Asked Questions), პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე ;

ფეიქი (fake) — ფალსიფიკაცია, ტყუილი, ჩვეულებრივ გამოიყენება სპეციალური პროგრამა-რედაქტორების მიერ შეცვლილი, დამახინჯებული ციფრული ფოტო ან ვიდეო ფაილების ამოცნობის მიზნით;

ფრენდი (friend- მეგობარი) - გამოიყენება თამაშებსა და სოციალურ ქსელებში;

ფრილანსერი (freelance — უშტატო) — ადამიანი რომელიც სამუშაოს ინტერნეტით შოულობს და დისტანციურად მუშაობს;

ჩითერი (cheat — თაღლითობა, cheater — თაღლითი) — კომპიუტერულ თამაშებში ადამიანი, რომელიც ცდილობს პროგრამის მოტყუებას.

სემანტიკური ეკვივალენტების (ფუნქციური ანალოგების) გამოყენებით სლენგის თარგმნის მაგალითებია:

Ears - ყურები (ყურსასმენები);

A-one - საუკეთესო;

Reset - კომპიუტერის გაწმენდა (ოპერაციული მეხსიერების გასუფთავება).

ხშირია კალკირების შემთხვევებიც:

Motherboard - დედა პლატა;

Hand-shaped pointer - ხელის ფორმის კურსორი.

მიდრეკილება კომიკური ეფექტისაკენ კომპიუტერული ჟარგონის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ტენდენციაა, რაც, ხშირად, სინონიმური ვარიანტების არსებობაშიც ვლინდება. მაგალითად, ინგლისური „mouse“-ის მიდრეკილება კომიკური ეფექტისაკენ კომპიუტერული ჟარგონის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ტენდენციაა. ქართულ კომპიუტერულ ჟარგონში გაგვაჩნია მთელი რიგი სამეტყველო ვარიანტები „თაგვი“, „ვირთხა“, „წრუწუნა“, „თაგუნა“, „მაუსი“ და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ ირონიული ელფერი თითქმის ყველა ახლად-შემოტანილ სამეტყველო ვარიანტს ახლავს, რასაც პრაქტიკა ნათლად ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერულ ჟარგონში დამკვიდრდა მთელი რიგი ზმნური წარმონაქმნი „ინსტალირება“, „დაწკაპუნება“, „დამესიჯება“, საკმაოდ დიდია ანალიტიკური ფორმების გამოყენებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ, პოპულარულია ფორმანტები „მიცემა“, „ჩართვა“, „მიება“ და ა.შ. აღნიშნული მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება უეკვივალენტო ლექსიკური ერთეულის აღსანიშნავად, როდესაც ზმნა საშუალებას გვაძლევს ფორმა კონკრეტულ სამეტყველო აქტში

გამოვიყენოთ. როგორც ცნობილია, ერთია სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა, ხოლო მეორე - მისი კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენება. მაგალითად, ტერმინ „paste“-ის მნიშვნელობაა ჩასმა, შეწებება. იმის გამო, რომ ეს მნიშვნელობა უკვე დაიმკვიდრა „insert“-მა, კომპიუტერულ სლენგში სიტყვა „paste“ კალკის სახით გვევლინება. სირთულეს ქმნის მისი ზმნური ფორმით გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში. ყველაზე მარტივ გამოსავალს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს აღნიშნული ტერმინის ზმნური კომპონენტით გაძლიერება, კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველებაში ხშირად ვხვდებით ანგლიციზმების შემცველ ზმნურ გამოთქმებს, რომლებშიც შედის ქართული ზმნა მიცემა. მაგ.: „ფეისთის მიცემა“. ეს გამონათქვამები ასახავს ბრძანებებს, რომელთაც მომხმარებელი კომპიუტერს ან სხვა მსგავსი პრინციპის ელექტრონულ მოწყობილობას აძლევს. ასეთი გამოთქმებია, ქენსელ მიეცი (cancel), იგნორ მიეცი (ignore), ოქეი მიეცი (ok) და სხვ. ამავე მოდელზეა შექმნილი კონსტრუქციები: „rate“- ის განსაზღვრა, „power“- ის გაზრდა, „underline“- ის გავლება და ა.შ.

ინგლისურენოვანი ზმნები ინტენსიურად შემოდის ქართულ ენაში, მაგ.: დასეივება, დაფორმატება, დაზიპვა, დაკლიკვა და ა.შ.

ქართული მსოფლმხედველობის თავისებურებები თავის ასახვას პოულობს ქართული ინტერნეტ-რესურსების მომხმარებელთა კომუნიკაციური ქცევის სპეციფიკაში. ინტერნეტის ქსელის რეალიებმა ხელი შეუწყო ახალი ცნებების იმპორტს და უკვე არსებული ცნებების გაფართოებას. ინგლისური ტერმინის ქართული ინტერნეტის კომუნიკაციურ სივრცეში შემოღწევის საინტერესო მაგალითია მსოფლიო ქსელის ყოველი მომხმარებლისთვის ცნობილი „download“. ვინაიდან ფაილების გადმოტვირთვა თავიდანვე ერთ-ერთი ძირითადი მოქმედება იყო ინტერნეტის მომხმარებლისთვის, საკმაოდ სწრაფად გაჩნდა ვებ-გვერდების ტექსტებში სიტყვები „ჩამოტვირთვა“, „გადმოტვირთვა“, „გადმოწერა“. საიტებზე იმ სექციის აღსანიშნავად, სადაც ფაილების ნაკრებია, რომლებიც განსაზღვრულია სერვერიდან ლოკალური კომპიუტერის მყარ დისკზე ჩამოსატვირთად, ინგლისური ენა იყენებს მოკლე სიტყვას „download“ ხშირად ასეთი პუნქტი გვხვდება ქართული საიტების სანავიგაციო მენიუებშიც, თანაც თავდაპირველი დამწერლობით. ამგვარად, შეიძლება ვისაუბროთ ინგლისურენოვანი ტერმინის თავისი საწყისი ფორმით შემოჭრის კიდევ ერთ ფაქტზე, რომელიც

პრაგმატული მიზეზის გამო – ვებგვერდის სივრცის ეკონომია – აღმოჩნდა უფრო კონკურენტუნარიანი, ვიდრე მისი ნახევრად ქართული ეკვივალენტი „ჩამოსატვირთი ფაილები“ (ლომიძე 2008).

Authorization, რაც მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანას გულისხმობს, ქართულში შემოვიდა ნეოლოგიზმით ავტორიზაცია. შესაბამისად, საკუთარი თავის ავტორიზაციას ვერ მოახდენ, თუ წინასწარ არ გაქვს გავლილი რეგისტრაცია.

უთარგმნელად და ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გარეშე გადმოდის ქართულ ვებსივრცეში სიტყვა Guestbook. შესაძლოა „სტუმრის წიგნი“ ან „შთაბეჭდილებათა წიგნი“ ზუსტად ვერ გამოხატავს მოვლენის არსს, თანაც ისინი მეტისმეტად გრძელია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომპაქტურობას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ინტერნეტში, სადაც დროისა და სივრცის ეკონომია არსებითია, ისინი კონკურენციას ვერ უძლებენ.

სხვადასხვა სათამაშო პროცესის აღსანიშნავად, იქმნება ახალი ტერმინები. მაგ. სიტყვა „გეიმერი“ მოდის ინგლისური ჟარგონიზმიდან (gamer – კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე).

ინტენსიურმა „ინტერნეტიზაციამ“ საზოგადოებაში თანდათან შემოიტანა მომხმარებლებს შორის კომუნიკაციების განსხვავებული ფორმები. ამის ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. „სმაილიკები“. დღეს ინტერნეტის მომხმარებლებიდან ცოტა ვინმეს თუ წარმოუდგენია ურთიერთობა ამ ემოციების გამომხატველი ნიშნების გარეშე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა მჭიდროდაა დაკავშირებული ზემოაღნიშნული კომუნიკაციების ენასთან. გარდა ამისა, მოხდა თვით სალაპარაკო ენის მოდიფიცირება და მასში კიბერ-ელემენტების იმპორტი. ამ მოვლენის წყაროდ ძირითადად გვევლინება ფორუმები და სოციალური ქსელები, სადაც ადამიანების ურთიერთობას თემების, კომენტარებისა თუ სტატიების დონეზე გააჩნია უაღრესად მობილური ხასიათი (ლომიძე 2008).

სიტყვაში „სმაილიკი“ (smiley – მომღიმარი სახე), აღინიშნება რუსული ენის გავლენა, თუმცა ინტერნეტში უკვე გვხვდება გაქართულებული „სიცილაკი“, „ღიმილაკი“, „ხატულა“. „სმაილიკებს“ (smile – ღიმილი) ანუ ქართული კალკირებული ვარიანტით „ღიმილაკებს“ ინგლისურად უფრო ხშირად ჰიბრიდ სიტყვას „emoticons“ (emotional

icons) უწოდებენ. უნდა ითქვას, რომ სმაილიკები სულ უფრო მყარად მკვიდრება ქართულ წერილობით მეტყველებაში.

საინტერესოა კომპიუტერის სფეროს წარმომადგენელთა თავისებური ფოლკლორი, სადაც ტერმინოლოგიური ლექსიკა გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით. მაგ.:

Can't open - „არ იხსნება“ (უარი მოთხოვნის შესრულებაზე, კომპიუტერის შეტყობინება გარკვეულ ფაილთან დაკავშირებით);

Restart - „გადატვირთვა“ (როცა კომპიუტერი ვერ აღიქვამს მიწოდებულ ინფორმაციას).

საინტერესოა რიგი სინონიმებისა, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერის ნორმალური მუშაობის დარღვევასთან, როცა ის არცერთ ბრძანებაზე არ რეაგირებს გარდა Reset ღილაკისა. ასეთ კომპიუტერზე ამბობენ, რომ ის „გაიჭედა“ ან „მოკვდა“. დასახელებული მაგალითი ქართული ენის შიგნით წარმოქმნილ სლენგს განეკუთვნება.

ზოგიერთ, მაგალითად, რუსულ ენაში პროფესიული ენის ბაზაზე იქმნება სლენგი, რომლის შემქმნელებიც ავლენენ გამომგონებლობის (გამჭრიახობის) მაქსიმუმს ინგლისური და რუსული ფუძეების და ასევე ინგლისური ფუძისა და რუსული სიტყვაწარმოებითი ფორმების შეერთებისას, სადაც გამოიყენება მეტაფორული გზით გარდაქმნილი საერთაშორისო ტერმინები. მაგ. клавиша - კლავიატურა, Айболит - ანტივირუსული პროგრამა, батоны - ღილაკები და ა.შ. ქართულ თარგმანში ასეთი წარმონაქმნები შედარებით მცირეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქართული ინტერნეტის ენამ ჯერ ვერ მიაღწია ისეთ განვითარებას, როგორც რუსულმა და ამიტომ ჯერ კიდევ არაა საკუთარი კომპიუტერული სლენგის შექმნის საჭიროება. თუმცა ცალკეული შემთხვევები ქართულშიც აღინიშნება. მაგ.

backup – (მარაგი, რეზერვი) - მარქაფი, დამარქაფება (წყარო სფერო: წისქვილის ღარი-დან წყლის გადასაშვები);

checkbox – (უჯრა ანკეტაში მოსანიშნად, რომელიც გამოიყენება გარკვეული არჩევანის ან თვისების გააქტიურებისას) - თოლია ;

shortcut – (პროგრამის სწრაფი გამოძახება) - მალსახმობი (ანუ სწრაფად მომხმობი);

indicator – (კურსორი) - თვალპაჭუნა;

icon – (პიქტოგრამა) - ხატულა.

როგორც ვხედავთ, კომპიუტერული სლენგი უმეტეს შემთხვევაში ქართულ ენაში ნასესხობის სახით გადადის.

კომპიუტერული სლენგის სპეციფიკური თვისებაა ასევე შორისდებულ-ემოტივების არსებობა, ასევე ბგერათშეთანხმებები, რომლებსაც არ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა და აქვთ მხოლოდ ფონოსემანტიკა. მაგ. უარყოფითი წამოძახილები furrfu», «sheesh», «bletch»; წყენის გამოხატულება blargh!», სიხარულის «bang!», ზიზღის «barf!». იმ ფსევდოსიტყვების ილუსტრირება, რომლებსაც არ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, შეიძლება შემდეგი მაგალითებით frink (v.), goretz (π.), fnord (π.). მოცემული ერთეულები დამახასიათებელია მხოლოდ წერითი მეტყველებისათვის. მათ შეიძლება შეიძინონ ნებისმიერი მნიშვნელობა ტექსტის ავტორის სურვილისამებრ.

კომპიუტერული სლენგი აქტიური განვითარების პროცესში მყოფი დინამიური სისტემაა, რაც განპირობებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების უპრეცედენტოდ სწრაფი პროგრესით. ის ქართულ ენაში ანგლიციზმების შემოღწევის ერთ-ერთი გზაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპიუტერული სლენგი უშუალო კავშირშია კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასთან. ის წარმოადგენს თავისებურ სამეტყველო გარემოს, რომლის ფარგლებშიც ხდება ამა თუ იმ სამეტყველო ერთეულის გამოცდა და დამკვიდრება. კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნის პროცესში ორი ურთიერთდაპირისპირებული და, ამავდროულად, ურთიერთშეპირობებული ტენდენციები ურთიერთქმედებენ. ერთი მხრივ, როგორც ნებისმიერი მეცნიერება, კომპიუტერული სფეროც მიისწრაფვის მკაცრად განსაზღვრული ადმინისტრაციული ტერმინოსისტემის შექმნისაკენ, მეორე მხრივ, ადგილი აქვს კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროს დილეთანტების ხარჯზე გაფართოებას, რის შედეგადაც, სრული აკადემიურობა, პრაქტიკულად, მიუღწეველი ხდება. კომპიუტერული კომუნიკაცია არ არის მკაცრად რეგლამენტირებული პროფესიონალთა ურთიერთობით, რისი შედეგიცაა მრავალი ტერმინოლოგიურად გაუმართავი სიტყვის გამოყენება ინფორმაციის გაცვლის კონკრეტულ შემთხვევებში.

#### 4.4. ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინების ადაპტაცია ქართულ ენაში

უცხოენოვანი წარმოშობის კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ადაპტაციის პროცესი ქართულ ენაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ნასესხები სიტყვის ასათვისებლად.

ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატვის ხერხები იქმნება ადამიანების ხანგრძლივი პრაქტიკის საშუალებით და იქცევა ენობრივი სისტემის ელემენტებად. უცხოენოვანი ტერმინების ნასესხობა ატარებს სისტემურ ხასიათს. ხვდებიან რა ქართულ ენაში, უცხოენოვანი წარმოშობის კომპიუტერული ტერმინები, აღარ არიან სტატიკურად უცვლელი და ექვემდებარებიან იმ ენის კანონებს, რომლისგანაც მოხდა მათი სესხება (იუხმინა 2009).

ტერმინში „ადაპტაცია“ (adaptation - შეგუება) ჩვენ ვგულისხმობთ ვიწრო გაგებით უცხოენოვანი ტერმინის ცვლილების პროცესს რეციპიენტი ენის ენობრივი სისტემის გავლენით ნასესხები სიტყვის სემანტიკური ათვისების პროცესში, ფართო გაგებით კი უცხოენოვანი ტერმინის მორგების პროცესს რეციპიენტი ენის სისტემასთან.

უცხოენოვანი ტერმინის შეტანას მიმღები ენის სისტემაში თან ახლავს მოცემული სიტყვის თანმიმდევრული ცვლილება ყველა ენობრივ დონეზე.

ნასესხობათა ადაპტაცია რეციპიენტ ენაში არის ეტაპობრივი პროცესი, რომელშიც ჩვენ გამოვყოფთ:

- ხელახალ გრაფიკულ კოდირებას;
- ფონეტიკურ ასიმილაციას;
- სემანტიკურ ადაპტაციას;
- გრამატიკულ ინტეგრაციას.

თუმცა, წამყვან როლს ასრულებს ნასესხობათა ჩართვა რეციპიენტი ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში.

ა. უცხოენოვანი ტერმინის ხელახალი გრაფიკულ კოდირება

უცხოენოვანი ტერმინის გრაფიკული ათვისებისას ხდება ნასესხები ტერმინის ხელახალი გრაფიკული კოდირება, ანუ უცხოენოვანი ტერმინის გრაფიკული სახე გადმოიცემა მიმღები ენის გრაფიკული ხერხების საშუალებით. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით:

1. გრაფიკული გაფორმების შეცვლის გარეშე;
2. გრაფიკული გაფორმების შეცვლით.

პირველ შემთხვევაში ხდება სიტყვის მატერიალური ფორმის სესხება უცხოენოვანი დამწერლობის სისტემიდან:

Web;

e-mail;

Adobe Photoshop;

Windows XP;

Adobe Reader.

მეორე შემთხვევაში შეიძლება მოხდეს:

1. მატერიალური ფორმის სესხება მისი შინაარსის შენარჩუნებით, მაგ.: სნიფერები - sniffers - ქსელური პაკეტების ანალიზატორები. მოცემულ შემთხვევაში საუბარია ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციაზე (უცხოენოვანი სიტყვის გრაფიკული სახის გადმოცემა მიმღები ენის ეკვივალენტური გრაფემებით დამატებითი ნიშნებისა და ასოების გამოყენების გარეშე, რომლებიც არ შედის ამ ენის ანბანში).
2. სიტყვის მატერიალური ფორმის სესხება მოცემული სიტყვის ახალი მნიშვნელობით შევსების საშუალებით. სესხების პროცესში მიმღებ ენას აქვს პოტენციური შესაძლებლობა ისესხოს უცხოენოვანი სიტყვის ფორმა, მაგრამ შეცვალოს მისი შინაარსი. მაგ. დესკტოპი - „*ეკრანული და ინტერაქტიური გარემო მომხმარებლის სამუშაო კომპონენტების ეკრანზე წარმოდგენილი სიმბოლოებით*“.
3. სიტყვის მატერიალური ფორმის სესხება მოცემული სიტყვის წარმოთქმის საფუძველზე წყარო ენაში (ტრანსკრიფცია):

upgrade

აფგრეიდი

driver

დრაივერი

file

ფაილი

interface

ინტერფეისი

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში შეინიშნება სემანტიკური კომპონენტის დამთხვევა წყარო ენასა და მიმღებ ენაში.

4. უცხოენოვანი სიტყვის შინაარსის სესხება სიტყვის ფორმის შენარჩუნების გარეშე (სემანტიკური სესხება). უცხოენოვანი სიტყვის გადმოცემა ხორციელდება მარტივად, მიმღები ენის გრაფიკული საშუალებებით, რომლის ადაპტაცია რეციპიენტი ენის ფონეტიკურ სისტემასთან ხდება ფონეტიკური ასიმილაციის პროცესში. მაგ. Memory - მეხსიერება; save - შენახვა.

ბ. უცხოენოვანი ტერმინის ფონეტიკური ასიმილაცია

უცხოენოვანი სიტყვის ფონეტიკური ასიმილაციის შემთხვევაში, ქართული ენის სისტემაში არარსებული ბგერები იცვლება აკუსტიკურად ან არტიკულაციურად მეტნაკლებად დაახლოებული ბგერებით.

ინგლისურიდან ქართულ ენაზე კომპიუტერული ტერმინების გადმოცემაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ტერმინების წარმოთქმა და წერა ინგლისურ ენაზე, ქართული ენის ანბანის ფონეტიკური შესაძლებლობები და სხვ.

ქართული ანბანის საშუალებით შეუძლებელია იმ ნიშნების გადმოცემა, რომლებსაც ინგლისურ ენაში აქვთ ფონეტიკური მნიშვნელობა, როგორცაა მაგალითად ინგლისური ბგერა [ჲ]. ისეთი სიტყვები როგორცაა lofting ['loftɪŋ], timing ['taɪmɪŋ], ქართულ ენაში დაახლოებით გადმოიცემა ბგერების [ნგ] შეერთებით, - ლოფტინგი, ტაიმინგი.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არტიკულაციის ადგილის სხვაობასთან. ინგლისური ბგერა [ჲ] არის ნაზალური, ცხვირისმიერი, ხშული, მაშინ როდესაც ქართული [ნ] ნაზალური, ხშული, წინაენისმიერი, აპიკალურია. ბგერების [ნგ] შეერთება, სადაც [გ] ხშული, უკანაენისმიერი მჟღერი თანხმოვანია, სრულად არ გადმოსცემს ინგლისური ბგერის [ჲ] წარმოთქმის თავისებურებებს.

ფონეტიკური ასიმილაციის დროს წყარო ენიდან ხდება ლექსიკური ერთეულის შემადგენელი ბგერების სუბსტიტუცია.

შეიძლება გამოვყოთ ბგერითი სუბსტიტუციის შემდეგი ნაირსახეობები:

- ბგერითი კონვერგენცია - ორი ახლოს მდგომი ბგერის ერთით შეცვლა, მაგ.: გრძელი და მოკლე ხმოვნების გადმოცემა ქართულ ენაში, სადაც ასეთი განსხვავება არ გვაქვს - *engineering* - ინჟინირინგი;
- ბგერითი დივერგენცია - ერთი ბგერის ორით გადმოცემა, მაგ.: case - ქეისი/კეისი

- უბრალო სუბსტიტუცია - წყარო ენიდან ერთი ბგერის გადმოცემა მიმღები ენის იგივე ბგერით:

modem - მოდემი

Blog - ბლოგი

კავშირი ორი ენის ფონეტიკურ სისტემას შორის არ არის სიმეტრიული, მათ შორის არ არის სრული თანხვედრა, ყველა ენას აქვს ფონემათა საკუთარი სისტემა.

გ. უცხოენოვანი ტერმინის გრამატიკული ინტეგრაცია

მორფოლოგიურ ადაპტაციას თან ახლავს ინგლისურენოვანი ტერმინებისთვის ქართული ენის გრამატიკულ თავისებურებათა მინიჭება.

კომპიუტერული ტერმინების შესახებ დროს არსებითი სახელების სიტყვაწარმოებითი ადაპტაციის მაგალითად გამოდგება ინგლისურენოვანი სუფიქსების გადმოცემა შესატყვისი ქართული სიტყვათა მაწარმოებელი ერთეულებით. მაგ.: სუფიქსი -tion/sion გადმოიცემა როგორც --ცია, -სია;

configuration - კონფიგურაცია;

session - სესია;

აღნიშნული მორფემა სიტყვის მაწარმოებელი პროდუქტიული ერთეულია, რომელიც აწარმოებს არსებით სახელებს პროცესუალობის ან მოქმედების შედეგის მნიშვნელობით.

ნაწილობრივი სიტყვაწარმოებითი ადაპტაცია წარმოდგენილია კომპიუტერული ტერმინებით, რომლებშიც ნასესხებია უცხოენოვანი მორფემები, მაგ. სუფიქსი - ing ქართულ ტერმინოლოგიაში გადმოიცემა მორფემით -ინგი;

hosting - ჰოსტინგი;

demomaking - დემომეიქინგი.

ნულოვანი ადაპტაციისას კომპიუტერული ტერმინი ფუნქციონირებს ქართულ ენაში იმ ფორმით, რა ფორმაც მას აქვს წყარო ენაში. მაგ. Pentium (პროცესორი), Quattro Pro (ელექტრონული ცხრილის პროგრამა).

ხშირია ატრიბუტული შესიტყვებები მიმღეობის სხვადასხვა სახეობებით:

Past Part. + N

multihomed host - მრავალარხიანი წამყვანი კვანძი

Present Part. + N

moving boundary - მოძრავი საზღვარი;

pending message - შეტყობინება გადაცემის შეყოვნებით.

ასევე პროდუქტიულია მიმღეობა + არსებითი სახელი: კოდირებული სიგნალი, დუბლირებული სალტე.

ქართულ კომპიუტერულ ნომინაციაში გარკვეულ როლს ასრულებს ზმნური

შესიტყვებები to turn panel on - ფანჯრის გააქტიურება;

to backspace a file - ფაილზე დაბრუნება;

to seek access - დაშვების მოთხოვნა.

მოდელი V + and + V ორი იმპერატივით, რომელიც უფრო პროდუქტიულია

ინგლისურ ზმნურ კონსტრუქციებს შორის:

drag-and-drop - ობიექტის გადატანა მაუსით;

cut-and-paste - ამოჭრა და ჩასმა.

უცხოენოვანი კომპიუტერული ტერმინების ქართულ ტერმინოლოგიაში სესხების პრობლემის განხილვა გვიჩვენებს, რომ სესხება როგორც სპეციალური ლექსიკის შევსების საშუალება თანდათანობითი პროცესია ახალ ცნებათა ნომინაციისათვის, არსებულ ცნებათა დიფერენციაციისა და დეტალიზაციისათვის.

დ. უცხოენოვანი ტერმინების სემანტიკური ადაპტაცია

სემანტიკური ნასესხობით სემანტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაში იგულისხმება პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. ჩვენ გამოვყოფთ კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ადაპტაციის სამ ძირითად ეტაპს ქართულ ენაში. პირველ ეტაპზე ხდება ნასესხები სიტყვის შელწევა რეციპიენტ ენაში. ფორმალურად ეს გამოიხატება უცხოენოვანი სიტყვის გადმოცემით რეციპიენტი ენის ფონეტიკური და გრაფიკული ხერხებით.

მოცემულ ეტაპზე უცხოენოვანი სიტყვის სემანტიკურ ადაპტაციას მოსდევს ლექსიკურ-სემანტიკური ვარიაციულობა, რაც იმის დასტურია, რომ სიტყვის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არაა დასტაბილურებული, და რომ სიტყვა საკმაოდ ნათლად არ გამოიყოფა სემანტიკურად ახლოს მდგომი ძველი სიტყვებისაგან ან უფრო ადრეული ნასესხობებისაგან. კომპიუტერული ტერმინების ვარიაციულობა ვლინდება მათ ლექსიკურ და გრამატიკულ ვარიაციულობაში.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია გამოვყოთ:

ლექსიკური ვარიაციულობა:

ა. ახალი და ძველი ნასესხობების პარალელური გამოყენება (სემანტიკური დუბლეტები) - უცხოენოვანი ტერმინისა და მისი ქართული ეკვივალენტის ერთდროული გამოყენება, ამასთან ქართული გვევლინება მთარგმნელობით ეკვივალენტად, უცხოენოვანი ტერმინის განმარტებად:

მონიტორინგი - კონტროლი;

აფგრეიდი - განახლება;

ონლაინი - ქსელში;

ქეისი - კორპუსი;

კარტიდერი - ბარათის საკითხავი მოწყობილობა.

ვინჩესტერი - მყარი დისკი;

ქულერი - გაციების სისტემა.

ბ. ძველი და ახალი ნასესხობების სინონიმია (ხშირად ერთფუძიანი, თუმცა ახალი წარმოადგენს უფრო ადრეულის შეკვეცას):

სადემონსტრაციო ვერსია - დემოვერსია.

ისეთ პერიოდებში, როცა ენა განიცდის ცვლილებებს, გამოწვეულს ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, მეტყველება სავსეა ინოვაციებით, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს და ტრადიციულად არსებულ ერთეულებს.

დუბლირებული ფორმების შეჯახება და თანაარსებობა, კერძოდ ლექსიკურის, გარდაუვალია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემდგომში მოხდება დუბლეტებიდან ერთ-ერთის გაძევება მეტყველებიდან ან შესატყვისი ერთეულების სემანტიკური და სტილისტიკური დიფერენციაცია.

ტერმინის სემანტიკის ავტონომიზაციას, რომელიც დაკავშირებულია მის ათვისებასთან ენის სისტემაში, მოჰყვება მისი მეტყველებაში გამოყენების ვარიაციულობის შესაძლებლობათა შემცირება;

## მეოთხე თავის დასკვნები

სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და კომპიუტერული სფეროს თანამედროვე ტერმინების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ განსახილველი ლექსიკა: კომპიუტერული ლექსიკის შევსების ყველაზე პროდუქტიული ხერხია სესხება.

ქართული კომპიუტერული ტერმინების სალექსიკონო კორპუსის უმეტესობას შეადგენს ინგლისური წარმოშობის ან ინგლისური ეკვივალენტით მოტივირებული ტერმინები. განსაკუთრებით აქტიურად ხდება სამომხმარებლო და ინტერნეტის ლექსიკის სესხება.

კომპიუტერული ტერმინების თარგმნის ძირითადი ხერხებია: კოპირება, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია, სემანტიკური ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიით თარგმნა და კალკირება. მათ შორის განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია და კალკირება.

სემანტიკური ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიით თარგმნა აკადემიური თვალსაზრისით უფრო ადეკვატურია, თუმცა ენაში ყოველთვის ვერ ხერხდება ისეთი ეკვივალენტების შერჩევა, რომლებიც სრულად ასახავენ ამა თუ იმ საგნის, მოვლენისა თუ პროცესის არსს.

კომპიუტერული ტერმინების თარგმნის პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვაწარმოებითი ტრანსფორმაციები და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ კომპიუტერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად თარგმნის თვალსაზრისით.

ინგლისურენოვანი კომპიუტერული შემოკლებების ქართულად თარგმნის პროცესში გამოვყოფთ: უცხოენოვანი შემოკლების სესხებას ლათინური დამწერლობის შენარჩუნებით, შემოკლების ასოების გადმოცემას ქართული ასოებით, შემოკლების გადმოცემას ეკვივალენტური ქართული შემოკლებით და შემოკლების აღწერით თარგმნას მისი სრული ფორმით.

თარგმნის პროცესში აზრის გადმოსაცემად ძირითადი პარამეტრების სახით გამოიყოფა არა მარტო ადეკვატური ვარიანტის შერჩევა, არამედ ფონური ცოდნა, ლოგიკა, კონტექსტი და ცნების აბსტრაქტიზაციის უნარი.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნისას გამოყენებულ უნდა იქნას თარგმნის სიტუაციურ-დენოტაციური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს რეალური სიტუაციის გათვალისწინებით თარგმანის ვარიანტის შერჩევის თავისებურებებს. აღნიშნული მოდელი ძირითადად გამოიყენება უეკვივალენტო ლექსიკის თარგმნისას, როცა თარგმანის ვარიანტის შერჩევა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია ორიგინალში აღწერილი სიტუაციით და როცა აღნიშნული სიტუაციის დამატებითი მხარეების გამოვლენა აუცილებელია ორიგინალის სწორად გაგებისა და, შესაბამისად, სწორი თარგმანის უზრუნველსაყოფად.

კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიურად განვითარებადი დინამიური სისტემაა, რომლის ბევრი სიტყვა გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში. შესაბამისად ჟარგონული ლექსიკა ქართულ ენაში ანგლიციზმების შემოჭრის ერთ-ერთი გზაა. კომპიუტერული ჟარგონი ახალი მოვლენაა ქართულ ენაში. ბევრი ჟარგონიზმისათვის განსაკუთრებით პროდუქტიული აღმოჩნდა მეტაფორიზაცია.

მეტაფორების თარგმნის პროცესში გამოიყენება პირდაპირი გადატანის, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის და განმარტებითი თარგმნის ხერხები. ჩვენი კვლევის მიხედვით ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა მეტაფორის პირდაპირი გადატანა, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებისთვის აუცილებელ ფონობრივ ცოდნას. ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციისა და პერიფრაზის საშუალებით თარგმნის შემთხვევაში კი ადგილი აქვს მეტაფორული მნიშვნელობის დაკარგვას.

თავისი ხასიათით, კომპიუტერული სლენგი პროფესიული ჟარგონის ნაირსახეობა, ჟარგონიზებული მეტყველებაა: სლენგს + ნეიტრალური ან ფამილარული ლექსიკა. კომპიუტერული სლენგის, ისევე როგორც ზოგადად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პროცესში შეიმჩნევა ინგლისური ენის ზეგავლენა. ქართულ კომპიუტერულ სლენგში ძალიან ბევრი ინგლისური ნასესხობაა, რომლებიც ხშირად კომპიუტერული ჟარგონიდანაა შემოსული.

კომპიუტერული სლენგის ქართულ ენაზე თარგმნისას იგივე ხერხები მოქმედებს, რაც ზოგადად კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის პროცესში. ინგლისური ენის უშუალო ზეგავლენით ფორმირებული ქართული კომპიუტერული სლენგი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაციის გზით.

უცხოენოვანი წარმოშობის კომპიუტერული ტერმინების სემანტიკური ადაპტაციის პროცესი ქართულ ენაში არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ნასესხები ტერმინის ასათვისებლად.

ნასესხობათა ადაპტაცია რეციპიენტ ენაში არის ეტაპობრივი პროცესი, რომელშიც ჩვენ გამოვყოფთ ხელახალ გრაფიკულ კოდირებას, ფონეტიკურ ასიმილაციას, სემანტიკურ ადაპტაციას და გრამატიკულ ინტეგრაციას. წამყვან როლს ადაპტაციის პროცესში ასრულებს ნასესხობათა ჩართვა რეციპიენტი ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში.

## საბოლოო დასკვნები

გასული საუკუნის მეორე ნახევრის მნიშვნელოვან ფენომენად იქცა კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფართო გავრცელება. კომპიუტერმა ისევე, როგორც საკომუნიკაციო სისტემებმა შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, მათი აზროვნებისა და ურთიერთობის სტილი, ეს კი ჯაჭვურად აისახება ყველაფერ იმაში, რასაც კი ადამიანი ეხება. ასევე ფართოდ განვითარდა აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული სპეციალური ენა და სპეციალური ტერმინოლოგია.

კომპიუტერული სუბენა ზღვრული სფეროა ბუნებრივსა და ხელოვნურ ენებს შორის. კომპიუტერული ტერმინის შინაარსისა და ენობრივი ფორმის ფორმირების ობიექტური ფაქტორია ნაციონალური ენის ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ხოლო სუბიექტური ფაქტორი კი ხელოვნური ელემენტების მონაწილეობა კომპიუტერული ტერმინოლოგიის ცნებითი ბაზის ენობრივ გაფორმებაში.

კომპიუტერული სუბენა პროფესიული სოციოლექტია, რომელშიც გამოიყოფა სტანდარტული (ლიტერატურული) და სუბსტანდარტული (არასალიტერატურო) ნაწილები. ლიტერატურული ნაწილი - კომპიუტერული ტერმინოლოგია - არის სისტემა, რომელსაც გააჩნია ველის სტრუქტურა. მის პერიფერიაზე არის ნაკლებად გამოყენებადი და ვიწროსპეციალური ტერმინები. ბირთვულ ნაწილს შეადგენს სამომხმარებლო და ინტერნეტის ლექსიკა, რომელიც არც თუ იშვიათად უახლოვდება ზოგადი გამოყენების ლექსიკას. კომპიუტერული ლექსიკა მუდმივ განახლებას განიცდის და ურთიერთკავშირშია ნაციონალური ენის სხვა ლექსიკურ სუბსისტემებთან. მისი შინაგანი პროცესების მიმდინარეობის სწრაფი ტემპი განაპირობებს სპეციალური ლექსიკისათვის უჩვეულოდ განვითარებულ სინონიმებს. პროფესიული ლექსიკის მახასიათებელია მისი დინამიკა და ენის მატარებელთა მეტყველებაში შეჭრა. პროფესიული ენა იჭრება სალიტერატურო ენაში.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზაა მომიჯნავე მეცნიერებების ტერმინოსისტემებიდან სიტყვის გადმოტანა. ამ დროს ხდება ტერმინის სპეციფიკაცია, ანუ მისი კომპიუტერული კომუნიკაციის სისტემაში ჩართვა, რის გამოც ახალ კონტექსტში სიტყვა დამატებით მნიშვნელობას იძენს.

კომპიუტერული ტერმინის სემანტიკური თავისებურებები არ არის თავისუფალი იმ სიტყვათა სემანტიკური თავისებურებებისგან, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი

შექმნა, ანუ კომპიუტერული ტერმინების უმრავლესობაში შეინიშნება სპეციალურ და არასპეციალურ ცნებათა გადაკვეთის სფეროები.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნის პროცესში ორი ურთიერთ-დაპირისპირებული და, ამავდროულად, ურთიერთშეპირობებული ტენდენციები ურთიერთქმედებენ. ერთი მხრივ, როგორც ნებისმიერი მეცნიერება, კომპიუტერული სფეროც მისწრაფვის მკაცრად განსაზღვრული ადმინისტრაციული ტერმინოსისტემის შექმნისაკენ, მეორე მხრივ, ადგილი აქვს კომპიუტერული კომუნიკაციის სფეროს გაფართოებას დილექტანტების ხარჯზე, რის შედეგადაც, სრული აკადემიურობა პრაქტიკულად, მიუღწეველი ხდება. კომპიუტერული კომუნიკაცია არ არის მკაცრად რეგლამენტირებული პროფესიონალთა ურთიერთობით, რისი შედეგიცაა მრავალი ტერმინოლოგიურად გაუმართავი სიტყვის გამოყენება ინფორმაციის გაცვლის კონკრეტულ შემთხვევებში.

ძირითადი პრობლემა, რომელიც ქართული კომპიუტერული ტერმინოლოგიის შექმნასთანაა დაკავშირებული, მდგომარეობს იმ დისპროპორციაში, რომელიც იქმნება დარგის უსწრაფესი განვითარებისა და კომპიუტერული ტერმინოლოგიის თარგმნის და კონკრეტულ ენობრივ გარემოში დამკვიდრების ტემპებს შორის.

უცხოენოვანი ტერმინის დამკვიდრების პირველ ეტაპზე ხდება მისი სემანტიზაცია, რათა პროფესიულ კომუნიკაციაში გამოსადეგი გახდეს, ხოლო შემდეგ კონვენციონალიზაცია, როდესაც პროფესიული კომუნიკაციის სფეროდან ის ენობრივი სისტემის ელემენტად გარდაიქმნება და საზოგადოებრივ სანქციას იღებს.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ქართულად გადმოცემის ჩვენს მიერ განხილული ხერხები: კოპირება, ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია, სემანტიკური ეკვივალენტით/ფუნქციური ანალოგიით თარგმნა და კალკირება თავისებურ უნივერსალიებს წარმოადგენენ, რომელთა შორის განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა ტრანსკრიფცია/ტრანსლიტერაცია და კალკირება.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის მეორადი (ქართულ ენაზე) ნომინაციის პროცესში შეგვიძლია გამოვყოთ ახალი სიტყვების შექმნის ძირითადი წყაროები: არსებული სიტყვისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება (სემანტიკური დერივაცია), ახალი სიტყვების წარმოება ახალი რეალიების აღსანიშნავად (ნეოლოგიზმების წარმოება ენის სიტყვაწარმოებითი საშუალებების გზით), ნასესხობები სხვა ენებიდან. ეს

უკანასკნელი გამოირჩევა საკუთარი სპეციფიკით კომპიუტერულ სუბენაში. ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ენაში, ქართულშიც ინგლისურენოვანი ტერმინების სესხება, ათვისება და ეროვნულ ნიადაგზე ტრანსფორმაცია ნომინაციის ძირითადი საფუძველია. სესხება ქართული ენის კომპიუტერული ლექსიკის შევსების ყველაზე პროდუქტიული საშუალებაა.

სესხებასა და კალკირებასთან ერთად ჩვეულებრივ მოქმედებს ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებები. კომპიუტერული ტერმინოლოგიის სფეროში აფიქსაციას უჭირავს ძირითადი პოზიცია ქართულ ენაში ნასესხობათა გრამატიკული გაქართულების აუცილებლობის გამო.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა სიტყვაწარმოების საშუალებათა პროდუქტიულობის განსხვავებები არა მარტო ენებს შორის, არამედ კომპიუტერული ლექსიკის სტილისტურ ნაირსახეობათა შორის.

პროდუქტიულად გამოიყენება სიტყვათშეხამებები, რომლებშიც ფორმის სიმოკლე ეხამება აზრის ტევადობას.

აბრევიაცია მოცემული ტერმინოსისტემის მაღალ დონეზე განვითარების მაჩვენებელი და ენაში არსებული ენობრივი ეკონომიის პრინციპის კანონზომიერი გამოვლინებაა. კვლევის შედეგებით მტკიცდება, რომ კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში მეტნაკლებად ცნობილი აბრევიატურები ცვლის ფართო გამოყენების მრავალკომპონენტთან შესიტყვებებს, რომლებიც გარკვეულ დაბრკოლებებს იწვევენ კომუნიკაციის პროცესში. კომპიუტერული ენის ლექსიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერების ეს სფერო მოიცავს აბრევიატურების ყველაზე დიდ რაოდენობას.

ნასესხები ერთეულების მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროდ გვევლინება ინტერნეტი. ინტერნეტი, როგორც ქართული საზოგადოების არსებობის ახალი სფერო, ქართული ენის ფუნქციონირების ახალ სფეროდაც გვევლინება და როგორც კულტურათმორისი კომუნიკაციის ფენომენი, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას უმოკლეს დროში.

მეტაფორული გადატანა ჟარგონიზმის ფორმირების უნივერსალური საშუალება და გადატანითი ჟარგონული მნიშვნელობების წარმოქმნის მთავარი მექანიზმი, ჟარგონის ლექსიკური შემადგენლობის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

კომპიუტერული ტერმინ-მეტაფორების სესხების დროს შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პროცესები, რომლებიც ხდება მიმღები ენის ზოგადი გამოყენების სიტყვების სემანტიკაში: 1. ზოგადი გამოყენების სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობის ტრანს-ტერმინოლოგიზაცია ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში, რომლის დროსაც ზოგადი გამოყენების სიტყვა რეციპიენტ ენაში აფართოებს თავის საწყის მნიშვნელობას წყარო ენის მსგავსი სიტყვის ანალოგიის მიხედვით; 2. მნიშვნელობის ტერმინოლოგი-ზაცია/სპეციალიზაცია; 3. ზოგადი გამოყენების სიტყვის ბირთვული მნიშვნელობის ტერმინოლოგიზაცია.

ინგლისურენოვანი კომპიუტერული ტერმინოსისტემის კონცეპტუალური სტრუ-ქტურაცია შესაძლებელია მხოლოდ კოგნიტური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

მეტაფორიზაცია კომპიუტერული ჟარგონის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნე-ლოვანესი საშუალებაა. იგი იქმნება შედარების შემდეგი მოდელების მიხედვით: ადამიანი - კომპიუტერი, ცხოველი - კომპიუტერი, მექანიზმი - კომპიუტერი, მცენარე - კომპიუტერი, სივრცე - კომპიუტერი, რელიგია - კომპიუტერი.

კომპიუტერული ტერმინოსისტემის ინოვაციების დიდი რაოდენობის შექმნისას რთული უზუალური წარმონაქმნის ერთი კომპონენტის შეცვლით იქმნება ახალი ლექსიკური ერთეული გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით. კომპიუტერული სამყაროს ახალი ობიექტის ნომინაცია ხორციელდება სათუთი, ზოგჯერ კი უხეში იუმორის ელემენტების მოხმობის საშუალებით. ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში ზემოხსენებული უხეში იუმორის ელემენტები უმეტეს შემთხვევებში იკარგება და ნომინაცია გაუგებარია მომხმარებლისთვის.

სამყაროს ენობრივი სურათის, კერძოდ კომპიუტერული ტერმინოსისტემის ერთეულების შექმნისას რეგულარულად მონაწილეობს მეორადი ნომინაციის ერთეუ-ლები, რომლებიც იქმნება ტრადიციული სიტყვების მნიშვნელობათა მეტაფორული გადატანის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებში მეტაფორა სიტყვაწარმოების მსგავს ფუნქციას ასრულებს. ეს კი სრულიად კანონზომიერია, რადგან კოგნიტური თვალსაზ-რისით მეტაფორა ერთი საზრისის გააზრება და რეპრეზენტაციაა მეორის საფუძველზე.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ სამყაროს შეცნობის მეტაფორულ მეთოდს საყოველთაო ხასიათი აქვს. ინტერნეტი ქმნის საკუთარ სტერეოტიპებს სამყაროს კონცეპტუალური სურათის ფრაგმენტების სახით.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის განხილვა ცოდნის კოგნიტურ-დისკურსული პარადიგმის პოზიციებიდან ასახავს სამყაროს ახლებურ გააზრებას თანამედროვე ადამიანის მიერ. კომპიუტერული ტერმინები ტრანსნაციონალური პრობლემის პოზიციიდან სამყაროს სურათის შეცვლაში მონაწილე ნომინაციის ახალი ერთეულებია.

კომპიუტერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასთან უშუალო კავშირშია კომპიუტერული სლენგი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ სამეტყველო გარემოს. აღნიშნული სამეტყველო გარემოს ფარგლებში კი ხდება ამა თუ იმ სამეტყველო ერთეულის გამოცდა და დამკვიდრება.

კომპიუტერული კომუნიკაცია კომუნიკაციის სფეროა და მოიცავს, როგორც პროფესიულ ჟარგონს, ასევე, პრობლემატიკით დაინტერესებულ დილექტანტ მომხმარებელთა სლენგსაც, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ერთიანი ტერმინოსისტემის ჩამოყალიბებას.

კომპიუტერული სლენგი წარმოადგენს თავისებურ საცდელ ბაზას, სადაც ხდება ტერმინის ეფექტიანობის გამოცდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სპეციალისტთა მიერ შემოთავაზებული ტერმინები ცალკე არსებობს, ხოლო კონკრეტულ სამეტყველო კომუნიკაციაში გამოყენებულია სლენგური ფორმა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ბევრი დამკვიდრებული ტერმინი სლენგური მეტყველებიდან შევიდა ტერმინოსისტემაში.

